

რედაქტორი:

გურამ ლორთქიფანიძე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:

ნიკო ჯავახიშვილი – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი

მიხეილ ბახტაძე - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი

კონსულტანტი - პოლონეთის ყოფილი წარმომადგენელი საქართველოში პეტრე ბორავსკი

ს ა. გრიშკაშვილი

პირველი გამოცემა

პოლონეთ-საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური (ძირითადად, სავაჭრო) თუ კულტურული კავშირ-ურთიერთობები საუკუნეთა სიღრმიდან იღებს სათავეს. ამ დროის განმავლობაში როგორც პოლონელებმა საქართველოში (განსაკუთრებით XIX საუკუნესა და XX საუკუნის დამდეგს), ასევე ქართველებმა პოლონეთში (განსაკუთრებით XX საუკუნეში), წარუშლელი კვალი დატოვეს.

ჯერჯერობით, როგორც საქართველოში მოღვაწე პოლონელების, პოლონეთში მოღვაწე ქართველების ღვაწლი და ძალისხმევა ერთ მთლიანობაში შეუსწავლელი და მამასადაძე, დაუფასებელია.

სწორედ ამ თეთრი ლაქების აღმოფხვრის მიზნით დაიწერა ეს წიგნი. იგი თავის ძირითად მიზნად ისახავს შეძლებისდაგვარად შეისწავლოს და მკითხველს გააცნოს იმ ქართველი ემიგრანტების ცხოვრებისეული პერიპეტეები, მოღვაწეობის ხასიათი და მიმართულება, რომელთაც ბედმა პოლონეთში არგუნა ცხოვრება და საქმიანობა და რომელთაც თავისი სამუდამო განსასვენებელი პოლონეთის მიწაში ჰპოვეს.

ესენი კი არც თუ ისე ცოტანი არიან. მდიდარია მათი შემოქმედებაც.

ამ წიგნში მკითხველი პოლონეთში მცხოვრებ (ძირითადად მეორე მსოფლიო ომამდე) ქართველ ემიგრანტთა მხოლოდ ერთ ნაწილს გაეცნობა. მის წინაშე იქნება წარმოდგენილი ასევე გარკვეული ნაწილი მათი ტაიფუნით (ეს პოლონეთში მცხოვრები ერთ-ერთი ქართველი ემიგრანტის ლექსის სათაურია), ბოზოქარი ცხოვრებისა და შემოქმედებისა.

იმედია, მომავალში ამ სახის კვლევა-ძიება ინტენსიურად გაგრძელდება როგორც ამ წიგნის ავტორის, ისე ამ პრობლემით დაინტერესებული სხვა ადამიანების მიერაც, რომლებიც ასევე არცთუ ისე მცირენი არიან, როგორც საქართველოში, ისე პოლონეთში.

ამბროსი გრიშიკაშვილი - პოლონეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე

Польско-грузинские экономические, политические и культурные связи имеют многовековую историю. На протяжении этого времени деятельность как поляков в Грузии (особенно в XIX в и в начале XX в), так и грузин в Польше (особенно в начале XX в), оставила неизгладимые следы. На сегодняшний день она еще полностью не изучена и не получила соответствующей оценки. Эта книга и предназначена стереть эти белые пятна. Надеюсь, что в будущем исследования подобного рода будут интенсивно развиваться и углубляться, как автором книги, так и другими людьми, заинтересованными этой проблемой, которых много и в Грузии, и в Польше.

Амбросий Гришикашвили, Заслуженный деятель культуры Польши

ამ წიგნში ავტორის მიერ შესწავლილია ქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. მასში დიდი რუდუნებითაა აღწერილი პოლონეთში მოღვაწე ქართველთა ცხოვრება, მათი ემიგრანტული ყოფის პერიპეტები, ნაჩვენებია ის დიდი ადამიანური სითბო, რომელიც პოლონელებს ჰქონდათ ქართველების მიმართ.

საყოველთაოდ ცნობილია ქართველთა კეთილგანწყობაც პოლონეთისა და პოლონელთადმი, რასაც სულიერი ნათესაობა ჰქონდა საფუძვლად. პოლონეთი და საქართველო ხომ ერთ დოლაბის ქვეშ იყვნენ და ერთად იბრძოდნენ დამპყრობლის წინააღმდეგ. ასევე ძალზე საყურადღებოა განაკვეთი ”პოლონელები საქართველოში”, სადაც გამოკვლეულია ვაცლავ ოსტროვსკის, კავკასიაში პოლონეთის წარმომადგენლობის თავმჯდომარის დიპლომატიური მოღვაწეობა. არა ნაკლებ ინტერესს იწვევს პარაგრაფი ”ქართველები პოლონეთში”, რადგან რუსეთის, ირანისა და თურქეთის შემდეგ აქ ყველაზე მრავალრიცხოვანი დიასპორა ყოფილა. აღსანიშნავია ისიც, რომ პილსუდსკის მთავრობა განსაკუთრებით ზრუნავდა მათზე.

ზოგადი მიმოხილვის შემდეგ ავტორი აშუქებს პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალკეულ ეტაპებს. კერძოდ, აქ გადმოცემულია პოლონეთში

მცხოვრებ ქართველთა მოღვაწეობა, დახასიათებულია აქ დაბეჭდილი ქართული პერიოდიკა, ოციან და ოცდაათიან წლებში პოლონეთში გამოქვეყნებული წიგნები. მონოგრაფიაში მოტანილი მრავალი ფაქტი ფართო საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი იყო და უცილობლად მიიპყრობს მკითხველთა ყურადღებას. ასევე საყურადღებოა სერგო ყურულიშვილის პოლონურ ენაზე გამოცემული ნაშრომების ბიბლიოგრაფია. მათ შორის, ძალზე საინტერესოა მისი 1922 წელს ვარშავაში დაბეჭდილი ისტორიული ნაშრომი “საქართველო ბოლშევიკთა უღელქვეშ”, რომლის ქართული თარგმანიც ასევე არ დარჩება ყურადღების გარეშე. წინასწარმეტყველურია მისი სიტყვები, რომლითაც მთავრდება აღნიშნული ნარკვევი ”ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენ ვიცოცხლებთ”

აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ ნარკვევს, - ”წმინდანი და მეცნიერი – არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე”. ძალზე მნიშვნელოვანია გრიგოლ ფერაძის ავტობიოგრაფიის ფრაგმენტები. გრ. ფერაძის მოღვაწეობის ბოლო პერიოდს მიეკუთვნება მისი მეცნიერული კვლევები, რომლებიც ეხებიან საქართველოს ისტორიას და რომლებიც უცნობი იყო ჩვენი მკითხველისათვის. დიდია ასევე გრ. ფერაძის დამსახურება ევროპაში გაბნეული ქართული ხელნაწერების კვლევის საქმეში, რაც კარგად აქვს ნაჩვენები ბ-ნ ამბროსი გრიშიკაშვილს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე წიგნის გრ. ფერაძისადმი მიძღვნილი განყოფილება გამოირჩევა სიღრმით, ფაქტების სიუხვით და ახლებური მიდგომით. მას სიამოვნებით წაიკითხავენ არა მარტო სპეციალისტები, საქართველოს კულტურის ისტორიის მკვლევარები, არამედ საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველებიც. ასევე მაღალპროფესიული პუბლიცისტის პოზიციებიდან არის დაწერილი სხვა მამულიშვილთა კვალი-ნათელისადმი მიძღვნილი ნარკვევებიც.

წიგნი დაწერილია კარგი ქართულით, იკითხება დიდი ინტერესით. ჩვენი ღრმა რწმენით, იგი წარმოადგენს ქართულ-პოლონური ურთიერთობის, სიყვარულისა და პატივისცემის სიმბოლოს.

გურამ ლორთქიფანიძე, - პროფესორი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის გამგე

შესავალი

ალბათ ძნელია დედამიწის ზურგზე ორი ისეთი ქვეყნის მოძებნა, რომელთა ისტორიაცა და თანამედროვეობაც ისე ჰგავდეს ერთმანეთს, როგორც პოლონეთისა და საქართველოსი. ამ სახის გეოპოლიტიკურმა დეტერმინაციამ ჩვენი ხალხის ხასიათის მსგავსებაც კი განაპირობა.

მახსენდება: ამ ორიოდე წლის წინათ ვარშავის უნივერსიტეტის მიწვევით, მე, როგორც მთარგმნელი და პოლონეთის კულტურის პოპულარიზატორი საქართველოში, ამ უაღრესად პრესტიჟულ სასწავლო დაწესებულებაში ლექციებს ვისმენდი. ერთ-ერთ ლექტორს თავის სალექციო თემად პოლონელი ხალხის ხასიათის თავისებურებები შეერჩია. როდესაც ლექცია დაასრულა, მე მივუახლოვდი და ვუთხარი: ბატონო პროფესორო, ასე მეგონა ქართველების შესახებ ლაპარაკობდით მეთქი. მას გაეცინა და მიპასუხა: ხშირად გამიგონია ჩვენი ხალხის ხასიათის მსგავსების შესახებ. ძალზე ვწუხვარ, რომ დღემდე ვერ მოვახერხე საქართველოს ვსტუმრებოდიო...

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი რამის გახსენება მსურს. ეს ამბავი 1995-2000 წლებში საქართველოში პოლონეთის წარმომადგენელი პეტრე ბორავსკი მომიყვა: 1992 წელს პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამზადებდა საქართველოსთან მომავალი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას. მისი მომზადება, როგორც წესი, დაევალა სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის დირექტორს. შეთანხმებულ ვადაში მან მართლაც მოამზადა დოკუმენტი და განსახილველად სამინისტროს ხელმძღვანელობას გადასცა. დირექტორის მიერ მომზადებული დოკუმენტის სათაური დაახლოებით ასე ჟღერდა: “პოლონეთ-საქართველოს კეთილმეზობლური და კეთილმეგობრული ურთიერთობის ხელშეკრულება”. მინისტრმა დახედა დოკუმენტს, გახედა დეპარტამენტის უფროსს და ირონიულად უთხრა: პან, როგორც ჩანს, თქვენ გეოგრაფიაში სუსტი ყოფილხართ. განა საქართველო და პოლონეთი მეზობელი ქვეყნებია?

ცხადია, დეპარტამენტის დირექტორმაც კარგად უწყოდა ის, რომ საქართველო და პოლონეთი მეზობელი ქვეყნები არ არიან (ასეთი რამ ამ დაწესებულებაში ვგონებ, დამლაგებელმაც კი იცის), მაგრამ პოლონელის ცნობიერებაში ისეა გამჯდარი საქართველოსადმი სიმპათიები, რომ მას ჩვენი ქვეყანა მართლაც კარგი მეზობელი ჰგონია...

დიახ, ამ ორ თავისუფლებამოყვარულ ერს ანალოგიურ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში მოუწია ცხოვრება და სწორად აქედან გამომდინარეობს აღნიშნული მსგავსებაც და ის უდიდესი სიმპათიები და ურთიერთდაახლოების მძაფრი მოთხოვნილებაც, რომელიც ქართველს პოლონეთის, ხოლო პოლონელს - საქართველოს მიმართ გააჩნია. ცხადია, ფართო საზოგადოებისათვის საინტერესო იქნება რეტროსპექტიულად თვალი გადაგვევლო პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობისთვის, რომელიც საუკუნების მიღმა იღებს სათავეს.

ამბროსი გრიშიკაშვილი - ქართველები პოლონეთში

1. საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ისტორიიდან

როგორც ისტორიიდან ცნობილია, პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფოს კავშირ-ურთიერთობები კავკასიასთან შუა საუკუნეებიდან იწყება.

პირველი ცდები და პირველი რეალური კონტაქტები ურთიერთდაახლოებისა საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად პოლონელ და ქართველ ხალხებს შორის მეთხუთმეტე საუკუნის მიწურულს მომხდარა. კერძოდ, ხუთი საუკუნის წინათ, 1495 წელს ლიტვის ბრწყინვალე თავადის, ალექსანდრეს (რომელიც შემდგომ პოლონეთის მეფე გახდა), კარს სტუმრებია ქართლის მეფის, კონსტანტინეს ელჩი, ბერი კორნელი; ქართველი ელჩი დიპლომატიურ კორპუსთან ერთად ესპანეთისა და ევროპის სხვა სახელმწიფოებისკენ

მიემართებოდა, რათა ამ ქვეყნის მეფეებს ანტითურქული კოალიციის შეკვრაზე მოლაპარაკებოდა. ვარაუდობენ, რომ ელჩი კორნელი უნდა სტუმრებოდა აგრეთვე კრაკოვსაც, თუმცა ამის შესახებ ისტორიული წყაროები არაფერს გვამცნობენ. სამაგიეროდ, ცნობილია ის, რომ კონსტანტინეს ამ ელჩობას პოლონეთში არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, - პოლონეთის ინტერესების სფეროში მაშინ კავკასია არ შედიოდა.

2. ბოგდან გურჯიცი

ამ პერიოდში განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართლელი ბოგდან გურჯიციის მოღვაწეობა პოლონეთის მეფეთა კარზე.

გურჯიციმ XV11 საუკუნის 50-იან წლებში მიატოვა ქართლის მეფის როსტომის კარი და მისივე დავალებით და გარკვეული მისიით, პოლონეთში წავიდა. 1662 წელს იგი უკვე მეფე კაზიმეჟის კარზეა. მალე გურჯიცი სასახლის კარის ერთ-ერთი პოლკის როტმისტრი ხდება.

მცირე ხნის შემდეგ გურჯიციის პოლონეთიდან ისპაჰანში გაგზავნიან ელჩად. გზად იგი ქართლის მეფის ვახტანგ V-ის კარზე გაჩერდება და მას მეფე კაზიმეჟის წერილს გადასცემს. კაზიმეჟი საქართველოს ჩაბმას ცდილობს ანტითურქულ კოალიციაში. სპარსეთის შაჰის კარზე გურჯიცი 1670 წელს გამოჩნდება. იგი შაჰ სულეიმანს ტახტზე ასვლას (1667 წელი) მიულოცავს. გურჯიცი შაჰს თხოვს ასევე სპარსეთში მყოფი კათოლიკური მისიის მფარველობას.

1671 წელს გურჯიცი უკან, პოლონეთში დაბრუნდება. იგი რამდენიმე კვირას თბილისში გაჩერდება, სადაც მას ქართლის მეფე პოლონეთის მეფისათვის

გადასაცემად წერილს დაუწერს. კაზიმეჟის დავალების მაღალ დონეზე შესრულებისათვის 1673 წელს გურჯიცი შლიახტის (აზნაურის) ტიტულს მიიღებს.

პოლონეთის ახალი მეფე იან სობესკი, გრძნობს რა საფრთხეს ოსმანთა იმპერიის მხრიდან, 1676 წელს გურჯიცი კვლავ აგზავნის ისპაჰანში. მისი მისიის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ სეფიანთა ირანი თურქეთის წინააღმდეგ კოალიციაში ჩააბას. გურჯიცი პოლონეთის მეფისათვის სისტემატიურად უნდა ეგზავნა ასევე მოხსენებები თურქეთ-ირანის ურთიერთობათა შესახებ. გურჯიცი თავის მიზნებს არ უმაღავდა ასევე რუსთა მეფესაც. კერძოდ, გურჯიცი რუსთა მეფეს ჰპირდებოდა, რომ სპარსთა მეფეს მის მიმართ სიმპათიით განაწყობდა.

გურჯიცი ისპაჰანში 1677 წელს ჩავიდა და თითქმის 23 წლის მანძილზე წარმატებით ასრულებდა პოლონეთის მეფის ელჩის დიპლომატიურ მისიას სპარსეთის შაჰის კარზე.

როგორც ქართველი ისტორიკოსი, ბოგდან გურჯიციის ბიოგრაფიისისმკვლევარი გურამ ზედგენიძე წერს “ბოგდან გურჯიციის დიპლომატიურ კარიერაში განსაკუთრებით ბრწყინვალე ეპიზოდია მისი მოღვაწეობა შაჰ სულეიმანის კარზე, ანუ პერიოდი მას შემდეგ, რაც თურქული არმია ვენასთან იქნა განადგურებული 1683 წლის 12 სექტემბერს”.

ყარა მუსტაფას არმიის განადგურებამ უდიდესი რეზონანსი გამოიწვია ისპაჰანში. შესაბამისად, იან სობესკის რეზიდენტი უფრო და უფრო საპატივსაცემო ფიგურა ხდებოდა. როდესაც სპარსეთამდე ჩამოაღწია ინფორმაციამ პოლონელთა გეგმებზე სტამბულის აღების თაობაზე, სპარსეთის შაჰმა შეკითხვით მიმართა გურჯიციის, მუსულმანებს რა ბედი ეწევათ? გურჯიციმ ხუმრობით უპასუხა, არც ერთი მათგანი ცოცხალი არ დარჩებაო. ამაზე ირანის შაჰმაც ასევე ხუმრობით უთხრა მას, რომ ასეთ შემთხვევაში იგი იძულებული გახდებოდა გაქრისტიანებულიყო.

თუ როგორი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სპარსელებზე იან სობესკის გამარჯვებამ ვენასთან თურქებზე, ამაზე შემდეგი ფაქტიც მეტყველებს: შაჰ სულეიმანმა გურჯიციის პირადად აცნობა, რომ მას გადაეცა პოლონეთის მეფისათვის სპარსეთის 30 ათასიანი არმიის მზადყოფნის თაობაზე თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბოგდან გურჯიცი 1668 -1700 წლებში მრავალგზის ესტუმრა სპარსეთის შაჰის კარს. გზად იგი აუცილებლად მოინახულებდა ხოლმე ქართლის მეფეს და მას პოლონეთის მეფის დანაბარებს გადასცემდა. პოლიტიკასთან ერთად იგი ძალისხმევას არ აკლებდა იმას, რომ პოლონეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობები გაღრმავებულიყო.

ბ. გურჯიციკის პოლონეთში დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მას ნება დართეს ამ ქვეყანაში დასასახლებლად ჩაეყვანა თავისი ძმები და მეგობრები.

გურჯიციკი სპარსეთიდან ვარშავაში მიმავალი გზაში, მოსკოვში გარდაიცვალა და აქვეა დაკრძალული.

3. აკაკი რამიშვილი – ქართულ-პოლონური ურთიერთობა 1917 - 1945 წლებში

(აკაკი რამიშვილის ამ წერილში, რომელიც მისმა ახლობელმა ქალბატონმა მანანა დავითაშვილმა გადმოგვცა, ჩვენ თითქმის არავითარი შესწორება არ შეგვაქვს)

1774 წ. პოლონეთის პირველი დაყოფის შემდეგ ერეკლე მეფემ მიიღო 1000 გამოქცეული პოლონელი ოჯახი. პოლონეთის მეორე დაყოფის შემდეგ 1795 წ. დასავლეთმა საქართველომ მიიღო 4000 პოლონელი ოჯახი ბათუმში და ქუთაისში. პოლონეთის აჯანყების შემდეგ 1863 წელს რუსეთმა გადაასახლა რამოდენიმე ათასი პოლონელი საქართველოში. ისინი კარგად და მეგობრულად იყვნენ მიღებული ჩვენში - ორივე ერი დაახლოვა დამონაებამ რუსეთის მიერ და ციმბირში გადასახლებამ. ზოგი პოლონელი თვითნებურად გაქართველდა და გაუწია სამსახური საქართველოს.

1880-იან წლებში, ქუთაისში დაბადებული გრიგოლ ვოლსკი გადავიდა ბათუმში. მის თაოსნობით იქ დაარსდა “ქართული ენის გავრცელების და შესწავლის საზოგადოება” ვოლსკი აკრიტიკებდა ქართველ თავად-აზნაურობას რომ დავიწყებული ჰქონდათ სამშობლო ენა. მთელ აჭარაში ვოლსკი აწყობდა კულტურულ წარმოდგენებს, რისი შემოსავლით უხდიდა ჯამაგირს ქართული ენის მასწავლებლებს.

საქართველოში დაბადებული გიორგი ზდანოვიჩი იყო ქართულ სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერთაგანი. მან დიდი როლი ითამაშა 1917 წლამდე და ქართულ მწერლობაში ცნობილია როგორც გიორგი მაიაშვილი.

1903 წ. ლონდონში პილსუდსკის ახლო თანამშრომელმა სოციალისტებმა ტ. ფილიპოვიჩმა და ვ. იოდკო-ნარკიევიჩმა კავშირი გააბეს ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებთან, რომ რუსეთის წინააღმდეგ ერთად თანამშრომლობის საშუალება გამოეძებნათ. პილსუდსკი დაიმედდა 1904 წ. რუსეთ-იაპონიის ომის შედეგით და უზარმაზარ არევ-დარევით, რომელიც 1905-1906 წლების რევოლუციამ გამოიწვია რუსეთში, თუმცა ამკარა იყო, რომ როგორც პოლონეთში, ისე საქართველოში ეროვნული მოძრაობის სისუსტის გამოისობით, მათ შორის თანამშრომლობა ჯერჯერობით მარტოდენ თეორია იყო.

ოთხივე დუმაში ქართველი დელეგატები იცავდნენ პოლონეთის დამოუკიდებლობას იმ დროს, როდესაც პოლონელი ნაციონალ-დემოკრატები რომან დმოვსკის მეთაურობით მარტო პოლონეთის ავტონომიას თხოულობდნენ. 29 მარტს 1917 წ. კარლო ჩხეიძემ დიდი ორატორიული გამოსვლით სეიმში, აიძულა რუსეთის დროებითი მთავრობა ეცნო “პრინციპში” პოლონეთის დამოუკიდებლობა. ამიტომაც როცა 1923 წელს კარლო ჩხეიძე პოლონეთში ჩავიდა, მას ათასობით პოლონელი დიდი ოვაციებით შეხვდა. უნდა ვუსურვოთ პატარა ქართველ ერს, რომ მომავალში მას კიდევ ელირსოს ამისთანა დიდი და კეთილი პიროვნებები.

1917 წ. ნოემბერში ამიერკავკასიის კომისარიატმა ნება დართო პოლონელ მხედართა ორგანიზაციას ამიერკავკასიაში შეედგინათ ერთი პოლონური ქვეითთა ბრიგადა. საქართველომ ეგენი შეინახა წელიწად-ნახევარი (ხოლო ივნისში 1918 წ. ეგენი დაიშალნენ, ვინაიდან ეს კატეგორიულად მოითხოვეს გერმანელებმა). მაისში 1919 წ. ეგენი გაისტუმრეს დიდი ამბით ჩრდილო კავკასიისაკენ, პოლკოვნიკ მაკარევიჩის მეთაურობით, სადაც შეუერთდნენ გენერალ ჟელიგორსკის დივიზიას და მასთან ერთად დაბრუნდნენ პოლონეთისკენ. საქართველოს მთავრობის ცნობების მიხედვით, მათმა ერთმა ნაწილმა მიიღო მონაწილეობა ვარშავის დაცვაში 1920 წელს.

4. პოლონეთი, საქართველო - წისქვილის ქვებს შორის...

გაცილებით მეტი რამაა ცნობილი პოლონეთ-საქართველოს შორის არსებულ კონტაქტებზე შემდგომ ხანაში, კერძოდ, XVII და განსაკუთრებით, XVIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც საქართველომ პოლონეთის აღმოსავლურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. იმ პერიოდში პოლონეთიდან საქართველოს სტუმრობდნენ დიპლომატები, ვაჭრები, მისიონერები. ხშირი იყო აგრეთვე ქართველების დასახლება პოლონეთში, სადაც ისინი ეწეოდნენ დიპლომატიურსა და სამხედრო საქმიანობას. XIX საუკუნეში კი, როდესაც, როგორც საქართველომ, ისე პოლონეთმა დაკარგეს თავისი სახელმწიფოებრიობა და მათზე მეფის რუსეთი გაბატონდა, ამ ორ ხალხს ფრიად აახლოებდა დამპყრობის კლანჭებიდან განთავისუფლების საერთო მიზნები.

განსაკუთრებით ბევრი პოლონელი და ქართველი უახლოვდებოდა და ეცნობოდა ერთმანეთს ციმბირის გადასახლებაში. როგორც გამოჩენილი პოლონელი მწერალი სტეფან ჯერომსკი წერს: “ისტორიულ წყაროებში, რომლებიც აღწერენ 63 წლის აჯანყების მონაწილე პოლონელთა ყოფას ციმბირში (იგულისხმება 1863 წლის ცნობილი აჯანყება პოლონეთისა ცარიზმის წინააღმდეგ-ა.გ.), ნაჩვენებია, რომ კატორღელი პოლონელის გვერდით თითქმის ყოველთვის დგას ქართველი, რომელიც აჯანყებული პოლონელის მსგავსად იზიარებს ციმბირში გადასახლებულის მწარე ხვედრს(...) ასეთ პირობებში აღმოცენებული მეგობრობა კი უაღრესად მტკიცეა.”

თუმცა მხოლოდ ციმბირის გადასახლებაში როდი ხვდებოდნენ ერთმანეთს ქართველები და პოლონელები. მეამბოხე პოლონელებს მეფის მთავრობა ხომ არა მარტო ციმბირში, ასევე კავკასიაში და კერძოდ, საქართველოშიც ასახლებდა. გარდა ამისა, საქართველოში იხდიდა თავის სამხედრო ვალდებულებას მეფის ჯარში მომსახურე როგორც ოფიცრობა, ასევე მრავალი რიგითი პოლონელი ჯარისკაცი. ამავდროულად, ქართველებიც მსახურობდნენ რუსეთის ჯარში პოლონეთის ტერიტორიაზე, სწავლობდნენ ვარშავაში და ეწეოდნენ იქ სავაჭრო თუ სხვა სახის საქმიანობას.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ თავიანთი ისტორიითა და გეოპოლიტიკური მდებარეობით ეს ორი ქვეყანა ისე ჰგავს ერთმანეთს, რომ ორ სხვადასხვა, ერთმანეთისათვის უცნობ მწერალს, მსგავსი შედარებებიც კი აღეძრა მათი პოლიტიკური მდგომარეობის გამოსახატავად. კერძოდ, თავის ცნობილ ნაწარმოებში “ერთგული მდინარე” სტეფან ჟერომსკი რომანის ერთ-ერთ გმირს (იხ. ამ რომანის ჩვენეული თარგმანი) ათქმევინებს: “პოლონეთი ორი წისქვილის ქვას - გერმანიასა და რუსეთს შორის აღმოჩნდა. თუ ჩვენი სამშობლო თავადაც წისქვილის ქვა არ გახდა, ხორბალივით დაიფქვება ამ ორ დიდ ერს შორის. სხვა გამოსავალი არ არის”.

ზუსტად ანალოგიური აზრი აქვს გამოთქმული ბერძენ მწერალს - ნიკოს კაზანდაკის თავის რომანში “ტოდა რაბა”, რომელიც მნიშვნელოვანწილად საქართველოს ეხება. აი, ეს ადგილიც:

- „იდილიური სიზმარი დამოუკიდებელი საქართველოსი მოაზროვნე ადამიანისათვის შეუფერებელი ქიმერაა. საქართველო გადამწყვეტ გეოგრაფიულ და ფსიქოლოგიურ არეალშია. იგი ორ ძალას შუაა მოქცეული, ახალ, საბჭოთა ძალას, რომლის მიზანიცაა შთანთქმას მთელი აზია - და ძველ, კაპიტალისტურ ძალას, რომელიც ცდილობს მას შეეწინააღმდეგოს. საბრალო საქართველო ორ უზარმაზარ დოლაბს შორის მოქცეულ ხორბლის მარცვალსა ჰგავს”.

წისქვილის დოლაბებს შორის მოქცეული, ხორბლის მარცვლის მდგომარეობაში აღმოჩენილი ეს ორი ქვეყანა თავისი ფიზიკური არსებობის გადარჩენის მიზნით, დიდ ძალისხმევას ახმარდა ერთმანეთს შორის ურთიერთკავშირების დამყარებასა და განმტკიცებას.

საინტერესოა, რომ პოლონეთ-საქართველოს შორის მსგავსებაზე თავისი აზრი აქვს გამოთქმული ცნობილ რუს პოეტს, მწერალს, ნობელის პრემიის ლაურეატს, ბორის პასტერნაკს. კერძოდ, იგი წერს: „იმჟამად საქართველო, ცალკეული მისი მემკვიდრენი, თვით ქართველი ხალხის ცხოვრებაც, ჩემთვის ნამდვილი გამოცხადება იყო. ყველაფერი სიახლეს მოასწავებდა, ყველაფერი მანცვიფრებდა: შენობათა ვეება ჩრდილი, ეზოებიდან ქუჩებზე გამოფენილი ცხოვრება უღარიბესი მოსახლეობისა - უფრო თამაში, ნაკლებად კარჩაკეტილი, ვიდრე ჩრდილოეთში, ნათელი და

გულწრფელი ხალხურ თქმულებათა მესიონური სიმბოლიკა, რომელიც წარმოდგენებით, ხილვებითა და შთაგონებით ცხოვრებისაკენ გიბიძგებთ და როგორც კათოლიკურ პოლონეთში, ყოველ მეორე ადამიანს პოეტად აქცევს” (აქ არ შეიძლება კაცს არ გაგახსენდეს მეორე ცნობილი რუსი პოეტი მაქსიმ გორკი, რომელიც საქართველოში თავისი მოგზაურობის შემდეგ წერდა, მე, ბოგანო და მაწანწალა, საქართველომ პოეტად მაქციაო. ა.გ.).

XIX საუკუნეში პოლონეთის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვის პირობებში პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობებმა ხასიათი შეიცვალა და რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს ამის თქმა, უფრო ინტენსიური გახდა, ვიდრე იგი აქამდე იყო. პოლონეთის სამეფოში, რომელსაც შემდგომ რუსი დამპყრობლები ვისლისპირა ქვეყანას დაარქმევენ, მყოფ რუსეთის არმიაში მრავალი ქართველი ოფიცერი მსახურობდა. მათ შორის იყო, მაგალითად, გენერალი იოსელიანი, რომელიც ვარშავაში კავალერიის ინსტრუქტორად მსახურობდა. იგი ბრწყინვალე თავად კონსტანტინეს ფავორიტი იყო. როგორც ჩანს, შემდგომ ეს ქართველი გენერალი პოლონელ ქალზე იქორწინებს და თავის ქალიშვილს პოლონელ გვარდიის ოფიცერ ხელნიცკიზე გაათხოვებს.

1835-56 წლებში ვარშავაში არსებულ კავკასიის ცხენოსანთა საჯარისო ფორმირებებს ხელმძღვანელობდა ქართველი თავადი დავით ბებუთოვი (ბებუთიშვილი), რომელიც შემდგომ, ანუ 1861 წლიდან სიკვდილამდე (1867წ) ვარშავის სამხედრო კომენდანტი იყო. როგორც ჩანს, გენერალ ბებუთაშვილის სხვა დამსახურებებთან ერთად ერთ-ერთი დამსახურება ისიც იყო პოლონეთის წინაშე, რომ მას ამ ქვეყანაში ჩამოუყვანია დაღესტანში 1834 წელს ფორმირებული პოლონური პოლკი. ამ პოლკს ვარშავაში კავკასიის პოლკს უწოდებდნენ. გენერალი ბებუთიშვილი ვარშავაში, მართლმადიდებლურ სასაფლაოზეა დაკრძალული.

აღსანიშნავია, რომ დავით ბებუთიშვილის უფროსი ძმა, ასევე ცნობილი გენერალი ვასილ ბებუთიშვილიც (1791-1858 წწ), მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოლონეთთან. როგორც ცნობილი ხდება, ეს ადამიანი, რომელიც ერთ ხანს მთელ კავკასიას განაგებდა, გარკვეული დროის მანძილზე გასული საუკუნის 40-იან წლებში, პოლონეთის სამეფოში დისლოცირებული რუსეთის არმიის შტაბის წევრი ყოფილა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ვარშავა-ვენის სარკინიგზო მონაკვეთის უფროსი იყო გენერალი პეტრე ბაგრატიონი.

ამავე პერიოდში ვარშავის ვოლინოს პოლკის ლეიბ-გვარდიელთა უფროსი იყო პოლკოვნიკი თავადი აგათონ ვახვახოვი (ვახვახიშვილი). ამავე დროს ვარშავის ოლქის ჯარების მეთაურის შტაბში მაღალი თანამდებობა ეკავა კავალერიის პოლკოვნიკს, თავად ნიკოლოზ იაშვილს.

ქართველებს (ძირითადად, სამხედროებს), მაღალი თანამდებობები ეკავათ ასევე პოლონეთის სამოქალაქო იერარქიაშიც. მაგალითად, XIX საუკუნის ბოლოს ვარშავის გენერალ-გუბერნატორი იყო გენერალი ალექსანდრე იმერეტინსკი, რომელიც უაღრესად ლოიალურად იყო განწყობილი პოლონელთა მიმართ. მან დიდად შეუწყო ხელი მეფის რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულებისგაკეთილშობილებას ამ ქვეყნის მკვიდრთა მიმართ. აღსანიშნავია, რომ რუსეთის მეფე ნიკოლოზ II-თან სწორედ მისი პირადი შუამავლობით მოხერხდა გამოჩენილი პოლონელი პოეტის ადამ მიცკევიჩის მეგლის აგება ვარშავაში 1898 წელს. სწორედ ამიტომ იყო, რომ პოლონელები დიდი მწუხარებით შეხვდნენ მის გარდაცვალებას. აი, რას წერდა იმდროინდელი პოლონური პრესა: მაშინ, როდესაც მისი წინამორბედები პოლონეთს ისე უყურებდნენ, როგორც ქვეყანას, რომელიც უნდა დაერბიათ და რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე გაეტანათ აქედან, იგი, პირიქით, დღენიადაგ იმის მცდელობაში იყო, რომ რაღაც შეემატებინა ამ ქვეყნის ეროვნული მეურნეობისათვის. ცხადია, მისი მემკვიდრისათვის ადვილი არ იქნება ამ ტრადიციის გაგრძელება-დასძენს გაზეთი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ცნობილი ქართველი დრამატურგი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი გიორგი ერისთავი. იგი ამ შეთქმულების სხვა 38 მონაწილესთან ერთად პოლონეთში, ვილნიუსში (რომელიც მაშინ პოლონეთის სამთავროში შედიოდა) გადაასახლეს. როგორც ჩანს, ვილნიუსში გიორგი ერისთავი “მომხიბლავ პოლონელს” გამიჯნურებია, რომელსაც არაერთხელ მოიხსენიებს იგი თავის ლექსებში. შემდეგ პერიოდში ერისთავი საცხოვრებლად ვარშავაში გადაუყვანიათ, სადაც მას პოლონური ენა შეუსწავლია და პოლონურ ლიტერატურას გაცნობია. პოლონური ენის ცოდნამ საშუალება მისცა მას, ეთარგმნა მიცკევიჩის “ყირიმის სონეტები” და ასევე ამავე მწერლის ცნობილი პატრიოტული დრამა “ძიადის” ნაწილი (აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დრამის საფუძველზე დაწერილი სპექტაკლის წარმოდგენით დაიწყო პოლონელთა უკმაყოფილების გამოხატვა საბჭოური რეჟიმის მიმართ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, რომელიც არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ სოციალისტური სისტემის მსხვერვეით დასრულდება).

ამავე საუკუნეში თანდათან უფრო ინტენსიური გახდა ქართველი ვაჭრების ჩასვლა პოლონეთში. მათ ამ ქვეყანაში (ძირითადად, ვარშავაში), საკუთარი მაღაზიების გახსნა დაიწყეს. ისინი ძირითადად მსუბუქი მრეწველობის საქონლით (უმთავრესად, აბრეშუმის ქსოვილით) და ვერცხლის ნაწარმით ვაჭრობდნენ. XX საუკუნის ბოლოს ვარშავის ქართულ მაღაზიებში (უფრო სწორედ, მათ ვარშაველები “კავკასიურ მაღაზიებს” უწოდებდნენ), გამოჩნდა ქართული სასმელები, უმთავრესად ღვინო და კონიაკი, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან დიდი მოწონებით სარგებლობდა.

საგულისხმოა ისიც, რომ პოლონეთის მიწაზე პირველი საავტომობილო ფირმა 1903 წელს ქართველმა თავადმა მიხეილ ნაკაშიძემ გახსნა.

ოქტომბრის რევოლუციამდე ქართველ ახალგაზრდებს ძალიან იზიდავდა ასევე ვარშავის უმაღლესი სასწავლებლები, განსაკუთრებით ვეტერინარიის ინსტიტუტი. აქ სწავლობდნენ მაგალითად, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას (მან ავადმყოფობის გამო 1893 წელს დატოვა ვარშავა და საქართველოში დაბრუნდა) და ცნობილი საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე ფილიპე მახარაძე. აღსანიშნავია, რომ მათ გარდა, ვარშავის სასწავლებელში უამრავმა ქართველმა პოლიტიკოსმა (უმთავრესად, სოციალ-დემოკრატმა), მიიღო განათლება. აქ ისინი აყალიბებენ საკუთარ პოლიტიკურ წრეებსა თუ ორგანიზაციებს, მჭიდრო კონტაქტში იყვნენ პოლონურ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან და ა. შ. ვარშავაში მოსწავლე ქართველებმა ჩამოაყალიბეს მაგალითად, საქართველოს განთავისუფლების ლიგა და სხვ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თუმცა თავისი სტრუქტურით პოლონეთის უნივერსიტეტები მაინც და მაინც არ განსხვავდებოდნენ რუსეთის ანალოგიური სასწავლებლებისაგან, მაგრამ იმ მიზეზით, რომ აქ მაინც განსაკუთრებული, პოლონური სული იყო გამეფებული, ქართველი ახალგაზრდობა სწორედ ვარშავაში არჩევდა სწავლას, თუმცა მაშინ ქართველი ახალგაზრდობისათვის ადვილი არ უნდა ყოფილიყო სასწავლებლად ამ სიშორეზე წასვლა. ზოგიერთი გაანგარიშებით, ქართველ სტუდენტთა ხვედრითი წილი ვარშავის სტუდენტთა მთლიან რიცხოვნობაში, თითქმის 2 პროცენტამდე აღწევდა, რაც საკმაოდ სერიოზული მაჩვენებელია.

სამშობლოს დროებით მოწყვეტილი ქართველი სტუდენტები მარტო სწავლით როდი იყვნენ გატაცებულნი. ისინი უცხოელებს შეძლებისდაგვარად წარმოუდგენდნენ ხოლმე ქართულ მუსიკას, სიმღერას, ცეკვებს და სხვ. ასეთი სადამოებო თითქმის ყოველ წელს იმართებოდა. კერძოდ, ისინი გაიმართა 1910 წ. 1912 წ. 1913 წ. 1914 წ. და ა. შ.

ერთი ასეთი სადამო ვარშავაში გაიმართა 1912 წლის 22 იანვარს ვარშავის ერთ-ერთ მშვენიერ შენობაში, რომელსაც “შვიცარიის დოლინას” უწოდებდნენ, ქართველმა სტუდენტებმა წარმოადგინეს სიმღერები და ცეკვები. დარბაზში ტევა არ იყო. თვითეული სიმღერისა თუ ცეკვის დასრულებას უსაზღვრო ოვაციები მოსდევდა და დამსწრენი ნომრის გამეორებას ითხოვდნენ.

ამ ქართული სადამოების ხელმძღვანელ-ორგანიზატორი კ. სულხანიშვილი პოლონელებმა ოქროს მედლით დააჯილდოეს, ხოლო ქართულმა სიმღერებმა ისეთი ცხოველი ინტერესი გამოიწვია, რომ ორი დღის შემდეგ გრამაფონის ფირფიტებზე ხმის ჩამწერმა ბიურომ წინადადებით მიმართა სადამოს ხელმძღვანელებს ქართული სიმღერები და მუსიკა ხალხში გასავრცელებლად ფირფიტებზე აღებეჭდათ.

ქართველ-პოლონელთა კავშირურთიერთობების ტრადიციებს თავის მხრივ ავითარებდნენ საქართველოში მცხოვრები პოლონელებიც. კერძოდ, 1907 წელს თბილისში დაარსდა საზოგადოება “დომ პოლში”, რომელიც კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა. ამ მხრივ საქმიანობა კიდევ უფრო გააქტიურდა დამოუკიდებელ საქართველოში. საგულისხმოა, რომ 1918 წელს, ანუ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პოლონელებმა თბილისში დაიწყეს საკუთარი გაზეთის “ტიგოდნიკ პოლსკის” (ყოველკვირეული პოლონური გაზეთის), გამოცემა.

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პოლონელთა გამოცდილებას იყენებდნენ ქართველი პოლიტიკოსები ცარიზმის მარწუხებისაგან თავის დასახსნელად. მაგალითად, I მსოფლიო ომის დაწყების პირველივე დღეებიდან ფედერალისტთა პარტიის მთავარი ორგანოს - გაზ. “სახალხო ფურცლის” 1914 წლის 9 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა ე. წ. “პოლონელთა განცხადება”, რომელშიც იმაზე იყო მსჯელობა, თუ რა პოზიცია უნდა დაეკავებინათ პოლონელებს მიმდინარე ომში.

ამ პროგრამაში პოლონელები ითვალისწინებდნენ იმას, რომ მათი თავისუფლების მოპოვებას შეეწინააღმდეგებოდა იმპერიის კბილებამდე შეიარაღებული არმია, ამიტომ საჭირო იყო უდიდესი სიფრთხილის გამოჩენა, რომ ერი არ აღგვილიყო პირისაგან მიწისა. ამასთან დაკავშირებით, განცხადების ავტორები შემდეგს წერდნენ: “ჩვენ არ შეგვიძლია აქტიური როლი ვიკისროთ. ჩვენ უნდა შევინახოთ ძალები. როცა ქარიშხალი გადაივლის, დადგება დრო შემოქმედებითი ნაყოფიერი მუშაობისათვის. დღეს კი მძიმე მდგომარეობაში ვართ და არ უნდა ავჩქარდეთ. ჩვენი გონება და ჩვენი საღი აზროვნება არ უნდა შეაცდინონ... ჩვენი მეგობრები არ არიან ისინი, ვინც მეტ სისხლს მოითხოვენ ჩვენგან” პოლონელთა პოზიცია გასაგები იყო: უნდოდათ თუ არა, ძალას უნდა დამორჩილებოდნენ, იგივე პოზიცია გაიზიარა ქართველი პოლიტიკოსების მნიშვნელოვანმა ნაწილმა. ეს პოზიცია განსაკუთრებით მისაღები აღმოჩნდა ქართველი სოციალისტ-ფედერალისტებისათვის. ამ პარტიის ოფიციალური თვალსაზრისი გამოხატა სოციალისტ-ფედერალისტთა დეპუტატმა IV სათათბიროში ვარლამ გელოვანმა. კერძოდ, ამ ომში მათ მხარი დაუჭირეს ანტანტის სამხედრო ბლოკს და ამდენად, ამ ომში რუსეთის გამარჯვებას. რა თქმა უნდა, ეს არ იყო მათი თავისუფალი არჩევანი, მაგრამ ეს იყო ერთადერთი რეალური და საღი პოზიცია მაშინდელ ვითარებაში (იხ. წიგნში: “ქართული დიპლომატია”, VII, თბ. 2000, გვ. 127).

საქართველოში პოლონელთა პოლიტიკური მოღვაწეობა განსაკუთრებით ინტენსიური გახდა შემდგომ, 1919-1921 წლებში. 1918 წელს როგორც საქართველომ, ისე პოლონეთმა, დამოუკიდებლობა მოიპოვეს. საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო მაშინდელი მსოფლიოს უმრავლესმა სახელმწიფომ. მისი დამოუკიდებლობა დე ფაქტო სცნო აგრეთვე პოლონეთმაც და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების

მიზნით 1918 წლის შემოდგომაზე თბილისში გაიხსნა პოლონეთის სახელმწიფოს წარმომადგენლობა კავკასიაში. 1919 წელს თბილისში დაარსდა აგრეთვე პოლონეთ-საქართველოს სამრეწველო-სავაჭრო კავშირი. 1921 წლის იანვარში პოლონეთის მთავრობამ სცნო საქართველოს რესპუბლიკა ასევე დე იურე. სამწუხაროდ, ამ ფაქტიდან მცირე ხნის შემდეგ საქართველოში შემოიჭრა საბჭოთა რუსეთის ჯარი და მალე საქართველოს მთავრობა იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა სამშობლო და ემიგრაციაში წასულიყო. ქართველთა მხრიდან არდავიწყებისა და მადლიერების ღირსია აგრეთვე ის ფაქტი, რომ პოლონეთის მთავრობამ, მისი ხელმძღვანელის, იუზეფ პილსუდსკის სახელით, ქართველ ემიგრანტებს შესთავაზა პოლონეთში დამკვიდრებულიყვნენ და, თუმცა ჩვენი ემიგრაციის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ საფრანგეთში დასახლება არჩია, მათ შენახვაზე ფინანსურ ხარჯებს პოლონეთის მთავრობა ი. პილსუდსკის სიკვდილამდე გამოყოფდა. რაც შეეხება ქართული ემიგრაციის გარკვეულ ნაწილს, განსაკუთრებით კი სამხედროებს, მათ თავიანთ ადგილსამყოფელად იმთავითვე პოლონეთი აირჩიეს, რომელიც მალე მათთვის მეორე სამშობლოდ გადაიქცა. ქართველი ოფიცრობა აქ მსახურობდა კონტრაქტის საფუძველზე. ბევრმა მათგანმა ხელი მიჰყო მეწარმეობას, საექიმო პრაქტიკას, ვაჭრობას, სწავლობდნენ და ასწავლიდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, წერდნენ და გამოსცემდნენ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს, რომლებშიც მოთხრობილი იყო საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ. ბევრი მათგანი პოლონეთში დაქორწინდა და ოჯახი შექმნა. ამავე დროს, არც ერთ ქართველ ემიგრანტს არ დავიწყებია თავისი სამშობლო და ეწეოდა საქართველოს განთავისუფლებისაკენ მიმართულ დიდ პოლიტიკურსა თუ კულტურულ მოღვაწეობას. ამ სახის მუშაობა იყო გაჩაღებული ქართულ თუ პოლონურ-ქართულ ორგანიზაციებსა და საზოგადოებებში, ისეთებში, როგორებიც იყო ქართველთა კომიტეტი პოლონეთში, ქართულ-პოლონური კლუბი, ქართველ სტუდენტთა კავშირი პოლონეთში და ა. შ. ქართველთა ამგვარი მუშაობა მხარდაჭერასა და დახმარებას პოულობდა როგორც პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში, ასევე ფართო საზოგადოებრიობაში. საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი ფართო მსჯელობის საგანი იყო იმ დროინდელ პოლონეთში, მასზე ბევრს საუბრობდნენ და წერდნენ; ქართველები სცემდნენ ჟურნალ-გაზეთებს: “ამირანი”, “სამშობლო”, “საქართველო”. ქართულ თემატიკას ეკავა უმთავრესი ადგილი სერგო ყურულიშვილის რედაქტორობით გამომავალ ჟურნალში “ადმოსავლეთის ხმა”, დიდ ყურადღებას აქცევდნენ საქართველოს განთავისუფლების საკითხს ასევე ჟურნალები “ადმოსავლეთი”, “კავშირი” და სხვა.

საქართველოს განთავისუფლების მიზნით პოლონეთის მთავრობა ახორციელებდა გარკვეულ პოლიტიკურ ღონისძიებებსაც. სხვათა შორის, პოლონეთი დიდხანს იკავებდა თავს სსრკ ცნობისაგან მის მიერ ამიერკავკასიის დაპყრობის საბაბით. 1918 წლის მაისში, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების თარიღის წინა დღეებში პოლონური ლიტერატურის კლასიკოსი სტეფან ჟერომსკი, ხაზს უსვამდა რა ამ ორ ხალხს შორის მსგავსებასა და საუკუნოვან მეგობრობას,

წერდა: “საქართველოს თავისუფლება ყოველი თავისუფალი ერისათვის უმთავრეს მოწოდებად უნდა იქცეს”.

და ბოლოს, როდესაც ვამთავრებთ საუბარს საქართველო-პოლონეთის, ქართველთა და პოლონელთა ძალზე მსგავსი ეთნოფსიქოლოგიის შესახებ, გვსურს ასევე მოვიტანოთ დიდი ნაპოლეონის ზოგიერთი გამონათქვამი პოლონელთა შესახებ, რომელიც ასევე ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი დიდი მსგავსებაა ამ ორი ერის წარმომადგენელთა შორის (ამონაწერები გაკეთებულია ცნობილი პოლონელი ისტორიკოსისა და მწერლის იადვიგა დაცკევიჩის ჩვენს მიერ ქართულად თარგმნილი წიგნიდან “ნაპოლეონის ვაჟიშვილი”, თბ. 2000 წელი): აი, ეს ამონაწერები, რომელში გამოთქმულ შეხედულებებსაც ნაპოლეონი თავის პოლონელ საყვარელს, მისი უკანონო ვაჟის, ალექსანდრეს, დედას, მარია ვალეევსკას უმხელს: “როგორც პოლონელ მაგნატთა, ასევე უბრალო პოლონელთა წეს-ჩვეულებები გავლენას ახდენს ერის ბედზე, - თქვა მან და განაგრძო, - ვეძებდი რა მიზეზს ქაოსისა, რომელიც აზანზარებს თქვენს სამშობლოს და ძირს უთხრის მის ძლიერებას, ამ მიზნით მე გავაღე თქვენი სასახლეების, თქვენი სალონების, კულტურისა თუ გართობის კერათა მოოქროებული კარები, ავწიე თქვენი ბუდუარებისა და ალკოვების ფარდები და იქ ვნახე ყველა ამ ბოროტებათა სათავე. თქვენი ქვეყნის ჩვეულებრივი მოქალაქენი მაგნატთა მსხვერპლნი შექმნილან, რომლებიც ადამიანებს უზომო ექსპლუატაციას უწევენ. თქვენმა მაგნატებმა დაამცირეს იმ მილიონობით ადამიანის მნიშვნელობა, რომლებიც მათ ირგვლივ არიან და რომლებიც, რომ არა ამგვარი გაუსაძლისი მდგომარეობა, იქნებ გაცილებით უკეთ შეასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. მაგნატები, რათა ამ უბრალო ადამიანების გული მოიგონ, წვეულებებში პატიჟობენ მათ და, ხელი რომ შეუშალონ მათი შეგნების გამოღვიძებას, რაც შეიძლება მეტ ღვინოს ასხამენ ყელში. ამავე დროს, მათი მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, არც ფულად დახმარებაზე ამბობენ უარს. ოჯახურმა ინსტიტუტებმა და უაღრესად პირადულმა, კეთილდღეობისაკენ მისწრაფებებმა ჩაახშეს თქვენს გამოჩენილ ადამიანებში ის მოქალაქეობრივი ღირსებები, რომლითაც მათი წინაპრები გამოირჩეოდნენ და რაც უპირველესი ქების ღირსი იყო მათთვის. ერს, რომლის ზნე-ჩვეულებებში უპირველესი ადგილი ჭამა-სმისაკენ მისწრაფებას უჭირავს, ადრე თუ გვიან წარმოსახვის უნარი დაეხშობა ჩაეფლობა რა მუქთახორობის ჭაობში, მისი აღსასრულის საათიც დადგება. ასეთ შემთხვევაში, რათა იგი არ დაიტანჯოს რაიმე აუცილებელი სამუშაოს შესრულების შეგრძნებით, საჭირო ხდება მისი გაბრუნება.

გაოცებული დავრჩი მას შემდეგ, რაც შემოვიარე თქვენი სოფლები, თქვენი ბრწყინვალე ქალაქები, უშველებელი პარკებითა და ულამაზესი სასახლეებით, ვნახე ჩინური პავილიონები თუ რომაული სამლოცველოები, უტურფესი ყვავილები, თქვენი უმდიდრესად გაფორმებული ზეიმები. სამაგიეროდ, დიდად შემაშფოთა ხალხის მასების სილატაკემ, მოქალაქეთა ცხოვრების საერთო დაბალმა დონემ, რომლებიც ჭაობით სავსე ღარიბულ ქოხებში ცხოვრობენ. თქვენი ქვეყნის

მოქალაქეთა უმრავლესობას შეადგენენ ლატაკები, ძონძებში რომ დადიან. მარია, მხოლოდ მთელი ხალხის ერთობლივი ძალისხმევით, იმ ხალხისა, რომლითაც არის დასახლებული ეს უბედური ქვეყანა, შეიძლება გქონდეთ თქვენი სამშობლოს აღმშენებლობის იმედი.

შენ კარგად იცი, მარია, თუ როგორ მიყვარს შენი ხალხი. ჩემი ზრახვები და პოლიტიკური შეხედულებები მიანიშნებენ, რომ შენი სამშობლოს სრული აღორძინება მწადია. ამ მიზნისაკენ მსურს წარვმართო შენი ხალხის ძალისხმევა, დავიცვა მისი პოლიტიკური უფლებები. აუცილებლად გავაკეთებ ყველაფერს, რაც ჩემს ძალებს არ აღემატება, რაც არ დაარღვევს საფრანგეთის წინაშე ჩემს ვალდებულებებს და არ დააზარალებს მის ინტერესებს. სამწუხაროდ, ჩვენს სამშობლოთა ინტერესებს შორის დიდი განსხვავებაა. და რადგან მე საფრანგეთის წინაშე ვარ უპირველესად პასუხისმგებელი, არ შემიძლია დავეთანხმო იმას, რომ ფრანგთა სისხლი დაიღვაროს საფრანგეთისათვის მიუღებელი ინტერესებისათვის. არ შემიძლია შევაიარალო ჩემი ხალხი და თქვენს დასახმარებლად გამოვაგზავნო იმდენჯერ, რამდენჯერაც თქვენ ეს დაგჭირდებათ. ამიტომ, ასეთი, თითქმის უიმედო მდგომარეობის მიუხედავად, მე მაინც შევეცდები, თუნდაც ეს ძალიან ძვირადღირებული დამიჯდეს, გავაწონასწორო პოლიტიკური ძალები, რომლებიც გავლენას ახდენენ შენი სამშობლოს ბედზე და ამრიგად ვაიძულო თქვენი მტრები ხელი აიღონ პოლონეთის ჩაგვრაზე.

მარია, მე მიმაჩნია, რომ პოლონელები ფიცხი და ქარაფშუტა ხალხია. ჩემი აზრით, პოლონელთა ქმედება განპირობებულია მხოლოდ ფანტაზიითა და არა დინჯი გონებით. მთელი მათი ენთუზიაზმი მოულოდნელი აფეთქებებით ხასიათდება, რომლის მოთოკვა და ხანგრძლივი დროით შენარჩუნება მათ ძალებს აღემატება.”

როგორც ვხედავთ, ნაპოლეონის ზემოთგამოთქმული მოსაზრებები პოლონელთა შესახებ, ძალზე კარგად გამოხატავს ასევე ქართველთა ისტორიულ (ალბათ არა მხოლოდ ისტორიულს) ხასიათსაც.

დღეს, როდესაც კვლავ აღსდგა საქართველოს დამოუკიდებლობა, აუცილებელია განახლდეს და კიდევ უფრო განმტკიცდეს ის ძველი მეგობრობა და ურთიერთთანამშრომლობის ტრადიციები, რომელიც საუკუნეთა მანძილზე აერთიანებდა პოლონელ და ქართველ ხალხებს. სასიხარულოა, რომ ამ მიმართულებით როგორც საქართველოში, ასევე პოლონეთში გარკვეული ნაბიჯები იდგმება. კერძოდ, პოლონეთში შეიქმნა და ფუნქციონირება დაიწყო საქართველო-პოლონეთის საზოგადოებამ, რომელიც, როგორც ეს მის წესდებაშია ჩაწერილი, მიზნად ისახავს “განამტკიცოს ქართველ და პოლონელი ხალხების დაახლოების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, რომლის ინიციატორიც იყო II მსოფლიო ომამდე პოლონეთში არსებული “საქართველო-პოლონეთის კლუბი”. საზოგადოებამ დაარსა

ასევე ყოველწლიური ჟურნალი “პრო გეორგია” (“საქართველოს შესახებ”). საზოგადოებასა და ჟურნალის რედაქციას განზრახული აქვს მასში პერიოდულად გამოაქვეყნოს მასალები, რომლებიც ასახავენ პოლონეთ-საქართველოს შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურსა და კულტურულ ურთიერთობებს.

ჟურნალის სარედაქციო კომიტეტში შედიან იეჟი არონიშიძე (პოლონურად იეჟი გიორგის ნიშნავს - ა. გ.), იეჟი ირაკლი გომიაშვილი, რევაზ გლოველი, დავით ყოლბაია (რედაქტორი), გურამ ლორთქიფანიძე, ანჟეი ვოჟნიაკი და მარია ვოჟნიაკოვა. “პრო გეორგიას” პირველ ნომერში გამოქვეყნებულია შემდეგი საყურადღებო მასალები:

შოთა რუსთაველის სადიდებელი - ვიოლეტა კრავჭუკ-ვასილევსკასი;

1918-1921 წლებში პოლონეთ -საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან - მარეკ ვანძიკისა; ტიტუს ფილიპოვიჩის მისია თბილისში (1920 წლის აპრილი) - ვიოცებ მატერსკისა; “ტიგოდნიკ პოლსკი” - უცნობი მასალები თბილისის პოლონური დიასპორის შესახებ - ანჯეი ვოჟნიაკისა.

აქვეა მოცემული ისტორიული დოკუმენტები და მოგონებები; ა. ვოჟნიაკის წერილი - ქართული საზოგადოებები და ორგანიზაციები პოლონეთში 1918-1939 წლებში; პოლონეთ - საქართველოს საზოგადოების წესდება, მოგონებები სერგო ყურულიშვილის, ალექსანდრე გომიაშვილის, ვალერიან თევზაძის შესახებ და ა. შ.

საქართველო-პოლონეთის საზოგადოება განაგრძობს ამ მიმართულებით მუშაობას. მან უკვე ჟურნალის 8 სხვა, არანაკლებ საინტერესო ნომერი გამოსცა. (აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ბატონ დავით ყოლბაიას დიდი როლი ამ მნიშვნელოვან მამულიშვილურ საქმეში. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჟურნალის გამოცემაში იგი მონაწილეობს არა როგორც მხოლოდ მწერალი და მეცნიერი, არამედ ფინანსურადაც ეხმარება მას).

ანალოგიური სამუშაოები მიმდინარეობს საქართველოშიც, კერძოდ, შექმნილია პოლონური კლუბი, მოქმედებს რამდენიმე კათოლიკური ეკლესია (რომლებიც ხალხში პოლონური ეკლესიის სახელით არის ცნობილი), შეიქმნა საქართველო-პოლონეთის საზოგადოება და სხვ. ქართველი მთარგმნელები ბევრ რამეს აკეთებენ იმისათვის, რათა ქართველ მკითხველს გააცნონ და შეაყვარონ პოლონელი ერი, პოლონეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორია და მისი მდიდარი ლიტერატურა.

5. პოლონელები საქართველოში

რამდენადაც შესაძლებელია ცალკეულ ადამიანებს (ქალსა და კაცს) შორის ერთი ნახვით შეყვარებაზე საუბარი, იმდენად შეუძლებელია ასეთი რამ მოხდეს ერებს, ქვეყნებს შორის. ქვეყნებს შორის რომ ურთიერთსიყვარულის,

ურთიერთპატივისცემის გრძნობა დამკვიდრდეს, მათ რომ ურთიერთის მიმართ სიმპათიები გაუჩნდეთ, (ვთქვათ ისეთი, როგორც აქვს პოლონეთს საქართველოს, საქართველოს პოლონეთის მიმართ, საქართველოს უკრაინის, პოლონეთს უნგრეთის, საქართველოს უკრაინის და ა. შ.) მიმართ, ამას ნამდვილად სჭირდება დრო და ასევე გარკვეული ძალისხმევა ამ ქვეყნების მკვიდრთაგან.

ამიტომ, როდესაც ვხედავთ და ვგრძნობთ, თუ რა დიდი სიყვარული და მზრუნველობა გამოხატეს პოლონელებმა 30-40-იანი წლების ქართველი ემიგრანტების მიმართ, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ურთიერთსიყვარული და სიმპათიები უფრო ადრე საქართველოში აღმოცენდა, როდესაც ბედის წაღმა-უკუღმა ტრიალის გამო აქ მრავალი ათასი პოლონელი მოხვდა...სწორედ ამიტომ არის, რომ თუმცა ჩვენი წიგნი ძირითადად ომამდელი ეპოქის ქართულ ემიგრაციას ეხება, ჩვენ ვერ შევძელით გვერდი აგვევლო და მოკლედ მაინც არ დაგვეხასიათებინა პოლონელთა საქართველოში ცხოვრება მანამდე, ვიდრე ქართველები ასე მასობრივად მოხვდებოდნენ პოლონეთში და მას თავის მეორე სამშობლოდ გაიხდიდნენ.

მიუხედავად მნიშვნელოვანი მანძილისა, რომელიც პოლონეთს კავკასიიდან აშორებს, პოლონეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, 1918 წელს, ამ რეგიონს დიდი ყურადღება მიაპყრეს მაშინდელმა პოლიტიკოსებმა, განსაკუთრებით კი იუზეფ პილსუდსკიმ და მისმა თანამოაზრეებმა. ამ საქმეში გარკვეულ როლს თამაშობდა მისი ძველი ნაცნობ-მეგობრობა ქართველებთან, განსაკუთრებით - ქართველ სოციალ-დემოკრატებთან; კავკასიაში, უმთავრესად კი საქართველოში, XIX საუკუნის ბოლოდან არსებობდა პოლონელთა საკმაოდ ფართო დიასპორა (ზოგიერთი ცნობის თანახმად, იგი რამდენიმე ათას ადამიანს ითვლიდა), რომელიც აქტიურად იყო ჩაბმული პოლიტიკურ ბრძოლაში I მსოფლიო ომისა და რევოლუციის წინა პერიოდში. მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ აგრეთვე პოლონური ორგანიზაციებიც, რომელთაც 1917 წლის შუა ხანებიდან თბილისში შექმნეს პოლონეთის საოლქო საბჭო კავკასიაში. როგორც ეს ამ ორგანიზაციის წესდებაში იყო ჩადებული, იგი უნდა გამხდარიყო ამ რეგიონში პოლონეთის პოლიტიკური ინტერესების გამომხატველი.

იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის აქტიური მხარდაჭერით, 1917 წლის მიწურულს, პოლონეთის საოლქო საბჭო შეუდგა სამხედრო დანაყოფების შექმნას კავკასიაში პოლონელთა თვითმოქმედი ბრიგადების სახით. ამ ბრიგადების ფორმირების ცენტრი გახდა საქართველოს დედაქალაქი. ბრიგადები არსებობდნენ 1918 წლამდე, როდესაც გერმანულ სამხედრო ხელმძღვანელობის მოთხოვნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო მათი დაშლის გადაწყვეტილება. პოლონელ სამხედროებს საშუალება მისცეს სამშობლოში დაბრუნებისა და საქართველოს ხელისუფლებამ ამ მიზნით გარკვეული თანხაც გამოყო. 1918 წლის მეორე ნახევარში თბილისში გატარდა სამხედრო ხასიათის მეორე

ლონისძიებაც. კერძოდ, ამ წლის დეკემბრამდე აქ არსებობდა პოლონეთის სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც ატარებდა აგიტაციურ მუშაობას გენერალ ლუციან ჟელიგოვსკის მიერ ფორმირებულ მსროლელთა მე-4 დივიზიისათვის მოხალისეების შეგროვების მიზნით.

აღორძინებულ პოლონეთის სახელმწიფოსა და დამოუკიდებლობა მოპოვებულ საქართველოს შორის არაოფიციალური ურთიერთობების დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1918 წლის მეორე ნახევარი. გამოაცხადა თუ არა საქართველომ დამოუკიდებლობა, 1918 წლის 26 მაისს პოლონეთის მთავრობამ, რომელიც ვარშავაში 1917 წლის შემოდგომიდან არსებობდა, გადაწყვიტა საქართველოს მთავრობასთან მჭიდრო კონტაქტების დამყარება და ამ მიზნით აქ გამოგზავნა თავისი ნდობით აღჭურვილი პირი - ვაცლავ ოსტროვსკი. იგი თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა 1918 წლის აგვისტოდან.

1 ოქტომბრიდან კი ვაცლავ ოსტროვსკიმ უკვე ოფიციალურად დაიწყო თავისი დიპლომატიური მისია თბილისში. აქ შექმნილ პოლონეთის წარმომადგენლობას თავისი ფილიალები ჰქონდა ამიერკავკასიის სხვა რეგიონებშიც, კერძოდ კი გროზნოში, ბათუმსა და ბაქოში.

თავდაპირველად პოლონეთის წარმომადგენლობის უმთავრეს დავალებას შეადგენდა იმ პოლონელთა რეპატრაციის განხორციელება, რომლებიც ამ რეგიონში ჩარჩნენ ომის შემდეგ. მას ხელი უნდა შეეწყო ასევე ადგილობრივ, პოლონელ დემობილიზებულ ჯარისკაცების რეპატრაციისათვის. ოსტროვსკიმ მართლაც შეძლო სამშობლოში დაებრუნებინა მრავალი მათგანი. ამ საქმეში იყენებდნენ ასევე გერმანული მისიის დახმარებასაც, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა პოლონელები დაებრუნებინათ გერმანული გემებით რუმინეთის პორტებამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ ოსტროვსკის საქმიანობა არ შეზღუდულა მხოლოდ სარეპატრაციო მუშაობით. პოლონეთის წარმომადგენლობის უმთავრესი მიზანი იყო მჭიდრო კონტაქტები დაემყარებინა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მთავრობებთან და პოლონეთ-საქართველოს და პოლონეთ-აზერბაიჯანის პოლიტიკური დაახლოებისათვის ნიადაგი მოემზადებინა. ოსტროვსკის ძალისხმევას გაგებით ხვდებოდნენ ამ რესპუბლიკებში, განსაკუთრებით კი საქართველოში. ერთ-ერთ თავის მოხსენებაში ოსტროვსკი წერდა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მთავრობები “... მოწადინებული არიან დაამყარონ მჭიდრო ურთიერთობები პოლონეთთან; ერთის მხრივ პოლონეთ-რუმინეთის კავშირს და მეორეს მხრივ, საქართველო-აზერბაიჯანის კავშირს ზემოქმედება უნდა მოეხდინა რუსეთზე. საქართველოს უკვე დიდი ხანია, რაც გადაწყვეტილი აქვს თავისი წარმომადგენლები გაგზავნოს ვარშავაში, მაგრამ ამ საქმეს აყოვნებს ტაქტიკური მოსაზრებების გამო... ბოლო შეხვედრისას საგარეო საქმეთა მინისტრ ე. გეგეჭკორთან და მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიასთან უკვე ვიგრძენი მათი აშკარა სურვილი ჩვენს

ქვეყანასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებისა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის სახელმწიფოები კვლავაც უდიდესი სიმპათიებით ეპყრობიან პოლონეთს”.

1919 წლის დეკემბრის ბოლოს ოსტროვსკი ბაქოში ამ თემაზე ესაუბრა აზერბაიჯანის მთავრობის წარმომადგენლებს. გადაწყვეტილ იქნა, რომ “ურთიერთობა აზერბაიჯანსა და პოლონეთს შორის უნდა გამხდარიყო მტკიცე და მჭიდრო. დადგა საკითხი იმის თაობაზე, რომ შეიკრას რუსეთის მოსაზღვრე ყველა სახელმწიფოთა კავშირი, რათა შექმნილიყო ერთგვარი ურთიერთდახმარების ბლოკი, იმ შემთხვევისათვის, თუ რომელიმე მათგანის უშიშროებას საფრთხე დაემუქრებოდა... აზერბაიჯანის მთავრობას განზრახული აქვს უახლოეს ხანებში პოლონეთში გაგზავნოს დელეგაცია, რათა შევიდეს ჩვენს ქვეყანასთან უშუალო კონტაქტში და მიღებული იქნეს ერთობლივი კონკრეტული გადაწყვეტილებები”.

საქართველოს დედაქალაქში დაბრუნებისთანავე პოლონეთის წარმომადგენლობის შეფმა შეხვედრა გამართა საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი გეგეჭკორთან, რომელმაც განაცხადა, რომ “უაღრესად საჭიროა, თითქმის აუცილებელიც, რომ ამავე მიზნით, აზერბაიჯანის წარმომადგენლებთან ერთად, პოლონეთში გაგზავნილი იქნას დელეგაცია ასევე საქართველოს მთავრობისა”.

პოლონეთის პოლიტიკურ დაახლოებას ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან, ოსტროვსკის აზრით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე სამრეწველო-სავაჭრო ურთიერთკავშირის განვითარებისთვის. თავის მოხსენებაში ამიერკავკასიის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, ელჩი ყურადღებას მიაპყრობდა იმ ურთიერთსასარგებლო პერსპექტივებს, რომელიც შეიძლებოდა მოეტანა ამ ქვეყნებთან პოლონეთის ნორმალური სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას. სამხრეთ კავკასია ფლობდა ძირითადად მინერალურ ნედლეულს- მარგანეცს, ნავთობს, ქვანახშირს, სპილენძს, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, თავად კი მოითხოვდა მზა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. ოღონდ ვაჭრობა უნდა მომხდარიყო საკმაოდ სპეციფიურ საფუძვლებზე. საქართველოსთან თუ აზერბაიჯანთან ამ პერიოდში ვაჭრობა უნდა მომხდარიყო მხოლოდ ბარტერული გარიგების გზით, ანდა უცხოური ვალუტის - სტერლინგის, ფრანკისა და ლირის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ვაჭრობას მოისურვებდი, თავდაპირველად საქონელი უნდა ჩაგეტანა ადგილზე და მხოლოდ შემდეგ უნდა გეზრუნა ნედლეულის გატანაზე. ვინაიდან არსებობდა სიძნელები ადგილობრივ ბანკში სესხის აღებისათვის, ოსტროვსკი წინადადებას აყენებდა თბილისში გახსნილიყო პოლონეთის ბანკი, რომელიც დააფინანსებდა მნიშვნელოვან სავაჭრო გარიგებებსა და კომერსანტებს გარანტიებს მისცემდა. ოსტროვსკი თავის ყურადღებას ამახვილებდა აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ პოლონეთიცა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებიც დაახლოებით თანაბარ ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ანუ ისინი განიცდიდნენ მყარი ვალუტის ნაკლებობას, ხოლო მათ ეროვნულ ფულს ჰქონდა ძალზე დაბალი მსყიდველობითუნარიანობა. ამრიგად, ამიერკავკასიას, რომელიც

ერთვებოდა პოლონეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში, არ უნდა დამუქრებოდა ექსპლუატაცია ამ უკანასკნელის მხრიდან, რასაც აუცილებლად ექნებოდა ადგილი იმ შემთხვევაში, თუ იგი სავაჭრო ურთიერთობებს დაიჭერდა იმ ქვეყანასთან, რომელსაც ძლიერი ვალუტა გააჩნდა.

ოსტროვსკის მცდელობამ შედეგი გამოიღო და პოლონეთის მთავრობამ ამიერკავკასიაში სპეციალური დიპლომატიური მისია გაგზავნა. ერთ-ერთი ამოცანა, რომელიც მას უნდა შეესრულებინა, ის იყო, “რომ შეემუშავებინა აზრი იმის შესახებ, თუ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი რამდენად სიცოცხლისუნარიანი წარმონაქმნები იყვნენ, რომ პოლონეთს ეცნო ისინი, როგორც სახელმწიფოები. ეს მისია ამიერკავკასიაში უნდა გაჩერებულიყო ნახევარი წლით. მას სრულუფლებიანი მინისტრის რანგში სათავეში უნდა ჩასდგომოდა ტიტუს ფილიპოვიჩი, საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე”.

ფილიპოვიჩი ჯერ კიდევ 1918 წლამდე მიეკუთვნებოდა იუზეფ პილსუდსკის უახლოეს თანამებრძოლთა წრეს, მან პოლონეთის სოციალისტურ პარტიაში თანამშრომლობა 1896 წლიდან დაიწყო.

ფილიპოვიჩის მისიის საქართველოში ჩამოსვლამდე ამ ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმასთან იყო დაკავშირებული, რომ ანტანტის უმაღლესმა საბჭომ 1920 წლის იანვარში დე ფაქტო სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და მის ამ გადაწყვეტილებას მყისვე დაუჭირა მხარი პოლონეთმა. ამიტომ ფილიპოვიჩმა მიიღო ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც, ნაცვლად იმისა, რომ აზრი გამოემუშავებინათ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის სიმტკიცის შესახებ, მათ უნდა ეცნოთ პოლონეთის მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობა. ზუსტად იმ მომენტში, როდესაც ამ დიპლომატიური მისიის წევრები თურქეთის დედაქალაქში იმყოფებოდნენ, პოლონეთის მთავრობის გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისა, სპეციალური ტელეგრამით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სტანისლავ პატეკმა აცნობა. ტელეგრამაში, რომელიც მიღებული იყო 1920 წლის 24 მარტს, შემდეგი ეწერა: ‘მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ პოლონეთის მთავრობა მზად არის ცნოს საქართველოს მთავრობა, როგორც დამოუკიდებელი დე ფაქტო გაცილებით ადრე, ვიდრე სამშვიდობო კონფერენცია აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას. პოლონეთის მთავრობა გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ ორივე სახელმწიფოს საერთო ინტერესები, ისევე როგორც ურთიერთსიმპათიები, ხელს შეუწყობს უახლოეს მომავალში საქართველოსა და პოლონეთს შორის მეგობრული კავშირების განმტკიცებას. ამ მიზნით პოლონეთის მთავრობა მოხარული იქნება მიიღოს ვარშავაში საქართველოს წარმომადგენელი. თავისი სიმპათიების დასადასტურებლად პოლონეთის მთავრობამ დანიშნა სპეციალური დელეგაცია, რომელსაც ბატონი მინისტრი ტიტუს ფილიპოვიჩი ხელმძღვანელობს. დელეგაცია

უმუშალო კავშირების დასამყარებლად უახლოეს ხანებში გესტუმრებათ საქართველოში”.

საქართველოს მხარემ ჯერ კიდევ ფილიპოვიჩის თბილისში ჩამოსვლამდე 1920 წლის მარტის ბოლოს დანიშნა თავისი დიპლომატიური დელეგაცია სიდამონ-ერისთავის ხელმძღვანელობით. სხვა სახელმწიფოთა დელეგაციებისაგან განსხვავებით, რომელთა მიზანიც იყო ეკონომიკური სარგებლიანობის ნახვა საქართველოში, პოლონეთის მისიას მხოლოდ პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. ი. პილსუდსკის, გზავნიდა რა ამ მისიას კიევიში გალაშქრების წინა პერიოდში, ეწადა ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან მჭიდრო პოლიტიკურ-სამხედრო თანამშრომლობა დაემყარებინა. იგი მათთან ანტისაბჭოური კავშირის შეკვრასაც კი აპირებდა. პოლონეთ-საქართველოს მოლაპარაკების დროს, რომელიც მიმდინარეობდა 1920 წლის აპრილის დასაწყისიდან, დამუშავებული და შეთანხმებული იქნა ამ ქვეყნებს შორის სამხედრო კავშირის პროექტი. სხვათა შორის, ამ მოლაპარაკების დროს შეთანხმებული იქნა აგრეთვე ოპერატიული ურთიერთმოქმედების გეგმაც და პოლონეთის მხრიდან დახმარების პრინციპებიც. ეს უნდა გამოხატულიყო საქართველოსათვის იარაღისა და ტყვია-წამლის მიწოდებაში. თავის მხრივ, საქართველოს ამ აქციაში უნდა ჩაერთო ჩრდილოეთ კავკასიის მთიელი ხალხები.

1920 წლის 10 აპრილს თბილისში ჩატარდა საერთო-კავკასიური კონფერენცია. მასში მონაწილეობდა აგრეთვე აზერბაიჯანის დელეგაციაც. სხდომების დამთავრების შემდეგ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოლაპარაკებების გასაგრძელებლად ბაქოში დაპატიჟა ფილიპოვიჩი. ამ მოლაპარაკებების თემა პოლიტიკური და სამხედრო პრობლემები უნდა ყოფილიყო. საქმე ეხებოდა აზერბაიჯანთანაც ისეთივე კავშირის შეკვრას, როგორც ამას აპირებდნენ საქართველოსთან. ფილიპოვიჩმა გადაწყვიტა ბაქოში 24 აპრილს გამგზავრებულიყო, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ სიტუაცია დიამეტრულად შეიცვალა. 27 აპრილის ღამეს, ბაქოში ბოლშევიკური გადატრიალება განხორციელდა და ქალაქში წითელი არმიის ნაწილები შეიჭრნენ. 28 აპრილს კი პოლონეთის დიპლომატიური მისიის წევრები დააპატიმრეს. რამდენიმე დღის შემდეგ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ისინი 11 არმიასთან არსებულ ჩეკას გადასცა. მათთან ერთად დააპატიმრეს აგრეთვე საქართველოსა და სომხეთის დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები და ასევე საფრანგეთისა და ინგლისის კონსულები.

საქართველოს და სომხეთის დიპლომატიურ მისიათა წევრები სრული შემადგენლობით გაანთავისუფლეს 1920 წლის მაისსა და ივნისში; ივლისში გაანთავისუფლეს აგრეთვე საფრანგეთის კონსული, ხოლო ინგლისის კონსული გაანთავისუფლეს ოქტომბერში. ჩეკას პოლონეთის განსაკუთრებული მისიის წევრები 6 აგვისტომდე ჰყავდა დაპატიმრებული ბაქოში, ხოლო შემდეგ ისინი მოსკოვში გადაგზავნეს. ფილიპოვიჩი და მისი ორი უახლოესი თანამშრომელი დამწყვდეული

ჰყავდათ ჩეკას ცენტრალურ ციხეში. 1920 წლის დეკემბერში ფილიპოვიჩი პოლონეთში გაგზავნილი იქნას დელეგაცია ასევე საქართველოს მთავრობისა”.

პოლონეთის პოლიტიკურ დაახლოებას ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან, ოსტროვსკის აზრით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე სამრეწველო-სავაჭრო ურთიერთკავშირის განვითარებისთვის. თავის მოხსენებაში ამიერკავკასიის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, ელჩი ყურადღებას მიაპყრობდა იმ ურთიერთსასარგებლო პერსპექტივებს, რომელიც შეიძლებოდა მოეტანა ამ ქვეყნებთან პოლონეთის ნორმალური სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას. სამხრეთ კავკასია ფლობდა ძირითადად მინერალურ ნედლეულს- მარგანეცს, ნავთობს, ქვანახშირს, სპილენძს, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, თავად კი მოითხოვდა მზა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. ოღონდ ვაჭრობა უნდა მომხდარიყო საკმაოდ სპეციფიურ საფუძვლებზე. საქართველოსთან თუ აზერბაიჯანთან ამ პერიოდში ვაჭრობა უნდა მომხდარიყო მხოლოდ ბარტერული გარიგების გზით, ანდა უცხოური ვალუტის - სტერლინგის, ფრანკისა და ლირის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ვაჭრობას მოისურვებდი, თავდაპირველად საქონელი უნდა ჩაგეტანა ადგილზე და მხოლოდ შემდეგ უნდა გეზრუნა ნედლეულის გატანაზე. ვინაიდან არსებობდა სიმნელეები ადგილობრივ ბანკში სესხის აღებისათვის, ოსტროვსკი წინადადებას აყენებდა თბილისში გახსნილიყო პოლონეთის ბანკი, რომელიც დააფინანსებდა მნიშვნელოვან სავაჭრო გარიგებებსა და კომერსანტებს გარანტიებს მისცემდა. ოსტროვსკი თავის ყურადღებას ამახვილებდა აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ პოლონეთიცა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებიც დაახლოებით თანაბარ ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ანუ ისინი განიცდიდნენ მყარი ვალუტის ნაკლებობას, ხოლო მათ ეროვნულ ფულს ჰქონდა ძალზე დაბალი მსყიდველობითუნარიანობა. ამრიგად, ამიერკავკასიას, რომელიც ერთვებოდა პოლონეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში, არ უნდა დამუქრებოდა ექსპლუატაცია ამ უკანასკნელის მხრიდან, რასაც აუცილებლად ექნებოდა ადგილი იმ შემთხვევაში, თუ იგი სავაჭრო ურთიერთობებს დაიჭერდა იმ ქვეყანასთან, რომელსაც ძლიერი ვალუტა გააჩნდა.

ოსტროვსკის მცდელობამ შედეგი გამოიღო და პოლონეთის მთავრობამ ამიერკავკასიაში სპეციალური დიპლომატიური მისია გაგზავნა. ერთ-ერთი ამოცანა, რომელიც მას უნდა შეესრულებინა, ის იყო, “რომ შეემუშავებინა აზრი იმის შესახებ, თუ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი რამდენად სიცოცხლისუნარიანი წარმონაქმნები იყვნენ, რომ პოლონეთს ეცნო ისინი, როგორც სახელმწიფოები. ეს მისია ამიერკავკასიაში უნდა გაჩერებულიყო ნახევარი წლით. მას სრულუფლებიანი მინისტრის რანგში სათავეში უნდა ჩასდგომოდა ტიტუს ფილიპოვიჩი, საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე”.

ფილიპოვიჩი ჯერ კიდევ 1918 წლამდე მიეკუთვნებოდა იუზეფ პილსუდსკის უახლოეს თანამებრძოლთა წრეს, მან პოლონეთის სოციალისტურ პარტიაში თანამშრომლობა 1896 წლიდან დაიწყო.

ფილიპოვიჩის მისიის საქართველოში ჩამოსვლამდე ამ ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმასთან იყო დაკავშირებული, რომ ანტანტის უმაღლესმა საბჭომ 1920 წლის იანვარში დე ფაქტო სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და მის ამ გადაწყვეტილებას მყისვე დაუჭირა მხარი პოლონეთმა. ამიტომ ფილიპოვიჩმა მიიღო ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც, ნაცვლად იმისა, რომ აზრი გამოემუშავებინათ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის სიმტკიცის შესახებ, მათ უნდა ეცნოთ პოლონეთის მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობა. ზუსტად იმ მომენტში, როდესაც ამ დიპლომატიური მისიის წევრები თურქეთის დედაქალაქში იმყოფებოდნენ, პოლონეთის მთავრობის გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისა, სპეციალური ტელეგრამით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სტანისლავ პატეკმა აცნობა. ტელეგრამაში, რომელიც მიღებული იყო 1920 წლის 24 მარტს, შემდეგი ეწერა: ‘მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ პოლონეთის მთავრობა მზად არის ცნოს საქართველოს მთავრობა, როგორც დამოუკიდებელი დე ფაქტო გაცილებით ადრე, ვიდრე სამშვიდობო კონფერენცია აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას. პოლონეთის მთავრობა გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ ორივე სახელმწიფოს საერთო ინტერესები, ისევე როგორც ურთიერთსიმპათიები, ხელს შეუწყობს უახლოეს მომავალში საქართველოსა და პოლონეთს შორის მეგობრული კავშირების განმტკიცებას. ამ მიზნით პოლონეთის მთავრობა მოხარული იქნება მიიღოს ვარშავაში საქართველოს წარმომადგენელი. თავისი სიმპათიების დასადასტურებლად პოლონეთის მთავრობამ დანიშნა სპეციალური დელეგაცია, რომელსაც ბატონი მინისტრი ტიტუს ფილიპოვიჩი ხელმძღვანელობს. დელეგაცია უშუალო კავშირების დასამყარებლად უახლოეს ხანებში გესტუმრებათ საქართველოში’.

საქართველოს მხარემ ჯერ კიდევ ფილიპოვიჩის თბილისში ჩამოსვლამდე 1920 წლის მარტის ბოლოს დანიშნა თავისი დიპლომატიური დელეგაცია სიდამონ-ერისთავის ხელმძღვანელობით. სხვა სახელმწიფოთა დელეგაციებისაგან განსხვავებით, რომელთა მიზანიც იყო ეკონომიკური სარგებლიანობის ნახვა საქართველოში, პოლონეთის მისიას მხოლოდ პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. ი. პილსუდსკის, გზავნიდა რა ამ მისიას კიევში გალაშქრების წინა პერიოდში, ეწადა ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან მჭიდრო პოლიტიკურ-სამხედრო თანამშრომლობა დაემყარებინა. იგი მათთან ანტისაბჭოური კავშირის შეკვრასაც კი აპირებდა. პოლონეთ-საქართველოს მოლაპარაკების დროს, რომელიც მიმდინარეობდა 1920 წლის აპრილის დასაწყისიდან, დამუშავებული და შეთანხმებული იქნა ამ ქვეყნებს შორის სამხედრო კავშირის პროექტი. სხვათა შორის, ამ მოლაპარაკების დროს

შეთანხმებული იქნა აგრეთვე ოპერატიული ურთიერთმოქმედების გეგმაც და პოლონეთის მხრიდან დახმარების პრინციპებიც. ეს უნდა გამოხატულიყო საქართველოსათვის იარაღისა და ტყვია-წამლის მიწოდებაში. თავის მხრივ, საქართველოს ამ აქციაში უნდა ჩაერთო ჩრდილოეთ კავკასიის მთიელი ხალხები.

1920 წლის 10 აპრილს თბილისში ჩატარდა საერთო-კავკასიური კონფერენცია. მასში მონაწილეობდა აგრეთვე აზერბაიჯანის დელეგაციაც. სხდომების დამთავრების შემდეგ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოლაპარაკებების გასაგრძელებლად ბაქოში დაპატიჟა ფილიპოვიჩი. ამ მოლაპარაკებების თემა პოლიტიკური და სამხედრო პრობლემები უნდა ყოფილიყო. საქმე ეხებოდა აზერბაიჯანთანაც ისეთივე კავშირის შეკვრას, როგორც ამას აპირებდნენ საქართველოსთან. ფილიპოვიჩმა გადაწყვიტა ბაქოში 24 აპრილს გამგზავრებულიყო, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ სიტუაცია დიამეტრულად შეიცვალა. 27 აპრილის ღამეს, ბაქოში ბოლშევიკური გადატრიალება განხორციელდა და ქალაქში წითელი არმიის ნაწილები შეიჭრნენ. 28 აპრილს კი პოლონეთის დიპლომატიური მისიის წევრები დააპატიმრეს. რამდენიმე დღის შემდეგ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ისინი 11 არმიასთან არსებულ ჩეკას გადასცა. მათთან ერთად დააპატიმრეს აგრეთვე საქართველოსა და სომხეთის დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები და ასევე საფრანგეთისა და ინგლისის კონსულები.

საქართველოს და სომხეთის დიპლომატიურ მისიათა წევრები სრული შემადგენლობით გაანთავისუფლეს 1920 წლის მაისსა და ივნისში; ივლისში გაანთავისუფლეს აგრეთვე საფრანგეთის კონსული, ხოლო ინგლისის კონსული გაანთავისუფლეს ოქტომბერში. ჩეკას პოლონეთის განსაკუთრებული მისიის წევრები 6 აგვისტომდე ჰყავდა დაპატიმრებული ბაქოში, ხოლო შემდეგ ისინი მოსკოვში გადაგზავნეს. ფილიპოვიჩი და მისი ორი უახლოესი თანამშრომელი დამწყვდეული ჰყავდათ ჩეკას ცენტრალურ ციხეში. 1920 წლის დეკემბერში ფილიპოვიჩი გაანთავისუფლეს და იგი რიგაში გაემგზავრა. დელეგაციის დანარჩენი წევრები კი კვლავ საპატიმროში დატოვეს.

დელეგაციის ზოგიერთი წევრი, რომლებიც ბაქოში არ გამგზავრებულან, საქართველოს დედაქალაქში რჩებოდნენ და ასე შეთხელებული შემადგენლობით აგრძელებდნენ თავიანთ მისიას. მათი იმჟამინდელი საქმიანობა ახლა ალბათ მხოლოდ რეპატრიაციის სფეროთი შემოისაზღვრებოდა. ამ მისიის დარჩენილი წევრები ფინანსური სახსრების გამოლევის გამო და აგრეთვე იმის გამო, რომ უკვე გასული იყო მათი საქართველოში ყოფნის დრო, თბილისიდან გაემგზავრნენ და ბათუმის გავლით პოლონეთში დაბრუნდნენ.

ფილიპოვიჩისა და მისი დელეგაციის დანარჩენი წევრების დაპატიმრება გახდა იმის მიზეზი, რომ პოლონეთის მცდელობა ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან პოლიტიკური და სამხედრო კავშირების შეკვრისა მარცხით დამთავრდა. თუმცა ეს

სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ მათთან, და განსაკუთრებით საქართველოსთან, პოლონეთს ყოველგვარი კავშირები გაეწყვიტა. 1921 წლის 29 იანვარს, მამასადამე სამი დღის შემდეგ ანტანტის მიერ საქართველოს დე იურე ცნობისა, პოლონეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისში წითელი არმიის ნაწილები შემოვიდნენ, პოლონეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური და სამხედრო კავშირების განმტკიცების მცდელობები არ შენელებულა. პოლონეთმა რიგის ტრაქტატით, რომელიც რუსეთთან დაიდო, არ სცნო ბოლშევიკური გადატრიალება საქართველოში და კავშირი დაამყარა მის ემიგრაციულ მთავრობასთან. უფრო მეტიც: 1921 წლის შემოდგომაზე პოლონეთის სამხედრო ატაშემ კონსტანტინოპოლში პოლკოვნიკმა ბობიციმ კავშირი დაამყარა ქართველებთან. მან საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ნ. რამიშვილთან და საქართველოს გენერალური შტაბის უფროს გენერალ ა. ზაქარიასთან მიაღწია შეთანხმებას პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ ქართველი ოფიცრები კონტრაქტის საფუძველზე მიღებული იქნებოდნენ პოლონეთის არმიაში. 1922 წლის მარტში საქართველოს ემიგრაციული მთავრობის ერთ-ერთი წარმომადგენელი შეეცადა დაეინტერესებინა პოლონეთის გენერალური შტაბის II განყოფილება კავკასიაში ანტისაბჭოთა აჯანყების პროექტით და პოლონეთის მიერ ამ საქმეში დახმარების აღმოჩენის იდეით. ეს უნდა გამოხატულიყო ამ ქვეყნის მიერ საქართველოსათვის იარაღისა და ტყვია-წამლის მიწოდებაში. ამ გეგმის მიხედვით იარაღი უნდა მიტანილიყო რუმინეთის ერთ-ერთ პორტში და იქიდან ქართველები ამ ტვირთს გადაიტანდნენ ფოთში ან ბათუმში. თუმცა პოლონეთის შტაბის მაღალი რანგის ოფიცრებს ეეჭვებოდათ ამგვარი წამოწყების წარმატება, მაგრამ მათ მაინც ყოველ შემთხვევაში დაავალეს პოლონეთის საელჩოს ბუქარესტში, რომ მათ კარგათ შეესწავლათ პოლონეთიდან რუმინეთში იარაღის ჩატანის პირობები და ასევე ამ ქვეყნის მთავრობის დამოკიდებულება ამ ღონისძიებისადმი.

ვოისკო პოლსკოეს გენერალური შტაბის II განყოფილება დიდ წინააღმდეგობას უწევდა სსრკ-ს, როგორც მოკავშირე რესპუბლიკების ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. ეს საქმე განსაკუთრებით აქტუალური გახდა 1923 წელს, გაზაფხულზე, როდესაც 23 თებერვალს პოლონეთს გადაეცა ოფიციალური ნოტა სსრკ შექმნის შესახებ. პოლონეთის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მარიან სეიდამ მოამზადა და 8 სექტემბერს თავის მთავრობას წარუდგინა წინადადება სსრკ-ს ცნობის შესახებ. II განყოფილების პოზიცია წარმოჩენილი იყო 1923 წლის 27 სექტემბრის დოკუმენტში. მასში სხვათაშორის ეწერა, რომ სსრკ-ს ცნობა და შედეგად რიგის ტრაქტატის საქართველოზეც გავრცელება, რადიკალურად ცვლის ძალთა თანაფარდობას და ასევე იმ ურთიერთობებს, რომელიც ჩამოყალიბდა პოლონეთსა და კავკასიის ქვეყნებს შორის. ამ დოკუმენტში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ ამგვარი ცვლილებები, განსაკუთრებით საქართველოსთან დაკავშირებით, პოლონეთისათვის სასურველი არ არის.

სამწუხაროდ, მიუხედავად ამისა, პოლონეთი იძულებული გახდა ეცნო საბჭოთა კავშირი და საქართველოს შესვლაც მის შემადგენლობაში 1923 წლის 13 დეკემბერს. ამ აქტმა პოლონეთის საზოგადოებაში და ამ ქვეყნის პარლამენტში ცხარე პროტესტი გამოიწვია, მაგრამ ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

6. ქართველები პოლონეთში

შეიძლება თამამად ითქვას, რომ სპარსეთის, თურქეთის, გერმანიის, რუსეთის (მოსკოვი, პეტერბურგი) და საფრანგეთის გარდა, არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა ისეთი სერიოზული, მრავალრიცხოვანი და გავლენიანი ქართული ემიგრაცია, როგორც პოლონეთში იყო.

და თუ, მაგალითად, რუსეთის (იხ. წიგნები “ქართველები მოსკოვში” “ქართველები პეტერბურგში” და სხვ.), სპარსეთის (“ფერეიდანელი ქართველები”) და საფრანგეთის ქართული ემიგრაციის მოღვაწეობა მეტ-ნაკლებად შესწავლილი და ქართული საზოგადოებისთვის ცნობილია, წინამდებარე წიგნი, რომელიც პოლონეთის ქართული ემიგრაციის მოღვაწეობას ეხება, საზოგადოებისათვის მისი გაცნობის ერთ-ერთ პირველ მოკრძალებულ ცდას წარმოადგენს. იგი ძირითადად მოიცავს ჩვენს საკუთარ გამოკვლევებს პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე, ასევე ეყრდნობა ვარშავაში დაარსებული საქართველო-პოლონეთის საზოგადოების ჟურნალ “პრო გეორგია”-ში დაბეჭდილ წერილების ჩვენეულ თარგმანებს, რომლებიც სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა საქართველოში გამომავალ როგორც ქართულ, ისე რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. რაც შეეხება ნარკვევებს: ალექსანდრე გომიაშვილი: “საქართველოს სახელმწიფოს ამოცანები საერთაშორისო სამართლის შუქზე”, ვარშავა, 1926 წელი და სერგო ყურულიშვილის “საქართველო ბოლშევიკთა უღელქვეშ”, ვარშავა, 1922 წელი, ჩვენ ისინი ვარშავის უნივერსიტეტის არქივში მოვიძიეთ, ვთარგმნეთ და გაზეთ “საქართველოში” ვბეჭდავდით 1998 წელს.

1921 წლამდე პოლონეთის ქართული ემიგრაცია, როგორც ასეთი, თითქმის არ არსებობდა. უფრო სწორად, იგი რამდენიმე კაცს ითვლიდა. კერძოდ, ესენი იყვნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი პოლონეთში, თავადი გიორგი სიდამონ-ერისთავი და მისი რამდენიმე მხლებელი, ანუ ის ადამიანები, რომლებიც შემდგომში უდიდეს წვლილს შეიტანენ ვარშავის ქართული კოლონიის განვითარების საქმეში. მათგან კი განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ალექსანდრე გომიაშვილი და სერგო ყურულიშვილი.

ამ რამდენიმე ადამიანმა ვარშავაში ჩამოაყალიბა ქართველთა კომიტეტი, რომელსაც ერისთავი ჩაუდგა სათავეში. კომიტეტი არსებობდა 1921 წლამდე, ანუ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვამდე და თავად სიდამონ-ერისთავის მიერ ვარშავის დატოვებამდე.

პოლონეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1920 წლის ოქტომბერში) ვარშავაში მცხოვრებმა და მოსწავლე ქართველებმა ჩამოაყალიბეს საქართველო-პოლონეთის კლუბი, რომლის ხელმძღვანელიც იყო სერგო ყურულიშვილი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ამ ფუნქციას ასრულებდნენ იოსებ სალაყაია, ალექსანდრე გოძიაშვილი და კონსტანტინე იმნაძე. აღნიშნული ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენდა საქართველოსა და პოლონეთის შორის ინტენსიური ეკონომიკური და კულტურულ-საზოგადოებრივი ურთიერთობების დამყარება. კლუბი პოლონეთის საზოგადოებისათვის საქართველოს გაცნობის მიზნით აწყობდა ლექცია-სემინარებს, სადღესასწაულო საღამოებს, ბეჭდავდა ჟურნალებს, ბუკლეტებს და ა.შ. იგი მატერიალურ დახმარებას უწევდა ქართველ ემიგრანტებს და მათ ოჯახებს, კერძოდ, მან გამოსცა ჟურნალები “პრო გეორგია”, “პრო პატრია”, შოთა რუსთაველის 750 წლისთავთან დაკავშირებით გამოუშვა ბროშურა “შოთა რუსთაველი” (ვარშავა, 1938 წელი). მანვე გამოსცა ფრანგულიდან მარიამ ცოტაძის მიერ თარგმნილი პარიზის ქართული ემიგრაციის შრომების კრებული სათაურით “საქართველო”. ამ წიგნის დაბეჭდვის მიზანს, როგორც ეს მის შესავალში წერია, წარმოადგენდა საქართველოს ადგილის და როლის წარმოჩენა ახლო აღმოსავლეთში და ასევე საქართველოს ისტორიისა და მის წინაშე მდგარი პრობლემების მკითხველისათვის გაცნობა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პირველი პერიოდი პოლონეთში დარჩენილი ქართველებისათვის უაღრესად მძიმე იყო. მათ ყოველ წამს ელოდათ რეპრესიები. ამისათვის საკმარისი იყო თუნდაც უბრალო ნათესაური კავშირი ქართველ საკონტრაქტო ოფიცრებთან. ზოგიერთი მათგანი ათეული წლობით იმალებოდა ყალბი პირადობის დამადასტურებელი საბუთებით.

სიტუაცია შეიცვალა 1956 წლის მოსკოვის მოვლენების შემდეგ (ხრუმჩოვის მიერ სტალინის პოლიტიკის მკაცრი კრიტიკის დაწყება). პოლონეთში მცხოვრებმა ქართველებმა შედარებით ნორმალური ცხოვრება დაიწყეს. დროდადრო საქართველოსთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან (ძირითადად, კულტურულ) მოვლენებსაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, 1959 წლის ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისში ვარშავაში ჩატარდა საქართველოს კულტურის დღეები, 1960 წელს მოეწყო იგორ სიკირიკის მიერ თარგმნილი შოთა რუსთაველის “ვეფხვისტყაოსანის” პრეზენტაცია, ხოლო 1966 წელს შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები.

სამოციან და სამოცდაათიან წლებში ვარშავის, ლოდისა და ვროცლავის უნივერსიტეტებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად მრავალი ქართველი პროფესორ-მასწავლებელი იმყოფებოდა.

80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში პოლიტიკური კლიმატის ცვლილებებმა მნიშვნელოვანი ბიძგი მისცეს პოლონეთში მცხოვრები ქართველების გააქტიურებას. ლოდის ქართველთა თაოსნობით 1991 წლის 30 სექტემბერს შეიქმნა საქართველო – პოლონეთის საზოგადოება, რომელმაც თავს იდო პოლონეთში მეორე მსოფლიო ომამდე არსებული ქართველ-პოლონელთა კლუბის ტრადიციების გაგრძელება. სახელდობრ ეს არის მითითებული ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტად მის წესდებაში: “ისტორიული და კულტურული კავშირების განახლების გზით პოლონელ და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის აღდგენა”. აღნიშნული საზოგადოება აწყობს კულტურულ ღონისძიებებს, საზეიმო საღამოებს, შეძლებისდაგვარად მატერიალურად ეხმარება მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩენილ საქართველოს მოსახლეობას. მისივე მხარდაჭერითა და დახმარებით პოლონეთში ყოველწლიურად იმართება მშვიდობის დამყარებისა და განმტკიცებისაკენ მიმართული მოძრაობა “თეთრი მანდილის” დღეები (მოძრაობის ინიციატორი და ხელმძღვანელი, ცნობილი ქართველი რეჟისორი და მსახიობი ქეთი დოლიძე). საქართველო-პოლონეთის საზოგადოებას შექმნის დღიდან სათავეში ედგა 1998 წლის სექტემბერში გარდაცვლილი იეჟი არონიშიძე, ვარშავის დაცვის გმირის მაიორ არტემ არონიშიძის ვაჟიშვილი. სწორედ ეს ორგანიზაცია უშვებს 1991 წლიდან ყოველწლიურ ჟურნალ “პრო გეორგია”-ს. ჟურნალის რედაქტორები იყვნენ დავით ყოლბაია და ანჯეი ვოზნიაკი. ამჟამად მისი რედაქტორია ისტორიკოსი, პროფესორი დავით ყოლბაია.

1993 წელს ვარშავაში დაფუძნდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კლუბი. თუმცა ამ კლუბმა თავისი საქმიანობა ფართოდ ვერ გაშალა და მან ჟურნალი ”ჰეროდის” (“მაცნე”, რედაქტორი ანდრია კახიანი) მხოლოდ ერთი ნომრის გამოშვება შეძლო, რომელიც საქართველოს საგარეო და საშინაო სიტუაციას ეხება.

1995 წლის დეკემბერში საქართველო-პოლონეთის საზოგადოების ვარშავის ჯგუფმა დააფუძნა „ქართველთა კლუბი - 1920“. კლუბის მიზანია გააგრძელოს ის ტრადიციები, რომელიც გააჩნდა მეორე მსოფლიო ომამდე პოლონეთში მოქმედ ანალოგიურ კლუბს.

პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობებში ასევე ნამდვილად ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო 1995 წელს ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლის „მოქცევაი ქართლისაი“-ს თარგმნა და გამოცემა ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორის დავით ყოლბაიას მიერ.

პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავება-განმტკიცების საქმეში დიდი წვლილი შეაქვს ახალგაზრდა ისტორიკოსს გოჩა შათირიშვილს. მან 1995 წლის 7 ნოემბერს ვარშავის ორიენტალისტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ცნობები ძველი ქართული

ლიტერატურისა და კულტურის შესახებ XIX საუკუნის პოლონეთში”. სადოქტორო ნაშრომის ავტორეფერატი დაიბეჭდა „პრო გეორგიას“ 1996 წლის მეხუთე ნომერში.

პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობების შესწავლის სფერო განსაკუთრებით გაამდიდრა 2000 წელს ჟურნალ „პრო გეორგია“-ს ყოფილი რედაქტორის, ისტორიკოსის, პროფესორის ვოიცეხ მატერსკის მიერ ისტორიული ნაშრომის „გრუზია“-ს გამოცემამ, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი აღნიშნულ ურთიერთობებს.

აი, მოკლედ, იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც პოლონეთის ქართული ემიგრაცია ეწეოდა და ეწევა. მათი ზოგიერთი სხვა საქმის შესახებ, ნაწილობრივ ქვემოთ მოტანილი წერილებიდან შევიქმნით გარკვეულ წარმოდგენას.

აქვე აუცილებლად გვინდა განვაცხადოთ იმის შესახებაც, რომ ეს წიგნი არის ვარშავის (ალბათ ასე თქმაც სწორი იქნება, რადგან ქართული კოლონია ძირითადად ამ ქალაქში იყო და არის) ქართული დიასპორის საქმიანობის გაშუქების ერთ-ერთი პირველი ცდა. პოლონეთის ქართული ემიგრაცია ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ მისი მოღვაწეობის შესწავლა და გაშუქება მომავალშიც გაგრძელდეს, მით უმეტეს, რომ ამ ქვეყანაში დღესაც ცხოვრობენ ღირსეული ქართველები, რომელთა საქმიანობასაც უნდა იცნობდეს ჩვენი ქვეყანა.

ამიტომ ის, რისი გადმოცემაც, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ შევძელით წინამდებარე ნაშრომში, იმედი გვაქვს, მომავალში გაკეთდება, რამეთუ ეს საქმე როგორც ჩვენი, ისე ამ პრობლემით დაინტერესებული ადამიანების მუდმივი ყურადღების საგანია

7. ალექსანდრე გომიაშვილი - საქართველოს სახელმწიფოს ამოცანები საერთაშორისო სამართლის შუქზე

ჩვენს ნაშრომს ვიწყებთ აქამდე სადაო პრობლემით. კერძოდ კი იმით, რომ შეიძლება თუ არა საერთაშორისო სამართალი მივიჩნიოთ სამართლად ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით? როგორც ცნობილია, ბევრი სამართლის ექსპერტი უგულვებელყოფს საერთაშორისო სამართლის სამართლებლივ ხასიათს, იმ მიზეზით, რომ მას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს შესაბამისი ნორმების განსახორციელებლად. ჩვენ არ გვსურს ამ თემაზე კამათის წამოწყება და მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო სამართალი არის პოზიტიური სამართალი, ვინაიდან იგი შეიცავს ნორმებს, აღიარებულს იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებიც მიეკუთვნებიან საერთაშორისო საზოგადოებას; ის სახელმწიფოებიც კი, რომლებიც ფეხქვეშ თელავენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, არასოდეს არ აღიარებენ ამას და ცდილობენ თავიდან აიცილონ დანაშაული და პასუხისმგებლობა.

მიგვაჩნია რა, რომ ყოველგვარი ურთიერთობები სახელმწიფოთა შორის დამორჩილებული უნდა იყოს სამართალს, ვამტკიცებთ, რომ არა უხეში ძალა, არამედ სამართალი უნდა იყოს ამ ურთიერთობათა რეგულატორი, ხოლო ყოველგვარი გადახვევა საერთაშორისო სამართლიდან დაგმობილი უნდა იქნეს. ნაშრომის მსვლელობისას ჩვენ ვეყრდნობით საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ამ ზოგადი მსჯელობიდან კონკრეტულ თემაზე გადასვლისას ავლნიშნავთ, რომ ჩვენი ნაშრომის მთავარ თემას წარმოადგენს იმ ძირითადი საკითხის გაშუქება, რომ საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ, რომელიც პარიზში, ემიგრაციაში იმყოფება, დაკარგა თუ არა თავისი სამართლებრივი ხასიათი; ანუ ეს მთავრობა დარჩა თუ არა დე იურე საქართველოს მთავრობად და საქართველოს საკითხი ექვემდებარება თუ არა საერთაშორისო სამართალს, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველო, როგორც სახელმწიფო პოლიტიკურ-სამართლებრივი მნიშვნელობით, წარმოადგენს თუ არა საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, თუ იგი რუსეთის შიდა საქმეა?

ამ თემის ირგვლივ უკეთესი ორიენტირებისათვის საქართველოს ისტორიიდან მოვიტანთ რამდენიმე საერთაშორისო ხასიათის ფაქტს: საქართველო, რომელიც მაჰმადიანური ქვეყნების, თურქეთის და სპარსეთის მხრიდან განუწყვეტელი თავდასხმების ობიექტს წარმოადგენდა, იძულებული იყო დახმარება საზღვარგარეთ ეძებნა.

დასავლეთ ევროპაში იმედგაცრუების შემდეგ, იგი იძულებული შეიქმნა დახმარებისთვის ქრისტიანული რუსეთისათვის მიემართა. ამის შედეგად 1783 წელს დაიდო ტრაქტატი, რომლის ძალითაც რუსეთმა საქართველო თავის პროტექტორატში შეიყვანა და ვალდებულება იკისრა საჭიროების შემთხვევაში მისთვის სამხედრო დახმარება აღმოეჩინა; ამასთან, თავის თავზე აიღო საქართველოს მთლიანობისა და საზღვრების დაურღვევლობაზე ზრუნვა. ტრაქტატის ძალით საქართველოს ხელისუფლება ქართველ მეფეთა ხელთ უნდა დარჩენილიყო. ამის სანაცვლოდ საქართველოს რუსეთისათვის უნდა შეეთანხმებინა სამხედრო და საგარეო პოლიტიკა.

სდებდა რა ამ ტრაქტატს, ერეკლე II-ს მიზნად ჰქონდა შეენარჩუნებინა თავისი ხალხისთვის დამოუკიდებლობა და ტრადიციები, მაგრამ მან ვერ გაითვალისწინა ძლიერი ხალხის სუსტ ხალხზე პროტექტორატის შედეგები, როდესაც ყოველთვის არსებობს ანექსიის დაფარული მიზანი. მართლაც, რუსეთმა არა თუ არ შეასრულა თავისი ვალდებულება საქართველოს დაცვის მიმართულებით, არამედ 1787 წელს გაიყვანა თავისი მცირერიცხოვანი, საქართველოს საზღვრების დაცვისათვის განკუთვნილი სამხედრო ნაწილები, რომლებიც აქ იმყოფებოდნენ და სპარსეთის შაჰს ალა-მაჰმად-ხანს მისცა შესაძლებლობა, შემოჭრილიყო ჩვენს ქვეყანაში და გაენადგურებინა იგი (ავტორი აქვე მიუთითებს ერთ-ერთ წყაროს: ე. დილლონ: “თჰე ეცლიპსე ოფ ლუსსია”. ლონდონ, 1918, სტრ. 225). მოტანილი ფაქტიდან და ასევე ზოგიერთი სხვა ფაქტებიდანაც ცხადი ხდება რუსეთის მხრიდან არასაკმარისი

პროტექტორატი საქართველოს მიმართ, რომელიც საქართველოს 1783 წლის ტრაქტატის ანულისების საშუალებას აძლევდა. სხვათაშორის ვატელ-I თავის შრომაში “დროიტ დე გენს”, § 196, ამბობს: `თუ სუსტი სახელმწიფო თავისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მიმართავს ძლიერი სახელმწიფოს პროტექტორატს და დახმარების გაწევის აუცილებლობის შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი არ აღმოუჩენს დახმარებას ან ვერ შეძლებს დაეხმაროს სუსტ სახელმწიფოს, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ მფარველი სახელმწიფო კარგავს ყოველგვარ იმ უფლებას სუსტ სახელმწიფოზე, რომლებიც გათვალისწინებულია ტრაქტატით, და ამდენად ტრაქტატი უკვე ძალადაკარგულად ითვლება. სუსტი სახელმწიფო განთავისუფლებულია ყოველგვარი ვალდებულებისაგან, იგი უკან იბრუნებს ყოველგვარ უფლებებს, თავის დამოუკიდებლობასა და სრულ ძალაუფლებას`. ამავე ნაშრომის §198-ში ვატელ წერს: “ტრაქტატი იმ შემთხვევაში ითვლება ძალადაკარგულად, თუ მფარველი სახელმწიფო თავისთვის მოითხოვს უფრო მეტ უფლებასა და სარგებლობას, ვიდრე ამას ითვალისწინებდა ტრაქტატი“.

თავისი სუსტი სამხედრო ძალის გამო საქართველოს არ შეეძლო ესარგებლა იმ უფლებებით, რომლებიც გამომდინარეობდა რუსეთის მხრიდან არასაკმარისი პროტექციიდან, ასევე იმის გამოც, რომ რუსეთი გამუდმებით ახალ-ახალ უფლებებსა და სარგებლობას მოითხოვდა. ამავე მიზეზით მას არ შეეძლო წინ აღდგომოდა 1801 წლის აქტს, რომლის ძალითაც რუსეთმა უგულვებელყო წინა შეთანხმება, მოახდინა საქართველოს ანექსირება და გადააქცია იგი თავის ერთ-ერთ გუბერნიად. ამ აქტმა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო ძალების უპირატესობას ეფუძნებოდა, ქართველი ხალხის დიდი პროტესტი გამოიწვია, ხალხისა, რომელსაც წაართვეს სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომელსაც უყვარდა თავისუფლება და გრძნობდა, რომ სამართლიანობა მის მხარეზე იყო. საქართველოს არასოდეს უარყვია აზრი განთავისუფლების თაობაზე, მხოლოდ შესაფერის მომენტს ელოდა. ჩვენ არ შევჩერდებით ამ ბრძოლაზე ქართველი ხალხისა, რომელმაც დაკარგა თავისი დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა და რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ებრძოდა რუსეთს. ამ უკანასკნელმა სახელმწიფო გადააქცია გუბერნიად და ცდილობდა წაეშალა ეთნიკური განსხვავებები, გაენადგურებინა ქართული კულტურა და პატრიოტიზმი, მაგრამ იარაღითა და ძალადობით მან ვერ შეძლო ჩაეკლა ქართველი ხალხის სული. ქართველ ხალხს თავისი ბრძოლა არ შემოუფარგლავს მხოლოდ თავისი სახელმწიფოს შიგნით, არამედ იგი აგიტაციისა და პროპაგანდის გზით გადაიტანა ევროპაში. 1856 წელს ინგლისი, საფრანგეთი და თურქეთი, ქართველი ხალხის წარმომადგენელთა მცდელობების პასუხად, შეპირდნენ მათ, რომ აღიარებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, ოღონდ იმ პირობით, თუ იგი დახმარებას არ გაუწევდა რუსეთს. საფრანგეთის წარმომადგენელი, გრაფი მეფროი, 1855 წლის დეკემბერში წერდა: “ჩვენ თქვენ დაგეხმარებით დამოუკიდებლობის მოპოვებაში. ევროპას სურს, რომ თქვენ შეხვიდეთ ცივილიზებული ხალხების დიდ ოჯახში”, ბოლოს, 1907 წელს საქართველომ ჰააგაში მიმდინარე სამშვიდობო კონფერენციას გაუგზავნა პეტიცია,

რომლითაც კონფერენციას აცნობდა თავის უფლებებს და რუსეთს ბრალს სდებდა იმაში, რომ მან დაარღვია ტრაქტატის მოთხოვნები. მაგრამ იმდროინდელი შეუფერებელი პოლიტიკური კონიუნქტურის გამო ეს საქმე ვერ მოგვარდა.

გაჩაღდა მსოფლიო ომი, რევოლუცია, ბოლშევიკური გადატრიალება, რის შედეგადაც კავკასიის ხალხები გამოეყვნენ რუსეთს და შექმნეს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია, 1917 წელს. 1918 წლის 9 აპრილს ბრესტ-ლიტოვსკის ტრაქტატის ძალით თურქეთს დაუბრუნდა ტერიტორიები, რომლებიც მას წაართვა რუსეთმა 1828 წლის ადრიანოპოლის ტრაქტატით. მაგრამ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის გაჩნდა ინტერესთა დაპირისპირება. ყოველივე ამის შემდეგ მოხდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის დაშლა. 1918 წლის 26 მაისს, 117 წლის მონობის შემდეგ, საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა შემდეგი აქტით:

1. ქართველი ხალხი არის უმაღლესი უფლებების წყარო; საქართველო კი არის დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო.
2. საქართველოს პოლიტიკური ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.
3. საერთაშორისო კონფლიქტებში საქართველო ყოველთვის ნეიტრალური რჩება.
4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს მყარი მეგობრული ურთიერთობები ჰქონდეს სხვა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი, მეზობელ სახელმწიფოებთან.
5. საქართველოს რესპუბლიკა გარანტიას აძლევს ყველა ხალხებს, რომლებიც მის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, რომ პატივს სცემს მათ ყველა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, მიუხედავად ეროვნებისა, სარწმუნოებრივი მრწამსისა, სოციალური მდგომარეობისა თუ სქესისა.
6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა აძლევს მის ტერიტორიაზე დასახლებულ ყველა ხალხებს განვითარების ფართო შესაძლებლობებს.
7. კონსტიტუციური მთავრობის დანიშვნამდე ქვეყანას წარუძღვება საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის შემადგენლობაც დაკომპლექტებული იქნება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობით, და ასევე დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საბჭოს წინაშე.

ამ აქტმა საქართველოს მიანიჭა საერთაშორისო სამართლის სუბიექტის უფლება და საქართველო გამოვიდა საერთაშორისო სამართლის ასპარეზზე როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო.

საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ანალიზი საერთაშორისო და სახელმწიფოებრივი სამართლის თვალსაზრისით, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს ფაქტიური მდგომარეობა პასუხობდა ამ სამართლის ყველა მოთხოვნებს, სახელდობს:

1. სახელმწიფო ფლობდა ტერიტორიას, რომელიც დასახლებული იყო ეთნიკურად ერთგვაროვანი ხალხით;
2. მთავრობა არჩეული იყო ხალხიდან;
3. მთავრობას ჰქონდა ავტორიტეტი და ფლობდა სრულ ხელისუფლებას;
4. მთავრობა იყო რეალური, რადგან ხალხი აძლევდა მას ჯარისკაცებს, იხდიდა გადასახადებს და მხარს უჭერდა მთავრობის ნებისმიერ წამოწყებას.

პროფ. იულიან მაკოვსკი წერს: “გარდა კარდინალური პირობისა, რომ ახალი სახელმწიფო წარმოიქმნას თავისით, როგორც ქმნილება თავისი მოქალაქეების ნებისა და ფლობდეს სრულ დამოუკიდებლობას, არის აგრეთვე მრავალი სხვა პირობა, რომელთაც პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათი აქვთ; ყველა ესენი ნამდვილად აუცილებელი არ არის, რომ სახელმწიფო წარმოიქმნას, მაგრამ ზოგიერთი მათგანი მაინც საჭიროა, რომ იყოს მისი არსებობისა და განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე”. თუ ამ კრიტერიუმებით ვიხელმძღვანელებთ საქართველოსთან დაკავშირებით, არ გაგვიჭირდება, დავამტკიცოთ, რომ არსებობდა ყველა აუცილებელი პირობა, ისეთები, როგორებიცაა: ბუნებრივი საზღვრები, ზღვაზე გასასვლელი და ნორმალური ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა.

ქართველი ხალხი თავის ნებას გამოხატავდა პარლამენტში; მან აირჩია მთავრობა, რომელიც სარგებლობდა თავისი ძირითადი უფლებებითა და მოვალეობით და შეუდგა სახელმწიფოს კონსოლიდაციას. მთავრობას სურდა რა დაეყენებინა საქართველო ევროპულ სახელმწიფოთა შორის, შეიმუშავა კონსტიტუცია, შეიქმნა არმია, რომელიც გმირულად იბრძოდა და იცავდა ტერიტორიის მთლიანობას და ხელშეუხებლობას, დადო მრავალი ხელშეკრულება. ზევით აღვნიშნეთ, რომ ჩვენს შემდგომ ანალიზს საფუძვლად დავუდებთ საერთაშორისო სამართლის წესებსა და პრინციპებს. ახლა შევუდგეთ ახალ სახელმწიფოთა ჩამოყალიბების მთლიანობას და ფაქტო-დ და დე იურე-დ ძველი სახელმწიფოების მიერ, ასევე მათ შორის ურთიერთობის ანალიზს.

სახელმწიფოს ჩამოყალიბების საკითხი უფრო მიეკუთვნება სახელმწიფო სამართალს, ვიდრე საერთაშორისო კომპეტენციას, ვინაიდან მისი მოქმედების არეალი უფრო სახელმწიფოს გარეთ ძევს. თუმცა ამ საკითხში მეცნიერთა აზრი ორად იყოფა: ერთნი - ელინეკი, ლისტი, ბონფილსი, მაკოვსკი, სეიდელი და სხვები იმ

თვალსაზრისზე დგანან, რომ სახელმწიფოს წარმოქმნა არის ისტორიული და საზოგადოებრივი ფაქტი, როგორც ადამიანების შეგნებული საქმიანობის შედეგი. მეორენი - რიკიერი, ულმანი, ჰანელი და სხვები სთვლიან, რომ სახელმწიფო შეიძლება წარმოიშვას სამართლებლივი აქტის შედეგად, რომელიც გამომდინარეობს უცხო ნებიდან. მიგვაჩნია რა სწორად პირველი შეხედულება, გვსურს დავუმატოთ, რომ სახელმწიფო წარმოსდგება ორი გზით: 1. პირველყოფილი, რომელიც ეფუძნება ადამიანთა მასის გადასვლას არასახელმწიფოებრივი მდგომარეობიდან სახელმწიფოებრივ მდგომარეობაზე და 2. რომელიც ეფუძნება სხვა სახელმწიფოსათვის ტერიტორიის წართმევას. მაშასადამე, ჩვენ სახელმწიფო გვესმის როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური კავშირი, დაფუძნებული ხალხის ნებას, რომელსაც ჰყავს უმაღლესი ხელისუფლება. პოლიტიკურ ცხოვრებაში ხდება ხოლმე, რომ სახელმწიფოები ცნობენ ახალ სახელმწიფოს; მართალია, ცნობის ფაქტი ვერ ჰქმნის სახელმწიფოს, მაგრამ გავლენას ახდენს ახლად წარმოშობილი სახელმწიფოს მიღებაზე საერთაშორისო საზოგადოებაში და არის აუცილებელი შედეგი ამ საზოგადოებრიობის წევრებთან ურთიერთობის დამყარებისა.

სამართლებლივი აღიარება ნიშნავს, რომ სახელმწიფოები პროტესტს არ აცხადებენ ახალი სახელმწიფოს წარმოშობაზე; პოლიტიკური აღიარება ზრდის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ავტორიტეტს. სახელმწიფოები, როგორც წესი, აყოვნებენ ხოლმე აღიარებას, რათა თავიდან აიცილონ გაუგებრობა იმ სახელმწიფოსთან, რომლის ინტერესებსაც ეწინააღმდეგება ახალი სახელმწიფოს წარმოშობის ფაქტი. ჩვეულებისამებრ, დე იურე ცნობა მოსდევს დე ფაქტო-დ ცნობას. სახელმწიფოს დაბადების თარიღი არის პირველი სახელმწიფოებრივი აქტი, გამოცემული ხალხის მიერ არჩეული მთავრობის მიერ.

ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს ხელისუფლებას დე ფაქტოდ გამოცხადების საკითხი შიდა სახელმწიფოებრივი საკითხი იყოს: სინამდვილეში საქმე ეხება ფაქტიური ხელისუფლების ლეგალურობისა თუ არალეგალურობის, მის მიერ გამოცემული აქტების მნიშვნელობის საკითხს.

ხელისუფლებამ, რომელიც დაფუძნებულია შიდა სამართალს, სხვა სახელმწიფოების ინტერესებთან თუ უფლებებთან შეჯახებისას უნდა მიმართოს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ხელისუფლებას მხოლოდ ამ პირობით სცნობენ დე ფაქტოდ, ხოლო ეს სახელმწიფო კი შეიძლება იქნეს მიღებული საერთაშორისო საზოგადოებაში. თავად არსებობა ხელისუფლებისა დე ფაქტოდ, არ განაპირობებს ამ ქვეყნის სამართლებლივ თუ პოლიტიკურ იზოლაციას. ხდება ხოლმე, რომ ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებობენ საკონსულო დაწესებულებები, რომელთა აკრედიტაციაც მოხდა ძველი მთავრობის დროს. ისინი არ წყვეტენ საქმიანობას, არამედ კვლავ აგრძელებენ თავიანთი ფუნქციის შესრულებას, რადგანაც ეს შედის მათი სახელმწიფოსა და მოქალაქეების ინტერესებში. საკონსულოს დატოვება და დე ფაქტო მთავრობასთან ურთიერთობების შენარჩუნება, მუდმივი წარმომადგენლობის გაგზავნაც კი, ჯერ

კიდევ არ ნიშნავს ხელისუფლების აღიარებას. ოფიციალური ურთიერთობები მყარდება ფაქტიური მთავრობის აღიარების შემდეგ, რაც წარმოადგენს პოლიტიკურ დასაწყისს ოფიციალური ურთიერთობებისათვის.

დაუშვებელია ხელისუფლების ცნობაზე უარის თქმა, რისთვისაც უცხო სახელმწიფოს ვალდებულებას შეადგენს ახალი სახელმწიფოს აღიარებამდე დაწვრილებით შეისწავლოს მისი სახელმწიფოებრივი ცხოვრების შესაძლებლობები და დარწმუნდეს, რომ სახელმწიფოს მემკვიდრეობითობის პრონციპი შენარჩუნებული იქნება, ე. ი. რომ მოცემულ სახელმწიფოს სურს და აქვს შესაძლებლობა თავისი საქმიანობა შეუსაბამოს საერთაშორისო სამართალს, რომ თანახმაა ძველი მთავრობის ვალდებულების, მისი ვალების რეგულირებაზე, რომ პატივს სცემს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უფლებებს, რომლებიც ცხოვრობენ მის ტერიტორიაზე, ისევე როგორც მათ უფლებებს, რომლებიც არ ცხოვრობენ, მაგრამ აქ ფლობენ რაღაც საკუთრებას. უცხო სახელმწიფო ასევე აღიარებამდე უნდა ჩაწვდეს ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოს შინაგან სტრუქტურას და დაამყაროს თავისი ურთიერთობები როგორც მასთან, ისე მეტროპოლიასთან. საჭიროა აგრეთვე დადგინდეს: ა) წარმოქმნილი სახელმწიფო ნამდვილად პასუხობს თუ არა სახელმწიფოს არსებობის აუცილებელ მოთხოვნებს; ბ) ეს სახელმწიფო ხომ არ არის მხოლოდ რევოლუციური პროცესების შედეგად წარმოქმნილი და თუ შესძლებს თავის დაჭერას; გ) ხომ არ არის მისი სუვერენიტეტი შეზღუდული; დ) თუ ფლობს ე. წ. კომპეტენციის კომპეტენციას (არ არის აუცილებელი, რომ საკითხი საზღვრების შესახებ საბოლოოდ იყოს გადაწყვეტილი, ისევე როგორც დედაქალაქისთვის ადგილის შერჩევის საკითხი). ყველაფრის შეტყობა საჭიროა მის აღიარებამდე, ვინაიდან დაუშვებელია ამ აქტის გამოცხადების შემდეგ უკან დახევა ან რაიმეს შესწორება, ისევე როგორც დაუშვებელია მის შიდა საქმეებში ჩარევა. პროფ. მაკოვსკი თავისი წიგნის \$18-ში ლაპარაკობს რა სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი უფლებების შესახებ, წერს: “სახელმწიფოს განუყოფელობიდან გამომდინარეობს მისი უფლება თავისუფლად არჩევისა მმართველობის ფორმისა, კონსტიტუციის, სახელმწიფოს მეთაურისა ან დინასტიის, განსაზღვროს მოქალაქეთა უფლებები და მათი გარანტიები, ყველა მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა, ან მოსახლეობის ზოგიერთი კატეგორიისათვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭება და ა.შ. მოკლედ, საქმიანობის სრული თავისუფლების მინიჭება საკუთარ სახელმწიფოს ფარგლებში, იმდენად, რომ ამან ზიანი არ მიაყენოს მის მეზობლებს”.

ამ ყველა მონაცემების დადგენისა და იმის კონსტატირების შემდეგ, რომ წარმოქმნილი სახელმწიფოს არსებობა გარანტირებულია, უცხო სახელმწიფო აღიარებს ხელისუფლებას დე ფაქტოდ და ამით ამ სახელმწიფოსაც ცნობს დე ფაქტოდ. მხოლოდ ამის შემდგომ დგება მომენტი სახელმწიფოს დე იურედ ცნობისა, ამასთან, ამ დროს გადაწყვეტია ამ ახალი სახელმწიფოს ცნობა იმ სახელმწიფოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც ახალი სახელმწიფო წარმოიშვა.

ამ თეორიული განსჯის შემდეგ გადავიდეთ საქართველოს ხელისუფლების ცნობის პროცესების მიმოხილვაზე ევროპის სახელმწიფოთა მიერ. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციაში შემაჯალმა საქართველომ არ სცნო რუსეთის მიერ თურქეთისათვის იმ ტერიტორიების გადაცემა, რომელიც მან 1828 წლის ადრიანოპოლის ტრაქტატის ძალით მიიღო და რომელთა დაბრუნებაც ეკატერინე II-მ 1783 წლის ტრაქტატის ძალით აღუთქვა საქართველოს (ეს ტერიტორიები თურქეთმა წაართვა საქართველოს ჯერ კიდევ 1783 წლამდე. ამ ტრაქტატში სხვა პირობებთან ერთად რუსეთმა ივალდებულა ეს მიწები მომავალში ჩამოეჭრა თურქეთისათვის და დაებრუნებინა საქართველოსათვის). დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს საქართველო მოლაპარაკებებს აწარმოებდა თურქეთთან. მასში მონაწილეობას იღებდნენ გერმანელებიც, რომლებიც შუამავლის როლს თამაშობდნენ. გერმანელებმა, რომელთათვისაც პოლიტიკური თვალსაზრისით ახლო აღმოსავლეთის პრობლემა ძალზე მნიშვნელოვანი იყო, უკვე 1918 წლის მაისში სცნეს საქართველო დე ფაქტო-დ და მათთან დროებითი ხელშეკრულებაც გააფორმეს, რომელიც ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობებს აწესრიგებდა. საქართველოს დე იურე ცნობის დასასაბუთებლად მხედველობაში იქნა მიღებული შემდეგი საკითხები: საქართველოს ხელისუფლება თავის სამართლებლივ ხასიათს აფუძვნებდა იმას, რომ 1783 წლის ტრაქტატი შეუსრულებელი და დარღვეული აღმოჩნდა რუსეთის მიერ; სამაგიეროდ გერმანელები, არ სურდათ რა რუსეთის გაღიზიანება, ეყრდნობოდნენ 1918 წლის ბრესტის ტრაქტატს და სამართლიანად მიიჩნევდნენ საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფას. ამის გამო წამოიწყო მძიმე მოლაპარაკებები. ამ საკითხის გარშემო ქართული დელეგაციის თხოვნით ფრ. ლისტმა შეისწავლა ეს პრობლემა და შემდეგი მოსაზრებანი გამოსთქვა:

ა) საქართველო ამჟამად არის თავისუფალი, სრულიად დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო; ამდენად მას საფუძვლად უდევს საერთაშორისო სამართლის საფუძვლები, რათა იგი სცნონ სხვა სახელმწიფოებმა;

ბ) საქართველოს რესპუბლიკა უკვე იყო აღიარებული დე ფაქტო-დ, როგორც ახლად წარმოშობილი სახელმწიფო და საერთაშორისო საზოგადოების წევრი გერმანიის იმპერიის და მისი მოკავშირეების მიერ აშკარადაც, ფარულადაც და საიდუმლოდაც.

გ) მის ფორმალურ აღიარებას არ ეწინააღმდეგებოდა სამართლებლივი არგუმენტებიც;

დ) საქართველოს ცნობა არ იყო რუსეთის წინააღმდეგ მიმართული აქტი, რომელმაც ოფიციალურად და საზეიმოდ განაცხადა ხალხების თვითგამორკვევის უფლების შესახებ მათ მიერ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ჩათვლით.

საერთაშორისო სამართლის ექსპერტის შეხედულებამ, ცხადია, სასწორის ისარი საქართველოს სასარგებლოდ გადახარა. მიუხედავად იმისა, რომ დამატებით

ტრაქტატში, რომელიც დაიდო რუსეთსა და გერმანიას შორის 1918 წლის 27 აგვისტოს, §13, შემდეგნაირად ჟღერს: “რუსეთი თანხმდება გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანიზმად აღიარებას”. დარჩა მხოლოდ ერთი წინააღმდეგობა: თურქეთსა და საქართველოს შორის სადაო საზღვრების საკითხის დადგენა; და რადგან ეს საკითხი ეხებოდა გერმანიის მოკავშირე თურქეთს, გერმანია იძულებული იყო მისთვის ანგარიში გაეწია. კამათის საგანს წარმოადგენდა ბათუმის ოლქი ბათუმის პორტით; გერმანელები მოითხოვდნენ ამ საკითხის გადაწყვეტას საქართველოს სასარგებლოდ, რადგან ამ პორტს შეეძლო გამხდარიყო საკომუნიკაციო კვანძი საქართველოსთან მომავალი ვაჭრობის დროს. იმავდროულად შეუდგნენ ტრაქტატის შემუშავებას საქართველოსა და გერმანიას შორის. ამ პროექტის საბოლოო ფორმა ხელმოსაწერად შემუშავებული იყო უკვე 1918 წლის 13 ოქტომბერს. პროექტის მთავარ პუნქტებს შემდეგი სახე ჰქონდათ: შესავალში ლაპარაკია ორმხრივ სურვილზე დამყარდეს მეგობრული კავშირურთიერთობანი საქართველოსა და გერმანიას შორის და ასევე დაპირება იმის შესახებ, რომ გერმანია საქართველოს დაეხმარებოდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ აღმშენებლობაში.

პირველ-მერვე პუნქტებში ლაპარაკია საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაზე და გერმანიის შუამავლობის შესახებ სხვა ქვეყნების წინაშე, რათა მათაც ეცნოთ საქართველო. შემდეგ საუბარია ორივე ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის შესახებ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მიმართ.

ტრაქტატის მეორე ნაწილი ეხებოდა საქართველო-გერმანიას შორის დიპლომატიურ და საკონსულო ურთიერთობებს. მესამე ნაწილის მიხედვით მოკავშირე ქვეყნებზე არ ვრცელდებოდა რუსეთ-გერმანიას შორის დადებული ტრაქტატი (რომელიც ძალაში იყო 1914 წლის ომამდე) მეოთხე ნაწილი არეგულირებდა საქართველო-გერმანიას შორის ეკონომიკურ კავშირურთიერთობებს. მეხუთე ნაწილი ეხებოდა ტყვეებსა და ჯაშუშებს. მეექვსე ნაწილი შეეხებოდა გერმანული წარმოშობის კოლონისტებს. საქართველოს მთავრობამ იკისრა ვალდებულება დაებრუნებინა მათთვის უძრავი ქონება, კონცესიები და ა.შ., რომლებიც მათ ჩამოერთვათ რუსული სამხედრო კანონების ძალით. მეშვიდე ნაწილი ეხებოდა გერმანელ მეცნიერებს და აძლევდა მათ ზოგიერთ პრივილეგიებს არქეოლოგიური გათხრების ჩატარების მიზნით, ოღონდ გათხრებზე ზედამხედველობა უნდა დაეწესებინა ადგილობრივ ქართულ ხელისუფლებას. მერვე ნაწილი ადგენდა ტრაქტატის რატიფიკაციის მეთოდებსა და წესებს. და ბოლოს, ეს ხელშეკრულება კიდევ უნდა შევსებულიყო დამატებით სამეურნეო, სამხედრო და ა.შ. საკითხებით. მოტანილი პროექტი იმის მაჩვენებელია, თუ როგორ ესმოდა საქართველოს მთავრობას საერთაშორისო სამართალი. საბოლოოდ საქართველოს მთავრობა გერმანიის მიერ დე იურე-დ აღიარებული იყო 1919 წლის დასაწყისში და მან საქართველოში გამოგზავნა პირველი სრულუფლებიანი ელჩი.

1918 წლის ბოლოს მოხდა ცენტრალური ევროპის კაპიტულაცია მოკავშირეების მიერ. შავ ზღვაზე და კავკასიაში პოლიტიკური გავლენა ანტანტის ხელთ გადავიდა. თავისი წარმოშობის დროს საქართველოს სახელმწიფოს, პოლიტიკური კონიუნქტურისა და კომუნიკაციური სიძნელეების გამო არ შეეძლო უშუალოდ დაერეგულირებინა თავისი აღიარების პრობლემები ანტანტის სახელმწიფოებთან. მაგრამ უკვე 1918 წლის სექტემბერში ქართველი პოლიტიკოსები ოფიციალურად შეხვდნენ და მათ გააცნეს საქართველოს მდგომარეობა. ასევე გადასცეს მათ შესაბამისი ნოტა.

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები თავს იკავებდნენ იმ სახელმწიფოს ცნობისაგან, რომლებიც წარმოიშვნენ ყოფილი რუსეთის იმპერიისაგან; ისინი ელოდნენ რუსეთში სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებას. მათი უმრავლესობის აზრით, საბჭოური წეს-წყობილება არანორმალური და დროებითი მდგომარეობა იყო, რომლის დამხობასაც მოელოდნენ უახლოეს ხანებში. მაგრამ ეს იყო ილუზია და არასწორი ორიენტაციის ქონა ევროპის მხრიდან. ციმბირში დამყარდა ადმირალ კოლჩაკის დიქტატურის პერიოდი, ხოლო ქვეყნის სამხრეთით კი დენიკინის ჯარები განლაგდნენ; ეს წარმოადგენდა რუსული დიპლომატიის ძალისხმევის უკანასკნელ შედეგს, რომელიც ცდილობდა რუსეთში წესრიგის დამყარებას ევროპის სახელმწიფოთა მონაწილეობით. გუშინდელმა მოკავშირეებმა, რომლებმაც ერთხანს ყური დაუგდეს რუსული დიპლომატიის თხოვნას, გარკვეულად მიეხმარნენ მას; მაგრამ მალე რეალურმა სინამდვილემ დაანახა მათ ამ მეთოდების სიმცდარე: რუსეთის სახე ძველი “ერთიანი და განუყოფელი” ფორმით უკვე შორეული წარსულის საკითხი იყო, მაშინ, როდესაც აღდგენა იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც რუსეთის ადრინდელ იმპერიას შეადგენდნენ, უკვე მომხდარ ფაქტს წარმოადგენდა და საჭირო იყო ამის მხედველობაში მიღება.

1920 წლის 11 თებერვალს, ზუსტად კატასტროფის წინ გენერალმა დენიკინმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. დენიკინის დამარცხებისა და საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანის დაკავების შემდეგ საბჭოთა ჯარებსა და საქართველოს შორის მოხდა შეიარაღებული კონფლიქტი. მაგრამ ქართველების მიერ გამოჩენილმა სიმამაცემ გავლენა მოახდინა საქართველოსა და რუსეთს შორის ტრაქტატის გარშემო მიმდინარე კამათზე, რომლის ძალითაც რუსეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი 1920 წლის 7 მაისს. იმავე წლის ნოემბრის 16-ში მათ შორის დაიდო სატრანზიტო კონვენციაც. პროფ. ციბიხოვსკი თავის ნაშრომში სათაურით: “საერთაშორისო სამართლის სისტემა” 97 გვერდზე წერს: სახელმწიფოებს, რომელთა სამართალიც გათელილი აღმოჩნდა, აქვთ პროტესტის უფლება და შეუძლიათ მოითხოვონ დაკმაყოფილება. ვინც სცნობს სახელმწიფოს, უარს ამბობს ამ უფლებაზე.

თუ ზემოთ მოტანილ შეხედულებას დავეყრდნობით, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ რუსეთმა გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ სცნო საქართველო, ამით უარი თქვა ყველა თავის უფლებებსა და პრეტენზიებზე. 1920 წლის ნოემბერში ერთა ლიგის საბჭოზე დაყენებული იყო საკითხი საქართველოს მიღების შესახებ ლიგის წევრად. ამ მიზნით სპეციალურად შექმნილ ქვეკომისიას უნდა შეესწავლა შემდეგი საკითხები:

1. თუ არის დაცული ყველა ფორმალური პირობები იმისათვის, რომ საქართველო მიღებული იქნეს ერთა ლიგაში?
2. ქვეყანა, რომელსაც სურს ერთა ლიგაში მიღება, თუ არის აღიარებული დე ფაქტო და დე იურე-დ და რომელი ქვეყნების მიერ?
3. ერთა ლიგაში მიღების მსურველ ქვეყანას თუ ჰყავს სტაბილური (მყარი მთავრობა, მოსახლეობა, თუ აქვს მყარი საზღვრები)?
4. თუ მართავს მისი მთავრობა დამოუკიდებლად?
5. როგორი დამოკიდებულობა აქვთ ამ სახელმწიფოს შემდეგი აქტებისა და დეკლარაციების მიმართ:

ა) საერთაშორისო ვალდებულებების;

ბ) ლიგის შესაძლო გადაწყვეტილებების მიმართ შეიარაღების შესახებ. ქვეკომისიის მუშაობის შედეგები დამაკმაყოფილებელი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, კომისიის პლენუმზე მონაწილეთა წინააღმდეგობის გამო მიღებული იქნა შემდეგი დასკვნა: “კომისია წინადადებას აძლევს საბჭოს შეატყობინოს საქართველოს მთავრობას შემდეგი:

ა) საქართველოს მთავრობის თხოვნა მიღებული და განხილული იქნა სიმპათიით, მაგრამ ჯერჯერობით გარემოებები საშუალებას არ აძლევს საბჭოს გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება;

ბ) საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რომელიც შეეცდება მიიღოს იგი ერთა ლიგის ღირსეულ წევრად, მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ლიგის ტექნიკური საკითხების გადაწყვეტაში”.

1920 წლის 16 დეკემბერს ერთა ლიგის საბჭოს შეკრებაზე ეს წინადადება კი დაისვა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება გადადებულ იქნა შემდგომ სესიამდე, რომელიც გაიმართებოდა 1921 წელს. საფრანგეთის წარმომადგენელმა, ვივიანმა, თავის მოხსენებაში აღნიშნა რუსეთის(!) საკითხის შესახებ ამ საკითხის ნაწილობრივი გადაწყვეტის შეუფერებლობა და აგრეთვე ის სიძნელებები, რომლებიც

თან ახლავს ახალი წევრების ტერიტორიული საზღვრების დაცვას (ერთა ლიგის პაკტი (\$10). ფიშერი, ინგლისის წარმომადგენელი, ერთის მხრივ ეთანხმებოდა ნანსენსა და სესილს, რომლებიც ცდილობდნენ, რომ საქართველო მიღებული ყოფილიყო ერთა ლიგაში, მაგრამ ამავე დროს სიფრთხილეს გამოსთქვამდა იმის გამო, რომ გარედან თავდასხმის შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა საქართველოს დაცვა. თავისთავად ცხადია, რომ “ბრწყინვალე ოთხეულის” ამ გამოსვლების შემდეგ მცირე სახელმწიფოებმაც მათ დაუჭირეს მხარი. ზოგი სახელმწიფოს, კერძოდ, ბელგიის, რუმინეთისა და პოლონეთის წარმომადგენლებმა, თავი შეიკავეს ხმის მიცემისას. პოლონეთის წარმომადგენელმა პადერევსკიმ განაცხადა თავისი სიმპათიები საქართველოს მიმართ, მაგრამ თქვა, რომ მისი ლიგაში გაწევრიანება ჯერ კიდევ ნაადრევიაო. კუბის დელეგატმა შემდეგი სიტყვებით მიმართა საქართველოს წარმომადგენელს: “ცენტრალური და ჩრდილო ამერიკის რესპუბლიკებმა შეიძლება შეაერთონ თავიანთი ხმები და მიაღწიონ საქართველოს და ბალტიის ქვეყნების მიღებას ერთა ლიგაში, როგორც ამას მოითხოვს სამართლიანობა, მაგრამ სამართლიანობა როდია გადამწყვეტი. ამერიკის რესპუბლიკებს არ შეშვენით წინააღმდეგობაში იყვნენ ევროპის უდიდეს სახელმწიფოებთან. დაე, მხოლოდ ინგლისმა და საფრანგეთმა, ან თუნდაც მხოლოდ ინგლისმა დაუჭიროს თქვენს გაწევრიანებას მხარი და ჩვენ, როგორც ერთი ადამიანი, ხელს ავწევთ ამ გადაწყვეტილებაზე”.

საქართველოს მიმართ ასეთი გადაწყვეტილება მეტყველებს ერთა ლიგის სისუსტეზე. ლიგის წევრის დაცვის სიძნელე, ერთის მხრივ, და არაგულწრფელობა და არბიტალურობა დიდი სახელმწიფოს მხრიდან, მეორეს მხრივ, არის ლიგის შემქმნელთა პრინციპული იდეების ბანკროტობის აშკარა მაჩვენებელი. მიუხედავად უარყოფითი გადაწყვეტილებისა საქართველოს ერთა ლიგაში მიღების თაობაზე, თავად ფაქტმა საქართველოს დაშვებისა კომისიაში მონაწილეობის მისაღებად განამტკიცა ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი. 1921 წლის 27 იანვარს საქართველოს მთავრობის თხოვნით უმაღლესმა საბჭომ საქართველო დე იურე-დ სცნო. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ელჩმა რწმუნების სიგელი გადასცა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს.

თავი მეორე. პოლონეთში, პოლონეთისათვის

1. სერგო ყურულიშვილი და პირველი ქართული ჟურნალ-გაზეთები პოლონეთში

1918-1925 წლების ქართული ემიგრაციის ცნობილი მოღვაწე პოლონეთში, ამ ქვეყანაში გამომავალი ქართული ჟურნალ-გაზეთების ერთ-ერთი პირველი დამაარსებელი და რედაქტორი, პოეტი და ჟურნალისტი სერგო ყურულიშვილი დაიბადა 1894 წლის 4 სექტემბერს საჩხერის რაიონში ვანო ყურულიშვილისა და ეკატერინე ნაზარიშვილის ოჯახში. იგი ემიგრაციაში საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, 1918 წელს წავიდა. ამიტომაც არ ეკუთვნის იგი

ემიგრაციის იმ ტალღას, რომელმაც პოლონეთს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ შეაფარა თავი. ვარშავაში დასახლებისთანავე სერგო ყურულიშვილმა აქტიური საქმიანობა დაიწყო იქ მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა მეტად მცირე ჯგუფთან ერთად. იგი პოლონელ მკითხველს ყოველკვირეულ ჟურნალ “პრჟიმირჟე”-ს (“კავშირი”) ფურცლებიდან აცნობდა იმდროინდელი საქართველოს პრობლემებს. საინტერესოა, რომ აღნიშნულ ჟურნალს 1921 წლიდან გამოსცემდა პოლონეთში მოქმედი განთავისუფლებულ ხალხთა ურთიერთდაახლოების კავშირი. სერგო ყურულიშვილი 1920 წელს გახდა საქართველო-პოლონეთის კლუბის დამფუძნებელთა კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო კლუბისათვის სტატუსის მინიჭების შემდეგ მისი საბჭოს თავმჯდომარეც. იმავდროულად იმ დროს ცნობილი მეცნიერები, მწერლები და ჟურნალისტები, როგორებიც იყვნენ პროფესორები ანტონ სუიკოვსკი და იან კოურთენაი, სტანისლავ სედლეცკი, ვლადიმერ ვაკარი, სტეფან გრალევსკი, სტეფან პოდხორსკალოვსკი, ვაცლავ ბოროვიჩი და სხვ. ზოგიერთ წერილსა და ლექსს, როგორც საკუთარი სახელით, ასევე “ტაიფუნის” ფსევდონიმით თავადაც ათავსებდა ჟურნალის ფურცლებზე. ამ კომიტეტის შეწევნით 1922-1923 წლებში გამოიცა, აგრეთვე, სხვა ჟურნალებიც: “პრო გეორგია” და “პრო პატრია”.

აღსანიშნავია, რომ 1922-23 წლებში სერგო ყურულიშვილის ინიციატივითა და თაოსნობით დაიწყო გამოსვლა ისეთმა პოპულარულმა ჟურნალმა, როგორც იყო “ვარშავის კურიერი”. ჟურნალი დიდ ყურადღებას უთმობდა აღმოსავლეთის და განსაკუთრებით, საქართველოს პრობლემატიკას. 1924 წლიდან ამ ჟურნალს სახელი შეეცვალა და “აღმოსავლეთის ხმა” ეწოდა. მის ფურცლებზე თავიანთ წერილებს, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, აქვეყნებდნენ პოლონური ლიტერატურის კორიფეები. მათგან მაინც უნდა აღინიშნოს ვლადისლავ რეიმონტი (ამ მწერალს 1925 წელს რომან “გლეხებისათვის” ნობელის პრემია მიენიჭება). აქვე მოხსენების ღირსია ასევე გამოჩენილი პოლონელი პატრიოტი მწერალი სტეფან ჟერომსკი (აღსანიშნავია, რომ 20-იან წლებში ჟერომსკიც იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე, მაგრამ როგორც კრიტიკოსები წერენ, ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მან ვერ მიიღო ეს მაღალი ჯილდო არის მისი გამოკვეთილი გერმანოფობობა). ეს ჟურნალი რომ მეტად საინტერესო იყო, ამას ს. ყურულიშვილისადმი მკვეთრად ანტისიმპათიით განწყობილი ადამიანებიც არ ფარავდნენ. ჟურნალმა “აღმოსავლეთის ხმამ” გამოსვლა შეწყვიტა მისი რედაქტორის იდუმალებით მოცული სიკვდილისთანავე (ს. ყურულიშვილი კაფეში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა ს. ლიკიერნიკმა 1925 წლის 25 მარტს). ამ მკვლელობამ უდიდესი რეზონანსი გამოიწვია მთელს პოლონეთში. ჭორები მის შესახებ საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე კვებავდა ვულგარულ პრესას).

სერგო ყურულიშვილისადმი მიძღვნილი ნეკრელოგები იუწყებოდნენ მისი უდიდესი ენერჯისა და საოცარი შრომისმოყვარეობის შესახებ, რაც გამოიხატა პოლონეთში საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ყოფის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიებში, ბროშურებში, ლექსებში და საერთოდ, მთელს მის

საქმიანობაში. დღეს უკვე დადგენილია, რომ სერგო ყურულიშვილი იყო ოცინი წლების დასაწყისში ვარშავაში წამოწყებული ნებისმიერი კულტურულ-ორგანიზაციული საქმის ინიციატორი და აქტიური მონაწილე.

ვფიქრობთ, ყურადღების ღირსია ს. ყურულიშვილის მიერ 1921-23 წლებში ვარშავაში გამოქვეყნებული წიგნებისათვის თვალის გადავლება:

1. ყურულიშვილი სერგო, საქართველო (პოლონურ ენაზე), ვარშავა, 1921 წ.
2. ყურულიშვილი სერგო, საქართველო ბოლშევიკთა უღელქვეშ, (პოლონურ ენაზე), ვარშავა, 1922 წ.
3. ყურულიშვილი სერგო (ტაიფუნი), ვარდების კონა, (პოლონურ ენაზე), ვარშავა, 1923 წ.
4. ყურულიშვილი სერგო (ტაიფუნი), ვარსკვლავთცვენა, (პოლონურ ენაზე), ვარშავა, 1923 წ.
5. ყურულიშვილი სერგო, ბოლშევიკური საშიშროება, (პოლონურ ენაზე), ვარშავა, 1923 წ.
6. ყურულიშვილი სერგო, ტალღები, ვარშავა, (პოლონურ ენაზე), 1921 წ.

ქვემოთ მოტანილი ისტორიული ნარკვევი, "საქართველო ბოლშევიკთა უღელქვეშ", სერგო ყურულიშვილმა 1922 წელს გამოაქვეყნა. ეს ნაშრომი წიგნის სახით შემონახულია ვარშავის უნივერსიტეტში.

2. სერგო ი. ყურულიშვილი - მოგონებები სერგო ყურულიშვილზე

ბიძაჩემს სერგო ყურულიშვილს არ ვიცნობდი, იგი ჩემს დაბადებამდე 9 წლით ადრე გარდაიცვალა. ჩვენს ოჯახში მასზე ხშირად საუბრობდნენ, ხოლო მამაჩემის კაბინეტში მისი პორტრეტი ეკიდა. სერგო ყურულიშვილი მამაჩემის, ვანო ყურულიშვილის ღვიძლი ძმა იყო. მამაჩემის მოგონებებიდან და შემორჩენილი დოკუმენტებიდან ვიცი, რომ ბიძა დაიბადა 1894 წლის 4 სექტემბერს, საქართველოში, საჩხერის რაიონში. მამამისი იყო ვანო ყურულიშვილი, ხოლო დედა, - ეკატერინე ნაზარიშვილი.

სერგომ სიყმაწვილეშივე დატოვა საქართველო. მშობლები და პოლონეთში მაშინ გადავიდა, როდესაც საქართველო თავისუფალი იყო. 1918-24 წლებში სერგო საქართველოს კონსული იყო პოლონეთში. სამშობლოს მიერ თავისუფლების დაკარგვამ სერგოს პოლონეთში მოუსწრო. მან ძალიან გააქტიურა თავისი მუშაობა ამ ქვეყანაში. იგი იყო ორგანიზატორი და პირველი თავმჯდომარე საქართველო-პოლონეთის კლუბისა.

განათლებლით ინჟინერ-არქიტექტორი, სერგო მოწოდებით უფრო პროზაიკოსი და პოეტი იყო. იგი რედაქტორობდა მის მიერვე დაარსებულ ჟურნალს “აღმოსავლეთის ხმა”, რომელშიც ფსევდონიმ “ტაიფუნის” გამოყენებით მრავალ სტატიასა თუ ლექსსაც წერდა. პოლონეთში გამოიცა მისი პოეზიის რამდენიმე კრებული, ისეთები, როგორც არის: “მთვრალი ვარდი”, “ტალღა” და ასევე ნოველები, მოთხრობები და ესსეები.

შეიძლება ითქვას, რომ სერგო ყურულიშვილმა პოლონეთში საკმაოდ კარგად მოიწყო ცხოვრება. მან ისიც კი შეძლო, რომ საქართველოდან თავისი ძმა, ვანოც ჩამოიყვანა. მალე სერგო პოლონელ ქალზე, მარიაზე დაქორწინდება. ბიძა უაღრესად განათლებული და ცოდნის მრავალი სფეროთი დაინტერესებული ადამიანი იყო. ეს მას ხელს უწყობდა, რომ ნაცნობ-მეგობრები მხოლოდ ქართველთა შორის როდი ჰყოლოდა. ამასთან, როგორც მამაჩემის გადმოცემიდან ვიცი, სერგო უაღრესად დაუღალავი და მოძრავი ადამიანი ყოფილა.

იგი თურმე ძალიან იყო დანატრებული თავისი სამშობლოს ხილვას და თავის ამ მონატრებას აქტიური შემოქმედებით და ქართველთა კლუბში მეტად დამაბული მუშაობით იკლავდა. მისი სახლიც ყოველთვის სავსე იყო ქართველი სტუმრებით, რომლებიც მის მსგავსად ასევე საქართველოს გახსებენით იკლავდნენ მისი ნახვის ჟინს.

სერგო ყურულიშვილი ყოფილა საშუალო ტანის, წელში ოდნავ მოხრილი მამაკაცი. მის შესახებ 1925 წელს “დილის ექსპრესი” წერდა: “იქნებ ბრბოდან ვერც გამოგერჩიათ, რომ არა მისი შავი და ანთებული თვალები- - -“.

სერგო ტრაგიკულად დაიღუპა 1925 წლის 25 მარტს დღის სამ საათზე.....იგი “ნოვი შვიატ”-ის (ვარშავის ცენტრი – ა. გ.) ერთ-ერთ კაფეში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა სტეფან ლიკიერნიკმა, მხატვარ ელენე სას-ვოიციცკის ეჭვიანმა ქმარმა. მხატვარი ქალი და ბიძაჩემი ერთმანეთის ახლო მეგობრები ყოფილან. უაზრო, ყოვლად გაუმართლებელი მკვლელობა. ბიძა სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა, 34 წლისაც არ ყოფილა მაშინ...

სერგო ყურულიშვილი დაკრძალულია ოჯახურ სამარეში, ვოლსკის მართლმადიდებლურ სასაფლაოზე. დღემდე შემონახულია მისი ლექსები და პოემები, ფოტოგრაფიები და მისი ნაქონი მრავალი ნივთი. დროდადრო ვათვალიერებ მათ, ინტერესდებიან მისით ჩემი ბიჭებიც. 19 წლის სერგოს საქართველოს ისტორიაც ძალიან აინტერესებს. მე ვცდილობ გადავცე შვილებს ის, რაც მე თავად დამრჩა მეხსიერებაში მამაჩემის მონაყოლიდან, მონაყოლიდან ახალგაზრდაქართველის შესახებ, რომელიც სავსე იყო ენერგიითა და ფანტაზიით და

ასევე იმის დაუოკებელი სურვილით, რომ პოლონეთში პატარა საქართველო შეექმნა. მან ეს ვერ შეძლო. ვეცდებით, რომ ეს მე და ჩემმა შვილებმა შევძლოთ.

3. სერგო ყურულიშვილი - საქართველო ბოლშევიკთა უღელქვეშ

საქართველოზე თავდასხმის სამწუხარო შედეგები ნათლად წარმოგვიდგენს იმ მეთოდის სახეს, რომელსაც ბოლშევიკები თავიანთი მიზნების მისაღწევად იყენებდნენ. ამიტომ ეს მეთოდები საგულდაგულოდ უნდა იქნეს შესწავლილი, ხოლო დასკვნები გაფრთხილებად უნდა იქცეს ბოლშევიკური რუსეთის მეზობელი ქვეყნისათვის, რათა მათ შეძლონ თავიანთი დამოუკიდებლობისა და სუვერენული უფლებების დაცვა.

ყველაზე არსებითი და, როგორც მე მგონია, ერთადერთი დამსახურება ისტორიის წინაშე რუსეთის რევოლუციისა ის იყო, რომ მან დაანგრია ისეთი ხალხთა საპრობილეს კედლები, როგორსაც მეფის რუსეთის იმპერია წარმოადგენდა. მშვენიერი ლოზუნგებით მცირე ხნით თრობის შემდგომ, რომელთა რეალობად გადაქცევასაც ვერ ეღირონ თავისუფლებაწარმეული ხალხები, მათი ბუნებრივი განვითარება უხეში ძალით იყო შეჩერებული. ამიტომ კვლავ დაპრობილმა ხალხებმა, უპირველეს ყოვლისა, იწყეს მოთხოვნა თავისუფლებისა, იმ თავისუფლებისა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, და რომლის გარეშეც ისინი დაკარგავდნენ ინდივიდუალურ სახეს.

ძალზე მნიშვნელოვანია იმპერიის ხალხების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სისხლიანი ისტორია. იგი ნათლად მოწმობს იმას, თუ როგორი ცხოველია თავისუფლების იდეა და ასევე იმასაც, თუ როგორი სისხლის მორევს წარმოადგენდა ის სახელმწიფო, რომელსაც მსოფლიოში რუსეთის იმპერიის სახელით იცნობენ.

1917 წლის ოქტომბერში პეტერბურგში ხელისუფლება დაამხეს ეგრეთწოდებულმა ბოლშევიკებმა, რომლებიც ამჟამად მუშაობენ “უდიდესისა და განუყოფელის” აღდგენისათვის. მაშინ კავკასიელი სახელმწიფო სათათბიროს დელეგატები, რომლებიც ვერ ხედავდნენ ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის შესაძლებლობას, თბილისს დაბრუნდნენ და ამიერკავკასიის სეიმი მოიწვიეს. სეიმი შედგებოდა ამ ხალხებით დასახლებული მხარის გამოჩენილ საზოგადოებრივი მოღვაწეებისაგან. სეიმის მოწვევა იყო მცდელობა რევოლუციური მოძრაობის მიმართვისა ევოლუციის გზით. ოღონდ, სეიმის რამდენიმე სხდომის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ამ ორგანოს ასეთი ჭრელი შემადგენლობით არ შეეძლო მოეგვარებინა რომელიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, განსაკუთრებით კი, ამიერკავკასიის ერებისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების საკითხის დაყენების გარეშე შეუძლებელი იყო სეიმს დაეწყო ნამდვილი შემოქმედებითი საქმიანობა.

ამ გზას პირველი საქართველო დაადგა, რომლის მოქალაქეებიც შედარებით მაღალი ეროვნული თვითშეგნებით გამოირჩეოდნენ. მართლაც, საქართველომ 1918 წლის 26 მაისის აქტით გამოაცხადა სახელმწიფო დამოუკიდებლობა. მის მაგალითს მიბაძეს ამიერკავკასიის დანარჩენმა ქვეყნებმაც. 2 დღის შემდეგ დამოუკიდებლობა გამოაცხადა თათრების რესპუბლიკამ - აზერბაიჯანმა და ასევე სასომხეთმაც.

აქედან იწყება ამ სამი რესპუბლიკის დამოუკიდებელი არსებობა. მათ ერთდროულად დაიწყეს საკუთარი სახელმწიფო მშენებლობა და 2 წლის განმავლობაში მნიშვნელოვან შედეგებსაც მიაღწიეს.

ქართველებს სათავეში ჩაუდგნენ გამოჩენილი მოღვაწენი, რომელთაც საქმიანობას უადვილებდა ქართველთა მაღალი ეროვნული თვითშეგნება. საქართველოს ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხებს შორის თავისი ინტელიგენციის მრავალრიცხოვნობით შეეძლო ეამყა. სხვა მიმართულების გაზეთების კრიტიკასა და მუქარაზე, რომ “ყველა საშუალებას” გამოიყენებდნენ მეორე ინტერნაციონალიდან ქართველ სოციალ-დემოკრატთა გამოძევებისათვის, ყურადღების მიუქცევლად ამ პარტიას ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვევია დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის გზიდან.

მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნა, რათა უკუეგდო ქვეყნისათვის საშიში რუსული არმიის ტალღა, რომელიც სამხრეთის ფრონტიდან ბრუნდებოდა.

საბედნიეროდ, სოციალ-დემოკრატებმა კარგად გაართვეს თავი ამ ამოცანას. ამ ჯარებისაგან გადასარჩენი იყო მხოლოდ თბილისი, რადგან ქვეყნის დანარჩენ ნაწილს საიმედოდ იცავდა მისი მთიანი რელიეფი. თბილისი კი, მართლაც, განსაკუთრებით საშიშ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სახელდობრ, იქ უერთდებოდა ყარსის რკინიგზა ბათუმ-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალს.

მაშინ თბილისი განადგურებისაგან გადარჩა ქართველ ჯარისკაცთა გულადობის, პატრიოტიზმის და, ასევე ხელისუფლების მხრიდან გონივრული გადაწყვეტილებების წყალობით. მაშინ სარკინიგზო გადასახვევი გადატანილი იქნა თბილისიდან 10 კერსის დაშორებით და, ამგვარად, გადარჩა როგორც ქალაქი, ასევე ორთქლმავლებისა და ვაგონების მნიშვნელოვანი ნაწილიც მაშინ, როდესაც, მაგალითად, აზერბაიჯანში არსებული 450 კერსის სიგრძის რკინიგზიდან არ გადარჩენილა არც ერთი სარკინიგზო ნაგებობა, არც ერთი ორთქლმავალი თუ ვაგონი.

ძირითადი სამხედრო ძალა, რომელსაც ეყრდნობოდა საქართველოს ხელისუფლება, იყო ეროვნული გვარდია: იგი ჩამოყალიბდა რევოლუციის პირველ დღეებშივე დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. შეიქმნა რეგულარული არმია, რომელიც სავალდებულო წესით იკრიბებოდა. ეს ორივე სამხედრო

ფორმირება დარჩენილია დღემდე, თანაც, ეროვნული გვარდია წარმოადგენს უაღრესად ცხოველ ორგანიზაციას, რადგანაც მისი ფორმირების უმთავრესი პრინციპი ეფუძნება საკუთარი სურვილით სამსახურს, რაც ხელს უწყობს მის რიგებში განსაკუთრებით მაღალი ეროვნული თვითშეგნების მქონე ადამიანების გაერთიანებას.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ხელისუფლებამ მოიწვია დამფუძნებელი კრება, რომელიც შედგებოდა ყოფილი ამიერკავკასიის სეიმის დეპუტატთაგან, ხოლო “კრების” პარლამენტის წევრთაგან შექმნა მინისტრთა კაბინეტი. პარლამენტი შეუდგა გამაღებულ მუშაობას კანონების შექმნისათვის, დაწყებული კანონით “სახელმწიფო ენის” შესახებ. დაიწყო ასევე მუშაობა კონსტიტუციაზე. მას მცირე ხნით მოუწია მოღვაწეობა, რადგან კონსტიტუციური პარლამენტის შედგენის შემდგომ იგი დაიშალა. კონსტიტუციური პარლამენტის მუშაობაც უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა. პირველი მიღებული კანონები, რომელთაც მყისიერად მისცეს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ეროვნული ხასიათი, იყო: კანონი თვითმმართველობის შესახებ, აგრარული კანონი და ასევე, კანონიერი ხასიათის მინიჭება სენატისათვის, რომელიც წარმოადგენდა უმაღლეს სასამართლო დაწესებულებას. სენატს დაევალა, აგრეთვე, სისხლის სამართლის კოდექსისა და სამოქალაქო კოდექსის მიღებაც.

ამიერკავკასიის ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებს შორის დემოკრატიულმა საქართველომ თავიდანვე განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. ეს განსაკუთრებულობა განპირობებული იყო იმით, რომ საქართველოში უმთავრეს როლს თამაშობდა სოციალ-დემოკრატიული პარტია. ამ პარტიამ შეიმუშავა საკუთარი პროგრამა, რომლის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნები იყო ყველა ერის წარმომადგენელთა შორის ტელერანტობა და სოლიდარობა. საქართველოს დემოკრატია, რომელსაც ამყარებდა სოციალ-დემოკრატიული პარტია, წარმოადგენდა ნეიტრალურ, ანგარიშგასაწევ ძალას მაშინ, როდესაც სომხები და თათრები ძველი დროიდანვე ერთმანეთს ებრძოდნენ. ისტორიამ სწორედ ამ პარტიას დააკისრა ამოცანა ასეთ რთულ დროს გაეერთიანებინა ამიერკავკასიის დემოკრატიული ძალები. მასვე დააწვა ზურგზე ამიერკავკასიის პოლიტიკური მოწყობის ამოცანის მთელი სიმძიმეც. რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალების მოხდენის შემდეგ, როდესაც ამიერკავკასიის ჩრდილოეთთან კავშირი გაწყვეტილი აღმოჩნდა, ქართული დემოკრატია იძულებული გახდა თავის თავზე აეღო იმ ნაბიჯის ინიციატივა, რომელიც, მისი შეხედულებით, აუცილებელი იყო არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი ამ მხარის გადასარჩენად. ამ ნაბიჯებზე პასუხისმგებლობის თავიდან აცილება მას არც უცდია ისტორიის წინაშე. საჭირო იყო უაღრესი გაბედულება და ძალისხმევა, რათა დაეცხრო ერთაშორისი ზიზღი ამიერკავკასიაში, გაეერთიანებინა ყველა ხალხები და მათი ძალა მიემართა კარს მომდგარი საფრთხისა და შიდა ანარქიის თავიდან ასაცილებლად. საქართველოს

რესპუბლიკის შინაგანი პოლიტიკა წარმოადგენდა ამიერკავკასიის პოლიტიკის ერთგვარ ლოგიკურ გაგრძელებას.

მთელი ამ ხნის განმავლობაში კომუნისტებიც ფხიზლად იყვნენ და გულმოდგინედ სწავლობდნენ ვითარებას საქართველოში. მათ შენიშნეს, რომ სოციალური სახელმწიფოს მშენებლობა მათგან სრულიად განსხვავებული მეთოდებით ხდებოდა და ეს ძალიან ეჩხირებოდა თვალში. სამწლიანმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ქართველი კომუნისტების გავლენა საქართველოს სახელმწიფოზე ყოველთვის უკავშირდებოდა ქვეყნის გარეთ არსებულ ძალებს. ძლიერი გარე გავლენის დროს, როდესაც საქართველოში მრავალი ფრონტი წარმოიქმნა, მაშინ, როდესაც ჩვენი ყურადღება გადატანილი იყო საზღვრებისაკენ, ისინი იწყებდნენ მუშაობას და ყოველგვარი მეთოდების გამოყენებას, რათა შიგნიდან გაენადგურებინათ მათთვის საძულველი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სტრუქტურები. საქართველოს თითქმის ყოველი მხრიდან შემოერთცა რუსული შიხტების წრე. ჩვენს გარშემო მღელვარებდა ანარქიის, ნგრევისა და ძალადობის ზღვა. თავისუფლება ჩანასახშივე იყო ჩაკლული მოძალადე იმპერიალისტთა მიერ.

საქართველოში გასატარებელი საბჭოური პოლიტიკის პრინციპები მოცემული იყო ლენინის ინსტრუქციებში, რომელიც გადმოეგზავნა “რევკომის” თავმჯდომარეს მახარაძეს; ეს პრინციპები მოცემული იყო ასევე, ლენინის წერილში რუსეთის წარმომადგენელ ორჯონიკიძისადმი და ინსტრუქციაშიც თავისი კომენტარებით, რომელიც გამოსცა IX არმიის პოლიტსამმართველომ.

ყველა ეს მითითებები შეიძლება შემდეგი სახით გადმოიცეს:

1. საქართველო არის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო და იმყოფება რუსეთთან ძმურ კავშირში. საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.
2. ლენინი მოითხოვდა სასწრაფოდ შექმნილიყო საქართველოს წითელი არმია მუშებისა და გლეხებისაგან.
3. რუსეთის წითელი არმია მხოლოდ დროებით დარჩებოდა საქართველოში მანამდე, ვიდრე შეიქმნებოდა ანალოგიური, წითელი ქართული არმია.

ლენინი იძლეოდა რჩევას, ფართო პროპაგანდა გაეწიათ და ხალხისათვის აეხსნათ ის განმანთავისუფლებელი მიზნები, რომლებსაც წითელი არმია ისახავდა. ამიტომ წითელარმიელებისაგან მოითხოვდა წესიერ სამსახურს, ანგარიშსწორებაზე ხელის აღებას, უკრძალავდა საცხოვრებელი სახლების თვითნებურ დაკავებას, სასურსათო პროდუქციის რეკვიზიციას და ა. შ.

ლენინი ძალიან პრინციპულად მოითხოვდა რუსეთის არმიისაგან, პატივისცემით მოპყრობოდნენ ქართველ ხალხს. ამის შესახებ არმიის ყველა სტრუქტურას და სპეციალურ რაზმებს დაუყოვნებლად ეძლეოდათ შესაბამისი დირექტივები, რომელთა დამრღვევებსაც პასუხისმგებლობაში აძლევდნენ. მას პირადად უნდა მოხსენებოდა ასეთი დარღვევების ცალკეული შემთხვევები.

4. ლენინის შეხედულებათა თანახმად, საქართველოს "შინაგანი" და გარეგანი პირობები ქართველი კომუნისტებისაგან მოითხოვდა "რუსული შაბლონისთვის" თავის არიდებას და სპეციფიკური ტაქტიკის შემუშავებას, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო გარკვეული დათმობები წვრილბურჟუაზიული ელემენტების მიმართ. ლენინი გარკვეულ დათმობებზე წასვლას მოითხოვდა, ასევე, ქართველი ინტელიგენციისა და წვრილი ვაჭრების მიმართაც. რაც შეეხება ამ უკანასკნელთ, ლენინის აზრით, არათუ არ უნდა მოეხდინათ მათი ქონების ნაციონალიზაცია, არამედ პირიქით, უნდა შექმნილიყო ისეთი პირობები, რომელიც გააუმჯობესებდა წვრილი ვაჭრების მდგომარეობას და მისცემდა მათ შესაძლებლობას თავიანთი საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის.

5. ლენინი მოითხოვდა აგრეთვე, აუცილებლად გამონახულიყო შესაძლებლობა და მიღწეულიყო გარკვეული კომპრომისი ჟორდანიას ბლოკთან, თუ სხვა ანალოგიური მიმართულების ქართველ პოლიტიკოსებთან, რომლებიც ჯერ კიდევ რევოლუციამდე არ ყოფილან წინააღმდეგენი საქართველოში, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, საბჭოთა სისტემის დამყარების იდეისა.

6. ლენინის ინსტრუქციების თანახმად, იდეოლოგიური მუშაობის სიმძიმე გადატანილი უნდა ყოფილიყო კომუნისტური პარტიის გაძლიერებაზე, ადგილობრივი პარტიული უჯრედების შექმნაზე, და ამ მიმართულებით ფართო ინიციატივის გამოჩენაზე.

ლენინის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მითითება ქართველი კომუნისტების მიერ უსიტყვოდ იქნა შესრულებული, რასაც მას უდასტურებდნენ ტელეგრამები, გაგზავნილი ორჯონიკიძის, ორახელაშვილის და ელიავას მიერ.

საქართველოში საბჭოურ-რუსული სისტემა მისი პრაქტიკაში დანერგვისას, შერბილებული იქნა ზოგიერთი შემდეგი ფორმალური ღონისძიებების გატარებით:

1. სრული ამნისტიის გამოცხადებით წინა მთავრობის ყველა წევრის და ყველა პარტიის მიმართ, რომლებიც იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ; ამნისტია შეეხო ცალკეულ ცნობილ ქართველ მოღვაწეებსაც (იხ. სსსრ რევოლუციური კომიტეტის დეკრეტი, 1921 წლის 25 თებერვალი).

2. შეწყდა ტერორი. მაგალითად, ბათუმში მხოლოდ ორი ადამიანი იქნა დაპატიმრებული, რომლებიც მალევე გაანთავისუფლეს.

მხოლოდ ყოფილი რუსი ჯარების ოფიცრების რეპრესიები არ შეწყვეტილა; განსაკუთრებით დიდ სიმკაცრეს იჩენდნენ დენიკინისა და ვრანგელის ოფიცრების მიმართ. სამაგიეროდ, ქართული ჯარის მოსამსახურენი ან ადრინდელი მეფის ჯარების მოსამსახურენი, რომელთაც შემდეგ არ უბრძოლიათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ყოველგვარი სასჯელის გარეშე იყვნენ დატოვებულნი.

3. საბჭოთა დაწესებულებებში სამსახურისათვის მიიწვიეს ცნობილი და გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, რომლებიც არ მიეკუთვნებოდნენ კომუნისტურ პარტიას (მაგალითად, მენშევიკური მთავრობის ყოფილი კომუნიკაციების მინისტრი ამჟამად ხელმძღვანელობს ბათუმის “რეკომის” ერთ-ერთ განყოფილებას, ფინანსთა ყოფილი მინისტრი, კანდელაკიც იქვე უძღვება მიწათმოქმედების განყოფილებას).

4. საქართველოს “რეკომმა” საზეიმოდ გამოაცხადა, რომ აუქმებდა ყოველგვარ “რეკვიზიტებს”, “რაზვიორსტკებსა” და ნატურალურ გადასახადებს სოფლის მოსახლეობისაგან; ‘დაე, გლეხებმა და ყველა მშრომელმა სრულიად დამშვიდებულებმა გააგრძელონ თავისი შრომა. საბჭოთა ხელისუფლება არა თუ არ ჩამოართმევს გლეხებს მათი შრომის ნაყოფს, არამედ, პირიქით, შეეცდება ხელი შეუწყოს მათ’ (რეკომის განცხადება, 1921 წლის 4 აპრილი).

5. წვრილი ვაჭრობის თავისუფლება. რკინიგზის ადმინისტრაცია და მისი ყოველი მომსახურე ვალდებული იყო დახმარება აღმოეჩინა იმ ადამიანებისათვის, რომელთაც ქალაქში სარეალიზაციოდ მიჰქონდათ პროდუქცია (ბათუმის რეკომის განკარგულება #3).

6. კერძო პირებს საგარეო ვაჭრობის ნება დაერთო.

თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოსკოვი ლენინის ამ მითითებების პრაქტიკაში განხორციელებას, იმ ფაქტიდანაც ჩანს, რომ აპრილის პირველ რიცხვებში საქართველოში გაგზავნილი იქნა სრულიად რუსეთის ცენტრალური ადმინისტრაციული კომიტეტის მდივანი ენუქიძე, რათა მას ადგილზე შეესწავლა, თუ როგორ სრულდებოდა საქართველოში ცენტრის ეს მითითებები და დირექტივები. ენუქიძემ დაადასტურა ამ მითითებების განხორციელების აუცილებლობა და საბჭოური სისტემის ცხოვრებაში დანერგვის საჭიროება.

ამრიგად, შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ბოლშევიკები ნამდვილად გულწრფელად ცდილობდნენ ცხოვრებაში გაეტარებინათ მოსკოვის მთავრობის ახალი ექსპერიმენტები. ეჭვგარეშეა ისიც, რომ არსებობდა სრული სოლიდარობა მოსკოველ და ქართველ კომუნისტთა ლიდერებს შორის.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, უახლესი ცნობების თანახმად, ცხადი ხდება, რომ საქართველოში ამ ექსპერიმენტმა ვერ გაამართლა და ბოლშევიკებმა ან უნდა გამოიყენონ ჩვეულებრივი “რუსული მოდელი”, ან ისინი ვერ შეინარჩუნებენ ხელისუფლებას.

ყოველგვარი დათმობა პოლიტიკურ არენაზე არათუ არ გამოიწვევს მათი ხელისუფლების გაძლიერებას, არამედ პირიქით, ბოლშევიკებისადმი მტრულ ძალებს შეკავშირების საშუალებას მისცემს. ბოლშევიკები კი, რომლებიც რიცხობრივად ძალზე მცირენი არიან, ცნობილ გარემოებათა გამო, რათა არსებობა შეინარჩუნონ, იძულებულები გახდებიან მიმართონ ტერორსა და ძალადობას.

ყოველგვარი შეღავათები სამეურნეო საქმიანობის სფეროში, ისეთი კომუნისტური მეთოდების არსებობისას, როგორებიცაა: მრეწველობის, კაპიტალის, საცხოვრებელი სახლების, მსხვილი ვაჭრობის განსახელმწიფოებრიობა, კერძო ინიციატივის ჩახშობა, შრომის მილიტარიზაცია, და ა. შ. შედეგად, მოიტანს არა ქვეყნის ეკონომიკურ მოძლიერებას, არამედ პირიქით, კომუნისტებისადმი მტრულად განწყობილი “წვრილკაპიტალისტური სტიქის” მომძლავრებას, ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ კი, არაჯანმრთელი სპეკულაციის წარმოშობას, ყველაზე დახვეწილი ფორმის იატაქვეშა წარმოების აღმოცენებას და ა. შ.

ამიტომ გასაკვირი როდია, რომ ყოველდღიურად უფრო მეტი და მეტი ძალადობის მოწმენი ვხდებით და უფრო ხშირად აქვს ადგილი იმის საწინააღმდეგო ქმედებებს, რასაც ლენინი მოითხოვდა თავის ინსტრუქციებსა თუ განკარგულებებში საქართველოსთან დაკავშირებით. რაც შეეხება საქართველოს, როგორც ერის დამოუკიდებლობას, ესეც მხოლოდ ქაღალდზე აღმოჩნდა დაურღვეველი.

ხელისუფლების რუსიფიკაცია ნელ-ნელა, მაგრამ განუწყვეტლივ მიმდინარეობს. თუმცა, ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში რუსული ენა ქართულის გვერდით არის შემოღებული, მაგრამ ყოველი სახის განცხადება იწერება მხოლოდ და მხოლოდ რუსულ ენაზე. სამხედრო დაწესებულებებში მხოლოდ რუსული ენაა გაბატონებული. სკოლებში მის სწავლებას სავალდებულო ხასიათი აქვს.

ეგრეთწოდებული “სოვნარკომის” ხელმძღვანელად დანიშნეს ბრომსკი, რკინიგზის უფროსად ინჟინერი მოლჩანოვი, ბათუმის რევიკომის წევრად - პევეცოვი, თბილისისა - სოკოლოვი, აჭარისა - ვოსოკინი და ა. შ. რუსეთის ყოფილ ელჩს საქართველოში, კიროვს, რომელიდაც მაღალი თანამდებობისათვის ამზადებენ, სამაგიეროდ, მოსკოვში გაიწვიეს ქავთარაძე, როგორც რუსი კომუნისტებისათვის არასაიმედო პიროვნება.

მასობრივ ტერორზე უარის თქმა და ადმინისტრაციული პერსონალის დატოვება თანამდებობაზე ოპოზიციურ პარტიებს მუშაობის საშუალებას აძლევს. ბოლო ცნობების თანახმად, ოპოზიციური პარტიები (მენშევიკები, ესერები და ა. შ.) ძალიან ბევრს მუშაობენ იმისათვის, რომ შეინარჩუნონ თავიანთი თანამდებობები და მოსკოვს რუსიფიკაციის საშუალება არ მისცენ. ეს პარტიები შეუპოვარ ბრძოლას აგრძელებენ ორი მიმართულებით: ჯერ ერთი, ორგანიზაციულ სფეროში ისინი ბოლშევიკების ჯაშუშურ სისტემას უპირისპირებენ თავიანთ კონტრორგანიზაციას, რის გამოც ყალბი “უჯრედების” შექმნაც კი უხდებათ, რომლებიც უპარტიო ადამიანებით ან ამ პარტიათა წარმომადგენლებით არიან დაკომპლექტებული. ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები ძალიან ხშირად ესწრებიან ბოლშევიკურ კრებებს და ზოგჯერ ჩაშლამდეც კი მიჰყავდათ იგი. ისინი აგიტაციას ეწევიან გლეხებს შორის, რათა მათ საბოტაჟი და ბოიკოტი გამოუცხადონ ბოლშევიკებს. თანახმად საქართველოს რევკომის განცხადებისა, ოპოზიციონერები ცდილობენ დაარწმუნონ გლეხები, რომ მათ არ დაამუშაონ მიწები და მინდვრების უმეტესობა დაუთესავი დატოვონ, რადგანაც მოსავალს მაინც კომუნისტები წაართმევენ. თუმცა, თავად გლეხებსაც არ სწამთ ახალი ხელისუფლებისა და ქალაქში აღარ მიაქვთ პროდუქცია სარეალიზაციოდ.

მუშებიც თანდათან ზურგს აქცევენ ბოლშევიკებს. მათზე უფრო და უფრო ძლიერდება მენშევიკების გავლენა. ამის შედეგად, ამ ბოლო დროს გამართული რკინიგზის საბჭოს არჩევნებით არჩეულთა უმეტესობა ანტიბოლშევიკური ძალები იყვნენ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება თანდათან გადადის საქართველოშიც კომუნისტური ტეროტის დანერგვაზე. შინაგან საქმეთა კომისარმა კვირკველიამ 5 აპრილს გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალითაც მომავალში აღარ დაინდობენ იმ პირებსა და ჯგუფებს, რომლებიც ნებისმიერი სახის აგიტაციას გასწევენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამავე კვირკველიამ განაცხადა, რომ “მუშათა და გლეხთა” ხელისუფლება იძულებული გახდება მიმართოს რეპრესიებს.

ლენინმა შეიტყო რა საქართველოში ნამდვილად არსებული ვითარების შესახებ, მოითხოვა ქართული რევკომისაგან, რომ მათ “დაედგინათ ყველა კონტრრევოლუციური ელემენტები და გაენადგურებინათ ისინი ისევე, როგორც ანტანტის მსახურნი”. ტეროტი ეკონომიკურსა და პოლიტიკურ სფეროშიც ბრძოლის აუცილებელ საშუალებად მოგვევლინა.

მწვავე სასურსათო კრიზისი ბაზრიდან საქონლის გაქრობამ გამოიწვია. საგანგებო მდგომარეობის თავმჯდომარის ცინცადის #3 განკარგულება, რომელიც სხვათაშორის მოითხოვს, რომ “ყოველი ვაჭარი, რომელსაც ამ განკარგულების გამოცემიდან სამი დღის გასვლის შემდეგ, აღმოუჩინენ გადამალულ საქონელს, დახვრეტილი იქნება. მასვე ჩამოერთმევა მთელი ქონება. ეს სასჯელი მიყენებული იქნება არა მხოლოდ თავად ვაჭრების მიმართ, არამედ იგი გავრცელდება მისი ოჯახის წევრებზეც, თუკი დადგინდება, რომ ისინიც მონაწილეობდნენ საქონლის

გადამალვაში”. დაპატიმრებულთა უმრავლესობას თბილისიდან და ბათუმიდან აგზავნიან ყაზბეგში, სადაც მათ მალულად ხვრეტენ.

გლეხებისადმი ის შეპირებაც, რომ საბჭოთა მთავრობა მათ ხელს შეუწყობდა შრომაში და მიღებულ მოსავალს არ წაართმევდა, მხოლოდ დაპირებად დარჩა. სიძნელეებმა, რომლებიც გამოწვეული იყო წითელი არმიის სურსათით მომარაგების საქმეში, აიძულა ხელისუფლება რეკვიზიცია მოეხდინა სოფლად არსებული სიმინდისა, რამაც დიდი მღელვარება გამოიწვია იმერეთში, სამეგრელოსა და აფხაზეთში.

ბოლო მონაცემების თანახმად, საქართველოს რევკომმა გამოაცხადა მთელი მიწების განსაზოგადოებრიობის შესახებაც. საგარეო ვაჭრობა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ნება დართულია კერძო პირებისათვის, მაგრამ ბოლშევიკური ბიუროკრატიაში ხელს უშლის ნებისმიერი ინიციატივის გამოვლენას ამ სფეროში. საქონლის შემოტანაზე ნებართვის მისაღებად აუცილებელად საჭიროა თბილისში არსებული საგარეო ვაჭრობის კომისარიატის დასტური. ეს ორგანიზაცია კი ნებართვას იძლევა მხოლოდ ისეთი საქონლის შემოტანაზე, რომელიც საჭიროა არა საქართველოსათვის, არამედ რუსეთისათვის, კერძოდ, მარცვლეულზე, შაქარზე და ა. შ.

ასეთ სიტუაციაში საქმიანობა მხოლოდ უცხოელ ვაჭრებს შეუძლიათ, მაგალითად, იტალიელებსა და შვედებს. ყველა იტალიური ფირმა დარჩა საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგაც. შვედურ ფირმებს “ბალტიკსა” და “აერიკ ვერკეს” ბათუმში სასოფლო-სამეურნეო იარაღების უდიდესი საწყობები გააჩნიათ და იმედი აქვთ, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანში შეძლებენ ამ საქონლის დიდი პარტიების რეალიზაციას.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ წამოიწყო ძალზე ენერგიული საქმიანობა თავისი გავლენის გასაფართოებლად და გასაძლიერებლად. კერძოდ, იგი ანხორციელებს ფართო ორგანიზაციას “უჯრედებისა” სამთავრობო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, არმიაში, ნებისმიერი სახის საწარმოში. გამართული აქვს ნამდვილი პროპაგანდული ვაკხანალია პრესისა თუ რადიოს საშუალებით. ფორმირებას უკეთებს “განსაკუთრებული დანიშნულების” კომუნისტურ რაზმებს, ყოველ ნაბიჯზე ატარებს “საბჭოური მშენებლობის” კურსებს და ა. შ. მეორეს მხრივ, ყოველმხრივ ცდილობს აღმოფხვრას ნებისმიერი სახის ანტიბოლშევიკური გამოსვლები სამთავრობო დაწესებულებებში.

კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა, რომ მის მიერ გაგზავნილი პარტიული მუშაკები დაუყოვნებლივ ყოფილიყვნენ მიღებული თანამდებობაზე.

საქართველოში არსებული სიტუაცია საშუალებას იძლევა გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. საბჭოთა ხელისუფლების მცდელობებმა, რომელსაც სურდა საქართველოში შეექმნა რაღაც გარდამავალი მდგომარეობა რუსეთსა და საზღვარგარეთს შორის, არ გაამართლა.
2. დასაწყისში რეპრესიებზე უარის თქმამ გამოიწვია ოპოზიციური მოძრაობის გაძლიერება და საბოლოოდ მაინც აიძულა საბჭოთა ხელისუფლება მიემართა ტერორის ჩვეული მეთოდისათვის.
3. ინტელიგენციას, სამხედროებს, გლეხებსა და მუშებს შორის ოპოზიციური განწყობილების გაძლიერება ჰქმნის უახლოეს მომავალში კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობას ამა თუ იმ ფორმით საბჭოთა ხელისუფლებასთან, მაგრამ ბრძოლა საბჭოებთან იქნება ძალზე ძნელი, რადგან მოსკოვი საქართველოში აყალიბებს უდიდეს სამხედრო საყრდენ ბაზას ახლო აღმოსავლეთში და ასევე სპარსეთში და ინდოეთში საომრად. რუსეთის მრავალრიცხოვანი ჯარისკაცები და უდიდესი რაოდენობის საბრძოლო ტექნიკა, ექვგარეშეა, გააძნელებს ან საერთოდ შეუძლებელს გახდის ქართველების ყოველგვარ ბრძოლას დამცრობლებთან.

ჩვენს წინაშე გადაიშალა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის ცოცხალი სახე. ცივილიზებული სამყარო კიდევ ერთხელ რწმუნდება, თუ რას ნიშნავს მშვიდობა საბჭოთა რუსეთთან, და რომ მასთან დადებული ხელშეკრულება არ იძლევა იმის გარანტიას, რომ იგი მეორე დღეს არ იქნება დარღვეული. მათთვის მშვიდობა საჭიროა იმდენად, რომ ყველას თვალი აუხვიონ. ბოლშევიზმი საფრთხეს წარმოადგენს ყველა განთავისუფლებული ხალხებისათვის და იმისთვის, რომ შეხვიდე მათთან რაიმე ურთიერთობაში, საჭიროა იყო ძალზე ფრთხილი და მომზადებული ყველანაირი გართულებებისათვის. ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ უკვე ამ ხნის მანძილზე. დემოკრატიის საზღვარგარეთული პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს, რადგან იგი მრავალ პირობებზეა დამოკიდებული. ქვეყნის შიდა სიტუაციებმა, სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულებამ და ასევე მისმა დამოკიდებულებამ მის გარშემო მყოფი ერების მიმართ, მსოფლიოში არსებულმა საერთო ფინანსურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს დემოკრატიული ხელისუფლების საგარეო პოლიტიკაზე. მაგრამ, თუ ეს ხელისუფლება არის ნამდვილად დემოკრატიული, თუ ვლადპარაკობთ ნამდვილად დემოკრატიულ პოლიტიკაზე - მაშინ მისი საფუძვლები უცვლელი რჩება. ჩაურევლობა სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, მათთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება, ურყევი ნება თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად, აი, ყოველი დემოკრატიული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პრინციპული ხაზი.

საქართველოს ბედი თვალსაჩინო მაგალითი უნდა იყოს, როგორც ევროპისა და ბალტიის სახელმწიფოთათვის, ასევე პოლონეთისათვის. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთი, იმისდა მიუხედავად, თუ როგორი იქნება იგი მომავალში, თეთრი, წითელი თუ ყვითელი, არასოდეს არ დათანხმდება თავისი ნებით ახალი სახელმწიფოების არსებობას, და, თუ დენიკინის ძირითადი ლოზუნგი იყო “რუსეთი - ერთიანი, განუყოფელი”, ბოლშევიკები, ლოზუნგით - ‘მთელი ძალაუფლება საბჭოებს’, იბრძოდნენ იმისათვის, რათა რუსეთისათვის დაებრუნებინათ დამოუკიდებლობა მოპოვებული ქვეყნები.

საქართველომ მძიმე ტრაგედია განიცადა. მისი საუკეთესო შვილები დაეცნენ საქართველოს და თავისუფლებისათვის გამართულ ბრძოლებში.

ჯერ კიდევ მცირე ხნის წინ მდიდარი ქვეყანა ოკუპანტებმა სრულ გადატაკებამდე მიიყვანეს. საქართველოში სიკვდილი უხვ მოსავალს იძვის, იქ გაბატონებულია მწუხარება, იღვრება სისხლი და ცრემლები.

უცხო, შორიდან მოსული ხალხი, რომელთათვისაც გაუგებარია ქართველი ხალხის სული, ამცირებს და ტალახით სვრის ერის წმინდა საგანძურს. გასისხლიანებული ხელებით იტაცებენ მის ბუნებრივ სიმდიდრეს. ხოლო ევროპა დუმს... მთელი სამყარო დაყრუებულია... მხოლოდ იქ, ამ გასისხლიანებულ, უბედურ ქვეყანაში არ სდუმან, იქ ბრძოლა მიმდინარეობს, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

ქართველ ხალხს არ შეუძლია შეურიგდეს ჯალათებს, იგი შურისძიების წყურვილითაა ავსებული და სწამს, რომ ღირსეული ანგარიშსწორების დრო მალე დადგება... სწამს, რომ თავისუფლების მზე მალე ამობრწყინდება.

საქართველოს დღეგრძელობისათვის, მისი ღირსებისა და ბედნიერებისათვის, ბრძოლაში გამობრძმედილი ქართველი ხალხი დგას, როგორც სალი კლდე და მთების ხეობებში სიკვდილს უმზადებს მომხდურთ, რომლებიც ახლა გულს უკოდავენ.

ჩვენ გავიმარჯვებთ.

ჩვენ ვიცოცხლებთ.

4. ლუცინა ყურულიშვილი

საქართველო-პოლონეთის საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრი ლუცინა ყურულიშვილი გარდაიცვალა 1994 წლის 1 სექტემბერს. იგი იყო ქართველი ემიგრანტის ვანო ყურულიშვილის (სერგოს ძმის, საქართველო დატოვა 1921 წელს), მეუღლე.

ვანო ყურულიშვილმა პოლონეთი თავისი დედა-სამშობლოსავით შეიყვარა. იგი თავდადებით იბრძოდა გერმანელთა წინააღმდეგ 1944 წლის ვარშავის აჯანყების დროს.. 1945 წელს, პოლონეთში საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ, ვანო ნკვდ-მ დააპატიმრა. იგი ჯერ რემბერტოვოს ბანაკში ჰყავდათ გამომწყვდეული, ხოლო შემდეგ ბრესტის ციხეში გადაიყვანეს. ახლობლების დიდი მცდელობის შემდეგ მოხერხდა მისი პოლონეთის უშიშროებისათვის გადაცემა. ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების გამო ვ. ყურულიშვილს ვარშავის ჰოსპიტალში მოათავსებენ. უშიშროების თანამშრომლები მას აქაც არ ტოვებენ უყურადღებოდ და მასთან ყოველდღე ცდილობენ “გასაუბრებას”. ჰოსპიტალის ერთ-ერთ ექიმთან ახლო ნაცნობობის შედეგად ვანომ ღამით შეძლო ჰოსპიტალის დატოვება და გაქცევა.

სტალინის სიკვდილის შემდეგ ვ. ყურულიშვილმა კვლავ გააგრძელა აქტიური საზოგადოებრივი მუშაობა, თუმცა უკვე ველარასოდეს შეძლო ჯანმრთელობის დაბრუნება.

ლუცინა ყურულიშვილი მაქსიმალურად ცდილობდა ოჯახში ქართული ტრადიციების დაცვას. როგორც ომამდე, ისე ომის შემდეგ მათ სახლში ხშირად იკრიბებოდნენ ქართველები და სამშობლოს საჭირბოროტო საქმეებზე საუბრობდნენ. ასეთი შეკრებების დროს მათ ყურულიშვილების ოჯახი მასპინძლობდა ქართული კერძებით. აქ მღეროდნენ ქართულ სიმღერებს და ცეკვავდნენ ლეკურს.

მიუხედავად ნკვდ-ს თუ პოლონეთის უშიშროების სამსახურების არაერთი შემოწმებისა, ლუცინა ყურულიშვილის ძალისხმევით შედეგად ამ ოჯახმა მრავალი ქართული ნივთი შემოინახა. პირველივე თვალის შევლებით შენიშნავდა ადამიანი, რომ აქ ვანო და სერგო ყურულიშვილების კულტი იყო გამეფებული.

ახლობლებისა და ნათესავების გადმოცემით, ლუცინა უაღრესად კეთილი გულის ადამიანი იყო. მან ორი შვილი - ქალიშვილი თამარი და ვაჟი - სერგო გამოზარდა. მან დიდი ზრუნვა გამოიჩინა ასევე 5 შვილიშვილისა და 2 შვილთაშვილის აღზრდაშიც.

5. ნიკოლოზ მათიკაშვილი - ქართველთა ნესტორი პოლონეთში

ნიკოლოზ (პოლონეთში მიკოლაი) მათიკაშვილი მთელი 70 წლის მანძილზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პოლონეთში. მან საქართველო 1921 წელს დატოვა, რის შემდეგაც იგი ჯერ თურქეთში ჩავიდა, ხოლო შემდეგ პოლონეთში მოხვდა, რომელიც მისი მეორე სამშობლო გახდა.

ნიკოლოზ მათიკაშვილი დაიბადა 1900 წლის 8 აპრილს კახეთში, საგარეჯოს რაიონში. მისი მშობლები იყვნენ ლავრენტი მათიკაშვილი და მარიამ გულისაშვილი-მათიკაშვილისა.

ნიკოლოზ მათიკაშვილი თითქმის თანატოლი და ახლო ნათესავი იყო გამოჩენილი ქართველი პოეტის და მწერლის გიორგი ლეონიძისა (გ. ლეონიძის დედა გულისაშვილი იყო – ა.გ.). მან საშუალო სკოლა თბილისში დაამთავრა და უკვე დამოუკიდებელ საქართველოში დაიწყო უმაღლესი განათლების მიღება აგრონომიული განხრით. მაგრამ მცირე ხნის სწავლის შემდეგ მიხვდა, რომ სამშობლოს თავისუფლების შენარჩუნებისათვის მეომრები უფრო საჭირო იყვნენ, ვიდრე აგრონომები, ამიტომ მან თავი დაანება აგრონომიის შესწავლას და საოფიცრო სკოლაში შევიდა. სამწუხაროდ ნიკოლოზს არც მისი დასრულება დასცალდა, რადგან უკვე 1921 წელს ბოლშევიკები ომის გამოცხადების გარეშე დაესხნენ თავს საქართველოს.

მიუხედავად იმისა, რომ მომხდურ მტერსა და სამშობლოს დამცველ ქართველთა შორის აშკარა რიცხოვნული განსხვავება იყო, მცირერიცხოვანმა ქართულმა საჯარისო ნაწილებმა შეძლეს თვეზე მეტი ხნის განმავლობაში შეეკავებინათ მტერი, თუმცა ბოლოს იძულებულები შეიქმნენ უკან, ბათუმისაკენ დაეხიათ. თავის ჯართან ერთად ბათუმში ჩავიდა დემოკრატიული საქართველოს მთავრობაც.

იმ საჯარისო ნაწილებში, რომლებმაც სხვებთან ერთად შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს, იყვნენ თბილისის საოფიცრო სკოლის კურსანტები – იუნკრებიც. მათ შორის იყო ასევე ნიკოლოზ მათიკაშვილი.

ბათუმის კაპიტულაციის შემდეგ 1921 წლის 18 მარტს რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად საქართველო სამხედროებმაც დატოვეს და ემიგრაციაში წავიდნენ.

თავდაპირველად საოფიცრო სკოლამ ბინა საბერძნეთში დაიძო, მაგრამ მალე, ამ ქვეყანაში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების გამო, სკოლა აქაც დაიხურა. ახალგაზრდა კურსანტები და მათთან ერთად ქართველი მაღალჩინოსანი ოფიცრების ნაწილი პოლონეთმა მიიწვია როგორც სასწავლებლად, ისე თავის საჯარისო ნაწილებში კონტრაქტით სამსახურისათვის. ამ ღონისძიების უშუალო ინიციატორი და მეთვალყურე იყო თავად ამ ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელი იუზეფ პილსუდსკი. სწორედ ამით იყო განპირობებული ის, რომ ნიკოლოზ მათიკაშვილი, მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის ბოლო დღეებამდე (მან კი არც თუ ისე ცოტა, 93 წელზე მეტი იცოცხლა) უდიდესი სითბოთი და სიყვარულით იხსენებდა მარშალ პილსუდსკის (“ეს იყო თავისი თანამემამულეების მიერ სათანადოდ დაუფასებელი გენიოსი” – იტყვის თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში ნიკოლოზ მათიკაშვილი პილსუდსკის შესახებ).

1922 წლის ზაფხულში ნიკოლოზ მათიკაშვილი თავის მეგობრებთან ერთად ვარშავის ოფიცერთა სკოლაში გააგრძელებს სწავლას, რომელსაც ერთი წლის შემდეგ დაასრულებს კიდევაც. მალე იგი პოდპორუჩიკის ჩინით კონტრაქტის საფუძველზე პოლონეთის არმიაში იწყებს სამსახურს. 1930-32 წლებში ნ. მათიკაშვილი ვარშავის უმაღლეს სამხედრო სკოლაში სწავლობს.

როდესაც 1921 წელს იუნკრები სამშობლოს სტოვებდნენ, ისინი მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მალე დაბრუნდებოდნენ თავისუფალ საქართველოში. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. პოლონეთი, რომელმაც ნ. მათიკაშვილი შეიფარა და როგორც მას ეგონა, დროებით, მისი მეორე სამშობლო გახდა. აქ მიიღო მან სამხედრო განათლება და აქვე შექმნა ოჯახი, შეირთო რა ცოლად ვარშაველი მრეწველის ქალიშვილი.

1939 წლის პირველ სექტემბერს მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. ნ. მათიკაშვილი კაპიტნის ჩინით ლვოვში იწყებს სამხედრო სამსახურს. იგი შტაბის უფროსის ადიუტანტია. ამ ომში ნიკოლოზი მძიმედ დაიჭრება და გერმანელებს ჩაუვარდება ხელში.

ომის დასრულების შემდეგ იგი კვლავ პოლონეთის ჯარში აგრძელებს სამსახურს. ამასთან, იმ მიზეზით, რომ მან კარგად იცოდა რუსული ენა, გენერალ შვიერჩევსკის შტაბში განამწესებენ, სადაც მრავლად მსახურობდნენ საბჭოთა მრჩეველები. მაგრამ მალე პოლონეთში დაიწყება პოლიტიკური კამპანიის ახალი ტალღა, რომლის დროსაც საექვო რეპუტაციის ოფიცრებს სამხედრო სამსახურიდან გაათავისუფლებენ. მათ შორის მოხვდება კაპიტანი მათიკაშვილიც. მას უარს ეტყვიან მაიორის წოდებაზე, რაზედაც მცირე ხნის წინათ იყო წარდგენილი და პენსიაზე გაუშვებენ. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ბედს უმადლის, რადგან ... მისი ახლო მეგობარი ოფიცერი კვალიაშვილი რამდენიმე წლით გადაასახლეს ციმბირში.

გადის წლები. პოლონეთში მდგომარეობა ამ სფეროში პოზიტიურად იცვლება. მიუხედავად ამისა, ნიკოლოზ მათიკაშვილი სამხედრო სამსახურს აღარ უბრუნდება. იგი ამ დროისათვის უკვე ოჯახურ იდილიაშია ჩამირული, ცოლთან ერთად დიდ, ბაღიან სახლში ცხოვრობს. სახლი სავსეა წიგნებით (რომელთა შორისაც მრავლადაა ქართული წიგნები) და ჟურნალებით.

ნ. მათიკაშვილი მეტად ენერგიული ადამიანი იყო. ცხოვრების მრავალი სფერო იწვევდა მის დაინტერესებას – მუსიკა, პოეზია, პუბლიცისტიკა, თარგმნიდა ქართულიდან პოლონურად და ა. შ. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იგი გამუდმებით ცდილობდა საქმის კურსში ყოფილიყო ყველა იმ მოვლენის შესახებ, რომლებიც საქართველოში ხდებოდა. თავისი გამოჩენილი ნათესავის, გიორგი ლეონიძის დახმარებით იგი საქართველოდან სისტემატიურად იღებდა წიგნებს, ჟურნალებს და გაზეთებს. მისივე მიწვევით ნ. მათიკაშვილს საშუალება მიეცა რამდენჯერმე სტუმრებოდა საქართველოს.

ნ. მათიკაშვილი უაღრესად იყო დაფასებული თავის მეორე სამშობლოში. იგი იყო ორიენტალისტური საზოგადოების მრავალგზისი თავმჯდომარე, მისი წერილები ხშირად იბეჭდებოდა ამ საზოგადოების ჟურნალ "ორიენტალისტურ მიმოხილვაში". 1970 წელს ამ ჟურნალში დაიბეჭდა, მაგალითად, "საქართველოს მუსიკალური კულტურა", რუსთაველის "ვეფხვის ტყაოსანი" და ა. შ. თავის ადრე გარდაცვლილ მეგობარ მიხეილ კვალიაშვილთან ერთად მრავალი წლის განმავლობაში აგროვებდა მასალებს მომავალი წიგნისათვის, რომელიც თბილისის ოფიცერთა სკოლას მიემდგნა. 1988 წელს ეს ნაშრომი მართლაც დაიბეჭდა პარიზში, ქართულ ჟურნალ "ივერიაში", 1990 წელს კი, როგორც დამოუკიდებელი წიგნი, სათაურით "იუნკრები" თბილისშიც გამოიცა.

თუმცა თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში მოხუცებულობისა და ავადმყოფობის გამო ნ. მათიკაშვილი უკვე იშვიათად სტოვებდა თავის საცხოვრებელ ბინას, მაგრამ იგი მაინც შეძლებისდაგვარად მონაწილეობდა ყველა იმ ღონისძიებაში, რომელთაც ვარშავაში აწყობდა საქართველო-პოლონეთის საზოგადოება: ეს იყო უბრალო შეხვედრები თუ საზეიმო შეკრებები, იუბილეები, სტუმრობდა გამოფენებს, მონაწილეობდა დისკუსიებში და ა. შ. 1992 წლიდან იგი ამ საზოგადოების საპატიო თავმჯდომარეც იყო.

როდესაც 1991 წელს ნ. მათიკაშვილი ინტერვიუს აძლევდა გაზეთ "გაზეტა სტოლიჩნას", მოულოდნელად ახლო მომავალში თავისი გარდუვალი სიკვდილის შესახებ ალაპარაკდა. ეს აზრი არც შემდგომში სტოვებდა მის არსებას. ამიტომ იყო, რომ თავისივე სიცოცხლეშივე დაანაწილა მთელი თავისი მდიდარი მემკვიდრეობა: ნაწილი ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ინსტიტუტს გადასცა, ხოლო ნაწილი თბილისის სამეცნიერო დაწესებულებებს გამოუგზავნა (როგორც ცნობილია, ნ. მათიკაშვილმა თავისი უმდიდრესი ბიბლიოთეკის უდიდესი ნაწილი მეორე მსოფლიო ომის დროს დაკარგა). მაგალითად, თბილისის ლიტერატურულ მუზეუმში ცალკე არის გამოყოფილი ნიკოლოზ მათიკაშვილის კოლექცია და ა. შ.

ნ. მათიკაშვილი საკუთარ სახლში, ვარშავის გარეუბან ზალესიეში გარდაიცვალა. მისი სასახლე, რომელზედაც ქართული დროშა იყო გადაფარებული, ვარშავის ბროდნოვსკის სასაფლაოზე იყო დასვენებული.

6. ალექსანდრე გომიაშვილი - მოკლე ბიოგრაფია

ალექსანდრე გომიაშვილი დაიბადა 1897 წელს სანქტ-პეტერბურგში. იგი აღიზარდა თბილისსა და გურჯაანში, სადაც მამამისი ვენახებსა და ღვინის სარდაფებს ფლობდა.

ალ. გომიაშვილის ოჯახი ზაფხულობით ხშირად იმყოფებოდა სანქტ-პეტერბურგში; მისი მამა ხომ ღვინით ამარაგებდა მეფის ბიძას_ბრწყინვალე თავადს,

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს. გომიაშვილები იმპერიის დედაქალაქში ფლობდნენ ღვინის საწყობებს და ასევე სავაჭრო სახლს ნევის პროსპექტზე.

I მსოფლიო ომის დროს ალექსანდრე რუსეთის ბახჩისარაის კავალერიის პოლკში მსახურობდა. ომის ბოლოს გერმანელთა ტყვეობაში მოხვდა. ომის დასრულებისას აღმოჩნდა პოლონეთში, სადაც დაქორწინდა ირინა კურდვანოვსკაზე (მასთან შეეძინება ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი). პოლონეთში ალექსანდრე თავისი სურვილით შედის ერთ-ერთ ცნობილ სამხედრო პოლკში. ბრძოლებში თავის გამოჩენისათვის მას აჯილდოებენ. ომის დამთავრების შემდეგ ალ. გომიაშვილი ამთავრებს პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტს. მისი დასრულების შემდეგ იგი ჯერ მუშაობს როგორც ჟურნალისტი ჟურნალ “სიმართლის ხმაში”, ხოლო შემდეგ დაიწყებს სიმამრის საწარმოში მუშაობას, როგორც დირექტორი, ჯერ სიმამრთან ერთად, შემდეგ, სიმამრის გარდაცვალების შემდგომ, დამოუკიდებლად. ალ. გომიაშვილი ითვლება ვარშავაში ყავის ბარების ერთ-ერთ პირველ დამაარსებლად. ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას; კერძოდ, 30-იან წლებში იყო ქართველთა კომიტეტის თავმჯდომარე პოლონეთში. 1939 წლის სექტემბრიდან გერმანელებს ემალებოდა და ამის გამო, ხშირად უხდებოდა საკუთარ ბნელ სარდაფში ცხოვრება. ამის შედეგად იგი დაავადმყოფდა და მალე გარდაიცვალა კიდევ. დაკრძალულია ვარშავის სამხედრო სასაფლაოზე. ალექსანდრე გომიაშვილის მთავარ ქმნილებას მიეკუთვნება ნაშრომი: “საქართველოს სახელმწიფოს ამოცანები საერთაშორისო სამართლის შუქზე”, რომელიც დამოუკიდებელ წიგნად გამოიცა ვარშავაში 1926 წელს. ამჟამად იგი ვარშავის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება.

7. ალექსანდრე გომიაშვილი - საქართველოს სახელმწიფოს ამოცანები საერთაშორისო სამართლის შუქზე

ჩვენს ნაშრომს ვიწყებთ აქამდე სადაო პრობლემით. კერძოდ კი იმით, რომ შეიძლება თუ არა საერთაშორისო სამართალი მივიჩნიოთ სამართლად ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით? როგორც ცნობილია, ბევრი სამართლის ექსპერტი უგულვებელყოფს საერთაშორისო სამართლის სამართლებრივ ხასიათს, იმ მიზეზით, რომ მას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს შესაბამისი ნორმების განსახორციელებლად. ჩვენ არ გვსურს ამ თემაზე კამათის წამოწყება და მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო სამართალი არის პოზიტიური სამართალი, ვინაიდან იგი შეიცავს ნორმებს, აღიარებულს იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებიც მიეკუთვნებიან საერთაშორისო საზოგადოებას; ის სახელმწიფოებიც კი, რომლებიც ფეხქვეშ თელავენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, არასოდეს არ აღიარებენ ამას და ცდილობენ თავიდან აიცილონ დანაშაული და პასუხისმგებლობა.

მიგვაჩნია რა, რომ ყოველგვარი ურთიერთობები სახელმწიფოთა შორის დამორჩილებული უნდა იყოს სამართალს, ვამტკიცებთ, რომ არა უხეში ძალა, არამედ სამართალი უნდა იყოს ამ ურთიერთობათა რეგულატორი, ხოლო ყოველგვარი

გადახვევა საერთაშორისო სამართლიდან დაგმობილი უნდა იქნეს. ნაშრომის მსვლელობისას ჩვენ ვეყრდნობით საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ამ ზოგადი მსჯელობიდან კონკრეტულ თემაზე გადასვლისას ავლნიშნავთ, რომ ჩვენი ნაშრომის მთავარ თემას წარმოადგენს იმ ძირითადი საკითხის გაშუქება, რომ საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ, რომელიც პარიზში, ემიგრაციაში იმყოფება, დაკარგა თუ არა თავისი სამართლებრივი ხასიათი; ანუ ეს მთავრობა დარჩა თუ არა დე იურე საქართველოს მთავრობად და საქართველოს საკითხი ექვემდებარება თუ არა საერთაშორისო სამართალს, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველო, როგორც სახელმწიფო პოლიტიკურ-სამართლებრივი მნიშვნელობით, წარმოადგენს თუ არა საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, თუ იგი რუსეთის შიდა საქმეა?

ამ თემის ირგვლივ უკეთესი ორიენტირებისათვის საქართველოს ისტორიიდან მოვიტანთ რამდენიმე საერთაშორისო ხასიათის ფაქტს: საქართველო, რომელიც მაჰმადიანური ქვეყნების, თურქეთის და სპარსეთის მხრიდან განუწყვეტელი თავდასხმების ობიექტს წარმოადგენდა, იძულებული იყო დახმარება საზღვარგარეთ ეძებნა.

დასავლეთ ევროპაში იმედგაცრუების შემდეგ, იგი იძულებული შეიქმნა დახმარებისთვის ქრისტიანული რუსეთისათვის მიემართა. ამის შედეგად 1783 წელს დაიდო ტრაქტატი, რომლის ძალითაც რუსეთმა საქართველო თავის პროტექტორატში შეიყვანა და ვალდებულება იკისრა საჭიროების შემთხვევაში მისთვის სამხედრო დახმარება აღმოეჩინა; ამასთან, თავის თავზე აიღო საქართველოს მთლიანობისა და საზღვრების დაურღვევლობაზე ზრუნვა. ტრაქტატის ძალით საქართველოს ხელისუფლება ქართველ მეფეთა ხელთ უნდა დარჩენილიყო. ამის სანაცვლოდ საქართველოს რუსეთისათვის უნდა შეეთანხმებინა სამხედრო და საგარეო პოლიტიკა.

სდებდა რა ამ ტრაქტატს, ერეკლე II-ს მიზნად ჰქონდა შეენარჩუნებინა თავისი ხალხისთვის დამოუკიდებლობა და ტრადიციები, მაგრამ მან ვერ გაითვალისწინა ძლიერი ხალხის სუსტ ხალხზე პროტექტორატის შედეგები, როდესაც ყოველთვის არსებობს ანექსიის დაფარული მიზანი. მართლაც, რუსეთმა არა თუ არ შეასრულა თავისი ვალდებულება საქართველოს დაცვის მიმართულებით, არამედ 1787 წელს გაიყვანა თავისი მცირერიცხოვანი, საქართველოს საზღვრების დაცვისათვის განკუთვნილი სამხედრო ნაწილები, რომლებიც აქ იმყოფებოდნენ და სპარსეთის შაჰს ალა-მაჰმად-ხანს მისცა შესაძლებლობა, შემოჭრილიყო ჩვენს ქვეყანაში და გაენადგურებინა იგი (ავტორი აქვე მიუთითებს ერთ-ერთ წყაროს: ე. დილლონ: “თჰე ეცლიპსე ოფ ლუსსია”. ლონდონ, 1918, სტრ. 225). მოტანილი ფაქტიდან და ასევე ზოგიერთი სხვა ფაქტებიდანაც ცხადი ხდება რუსეთის მხრიდან არასაკმარისი პროტექტორატი საქართველოს მიმართ, რომელიც საქართველოს 1783 წლის ტრაქტატის ანულირების საშუალებას აძლევდა. სხვათაშორის ვატელ-I თავის შრომაში “დროიტ დე გენს”, § 196, ამბობს: “თუ სუსტი სახელმწიფო თავისი

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მიმართავს ძლიერი სახელმწიფოს პროტექტორატს და დახმარების გაწევის აუცილებლობის შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი არ აღმოუჩენს დახმარებას ან ვერ შეძლებს დაეხმაროს სუსტ სახელმწიფოს, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ მფარველი სახელმწიფო კარგავს ყოველგვარ იმ უფლებას სუსტ სახელმწიფოზე, რომლებიც გათვალისწინებულია ტრაქტატით, და ამდენად ტრაქტატი უკვე ძალადაკარგულად ითვლება. სუსტი სახელმწიფო განთავისუფლებულია ყოველგვარი ვალდებულებისაგან, იგი უკან იბრუნებს ყოველგვარ უფლებებს, თავის დამოუკიდებლობასა და სრულ ძალაუფლებას”. ამავე ნაშრომის §198-ში ვატყველ წერს: “ტრაქტატი იმ შემთხვევაში ითვლება ძალადაკარგულად, თუ მფარველი სახელმწიფო თავისთვის მოითხოვს უფრო მეტ უფლებასა და სარგებლობას, ვიდრე ამას ითვალისწინებდა ტრაქტატი“.

თავისი სუსტი სამხედრო ძალის გამო საქართველოს არ შეეძლო ესარგებლა იმ უფლებებით, რომლებიც გამომდინარეობდა რუსეთის მხრიდან არასაკმარისი პროტექციიდან, ასევე იმის გამოც, რომ რუსეთი გამუდმებით ახალ-ახალ უფლებებსა და სარგებლობას მოითხოვდა. ამავე მიზეზით მას არ შეეძლო წინ აღდგომოდა 1801 წლის აქტს, რომლის ძალითაც რუსეთმა უგულვებელჰყო წინა შეთანხმება, მოახდინა საქართველოს ანექსირება და გადააქცია იგი თავის ერთ-ერთ გუბერნიად. ამ აქტმა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო ძალების უპირატესობას ეფუძნებოდა, ქართველი ხალხის დიდი პროტესტი გამოიწვია, ხალხისა, რომელსაც წაართვეს სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომელსაც უყვარდა თავისუფლება და გრძნობდა, რომ სამართლიანობა მის მხარეზე იყო. საქართველოს არასოდეს უარყვია აზრი განთავისუფლების თაობაზე, მხოლოდ შესაფერის მომენტს ელოდა. ჩვენ არ შევჩერდებით ამ ბრძოლაზე ქართველი ხალხისა, რომელმაც დაკარგა თავისი დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა და რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ებრძოდა რუსეთს. ამ უკანასკნელმა სახელმწიფო გადააქცია გუბერნიად და ცდილობდა წაეშალა ეთნიკური განსხვავებები, გაენადგურებინა ქართული კულტურა და პატრიოტიზმი, მაგრამ იარაღითა და ძალადობით მან ვერ შეძლო ჩაეკლა ქართველი ხალხის სული. ქართველ ხალხს თავისი ბრძოლა არ შემოუფარგლავს მხოლოდ თავისი სახელმწიფოს შიგნით, არამედ იგი აგიტაციისა და პროპაგანდის გზით გადაიტანა ევროპაში. 1856 წელს ინგლისი, საფრანგეთი და თურქეთი, ქართველი ხალხის წარმომადგენელთა მცდელობების პასუხად, შეპირდნენ მათ, რომ აღიარებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, ოღონდ იმ პირობით, თუ იგი დახმარებას არ გაუწევდა რუსეთს. საფრანგეთის წარმომადგენელი, გრაფი მეფროი, 1855 წლის დეკემბერში წერდა: “ჩვენ თქვენ დაგეხმარებით დამოუკიდებლობის მოპოვებაში. ევროპას სურს, რომ თქვენ შეხვიდეთ ცივილიზებული ხალხების დიდ ოჯახში”, ბოლოს, 1907 წელს საქართველომ ჰააგაში მიმდინარე სამშვიდობო კონფერენციას გაუგზავნა პეტიცია, რომლითაც კონფერენციას აცნობდა თავის უფლებებს და რუსეთს ბრალს სდებდა იმაში, რომ მან დაარღვია ტრაქტატის მოთხოვნები. მაგრამ იმდროინდელი შეუფერებელი პოლიტიკური კონიუნქტურის გამო ეს საქმე ვერ მოგვარდა.

გაჩაღდა მსოფლიო ომი, რევოლუცია, ბოლშევიკური გადატრიალება, რის შედეგადაც კავკასიის ხალხები გამოეყვნენ რუსეთს და შექმნეს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია, 1917 წელს. 1918 წლის 9 აპრილს ბრესტ-ლიტოვსკის ტრაქტატის ძალით თურქეთს დაუბრუნდა ტერიტორიები, რომლებიც მას წაართვა რუსეთმა 1828 წლის ადრიანოპოლის ტრაქტატით. მაგრამ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის გაჩნდა ინტერესთა დაპირისპირება. ყოველივე ამის შემდეგ მოხდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის დაშლა. 1918 წლის 26 მაისს, 117 წლის მონობის შემდეგ, საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა შემდეგი აქტით:

1. ქართველი ხალხი არის უმაღლესი უფლებების წყარო; საქართველო კი არის დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო.
2. საქართველოს პოლიტიკური ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.
3. საერთაშორისო კონფლიქტებში საქართველო ყოველთვის ნეიტრალური რჩება.
4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს მყარი მეგობრული ურთიერთობები ჰქონდეს სხვა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი, მეზობელ სახელმწიფოებთან.
5. საქართველოს რესპუბლიკა გარანტიას აძლევს ყველა ხალხებს, რომლებიც მის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, რომ პატივს სცემს მათ ყველა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, მიუხედავად ეროვნებისა, სარწმუნოებრივი მრწამსისა, სოციალური მდგომარეობისა თუ სქესისა.
6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა აძლევს მის ტერიტორიაზე დასახლებულ ყველა ხალხებს განვითარების ფართო შესაძლებლობებს.
7. კონსტიტუციური მთავრობის დანიშვნამდე ქვეყანას წარუძღვება საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის შემადგენლობაც დაკომპლექტებული იქნება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობით, და ასევე დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საბჭოს წინაშე.

ამ აქტმა საქართველოს მიანიჭა საერთაშორისო სამართლის სუბიექტის უფლება და საქართველო გამოვიდა საერთაშორისო სამართლის ასპარეზზე როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო.

საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ანალიზი საერთაშორისო და სახელმწიფოებრივი სამართლის თვალსაზრისით, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს ფაქტიური მდგომარეობა პასუხობდა ამ სამართლის ყველა მოთხოვნებს, სახელდობს:

1. სახელმწიფო ფლობდა ტერიტორიას, რომელიც დასახლებული იყო ეთნიკურად ერთგვაროვანი ხალხით;
2. მთავრობა არჩეული იყო ხალხიდან;
3. მთავრობას ჰქონდა ავტორიტეტი და ფლობდა სრულ ხელისუფლებას;
4. მთავრობა იყო რეალური, რადგან ხალხი აძლევდა მას ჯარისკაცებს, იხდიდა გადასახადებს და მხარს უჭერდა მთავრობის ნებისმიერ წამოწყებას.

პროფ. იულიან მაკოვსკი წერს: “გარდა კარდინალური პირობისა, რომ ახალი სახელმწიფო წარმოიქმნას თავისით, როგორც ქმნილება თავისი მოქალაქეების ნებისა და ფლობდეს სრულ დამოუკიდებლობას, არის აგრეთვე მრავალი სხვა პირობა, რომელთაც პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათი აქვთ; ყველა ესენი ნამდვილად აუცილებელი არ არის, რომ სახელმწიფო წარმოიქმნას, მაგრამ ზოგიერთი მათგანი მაინც საჭიროა, რომ იყოს მისი არსებობისა და განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე”. თუ ამ კრიტერიუმებით ვიხელოვდებით საქართველოსთან დაკავშირებით, არ გაგვიჭირდება, დავამტკიცოთ, რომ არსებობდა ყველა აუცილებელი პირობა, ისეთები, როგორებიცაა: ბუნებრივი საზღვრები, ზღვაზე გასასვლელი და ნორმალური ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა.

ქართველი ხალხი თავის ნებას გამოხატავდა პარლამენტში; მან აირჩია მთავრობა, რომელიც სარგებლობდა თავისი ძირითადი უფლებებითა და მოვალეობით და შეუდგა სახელმწიფოს კონსოლიდაციას. მთავრობას სურდა რა დაეყენებინა საქართველო ევროპულ სახელმწიფოთა შორის, შეიმუშავა კონსტიტუცია, შეიქმნა არმია, რომელიც გმირულად იბრძოდა და იცავდა ტერიტორიის მთლიანობას და ხელშეუხებლობას, დადო მრავალი ხელშეკრულება. ზევით აღვნიშნეთ, რომ ჩვენს შემდგომ ანალიზს საფუძვლად დავუდებთ საერთაშორისო სამართლის წესებსა და პრინციპებს. ახლა შევუდგეთ ახალ სახელმწიფოთა ჩამოყალიბების მთლიანობას და ფაქტო-დ და დე იურე-დ ძველი სახელმწიფოების მიერ, ასევე მათ შორის ურთიერთობის ანალიზს.

სახელმწიფოს ჩამოყალიბების საკითხი უფრო მიეკუთვნება სახელმწიფო სამართალს, ვიდრე საერთაშორისო კომპეტენციას, ვინაიდან მისი მოქმედების არეალი უფრო სახელმწიფოს გარეთ ძვეს. თუმცა ამ საკითხში მეცნიერთა აზრი ორად იყოფა: ერთნი - ელინეკი, ლისტი, ბონფილსი, მაკოვსკი, სეიდელი და სხვები იმ თვალსაზრისზე დგანან, რომ სახელმწიფოს წარმოქმნა არის ისტორიული და საზოგადოებრივი ფაქტი, როგორც ადამიანების შეგნებული საქმიანობის შედეგი. მეორენი - რიკიერი, ულმანი, ჰანელი და სხვები სთვლიან, რომ სახელმწიფო შეიძლება წარმოიშვას სამართლებრივი აქტის შედეგად, რომელიც გამომდინარეობს

უცხო ნებიდან. მიგვაჩნია რა სწორად პირველი შეხედულება, გვსურს დავუმატოთ, რომ სახელმწიფო წარმოსდგება ორი გზით: 1. პირველყოფილი, რომელიც ეფუძნება ადამიანთა მასის გადასვლას არასახელმწიფოებრივი მდგომარეობიდან სახელმწიფოებრივ მდგომარეობაზე და 2. რომელიც ეფუძნება სხვა სახელმწიფოსათვის ტერიტორიის წართმევას. მაშასადამე, ჩვენ სახელმწიფო გვესმის როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური კავშირი, დაფუძნებული ხალხის ნებას, რომელსაც ჰყავს უმაღლესი ხელისუფლება. პოლიტიკურ ცხოვრებაში ხდება ხოლმე, რომ სახელმწიფოები ცნობენ ახალ სახელმწიფოს; მართალია, ცნობის ფაქტი ვერ ჰქმნის სახელმწიფოს, მაგრამ გავლენას ახდენს ახლად წარმოშობილი სახელმწიფოს მიღებაზე საერთაშორისო საზოგადოებაში და არის აუცილებელი შედეგი ამ საზოგადოებრიობის წევრებთან ურთიერთობის დამყარებისა.

სამართლებლივი აღიარება ნიშნავს, რომ სახელმწიფოები პროტესტს არ აცხადებენ ახალი სახელმწიფოს წარმოშობაზე; პოლიტიკური აღიარება ზრდის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ავტორიტეტს. სახელმწიფოები, როგორც წესი, აყოვნებენ ხოლმე აღიარებას, რათა თავიდან აიცილონ გაუგებრობა იმ სახელმწიფოსთან, რომლის ინტერესებსაც ეწინააღმდეგება ახალი სახელმწიფოს წარმოშობის ფაქტი. ჩვეულებისამებრ, დე იურე ცნობა მოსდევს დე ფაქტო-დ ცნობას. სახელმწიფოს დაბადების თარიღი არის პირველი სახელმწიფოებრივი აქტი, გამოცემული ხალხის მიერ არჩეული მთავრობის მიერ. ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს ხელისუფლებას დე ფაქტოდ გამოცხადების საკითხი შიდა სახელმწიფოებრივი საკითხი იყოს: სინამდვილეში საქმე ეხება ფაქტიური ხელისუფლების ლეგალურობისა თუ არალეგალურობის, მის მიერ გამოცემული აქტების მნიშვნელობის საკითხს.

ხელისუფლებამ, რომელიც დაფუძნებულია შიდა სამართალს, სხვა სახელმწიფოების ინტერესებთან თუ უფლებებთან შეჯახებისას უნდა მიმართოს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ხელისუფლებას მხოლოდ ამ პირობით სცნობენ დე ფაქტოდ, ხოლო ეს სახელმწიფო კი შეიძლება იქნეს მიღებული საერთაშორისო საზოგადოებაში. თავად არსებობა ხელისუფლებისა დე ფაქტოდ, არ განაპირობებს ამ ქვეყნის სამართლებლივ თუ პოლიტიკურ იზოლაციას. ხდება ხოლმე, რომ ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებობენ საკონსულო დაწესებულებები, რომელთა აკრედიტაციაც მოხდა ძველი მთავრობის დროს. ისინი არ წყვეტენ საქმიანობას, არამედ კვლავ აგრძელებენ თავიანთი ფუნქციის შესრულებას, რადგანაც ეს შედის მათი სახელმწიფოსა და მოქალაქეების ინტერესებში. საკონსულოს დატოვება და დე ფაქტო მთავრობასთან ურთიერთობების შენარჩუნება, მუდმივი წარმომადგენლობის გაგზავნაც კი, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ხელისუფლების აღიარებას. ოფიციალური ურთიერთობები მყარდება ფაქტიური მთავრობის აღიარების შემდეგ, რაც წარმოადგენს პოლიტიკურ დასაწყისს ოფიციალური ურთიერთობებისათვის.

დაუშვებელია ხელისუფლების ცნობაზე უარის თქმა, რისთვისაც უცხო სახელმწიფოს ვალდებულებას შეადგენს ახალი სახელმწიფოს აღიარებამდე დაწვრილებით შეისწავლოს მისი სახელმწიფოებრივი ცხოვრების შესაძლებლობები და დარწმუნდეს, რომ სახელმწიფოს მემკვიდრეობითობის პრონციპი შენარჩუნებული იქნება, ე. ი. რომ მოცემულ სახელმწიფოს სურს და აქვს შესაძლებლობა თავისი საქმიანობა შეუსაბამოს საერთაშორისო სამართალს, რომ თანახმაა ძველი მთავრობის ვალდებულების, მისი ვალების რეგულირებაზე, რომ პატივს სცემს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უფლებებს, რომლებიც ცხოვრობენ მის ტერიტორიაზე, ისევე როგორც მათ უფლებებს, რომლებიც არ ცხოვრობენ, მაგრამ აქ ფლობენ რაღაც საკუთრებას. უცხო სახელმწიფო ასევე აღიარებამდე უნდა ჩაწვდეს ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოს შინაგან სტრუქტურას და დაამყაროს თავისი ურთიერთობები როგორც მასთან, ისე მეტროპოლიასთან. საჭიროა აგრეთვე დადგინდეს: ა) წარმოქმნილი სახელმწიფო ნამდვილად პასუხობს თუ არა სახელმწიფოს არსებობის აუცილებელ მოთხოვნებს: ბ) ეს სახელმწიფო ხომ არ არის მხოლოდ რევოლუციური პროცესების შედეგად წარმოქმნილი და თუ შესძლებს თავის დაჭერას; გ) ხომ არ არის მისი სუვერენიტეტი შეზღუდული; დ) თუ ფლობს ე. წ. კომპეტენციის კომპეტენციას (არ არის აუცილებელი, რომ საკითხი საზღვრების შესახებ საბოლოოდ იყოს გადაწყვეტილი, ისევე როგორც დედაქალაქისთვის ადგილის შერჩევის საკითხი). ყველაფრის შეტყობა საჭიროა მის აღიარებამდე, ვინაიდან დაუშვებელია ამ აქტის გამოცხადების შემდეგ უკან დახევა ან რაიმეს შესწორება, ისევე როგორც დაუშვებელია მის შიდა საქმეებში ჩარევა. პროფ. მაკოვსკი თავისი წიგნის \$18-ში ლაპარაკობს რა სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი უფლებების შესახებ, წერს: “სახელმწიფოს განუყოფელობიდან გამომდინარეობს მისი უფლება თავისუფლად არჩევისა მმართველობის ფორმისა, კონსტიტუციის, სახელმწიფოს მეთაურისა ან დინასტიის, განსაზღვროს მოქალაქეთა უფლებები და მათი გარანტიები, ყველა მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა, ან მოსახლეობის ზოგიერთი კატეგორიისათვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭება და ა.შ. მოკლედ, საქმიანობის სრული თავისუფლების მინიჭება საკუთარ სახელმწიფოს ფარგლებში, იმდენად, რომ ამან ზიანი არ მიაყენოს მის მეზობლებს”.

ამ ყველა მონაცემების დადგენისა და იმის კონსტატირების შემდეგ, რომ წარმოქმნილი სახელმწიფოს არსებობა გარანტირებულია, უცხო სახელმწიფო აღიარებს ხელისუფლებას დე ფაქტოდ და ამით ამ სახელმწიფოსაც ცნობს დე ფაქტოდ. მხოლოდ ამის შემდგომ დგება მომენტი სახელმწიფოს დე იურედ ცნობისა, ამასთან, ამ დროს გადამწყვეტია ამ ახალი სახელმწიფოს ცნობა იმ სახელმწიფოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც ახალი სახელმწიფო წარმოიშვა.

ამ თეორიული განსჯის შემდეგ გადავიდეთ საქართველოს ხელისუფლების ცნობის პროცესების მიმოხილვაზე ევროპის სახელმწიფოთა მიერ. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციაში შემავალმა საქართველომ არ სცნო რუსეთის მიერ თურქეთისათვის იმ ტერიტორიების გადაცემა, რომელიც მან

1828 წლის ადრიანოპოლის ტრაქტატის ძალით მიიღო და რომელთა დაბრუნებაც ეკატერინე II-მ 1783 წლის ტრაქტატის ძალით აღუთქვა საქართველოს (ეს ტერიტორიები თურქეთმა წაართვა საქართველოს ჯერ კიდევ 1783 წლამდე. ამ ტრაქტატში სხვა პირობებთან ერთად რუსეთმა ივალდებულა ეს მიწები მომავალში ჩამოეჭრა თურქეთისათვის და დაებრუნებინა საქართველოსათვის). დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს საქართველო მოლაპარაკებებს აწარმოებდა თურქეთთან. მასში მონაწილეობას იღებდნენ გერმანელებიც, რომლებიც შუამავლის როლს თამაშობდნენ. გერმანელებმა, რომელთათვისაც პოლიტიკური თვალსაზრისით ახლო აღმოსავლეთის პრობლემა ძალზე მნიშვნელოვანი იყო, უკვე 1918 წლის მაისში სცნეს საქართველო დე ფაქტო-დ და მათთან დროებითი ხელშეკრულებაც გააფორმეს, რომელიც ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობებს აწესრიგებდა. საქართველოს დე იურე ცნობის დასასაბუთებლად მხედველობაში იქნა მიღებული შემდეგი საკითხები: საქართველოს ხელისუფლება თავის სამართლებლივ ხასიათს აფუძვნებდა იმას, რომ 1783 წლის ტრაქტატი შეუსრულებელი და დარღვეული აღმოჩნდა რუსეთის მიერ; სამაგიეროდ გერმანელები, არ სურდათ რა რუსეთის გაღიზიანება, ეყრდნობოდნენ 1918 წლის ბრესტის ტრაქტატს და სამართლიანად მიიჩნევდნენ საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფას. ამის გამო წამოიწყო მძიმე მოლაპარაკებები. ამ საკითხის გარშემო ქართული დელეგაციის თხოვნით ფრ. ლისტმა შეისწავლა ეს პრობლემა და შემდეგი მოსაზრებანი გამოსთქვა:

ა) საქართველო ამჟამად არის თავისუფალი, სრულიად დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო; ამდენად მას საფუძვლად უდევს საერთაშორისო სამართლის საფუძვლები, რათა იგი სცნონ სხვა სახელმწიფოებმა;

ბ) საქართველოს რესპუბლიკა უკვე იყო აღიარებული დე ფაქტო-დ, როგორც ახლად წარმოშობილი სახელმწიფო და საერთაშორისო საზოგადოების წევრი გერმანიის იმპერიის და მისი მოკავშირეების მიერ აშკარადაც, ფარულადაც და საიდუმლოდაც.

გ) მის ფორმალურ აღიარებას არ ეწინააღმდეგებოდა სამართლებლივი არგუმენტებიც;

დ) საქართველოს ცნობა არ იყო რუსეთის წინააღმდეგ მიმართული აქტი, რომელმაც ოფიციალურად და საზეიმოდ განაცხადა ხალხების თვითგამორკვევის უფლების შესახებ მათ მიერ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ჩათვლით.

საერთაშორისო სამართლის ექსპერტის შეხედულებამ, ცხადია, სასწორის ისარი საქართველოს სასარგებლოდ გადახარა. მიუხედავად იმისა, რომ დამატებით ტრაქტატში, რომელიც დაიდო რუსეთსა და გერმანიას შორის 1918 წლის 27 აგვისტოს, \$13, შემდეგნაირად ჟღერს: “რუსეთი თანხმდება გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანიზმად აღიარებას”. დარჩა მხოლოდ ერთი წინააღმდეგობა: თურქეთსა და საქართველოს შორის სადაო

საზღვრების საკითხის დადგენა; და რადგან ეს საკითხი ეხებოდა გერმანიის მოკავშირე თურქეთს, გერმანია იძულებული იყო მისთვის ანგარიში გაეწია. კამათის საგანს წარმოადგენდა ბათუმის ოლქი ბათუმის პორტით; გერმანელები მოითხოვდნენ ამ საკითხის გადაწყვეტას საქართველოს სასარგებლოდ, რადგან ამ პორტს შეეძლო გამხდარიყო საკომუნიკაციო კვანძი საქართველოსთან მომავალი ვაჭრობის დროს. იმავდროულად შეუდგნენ ტრაქტატის შემუშავებას საქართველოსა და გერმანიას შორის. ამ პროექტის საბოლოო ფორმა ხელმოსაწერად შემუშავებული იყო უკვე 1918 წლის 13 ოქტომბერს. პროექტის მთავარ პუნქტებს შემდეგი სახე ჰქონდათ: შესავალში ლაპარაკია ორმხრივ სურვილზე დამყარდეს მეგობრული კავშირთა ურთიერთობის საქართველოსა და გერმანიას შორის და ასევე დაპირება იმის შესახებ, რომ გერმანია საქართველოს დაეხმარებოდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ აღმშენებლობაში.

პირველ-მერვე პუნქტებში ლაპარაკია საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაზე და გერმანიის შუამავლობის შესახებ სხვა ქვეყნების წინაშე, რათა მათაც ეცნოთ საქართველო. შემდეგ საუბარია ორივე ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის შესახებ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მიმართ.

ტრაქტატის მეორე ნაწილი ეხებოდა საქართველო-გერმანიას შორის დიპლომატიურ და საკონსულო ურთიერთობებს. მესამე ნაწილის მიხედვით მოკავშირე ქვეყნებზე არ ვრცელდებოდა რუსეთ-გერმანიას შორის დადებული ტრაქტატი (რომელიც ძალაში იყო 1914 წლის ომამდე) მეოთხე ნაწილი არეგულირებდა საქართველო-გერმანიას შორის ეკონომიკურ კავშირთა ურთიერთობებს. მეხუთე ნაწილი ეხებოდა ტყვეებსა და ჯაშუშებს. მეექვსე ნაწილი შეეხებოდა გერმანული წარმოშობის კოლონისტებს. საქართველოს მთავრობამ იკისრა ვალდებულება დაებრუნებინა მათთვის უძრავი ქონება, კონცესიები და ა.შ., რომლებიც მათ ჩამოერთვათ რუსული სამხედრო კანონების ძალით. მეშვიდე ნაწილი ეხებოდა გერმანელ მეცნიერებს და აძლევდა მათ ზოგიერთ პრივილეგიებს არქეოლოგიური გათხრების ჩატარების მიზნით, ოღონდ გათხრებზე ზედამხედველობა უნდა დაეწესებინა ადგილობრივ ქართულ ხელისუფლებას. მერვე ნაწილი ადგენდა ტრაქტატის რატიფიკაციის მეთოდებსა და წესებს. და ბოლოს, ეს ხელშეკრულება კიდევ უნდა შევსებულიყო დამატებით სამეურნეო, სამხედრო და ა.შ. საკითხებით. მოტანილი პროექტი იმის მაჩვენებელია, თუ როგორ ესმოდა საქართველოს მთავრობას საერთაშორისო სამართალი. საბოლოოდ საქართველოს მთავრობა გერმანიის მიერ დე იურე-დ აღიარებული იყო 1919 წლის დასაწყისში და მან საქართველოში გამოგზავნა პირველი სრულუფლებიანი ელჩი.

1918 წლის ბოლოს მოხდა ცენტრალური ევროპის კაპიტულაცია მოკავშირეების მიერ. შავ ზღვაზე და კავკასიაში პოლიტიკური გავლენა ანტანტის ხელთ გადავიდა. თავისი წარმოშობის დროს საქართველოს სახელმწიფოს, პოლიტიკური კონიუნქტურისა და კომუნიკაციური სიძნელეების გამო არ შეეძლო უშუალოდ

დაერეგულირებინა თავისი აღიარების პრობლემები ანტანტის სახელმწიფოებთან. მაგრამ უკვე 1918 წლის სექტემბერში ქართველი პოლიტიკოსები ოფიციალურად შეხვდნენ და მათ გააცნეს საქართველოს მდგომარეობა. ასევე გადასცეს მათ შესაბამისი ნოტა.

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები თავს იკავებდნენ იმ სახელმწიფოს ცნობისაგან, რომლებიც წარმოიშვნენ ყოფილი რუსეთის იმპერიისაგან; ისინი ელოდნენ რუსეთში სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებას. მათი უმრავლესობის აზრით, საბჭოური წეს-წყობილება არანორმალური და დროებითი მდგომარეობა იყო, რომლის დამხობასაც მოელოდნენ უახლოეს ხანებში. მაგრამ ეს იყო ილუზია და არასწორი ორიენტაციის ქონა ევროპის მხრიდან. ციმბირში დამყარდა ადმირალ კოლჩაკის დიქტატურის პერიოდი, ხოლო ქვეყნის სამხრეთით კი დენიკინის ჯარები განლაგდნენ; ეს წარმოადგენდა რუსული დიპლომატიის ძალისხმევის უკანასკნელ შედეგს, რომელიც ცდილობდა რუსეთში წესრიგის დამყარებას ევროპის სახელმწიფოთა მონაწილეობით. გუშინდელმა მოკავშირეებმა, რომლებმაც ერთხანს ყური დაუგდეს რუსული დიპლომატიის თხოვნას, გარკვეულად მიეხმარნენ მას; მაგრამ მალე რეალურმა სინამდვილემ დაანახა მათ ამ მეთოდების სიმცდარე: რუსეთის სახე მკელი “ერთიანი და განუყოფელი” ფორმით უკვე შორეული წარსულის საკითხი იყო, მაშინ, როდესაც აღდგენა იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც რუსეთის ადრინდელ იმპერიას შეადგენდნენ, უკვე მომხდარ ფაქტს წარმოადგენდა და საჭირო იყო ამის მხედველობაში მიღება.

1920 წლის 11 თებერვალს, ზუსტად კატასტროფის წინ გენერალმა დენიკინმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. დენიკინის დამარცხებისა და საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანის დაკავების შემდეგ საბჭოთა ჯარებსა და საქართველოს შორის მოხდა შეიარაღებული კონფლიქტი. მაგრამ ქართველების მიერ გამოჩენილმა სიმამაცემ გავლენა მოახდინა საქართველოსა და რუსეთს შორის ტრაქტატის გარშემო მიმდინარე კამათზე, რომლის ძალითაც რუსეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი 1920 წლის 7 მაისს. იმავე წლის ნოემბრის 16-ში მათ შორის დაიდო სატრანზიტო კონვენციაც. პროფ. ციბიხოვსკი თავის ნაშრომში სათაურით: “საერთაშორისო სამართლის სისტემა” 97 გვერდზე წერს: სახელმწიფოებს, რომელთა სამართალიც გათელილი აღმოჩნდა, აქვთ პროტესტის უფლება და შეუძლიათ მოითხოვონ დაკმაყოფილება. ვინც სცნობს სახელმწიფოს, უარს ამბობს ამ უფლებაზე.

თუ ზემოთ მოტანილ შეხედულებას დავეყრდნობით, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ რუსეთმა გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ სცნო საქართველო, ამით უარი თქვა ყველა თავის უფლებებსა და პრეტენზიებზე. 1920 წლის ნოემბერში ერთა ლიგის საბჭოზე დაყენებული იყო საკითხი საქართველოს მიღების შესახებ ლიგის წევრად.

ამ მიზნით სპეციალურად შექმნილ ქვეკომისიას უნდა შეესწავლა შემდეგი საკითხები:

1. თუ არის დაცული ყველა ფორმალური პირობები იმისათვის, რომ საქართველო მიღებული იქნეს ერთა ლიგაში?
2. ქვეყანა, რომელსაც სურს ერთა ლიგაში მიღება, თუ არის აღიარებული დე ფაქტო და დე იურე-დ და რომელი ქვეყნების მიერ?
3. ერთა ლიგაში მიღების მსურველ ქვეყანას თუ ჰყავს სტაბილური (მყარი მთავრობა, მოსახლეობა, თუ აქვს მყარი საზღვრები?
4. თუ მართავს მისი მთავრობა დამოუკიდებლად?
5. როგორი დამოკიდებულობა აქვთ ამ სახელმწიფოს შემდეგი აქტებისა და დეკლარაციების მიმართ:

ა) საერთაშორისო ვალდებულებების;

ბ) ლიგის შესაძლო გადაწყვეტილებების მიმართ შეიარაღების შესახებ. ქვეკომისიის მუშაობის შედეგები დამაკმაყოფილებელი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, კომისიის პლენუმზე მონაწილეთა წინააღმდეგობის გამო მიღებული იქნა შემდეგი დასკვნა: “კომისია წინადადებას აძლევს საბჭოს შეატყობინოს საქართველოს მთავრობას შემდეგი:

ა) საქართველოს მთავრობის თხოვნა მიღებული და განხილული იქნა სიმპათიით, მაგრამ ჯერჯერობით გარემოებები საშუალებას არ აძლევს საბჭოს გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება;

ბ) საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რომელიც შეეცდება მიიღოს იგი ერთა ლიგის ღირსეულ წევრად, მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ლიგის ტექნიკური საკითხების გადაწყვეტაში”.

1920 წლის 16 დეკემბერს ერთა ლიგის საბჭოს შეკრებაზე ეს წინადადება კი დაისვა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება გადადებულ იქნა შემდგომ სესიამდე, რომელიც გაიმართებოდა 1921 წელს. საფრანგეთის წარმომადგენელმა, ვივიანმა, თავის მოხსენებაში აღნიშნა რუსეთის(!) საკითხის შესახებ ამ საკითხის ნაწილობრივი გადაწყვეტის შეუფერებლობა და აგრეთვე ის სიძნელები, რომლებიც თან ახლავს ახალი წევრების ტერიტორიული საზღვრების დაცვას (ერთა ლიგის პაქტი (\$10). ფიშერი, ინგლისის წარმომადგენელი, ერთის მხრივ ეთანხმებოდა ნანსენსა და სესილს, რომლებიც ცდილობდნენ, რომ საქართველო მიღებული ყოფილიყო ერთა ლიგაში, მაგრამ ამავე დროს სიფრთხილეს გამოსთქვამდა იმის

გამო, რომ გარედან თავდასხმის შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა საქართველოს დაცვა. თავისთავად ცხადია, რომ “ზრწყინვალე ოთხეულის” ამ გამოსვლების შემდეგ მცირე სახელმწიფოებმაც მათ დაუჭირეს მხარი. ზოგი სახელმწიფოს, კერძოდ, ბელგიის, რუმინეთისა და პოლონეთის წარმომადგენლებმა, თავი შეიკავეს ხმის მიცემისას. პოლონეთის წარმომადგენელმა პადერევსკიმ განაცხადა თავისი სიმპათიები საქართველოს მიმართ, მაგრამ თქვა, რომ მისი ლიგაში გაწევრიანება ჯერ კიდევ ნაადრევიაო. კუბის დელეგატმა შემდეგი სიტყვებით მიმართა საქართველოს წარმომადგენელს: “ცენტრალური და ჩრდილო ამერიკის რესპუბლიკებმა შეიძლება შეაერთონ თავიანთი ხმები და მიაღწიონ საქართველოს და ბალტიის ქვეყნების მიღებას ერთა ლიგაში, როგორც ამას მოითხოვს სამართლიანობა, მაგრამ სამართლიანობა როდია გადამწყვეტი. ამერიკის რესპუბლიკებს არ შეშვენით წინააღმდეგობაში იყვნენ ევროპის უდიდეს სახელმწიფოებთან. დაე, მხოლოდ ინგლისმა და საფრანგეთმა, ან თუნდაც მხოლოდ ინგლისმა დაუჭიროს თქვენს გაწევრიანებას მხარი და ჩვენ, როგორც ერთი ადამიანი, ხელს ავწევთ ამ გადაწყვეტილებაზე”.

საქართველოს მიმართ ასეთი გადაწყვეტილება მეტყველებს ერთა ლიგის სისუსტეზე. ლიგის წევრის დაცვის სიმძლეე, ერთის მხრივ, და არაგულწრფელობა და არბიტალურობა დიდი სახელმწიფოს მხრიდან, მეორეს მხრივ, არის ლიგის შემქმნელთა პრინციპული იდეების ბანკროტობის აშკარა მაჩვენებელი. მიუხედავად უარყოფითი გადაწყვეტილებისა საქართველოს ერთა ლიგაში მიღების თაობაზე, თავად ფაქტმა საქართველოს დაშვებისა კომისიაში მონაწილეობის მისაღებად განამტკიცა ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი. 1921 წლის 27 იანვარს საქართველოს მთავრობის თხოვნით უმაღლესმა საბჭომ საქართველო დე იურე-დ სცნო. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ელჩმა რწმუნების სიგელი გადასცა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს.

8. ფინჯან ყავაზე გომიაშვილთან

ალექსანდრე გომიაშვილი პოლონეთში ინტენსიურ პუბლიცისტურ მოღვაწეობასთან ერთად ბიზნესითაც იყო დაკავებული. არათუ საქართველოში, არამედ პოლონეთშიც, ალბათ ბევრს გაუკვირდება, თუ ეტყვი რომ ვარშავაში კაფე_ბარების პირველი დამაარსებელი არის ქართველი კაცი, ალექსანდრე გომიაშვილი. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ მისი ვაჟის, იეჟი ირაკლი გომიაშვილის მოგონებებს თავის მამის შესახებ. წერილი ჟურნალ “პრო გეორგაში” არის დაბეჭდილი.

მამაჩემი, ალექსანდრე გომიაშვილი, პირველი მსოფლიო ომის დროს, როგორც რუსეთის ქვეშევრდომი ფრონტზე ბაღჩისარაის კავალერიის პოლკში მსახურობდა. გერმანელებსა და რუსებს შორის დაზავების მომენტში იგი ტყვედ ჩავარდა და ჰანოვერის ახლოს მდებარე საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდა.

დედაჩემი, ირენა კურდვანოვსკა თავის დებთან ერთად ვარშავაში მედდად მუშაობდა და დაჭრილ ოფიცრებს მკურნალობდა. ის ორგანიზაცია, რომელშიც დედა მსახურობდა. დახმარებას უწევდა ასევე გერმანელთა ტყვეობიდან განთავისუფლებულ მშვიდობის მოყვარულთა და უფულო ჯარისკაცებსაც.

გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ მამა ვარშავაში შეჩერდა. მის წინაშე დადგა ალტერნატივა: დაბრუნებულიყო საქართველოში თუ დარჩენილიყო პოლონეთში.

იმ პერიოდში ვარშავამდე აღწევდა ხმები მეფის ოფიცრების ტრაგიკული ბედის შესახებ მამამ მაშინ ჯერ კიდევ არაფერი იცოდა და არც არასდროს შეუტყვია (ამის შესახებ მე გავიგე 60-იან წლებში), რომ მის უფროს ძმასთან და მათ მამასთან ორი ქართველი ჯარისკაცი მივიდა. ჯარისკაცები შეეცადნენ მათ დარწმუნებას იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან რაიმე პრეტენზიის შემთხვევაში ისინი განაცხადებენ, რომ მამაჩემი მიუხედავად ახალგაზრდული წლებისა კარგი მეთაური იყო და თავის ჯარისკაცებზე, როგორც საკუთარ შვილებზე, ისე ზრუნავდა. მათ განაცხადეს ასევე, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მათ მეთაურს რაიმე ზიანი არ მისდგომოდა.

მაგრამ ბედისწერამ სხვაგვარად იწვინა. მამამ დედაჩემის გაცნობის შემდეგ, გადაწყვიტა დარჩენილიყო ვარშავაში, შეექმნა ახალი ოჯახი, და მასთან ერთად ახალი სამშობლო გაეჩინა.

მაშინ პოლონეთი ძალიან დიდი განსაცდელის წინაშე იდგა. მამა საკუთარი სურვილით წავიდა ფრონტზე და პოლონურ პოლკში როტმისტრის რანგში დაიწყო სამსახური. ომის დასრულების შემდეგ იგი ოჯახში მრავალი მედლით დაბრუნდა და მყისიერად ჩაერთო თავისი ახალი სამშობლოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან დაამთავრა უმაღლესი პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი. მისი სადიპლომო ნაშრომი თავის სამშობლოს პოლიტიკურ პრობლემებს ეძღვნებოდა (იხ. “საქართველოს სახელმწიფოს ამოცანები საერთაშორისო სამართლის შუქზე”, ვარშავა, 1926 წელი). შემდეგ იგი მუშაობდა გაზეთ “სიმართლის ხმა” რედაქტორად. ეს გაზეთი იდეოლოგიური თვალსაზრისით ახლოს იდგა იმ პოსტულატებთან, რომელსაც აყენებდა საქართველოს პრეზიდენტი ნოე ჟორდანიას. ანუ ეს იყო ლიბერალურ დემოკრატიული მიმართულების გაზეთი.

მრავალტანჯულ, ომისაგან დანგრეულ პოლონეთში, რომელიც დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე იმყოფებოდა, ძალზე მძიმე იყო ცხოვრება; ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში ახალგაზრდა ჟურნალისტისათვის, მით უფრო ემიგრანტისათვის, რთული იქნებოდა ოჯახის, ამასთან სამი შვილის შენახვა. ამიტომ მამა იძულებული გახდა სამსახური შეეცვალა და მუშაობა დაეწყო სიმამრის ერთ-ერთ სავაჭრო დაწესებულებაში, რომელიც დედაჩემმა მზითვად მიიღო.

ამ სავაჭრო ობიექტს მამამ მეტად სოლიდური სახელი შეარქვა: “ყავისა და ჩაის სარეალიზაციო სპეცმაღაზია - ალექსანდრე გოძიაშვილი”. მაღაზიები ვარშავის მთავარ ქუჩაზე, მარშალკოვსკაზე მდებარეობდნენ. ამგვარი საქმიანობა მამაჩემისათვის არ იყო უცხო. მამამისი ხომ გურჯაანში უდიდეს ზვრებს ფლობდა, ხოლო პეტერბურგში, ნევის პროსპექტზე ღვინის სარეალიზაციო სავაჭრო მაღაზიები ჰქონდა.

მამა უდიდეს სარეკლამო მუშაობას ეწეოდა. ერთ-ერთი მისი რეკლამა მაგალითად ასეთნაირად ჟღერდა: “ყოველდღე ახლად მოხალული ყავა”. მის კაფე-ბარებში ყავის მარცვლები მართლაც ყოველდღიურად იხალეობდა და იფქვებოდა. ამისათვის მამამ სპეციელური დანადგარები შეიძინა. ქუჩაში მაღაზიის ირგვლივ მუდმივად სასიამოვნო არომატი იგრძნობოდა.

მამას ორივე მაღაზია დიდი მოცულობის იყო. მიუხედავად ამისა, იმის გამო, რომ აქ ტრადიციულად იდგა მაგიდები, და სტუმრებიც საკმაოდ ხანგრძლივად რჩებოდნენ ხოლმე, მაინც ადგილების უკმარისობა იგრძნობოდა. ამიტომ მამა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ყავის დალევა, - და, მამასადამე, ენერჯის აღდგენისა და განწყობის ამაღლებისათვის, - სრულიადაც არ არის საჭირო მაღაზიაში დიდი ხნით შეჩერება; ეს სრულიად შესაძლებელია გაკეთდეს თვითმომსახურების ფორმით ფეხზე დგომით. ასეთ შემთხვევაში მაღაზიაში ასეთი სიმჭიდროვე აღარ იქნებოდა.

მამას მიხვედრამ მართლაც გაამართლა. მაღაზია მრავალ კლიენტსაც ემსახურებოდა და მასში სიხალვათეც იგრძნობოდა. აქ კედლებზე, ყავის შესახებ შემდეგ აფორიზმებსაც წაიკითხავდით; მაგალითად: “ყავა ჰქმნის ცეცხლოვან არაბებს, ხოლო ჩაი ცერემონიალურ ჩინელებს”, ან ა. მიცკევიჩის “ისეთ ყავას როგორც პოლონეთშია, დუნიაზე ვერსად ნახავთ...”

მამამ მალე დიდ ფინანსურ წარმატებებსაც მიაღწია. ამიტომ მაღაზიის კედელზე შემდეგი ასეთი აფორიზმიც გაჩნდა: “ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ყავის დალევის შემდეგ არ ეძინებათ. მე სრულიად სხვაგვარად მგონია, რადგან რაც უფრო მეტ ყავას სვამენ ჩემი ძვირფასი სტუმრები, მე უფრო ტკბილად მძინავს”.

მაშინ ალბათ არავის მოუვიდოდა აზრად ის ამბავი, რომ ქართველმა ემიგრანტმა სათავე დაუდო ყავის სმის ახალ ტრადიციას პოლონეთში. და მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც მამა ტრაგიკულ გარემოებათა გამო, უკვე ამქვეყნად აღარ იყო, ხოლო ვარშავა კი ნანგრევებად იყო ქცეული, ერთმა ვარშავულმა გაზეთმა სტატიასი “გაქრა ძველი ვარშავის კაფე საკონდიტროები, დღეს კაფე-ბარები ბატონობენ” დაწერა: “დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა: ნაცვლად კაფე-საკონდიტროებისა, არსებობენ კაფე-ბარები. ომამდე კი მხოლოდ ქართველი გოძიაშვილის ორო კაფე- ბარი არსებობდა ნაპოლეონის მოედანზე”.

ასე რომ, ძვირფასო ქართველებო, როდესაც ვარშავაში კაფე-ბარში იქნებით და ჭიქა ყავას მიირთმევთ, გაიხსენეთ თქვენი თანამემამულე ალექსანდრე გოძიაშვილი.

ამბროსი გრიშკაშვილი - ქართველები პოლონეთში

8. ნიადაგმცოდნე პროფესორი ნიკოლოზ კვინიხიძე – ქართველი პოზნანნიდან

ქართველები პოლონეთის მიწაზე XIX საუკუნეში გამოჩნდნენ მაშინ, როდესაც "რჟეჩპოსპოლიტას" აღმოსავლეთ ნაწილი ისევე, როგორც საქართველო, რუსეთის იმპერიაში აღმოჩნდა, პოლონეთის დედაქალაქში უკვე XIX საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდნენ ქართველი სამხედროები, რომლებიც მეფის არმიაში მსახურობდნენ – ვაჭრები, სტუდენტები და ა.შ. ქართველები ცხოვრობდნენ პოზნანშიც, ერთ-ერთი მათგანი იყო პროფესორი ნიკოლოზ კვინიხიძე, მის შესახებ ცნობებს ჭილეკოპოლსჯი შლოწნიკ ბიოგრაფიკზნყ – დან ვგებულობთ, ნიკო 8, ნიადაგმცოდნე პროფესორი ნიკოლოზ კვინიხიძე – ქართველი პოზნანნიდან

ქართველები პოლონეთის მიწაზე XIX საუკუნეში გამოჩნდნენ მაშინ, როდესაც "რჟეჩპოსპოლიტას" აღმოსავლეთ ნაწილი ისევე, როგორც საქართველო, რუსეთის იმპერიაში აღმოჩნდა, პოლონეთის დედაქალაქში უკვე XIX საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდნენ ქართველი სამხედროები, რომლებიც მეფის არმიაში მსახურობდნენ – ვაჭრები, სტუდენტები და ა.შ. ქართველები ცხოვრობდნენ პოზნანშიც, ერთ-ერთი მათგანი იყო პროფესორი ნიკოლოზ კვინიხიძე, მის შესახებ ცნობებს ჭილეკოპოლსჯი შლოწნიკ ბიოგრაფიკზნყ – დან ვგებულობთ, ნიკოლოზის მამა, ვლადიმერ კვინიხიძე წარმოშობით ქოთაისიდან ყოფილა, იგი მეფის არმიაში მსახურობდა, ვიტებსკში 1889 წლის 20 იანვარს მას შეეძინა ვაჟი – ნიკოლოზი. შემდეგ მათი ოჯახი კიევში გადადის ასცხოვრებლად და ნიკოლოზი კიევის უნივერსიტეტის მათემატიკურ – საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე იწყებს სავლას, 1910 წელს სტუდენტთა დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის მას უნივერსიტეტიდან რიცხავენ და ვოლოგდის გუბერნიაში ასახლებენ.

კიევში დაბრუნების ნებართვას ნიკოლოზი 1913 წელს იღებს, აქ იგი სწავლას სახელმწიფო სავაჭრო ინსტიტუტში აგრძელებს, მაგრამ მისი სწავლა პირველმა მსოფლიო ომმა შეწყვიტა.

ომის დასრულების შემდეგ ნიკოლოზს დენიკინის თეთრ არმიაში რიცხავენ და იგი ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძვის.

1920 წელს ნიკოლოზ კვინიხიძე პოლონეთში პოზნანთან ახლოს არის ინტერნირებული, ამავე ბანაკში მას გაიცნობს ცნობილი პოლონელი პროფესორი ფელიქს ტერლიკოვსკი, რომელიც ამ დროს პოზნანის უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის დაარსებას აპირებს, მალე ნიკოლოზი პროფ. ტერლიკოვსკის

ასისტენტად დაიწყო მუშაობას. ნიკოლოზს სურს უფრო სრულყოფილ თავისი ცოდნა და უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტზე ისმენს ლექციებს. ამ საქმეში მას გარკვეულ სიზნელებს უქმნის პოლონური ენის სუსტი ცოდნა, მაგრამ თავისი ლინგვისტიკური ნიჭის წყალობით მალე მან საკმაოდ კარგად ისწავლა პოლონური.

1922 წელს ნიკოლოზმა უნივერსიტეტი მექანიზატორის სპეციალობით დაასრულა, ველკოპოლსკიში და პოლონეთის ჩრდილოეთ რეგიონებში პროფესორ ფელიქს ტერლიკოვსკის ხელმძღვანელობით ჩატარებული ნიადაგების შესწავლის სამუშაოებმა ნ. კვინიხიძეს დიდი წარმატება მოუტანეს. 1933 წლის მარტში იგი სადოქტორო დისერტაციას იცავს. 1939 წალს, მეორე მსოფლიო ომის დაწყებისა და პოლონეთში გერმანელების შეჭრის გამო პოზნანის უნივერსიტეტი წყვეტს მუშაობას.

1951 წლიდან ნ. კვინიხიძე პოზნანის უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნეობის კათედრის გამგის მოადგილეა. შემდგომ ამ კათედრის ბაზაზე დაარსდა პოზნანის სოფლის მეურნეობის უმაღლესი სკოლა რომელიც 1972 წელს სოფლის მეურნეობის აკადემიად გადაკეთდა. ნ. კვინიხიძე აქტიურად თანამშრომლობდა ამ პრესტიჟულ სასწავლებელში: კითხულობდა ლექციებს, ბეჭდავდა სტატიებს, გამოსცა მონოგრაფები ნიადაგმცოდნეობის ახალი რუკა და ა.შ.

ამვე პერიოდში ნ. კვინიხიძემ დაარეგულირა თავისი სამოქალაქო მდგომარეობაც, კერძოდ 1950 წელს იგი პოლონეთის მოქალაქე ხდება, მიუხედავად ამისა ყველა დოკუმენტში ეროვნების გრაფის გასწვრივ იგი ყოველთვის "ქართველს" წერს. 1951 წელს კვინიხიძის მონაწილეობით შედგენილი პოლონეთის ნიადაგების რუკა სახელმწიფო ორდენით დაჯილდოვდა. მალე ნ.კვინიხიძე პროფესორის წოდებასაც ღებულობს და ნიადაგმცოდნეობის კათედრის გამგედაც ინიშნება. იგი ამ თანამდებობაზე პენსიაზე გასვლამდე იმუშავებს. ნ. კვინიხიძე არც პენსიაზე გასვლის შემდეგ წყვეტს თავის მეცნიერულ თუ პრაქტიკულ საქმიანობას. აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ჟურნალების გამოცემაში. არის რამდენიმე ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი.

ნ. კვინიხიძე 1968 წლის 7 თებერვალს გარდაიცვალა, იგი პოზნანშია დაკრძალული.

ორი დიდი ნიადაგმცოდნის – პოლონელი ფელიქს ტერლიკოვსკისა და ქართველი ნიკოლოზ კვინიხიძის ღვაწლი სათანადოდ დააფასა პოლონეთის მთავრობა. პოზნანის მეურნეობის აკადემიის ეზოში დგას ორი მარმარილოს ქვა რომელთა წარწერებიც ამ მეცნიერთა დამსახურებას ახსენებს შთამომავლობას.*

* პოლონელი მეცნიერი ისტორიკოსის ანჟეი ფურიერის წინამდებარე სტატია დაბეჭდილია საქართველო-პოლონეთის საზოგადოების ჟურნალ "პრო გეორგია"-ში.

თავი 3. წმინდანი და მეცნიერი

1. არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე

(მოკლე ბიოგრაფია)*

გრიგოლ ფერაძე დაიბადა 1899 წლის 13 სექტემბერს კახეთში, გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხეში, მღვდლის ოჯახში. მამამისი რომანოზ ფერაძე ამ სოფლის მღვდელი იყო. ასევე უაღრესად ღვთისმომში იყო გრიგოლის დედაც, მარიამ სამადალაშვილი.

გრიგოლი მამამისის (გარდაიცვალა 1905 წელს) და ასევე ბიძის, რომელიც ყვარლის მღვდელი იყო, კვალს გაჰყვა. მან სწავლა ჯერ სასულიერო სკოლაში დაიწყო, ხოლო შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა. სემინარიას გრიგოლი 1918 წელს დაამთავრებს, წარმატებით.

იმავე წელს გრიგოლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი ხდება. იგი პარალელურად გორის რაიონის ზემო ხანდაკის სკოლაში მუშაობს მასწავლებლად. მაგრამ მალე, ამავე 1918 წელს დამოუკიდებლობა მოპოვებული სამშობლო მოუხმობს სამხედრო ნაწილებში სასამსახუროდ. ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ გრიგოლი სოფელ მანავში იწყებს მასწავლებლად სამსახურს

1921 წლის სექტემბერში გრიგოლი, როგორც კახეთის დელეგატი, გელათში სასულიერო პირთა შეკრებაზე იღებს მონაწილეობას. მიტროპოლიტი ნაზარის წინადადებით მას მალე სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში გააგზავნიან. 1921 წლის ნოემბრის ბოლოს გრიგოლი სტოვეს საქართველოს. რას იფიქრებდა გრიგოლი მაშინ, რომ უკან აღარასოდეს აღარ დაბრუნდებოდა. აქ მალე დაიწყება ბოლშევიკური ტერორი, რომელიც ჯერ მიტროპოლიტ ნაზარეთს (1924 წელს), ხოლო მცირე ხნის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისაც (1927 წ.) მოითხოვს მსხვერპლად.

1922 წლის მაისში გერმანული ენის კარგად დაუფლების შემდეგ გრიგოლი ბერლინის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხება. მალე იგი პარალელურად მრავალ სხვა ენასაც აითვისებს. კერძოდ, გრიგოლმა უკვე იცის გერმანული, რუსული, ძველი სლავური, ებრაული, ბერძნული, სირიული, არაბული, კოპტური, სომხური, ფრანგული და ინგლისური ენები. ბერლინის უნივერსიტეტში გრიგოლი მოამზადებს და დაიცავს სადიპლომო ნაშრომს ქართველი ბერის გიორგი ჰაგიოგრაფის შემოქმედების შესახებ. 1925 წელს გრიგოლი ბონის უნივერსიტეტში გადადის და იქ აგრძელებს მუშაობას ქართული სამონასტრო ცხოვრების შესახებ. მისი სადოქტორო ნაშრომი “ქართული სამონასტრო ცხოვრება უძველესი დროიდან 1064 წლამდე” უდიდეს მოწონებას დაიმსახურებს ამ დარგის სპეციალისტებს შორის. დისერტაციის დაცვის შემდეგ მას პრივატდოცენტის თანამდებობასაც მისცემენ ბონის უნივერსიტეტში, სადაც იგი ლექციების კითხვას დაიწყებს ქართული და

სომხური ენების შესახებ. გრიგოლი პარალელურად იკვლევს მისთვის საინტერესო სამეცნიერო პრობლემებს ბრიუსელში, ლონდონში, ოქსფორდში და ა. შ. ამ პერიოდში გრიგოლი თავისი კვლევის შედეგებზე მრავალ სამეცნიერო სტატიას გამოაქვეყნებს.

1934 წლის 5 იანვარს გრიგოლ ფერაძეს ლონდონში, წმინდა სოფიოს ეკლესიაში არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანენ. ამ წლებში გრიგოლ ფერაძე ძალზე აქტიურად მონაწილეობს პარიზის, ვენის, დუბლინის, ოქსფორდისა თუ სხვა სამეცნიერო ცენტრებში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებში.

მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლს წუთი მოსვენება არა აქვს და თავდაუზოგავად მუშაობს, სამშობლოსაც არ ივიწყებს და ძალზე ენატრება იგი. მისი რამდენიმე მცდელობა, მოეპოვებინა საქართველოს მონახულების ნებართვა, წარუმატებლად დასრულდება. მალე გრიგოლი პარიზის ქართულ კოლონიას დაუახლოვდება და ძალიან აქტიურ მონაწილეობას მიიღებს დასავლეთ ევროპაში ერთადერთი ქართული, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მშენებლობაში, რომელიც 1929 წელს დასრულდა.

ამავე პერიოდში გრიგოლი, მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ მისთვის სამშობლოში დაბრუნების ყველა გზა მოჭრილია, პარიზში დააფუძვნებს სამეცნიერო ცენტრს, რომელსაც ძირითადად ქართული ქრისტიანული ცხოვრების კვლევა ევალება. 1931-34 წლებში ცენტრი მისი ხელმძღვანელობით გამოუშვებს ასევე ყოველწლიურ ქართულ ჟურნალს “ჯვარი ვაზისა”.

1933 წელს გრიგოლი მიიღებს პოლონეთის მიტროპოლიტის დიონისე ვალედინსკის წინადადებას ვარშავის უნივერსიტეტის მართლმადიდებლური თეოლოგიის ფაკულტეტზე ძველი ქრისტიანული ლიტერატურის (პატროლოგიის) კათედრის ჩაბარების თაობაზე. იგი პარალელურად სწავლობს და მალე სრულყოფილადც დაეუფლება პოლონურ ენას. ამ თანამდებობაზე უაღრესად ნაყოფიერ მუშაობას მას მეორე მსოფლიო ომი შეაწყვეტინებს.

პოლონეთში ჩასვლის შემდეგ გრიგოლ ფერაძე ძალზე აქტიურად ჩაებმება როგორც აქაურ საეკლესიო ცხოვრებაში, ისე ქართული ემიგრაციის საქმიანობაში. იგი ძალზე ხშირად მართავს ღვთისმსახურებას ქართულ ენაზე ვარშავის მართლმადიდებლურ ეკლესიაში. 1934 წლის იანვარში პოლონეთის მიტროპოლიტი გერმანოსი მას არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანს.

თუმცა 1933 წლიდან გრიგოლ ფერაძე მუდმივად ვარშავაში ცხოვრობს, მაგრამ ყოველი შვებულების დროს იგი პარიზში ჩადის, სადაც წმ. ნინოს სახელობის ეკლესიაში ღვთისმსახურებას ეწევა. ამასთან, როგორც კი საშუალება მიეცემა (ფინანსური, თავისუფალი დროის თვალსაზრისით და ა. შ.), იგი საზღვარგარეთ მიემგზავრება და იქ ქართული კულტურის ძეგლებს იკვლევს. მაგალითად, 1935

წელს მან შემოიარა რუმინეთი, საბერძნეთი და ბულგარეთი, სადაც მოიძია იშვიათი და მეცნიერებისათვის აქამდე უცნობი ქართული ხელნაწერები. ამ მხრივ ასევე ნაყოფიერი იყო 1936 წელიც, როდესაც გრიგოლ ფერაძემ წმინდა მიწიდან ვარშავაში ჩამოიტანა V1-V11 საუკუნეების ქართული პალიმფსესტები.

მალე ომი დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლს ოფიციალურად აქვს ჰიტლერელების მიერ ოკუპირებული ვარშავის დატოვების უფლება, იგი ქვეყანას არ დატოვებს, “რადგან ვერ მიატოვებს გასაჭირში იმ ადამიანებს, რომელთაც მას ოდესღაც დახმარების ხელი გაუწოდეს”. გრიგოლი ვარშავის მიტროპოლიაში იწყებს მთარგმნელად მუშაობას. პარალელურად იკვლევს სამეცნიერო ექსპედიციიდან ჩამოტანილ ქართულ ტექსტებს. ამ დროისათვის იგი უკვე ნაკლებ ერევა ვარშავის ქართული კოლონიის საქმეებში, თუმცა კვლავინდებურად ეხმარება გაჭირვებულთ. მიუხედავად ამისა, იგი პროვოკაციის მსხვერპლი ხდება გესტაპოს ზოგიერთი ქართველი აგენტის მხრიდან. გრიგოლ ფერაძეს 1942 წლის 5 მაისს დააპატიმრებენ და ვარშავის (პავიაკის) ციხეში ჩასვამენ. დაპატიმრების უმთავრესი ოფიციალური მიზეზი ის იყო, რომ იგი მფარველობდა ებრაულ ოჯახებს და მათ ნაცისტებისაგან იცავდა.

გრიგოლ ფერაძე თითქოს გრძნობს თავის გარდუვალ აღსასრულს და ანდერძს წერს. ამ დოკუმენტის თანახმად იგი მთელ ქონებას თავის მრევლს უტოვებს, ხოლო უნიკალურ ხელნაწერებსა და ხატებს - ქართულ ეკლესიას.

პავიაკის ციხეში ერთი თვის ყოფნის შემდეგ გრიგოლს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანენ. აქ იგი ოთხმოც მძიმე დღეს გაატარებს. 1942 წლის 6 დეკემბერს 43 წლის გრიგოლ ფერაძეს ამ ბანაკში სიკვდილით დასჯიან.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, იგი თავისი ნებით შევიდა გაზის კამერაში მრავალშვილიანი ვარშაველი ებრაელის ნაცვლად. გრიგოლ ფერაძე მოხსენიებულია ვარშავის უნივერსიტეტის იმ პროფესორ-მასწავლებელთა მემორიალურ დაფაზე, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომს შესწირეს თავი. მისი სახელი აღნიშნულია აგრეთვე ვარშავის წმ. იოანეს სახელობის ეკლესიის მემორიალურ დაფაზე იმ სასულიერო პირებს შორის, რომლებიც მძვინვარე მსოფლიო ომმა შეიწირა.

გრიგოლ ფერაძის სამეცნიერო ნაშრომების აბსოლუტური უმრავლესობა დაწერილია გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ და პოლონურ ენებზე. ისინი ხომ საზღვარგარეთ იბეჭდებოდა. მიუხედავად ამისა, მათ საკმაოდ დიდ ნაწილს იცნობდნენ ქართული მეცნიერების კორიფეები - ივანე ჯავახიშვილი და კორნელი კეკელიძე. საერთოდ კი, გრიგოლ ფერაძე, ეს ბუმბერაზი მეცნიერი და საეკლესიო მოღვაწე სათანადოდ არ არის შესწავლილი საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ მისი შრომების უმრავლესობა სწორედ საქართველოს ეხება.

გრიგოლ ფერაძის პოლონელი ბიოგრაფი მღვდელი ჰენრიკ პოპროცკი (მისი წერილი იხ. ქვემოთ), აღნიშნავს, რომ გრიგოლ ფერაძე ბრწყინვალედ უთავსებდა ერთმანეთს სამეცნიერო მოღვაწეობასა და მეცნიერების პოპულარიზაციას. იგი ავტორია მრავალი საენციკლოპედიო ნაშრომისა და საგანმანათლებლო პოპულარული სტატიისა. ამიტომ, მისი აზრით, კარგი იქნებოდა, თუ გრ. ფერაძის ნაშრომები შეიკრიბებოდა და თხზულებათა კრებულის სახით ერთად გამოიცემოდა. ამით საქართველო პატივს მიაგებდა თავის ბრწყინვალე შვილს, რომელსაც ბედმა სამშობლოსაგან შორს არგუნა ცხოვრება, ხოლო შემდეგ ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში სიკვდილი.**

* გრიგოლ ფერაძის ეს მოკლე ბიოგრაფია ეყრდნობა მისი ძმიშვილის, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის რომანოზ ფერაძის ნაამბობს, გრიგოლ ფერაძის პოლონელი ბიოგრაფის, მღვდელი ჰენრიკ პოპროცკის გამოკვლევებს და ეკატერინე ელიავა-ჩესტნოვიჩის სტატიას გრ. ფერაძის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა თბილისში გამომავალ ჟურნალ “კავკასკა პოლონია”-ში

** ვფიქრობთ, მუშაობა ამ მიმართულებით გარკვეულწილად უკვე დაწყებულია. კერძოდ, საქართველოს ეკლესიამ 1995 წელს არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე წმინდანად შერაცხა. გამოიცა მისი თხზულებათა კრებულიც; ჟურნალმა “არტანუჯმა” გრ. ფერაძეს თავისი სპეციალური ნომერი უძღვნა და ა. შ. წინამდებარე წიგნიც ერთი პატარა ნაბიჯია ამ მიმართულებით.

2. გრიგოლ ფერაძე - ავტობიოგრაფიის ფრაგმენტები*

1926 წელს ჟურნალ "Der Orient"-ში აღვწერე ჩემი სწავლის პერიოდი გერმანიაში, ასევე ჩემი პროფესორები და საკუთარი სამომავლო მეცნიერული გეგმები. მას შემდეგ უკვე თოთხმეტმა წელმა განვლო. ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა - განსაკუთრებით ბოლო წლებში - არა მხოლოდ კერძო პირთა, არამედ, მთელი სახელმწიფოებისა და ხალხების ცხოვრებაშიც.

რას ნიშნავს ახალი სამეცნიერო გეგმები, რა ფასი აქვს კაბინეტში გამოკეტვას, რათა თავი შესწირო გაშუქებას აბსტრაქტული პრობლემებისას, რომლებიც უმეტესად კოლეგების მეტად ვიწრო წრეს აინტერესებს, როდესაც ჩვენ ირგვლივ ცხოვრება, სავსე საშინელი ისტორიული მოვლენებით, გადამწყვეტ გავლენას ახდენს ცალკეული ხალხების გადარჩენასა თუ გაქრობაზე. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენი პლანეტის მცხოვრებნი პასუხს აგებენ თავიანთი წინაპრების ცოდვებზე, თუმცა საბოლოო ანგარიშსწორების დღე ჯერაც არ დამდგარა.

ვფიქრობ, ასეთი ვითარება ხელს არ უწყობს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. მეცნიერისათვის ხომ მშვიდი გარემო და შესაფერისი ატმოსფეროა აუცილებელი. სამაგიეროდ, ასეთი დრო სრულიად შესაფერისია ადრე

შესრულებული ნაშრომების გადასახედად და იმის გასათვალისწინებლად, რისი შესრულებაც ვერ მოვასწართ. ამავე დროს, მომავლის გეგმებში საჭიროა გავითვალისწინოთ ის მოვლენებიც, რომლებიც განვლილ პერიოდში მოხდა. ყოველი გარკვეული პერიოდის შემდეგ საკუთარი საქმიანობის შეჯამება ნამდვილად სასარგებლოა.

გერმანული მეცნიერების შესწავლა მე დავიწყე მისი აყვავების პერიოდში. ისეთი ფიგურები, როგორებიც არიან ჰარნაკი, დაისმანი, ბაუდისინი, გრესმანი, გოუსენი და ერჰარდი, ყოველ თაობაში როდი იზადებიან, ისინი მრავალი თაობის სწრაფვისა და სულიერი ღვწის გვირგვინს წარმოადგენენ. ახლა რომ ვიწყებდე სწავლას, სრულიად სხვაგვარად შევაფასებდი მათ დახმარებას და სხვაგვარადაც გამოვიყენებდი, მაგრამ სინანული უკვე გვიანაა.

სიმართლე რომ ითქვას, მე არა ვარ თეოლოგი. არასოდეს არ ვანიჭებდი დიდ მნიშვნელობას წმინდა თეოლოგიურ მეცნიერებას. დოგმატიკას მხოლოდ იმიტომ ვსწავლობდი, რომ იძულებული ვიყავი - ამ საგანში ხომ შემდეგ გამოცდა უნდა ჩამებარებინა; ასევე არ მალეღებდა ქრისტიანული მსოფლმხედველობის პრობლემატიკა და სხვა რელიგიებთან თუ თანამედროვე სულიერ მიმდინარეობებთან მისი დაპირისპირება, ყოველივე ის, რაც ტერმინ აპოლოგეტიკით გამოიხატება; არასოდეს მიგრძენია წრეგადასული სიყვარული სისტემური თეოლოგიის მიმართ.

საქართველოს საეკლესიო ხელისუფლებას, რომელმაც 1921 წელს გერმანიაში გამაგზავნა თეოლოგიის შესასწავლად, სურდა განსაკუთრებული ყურადღება დამეთმო აპოლოგეტიკისა და თანამედროვე სასულიერო მიმდინარეობებთან ქრისტიანთა კამათისათვის, განსაკუთრებით ათეიზმისათვის და ასევე ქრისტიანობის კონფორმაციისათვის სოციალიზმსა და კომუნიზმთან. მაგრამ გერმანიაში ერთი წლის ცხოვრების შემდეგ მივხვდი, რომ გული არ მიმიწევდა ამ სახის მეცნიერებებისაკენ. ადამიანი, რომელიც მაშინ მეხმარებოდა თავისი რჩევებით და მამობრივ მზრუნველობას იჩენდა ჩემ მიმართ, იყო დოქტორი ლეფსიუსი. ძირითადად ამან განაპირობა ჩემი დაინტერესება ბიბლიური და ისტორიული თეოლოგიითა და აღმოსავლური ენებით - ძველებრაულით, სირიულით, სომხური. მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ მივუბრუნდი ქართული ეკლესიის პრობლემების კვლევასა და ქრისტიანული ლიტერატურის ისტორიასაც. ამ მიზნით გავეცანი იმდროინდელ სამეცნიერო მუშაობის მეთოდებს და საერთოდ მთელ ევროპაში ვსწავლობდი ყველაფერს, რაც შემდეგ დამეხმარებოდა საქართველოსთან დაკავშირებული პრობლემების კვლევაში.

ამგვარად, სამი წლის განმავლობაში ვსწავლობდი ბერლინში და ვცხოვრობდი პოტსდამში. კვირაში ერთხელ შემემლო მენახა დოქტორი ლეფსიუსი, რომელიც პირადად მასწავლიდა სხვადასხვა თეოლოგიურ საგანს. დღემდე ნათლად მახსოვს,

თუ როგორ ვკითხულობდით ერთად იოანეს სახარებას. იოჰანეს ლეფსიუსს განსაკუთრებით უყვარდა ცად მოლივლივე სიყვარულისა და სულის მეოხი სახარება - იოანეს სახარების სიმბოლო ხომ არწივია. ლეფსიუსის მთელი მაღალკულტურული ცხოვრება სახარების გავლენით განვითარდა.

ქართული წიგნების ძიებისას გავიცანი პროფესორი ჰენრიხ გოუსენი. იგი უაღრესად მშვიდი ბუნების მეცნიერი იყო, ენების გენიოსი - სრულყოფილად ფლობდა არა მხოლოდ ინგლისურს, ფრანგულსა და რუსულს, არამედ აღმოსავლურ ენებსაც: სომხურს, ქართულს, კოპტურს, ეთიოპურს, არამეულს, სირიულს, იცოდა ასევე ლათინური და ბერძნულიც. ჰქონდა უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელიც სავსე იყო აღმოსავლური წიგნებით. ოქროს გულის მქონე, უაღრესად კულტურულ ადამიანს, სიკვდილამდე შერჩა სიყვარული და ნდობა ადამიანთა მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით განიცდიდა მათგან იმედგაცრუებას. მრავალი სხვა მეცნიერისაგან განსხვავებით, იგი არ იყო არც “წიგნების ჭია” და არც მათი გულგაციებული ავტორი. წერაზე მეტად სიცოცხლეს აფასებდა, ამიტომ თავისი ცოდნის ამოუწურავი საგანძურიდან არცთუ ისე ბევრი რამ დაუტოვა შთამომავლობას, მაგრამ რაც დაწერა, საუკუნეებს გაუძლებს.

ბერლინიდან ბონში მასთან გავემგზავრე - ერთი სამყაროდან მეორეში და ამ მეორე სამყარომ ისე მიმიზიდა, რომ დიდხანს უკან აღარ გამოვბრუნებულვარ. იქ ყველაფერი ჩემთვის ახლობელი და კარგად ნაცნობი იყო. ქალაქის გარეუბნებში მშვენიერი გორაკები, რბილი კლიმატი და ბარაქიანი მიწები უფრო მეტად მომაგონებდა ჩემი სამშობლოს ბუნებას, ვიდრე ბერლინი და მისი შემოგარენი. იქაური ხალხიც უფრო გულღია და თბილი მომეჩვენა, ვიდრე ბერლინის მცხოვრებნი. ძალზე მომეწონა აგრეთვე ცხოვრება პატარა საუნივერსიტეტო ქალაქშიც, სადაც ყველაფერი სასწავლებლის გარშემო ტრიალებდა, მისთვის არსებობდა და სხვა არაფერი აინტერესებდა. აქ ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, რომ უნივერსიტეტი ყველაზე წინ და ყველაფერზე მაღლა იდგა. ასეთ ადგილას ძალიან მალე შეიძლება იგრძნო თავი როგორც საკუთარ სახლში. ადამიანი მალე ეჩვევა აქაურობას და შეუძლია მხოლოდ თავისი საქმიანობით შემოიფარგლოს. ის, რაც მე დოქტორმა ლეფსიუსმა ჩამაგონა, კიდევ უფრო გააძლიერა პროფესორმა გოუსენმა. უკვე დრო იყო დამეწყო ქართულ თემატიკაზე მუშაობა. ჩემი ნაშრომის _ “ქართული სამონასტრო ცხოვრების ისტორია - საჭიროებიდან გამომდინარე, მან დიდსულოვნად დამითმო მთელი თავისი ბიბლიოთეკა. იგი ასევე უშურველად მეხმარებოდა თავისი მდიდარი ცოდნა-გამოცდილებითაც. მისი მეოხებით გავიცანი ცნობილი მეცნიერი, ორიენტალისტთა მეფედ მიჩნეული პაულ პეტერსიცი. სწორედ ამ ნაცნობობას, რომელიც შემდგომში პირად მეგობრობაში გადაიზარდა, ვუმაღლი ძალზე ბევრ შემოქმედებით იმპულსს.

ჩემი პირველი ნაშრომი, სამწუხაროდ, სრულად აქამდე არ დაბეჭდილა. პირველი განყოფილება - “მონასტრული ცხოვრების დასაწყისი საქართველოში -

გამოქვეყნდა "Zeitschrift für Kirchengeschichte"-ში. შუა ნაწილი დაბეჭდა ფრანგულმა ჟურნალმა "Revue d'histoire ecclésiastique"-მ, ხოლო დასკვნითი ნაწილი გამოქვეყნდა ბერნში გამომავალ "Internationale kirchliche Zeitschrift"-ში. მთელი ნაშრომის ერთად დაბეჭდვის თაობაზე მოლაპარაკება მქონდა გამომცემლობა "ეკლესიის მამათა ბიბლიოთეკასთან". იქნებ ომის შემდგომ შევძლო ამ ნაშრომის გამოქვეყნება.

ვისბადენში სტუმრობისას, 1925 წლის შემოდგომაზე, უკანასკნელად ვნახე დოქტორი ლეფსიუსი. იგი 1926 წლის თებერვალში გარდაიცვალა, მე კი თებერვლის ბოლოს დავიცავი სადოქტორო დისერტაცია.

სწავლის დასრულებისა და დოქტორის ხარისხის მოპოვების შემდეგ, მსურდა სახლში დავბრუნებულიყავი და მუშაობა დამეწყო - ან ეკლესიაში, ან უნივერსიტეტში. ამ მიზნით განცხადება გავუგზავნე საბჭოთა საელჩოს. ვინაიდან პასუხი არ ჩანდა, გერმანიის აღმოსავლეთის მისიის იმდროინდელი დირექტორის წინადადებით, სამეცნიერო მივლინებით ბელგიაში გავემგზავრე, რათა გარკვეული ხნით მემუშავა ისეთ გამოჩენილ ქართველოლოგთან ევროპაში, როგორც იყო ბოლანდისტი პაულ პეეტერსი. მას 1926 წლის შობის არდადეგების დროს შევხვდი ბრიუსელში. განზრახული მქონდა აგრეთვე გარკვეული დრო დამეთმო კათოლიკური თეოლოგიის შესწავლისათვის ლუვენის ცნობილ ძველ უნივერსიტეტში. ბელგიაში ერთ წელიწადზე ოდნავ მეტი დრო დავყავი - 1926 წლიდან 1927 წლის აპრილამდე. ვსწავლობდი ძველ ქართულ წიგნებს ბოლანდისტების მდიდარ ბიბლიოთეკაში და პეეტერსთან ვსაუბრობდი ქართული ჰაგიოგრაფიისა და ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხებზე. იქვე მოვამზადე დასაბეჭდად ზემოთ ნახსენები სამეცნიერო ნაშრომიც. ჩვენი ერთობლივი განხილვისა და კამათის შედეგად იშვა ორი წიგნი: ერთი პეეტერსის - "L'eglise Georgienne du Elibanion au Mont Admirale", მეორე კი ჩემი - "Die Probleme der Ditesten Kirchengeschichte Georgiens"~.

პაპი ლეონ XIII-ის ცნობილი ბულის შემდეგ, რომელიც კრძალავდა სქოლასტიკური ფილოსოფიის შესწავლას, ლოუვენის უნივერსიტეტი განსაკუთრებული ინტერესით შეუდგა ისეთი სახელგანთქმული ფილოსოფოს-სქოლასტიკოსის მემკვიდრეობის გაცნობას, როგორც იყო თომა აქვინელი. აქ არსებობდა სემინარია, რომელიც ამ პრობლემებზე მუშაობდა. ამრიგად, შესაძლებლობა მომეცა, გავცნობოდი ფილოსოფიის ამ მიმართულებას, მაგრამ აზროვნების სქოლასტიკური მეთოდი ჩემთვის საკმაოდ უცხო აღმოჩნდა. მცირე რამ ჰქონდა მას საერთო ჩემს მომავალ გეგმებთან, ამიტომ მის ნაცვლად ეკლესიის ისტორიის, პატროლოგიისა და ორიენტალისტიკის შესწავლა დავიწყე. გარდა ამისა, ფრანგული ენის, ფრანგული ლიტერატურისა და ფლამანდიური ხელოვნების შესწავლასაც შევუდექი. იქ ყოფნისას, როგორც სტუდენტმა, ძალიან ბევრი ვიმოგზაურე ამ ქვეყანაში და დავათვალიერე ბევრი ქალაქი, მათი მშვენიერი ხელოვნების გალერეები, ეკლესიები და მონასტრები.

1927 წლის აპრილის ბოლოს ბელგიიდან ინგლისში გავემგზავრე, რათა ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმსა და, უწინარეს ყოვლისა, ბოდლენაში (ოქსფორდის ცნობილ უნივერსიტეტში) გავცნობოდი იქ შემონახულ ხელნაწერებს. სამწუხაროდ, დიდხანს დარჩენა არ შემეძლო - ბონში პროფესორ გოუსენის გარდაცვალების შემდეგ (1927 წლის აპრილი) აღმოსავლეთის სემინარიამ შემომთავაზა მისი ადგილი დამეკავებინა. ვფიქრობ, მთელ გერმანიაში ვერ მოიძებნებოდა ერთი მეცნიერიც კი, რომელიც თუნდაც ნაწილობრივ მაინც შეცვლიდა მას. პეტერსის გარდა არ მეგულებოდა სხვა ვინმე, ვინც მასავით იქნებოდა დაუფლებული ყველა აღმოსავლურ ქრისტიანულ ენას. მე ლექციები უნდა წამეკითხა მხოლოდ ძველი სომხური და ძველი ქართული ენების შესახებ. ისევ არ ჩანდა ჩემი განცხადების პასუხი საბჭოთა საელჩოდან, მე კი მსურდა რაიმე მოკრძალებული სამეცნიერო თანამდებობა მაინც დამეჭირა, სადაც შემეძლებოდა დაუბრკოლებლად მემუშავა ჩემთვის საინტერესო პრობლემებზე. მივხვდი იმასაც, რომ სულიერად და მეცნიერებით თავის სამშობლოსთან დაკავშირებულ ადამიანს მისი კულტურის პოპულარიზაციისათვის უფრო მეტის გაკეთება შეეძლო, თუ ის საზღვარგარეთ იმუშავებდა.

ბონში ყველაზე ხელსაყრელი პირობები იყო ჩემი მიზნების მისაღწევად. პროფესორ გოუსენის ბიბლიოთეკა, რომელიც მან უანდერდა კიოლნის კარდინალს, ოცდაათი წლით გადაეცა ბონის უნივერსიტეტს, სადაც ყოველთვის იყო რამდენიმე ქართული და სომხური ენებით დაინტერესებული ადამიანი. მაშინ რომ უფრო გამოცდილი ვყოფილიყავი, ან ვინმეს ერჩია ჩემთვის, შემეძლო ამ მოლაპარაკების პროცესში სამეცნიერო შვებულების ან სტიპენდიის მიღებისთვისაც მიმეღწია. მაშინ მატერიალურად უზრუნველყოფილი ვიყავი. ჩემი უსაყვარლესი მასწავლებლის შემდეგ მუშაობის გაგრძელება და მისი სამეცნიერო გეგმებისა და ამოცანების რაც შეიძლება საუკეთესოდ შესრულება უდიდესი პატივი იყო ჩემთვის, ამიტომ წინადადებაზე დადებითად ვუპასუხე. ივნისის ბოლოს ბონში უნდა გამოვცხადებულიყავი, რათა შემესრულებინა ყველა საჭირო ფორმალობა.

1927 წლის აგვისტოში ლოზანაში გაიმართა მსოფლიო კონფერენცია თემაზე: "რწმენა და საეკლესიო სისტემა", რომელზეც მიმიწვიეს როგორც ქართული ეკლესიის წარმომადგენელი. კონფერენციასთან დაკავშირებული ჩემი საქმიანობის შესახებ და ასევე ჩემი მოხსენებებიც ნაწილობრივ უკვე დავბეჭდე ჟურნალ "ორიენტის-ფურცლებზე".

ბონში დავრჩი 1932 წლის აპრილამდე. აღმოსავლეთის სემინარია პროფესორ პაულ კეხლეს ხელმძღვანელობით აღმავლობას განიცდიდა. აქ მსოფლიოს თითქმის ყველა კულტურული ენა ისწავლებოდა.

მისი ბიბლიოთეკა ყოველდღიურად მდიდრდებოდა, ამერიკიდანაც კი უგზავნიდნენ ხელნაწერებს გამოკვლევებისათვის. მაშინ სემინარიაში ლექციებს კითხულობდა ლიტურგიკული ტექსტების ცნობილი მკვლევარი, პროფესორი ანტონ ბაუმშტარკი. მისი ინიციატივითა და თანამშრომლობით შეიქმნა ჩვენი ერთობლივი ნაშრომი: "Die Wiehnachsfeier Jerusalems Im Siebten Jahrhudert" და ორი ნაშრომიც ლიტურგიის ისტორიის სფეროდან: "Zur Vorbyzantischen Liturgie Georgiens" და "Les Monuments Liturgiques Prebjzantins en Langue Georgienne" კიდევ ერთი - "Die Altgeorgische Literatur und ihre Probleme"

მეცნიერული მუშაობისას მხარში დგომისათვის გულწრფელ მადლობას ვუხდით ასევე მღვდელს, პროფესორ ერჰარდს, ცნობილ პატროლოგსა და ბიზანტოლოგს. მისი წყალობით დავეწერე ნაშრომი - "die Altchristliche Literatur in der Georgischen Berlieferung."

განსაკუთრებით მჭიდრო მეცნიერული კავშირები მქონდა კათოლიკური თეოლოგიის განყოფილების ახალი აღთქმის მკვლევართან, პროფესორ ჰენრიხ ბოგელსემთან. პროფესორმა თავისი მეცნიერული ცხოვრება შესწირა "iatessaronu-ს პრობლემის კვლევას. მისი შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახარების ტექსტების რეკონსტრუქციის, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავდაპირველი ფორმის დაბრუნებისათვის. სახარებისადმი სიყვარული, სახარებისეული ტექსტებისა და ასევე იესოს ცხოვრების შესწავლისადმი ინტერესი ჯერ კიდევ დოქტორმა ლეფსიუსმა შთამაგონა პოტსდამში. მას ხომ დიდი წვლილი აქვს შეტანილი ამ საქმეში.

ბონში ქრისტიანული აღმოსავლეთის სფეროში ჩემი დისერტაციის თემად შევარჩიე მარკოზის სახარების ქართული ტექსტები. ჯერ კიდევ ადრე, პროფესორ გოუსენთან კონტაქტების მეოხებით შევძელი მომეპოვებინა იშვიათი ეგზემპლარები მარკოზის ტექსტებისა, რომლებიც თარიღდებოდა 913 და 995 წლებით. პროფესორმა კვლევამ ლენინგრადიდან დაბრუნების შემდეგ აღმოსავლეთის სემინარიისათვის ჩამოიტანა სახარების ყველაზე ძველი ქართული ტექსტის ფოტოგრაფია; იგი 897 წლით თარიღდებოდა. მარკოზის სახარების ტექსტის "Codex Vaticanus"-ში დაბეჭდვის შემდეგ დავიწყე ერთობ მძიმე და მოსაწყენი შრომა ქართული ტექსტის შედარებაზე.

პროფესორ ბაუმშტარკის სემინარებზე მრავალი წლის განმავლობაში ვსწავლობდი სახარების თარგმნის პრობლემებს აღმოსავლურ (არაბულ, სირიულ, ქართულ, სომხურ, ეთიოპურ და კოპტურ) ენებზე და ასევე ტექსტების კრიტიკულ შინაარსს. ბაუმშტარკის გამოკვლევა სახარების ქართული ტექსტების შესახებ ჩვენი ერთობლივი ნაშრომის შესავალივით მოგვევლინა. სახარების ქართულად თარგმნის პრობლემის განმაზოგადებელი, საკუთარი კვლევის შედეგები წარვუდგინე 1930 წელს ვენაში გამართულ ორიენტალისტთა VI გერმანულ კონფერენციას. ამ ნაშრომის წყალობით, რომელიც მცირე ხნის შემდეგ გამოქვეყნდა კიდევ, გავეცანი ქართველოლოგიისა და ორიენტალისტიკის, ასევე შედარებითი ფილოლოგიის

უმნიშვნელოვანეს წარმომადგენელს, გენიალურ მკვლევარს, პროფესორ ნიკო მარს. ჩვენი მოკრძალებული მეცნიერული კონტაქტები შემდგომ თანდათან მჭიდრო ურთიერთობაში გადაიზარდა. პროფესორი მარი 1931 წლის დასაწყისში მცირე ხნით ჩამოვიდა ბონში. მას განზრახული ჰქონდა პირადად გასცნობოდა ბონის უნივერსიტეტის ქართულ-სომხური განყოფილების შრომებს. მაშინ მან შემომთავაზა მის ასისტენტად სამუშაოდ ლენინგრადში გადავსულიყავი, მაგრამ თავში სულ სხვა ჩანაფიქრი მიტრიალებდა. მძიმე ავადმყოფობა მქონდა გადატანილი და გადავწყვიტე პარიზში წავსულიყავი, რათა იქაურ ქართველ ემიგრანტთა შორის სასულიერო მოღვაწეობა წამომეწყო. პროფესორი მარი ძალიან ცდილობდა დავერწმუნებინე, რომ ამგვარი გადაწყვეტილება დიდად ავნებდა ჩემს სწავლასა და სამომავლო გეგმებს. გამიზიარა საკუთარი გამოცდილება ქართულ ემიგრაციასთან ურთიერთობისა. სამწუხაროდ, მაშინ მე კარგად არ ვიცნობდი ჩვენს ემიგრაციას და მისი დასკვნები წმინდა თეორიულ მსჯელობად მეჩვენებოდა. ამიტომაც მყარად ვიდექი ჩემს პოზიციაზე, რითაც მისი მეგობრობაც და მხარდაჭერაც დავკარგე. ჩაწერილი მაქვს ჩვენი მაშინდელი საუბარი და ოდესმე ალბათ გამოვაქვეყნებ.

გარდა იმ ანგარიშისა და მოკლე სტატიისა “Orientalischen Literatur-Zeitung“-ში, სახარების ქართული ვერსიების თემაზე ორსაათიანი მოხსენება წავიკითხე ოქსფორდში 1932 წლის 11 თუ 13 მაისს. ეს ხელნაწერი არ გამომიქვეყნებია, ვინაიდან მისი კიდევ უფრო გაფართოება მინდოდა. იგი ჩემი მრავალწლიანი დამაბული მუშაობის შედეგია და კვლავ დავუბრუნდებოდი, რათა საბოლოოდ მომემზადებინა დასაბეჭდად, მაგრამ ეს აქამდე ვერ მოვახერხე.

ამასობაში მარკოზისეულ და მათესეულ სახარებათა ქართული ტექსტები გამოქვეყნდა ბლაკეს “Patrologia Orientalis“-ში. ბლაკე იძლევა ქართულ ტექსტს ლათინურ თარგმანთან ერთად. ასევე მინდოდა გამომექვეყნებინა ამ ტექსტების გადამუშავებული ვარიანტებიც. ვფლობ ერთი ნუსხით მეტს, ვიდრე ბლაკე (კერძოდ, 1936 წლის დრუცის სახარებას). ომამდე მცირე ხნით ადრე (1939 წელს) მოლაპარაკება გავმართე ჟურნალ “ბიბლიკა“-ს (რომი) რედაქციასთან. თავიდან განზრახული მქონდა ერთად გამომექვეყნებინა დრუცულ მარკოზის ტექსტსა და სხვა ვერსიებს შორის განსხვავებები, მაგრამ მალე ომიც დაიწყო.

ბონში ცხოვრებისას, 1930 წელს დავათვალიერე ძველი ქართული ხელოვნების გამოფენა ბერლინში. ამის შესახებ წერილიც დავბეჭდე ჟურნალ “ორიენტში“. ბონში ჩემი მუშაობის პერიოდში ჩატარდა ორიენტალისტიკის V და VI გერმანული კონფერენციები - 1928 წელს ბონში, ხოლო 1930 წელს ვენაში. მე ორივეგან მივიღე მონაწილეობა. ბონში ვილაპარაკე საქართველოს პრობიზანტიური ლიტურგიკის შესახებ, ხოლო ვენაში - სახარების ქართული თარგმანების პრობლემის შესახებ. ბონის ყრილობის ბოლო დღეს, 1928 წლის 25 აგვისტოს, V სექციის (ქრისტიანული აღმოსავლეთი) მუშაობისას შემდეგი დასკვნა გაკეთდა: “ძველი ქართულის, მისი ჯერ კიდევ ბიზანტიურეპოქამდელი ლიტურატურის ძეგლებისა და ლიტურგიკული

ტექსტების მნიშვნელობიდან გამომდინარე, გერმანული ორიენტალისტური კონფერენციის სექცია ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას განსაკუთრებული მზრუნველობით მოვეკიდოთ ქართული კულტურის შესწავლის საქმეს."

რეზოლუცია გადაეგზავნა პრუსიის კულტურის მინისტრს (მაშინ მინისტრად მუშაობდა ორიენტალისტი ბეკერი, რომელსაც მანამდე ბონში პროფესორის თანამდებობა ეკავა). ეს იყო გერმანიაში ქართული კულტურის შესწავლის საქმეში უთუოდ დიდი წარმატება, რომლის უშუალო გამოხატულებად იქცა ძველი ქართული ფილოლოგიის კათედრის დაარსება.

ვენაში ორიენტალისტების ყრილობის დასრულების შემდეგ გავემგზავრე გრაცში, რათა გავცნობოდი მდიდრულ ქართულ კოლექციას, რომელიც ეკუთვნოდა 1927 წელს გარდაცვლილ ცნობილ ლინგვისტს - ჰუგო შუხარდტს. ეს კოლექცია ახლა ინახება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკის დირექციის თხოვნით მაშინ მოვაწესრიგე დაბეჭდილი ქართული წიგნების კატალოგი. მე მაინც, უპირველეს ყოვლისა, მაინტერესებდა ქართული ხელნაწერები, განსაკუთრებით, იაკობის საგალობლის ქართული ვერსია, რომელიც შემდგომ გამოვაქვეყნე ფრანგულ ენაზე.

ბონის პერიოდს მიეკუთვნება ასევე ნარკვევი საქართველოს კულტურის ისტორიიდან – "Der Heilige Georg im Leben und in der Frömmigkeit des Georgischen Volkes", "Das Minderthum in der Orientalischen Kirche", გარდა ამისა, წერილი "საქართველო" - პროტესტანტული თეოლოგიური და რელიგიათმცოდნეობის ენციკლოპედიისათვის ქართული კულტურის ისტორიის სხვადასხვა თემაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, 1932 წლის 1 აპრილს სინანულითა და გულისტკივილით დავტოვე ბონი და პარიზში გადავედი, რათა მხოლოდ სასულიერო ცხოვრებით მეცხოვრა მართლმადიდებელ ემიგრანტ ქართველთა შორის. ჩემი კავშირი პარიზელ ქართველებთან იწყება 1929 წლიდან. ამ წლის დასაწყისში პარიზში დაარსდა კომიტეტი, რომლის ამოცანაც იყო სამრევლოს შექმნა. სწორედ მაშინ ბონში მომმართვეს თანამშრომლობის წინადადებითა და მეც ქრისტეობის არდადეგების დროს იქითკენ გავეშურე. პარიზში პირველად ვიყავი. ჩემი მიზანი იყო ადგილზე შემესწავლა მდგომარეობა და პირადად გამეცნო როგორც მრევლი, ისე კომიტეტის წევრებიც. რადგან სამეცნიერო ინტერესებს ჩემთვის უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა, პარიზი არ მომეჩვენა შესაფერის ადგილად, იქაური სამრევლოსგანაც მნელი მოსალოდნელი იყო ჩემი მისწრაფებებისა და საქმიანობისადმი მხარდაჭერა. ამიტომ უარი განვაცხადე იქ სულიერ მოძღვრად დარჩენაზე და ბონში დავბრუნდი, რათა გამეგრძელებინა მუშაობა აღმოსავლეთის სემინარიაში.

მაგრამ მაშინ მოხდა ორი მოვლენა, რომლებმაც მაიძულა დავყაბულებულიყავი პარიზელ ემიგრანტთა წინადადებას: 1. ბონში ჩემი დაბრუნების შემდეგ

კონსტანტინოპოლიდან პარიზში ჩავიდა ქართველი მღვდელი -უნიატი (კონსტანტინოპოლში არსებობს უნიატური მიმდინარეობის ქართული მონასტერი), ამიტომ მართლმადიდებლური ეკლესიის დაარსება და მართლმადიდებელი მღვდლის ყოფნა პარიზში აუცილებელი გახდა; 2. 1930 წელს, როდესაც მძიმედ ავადმყოფი ვიწექი უნივერსიტეტის კლინიკაში და სიკვდილს ვებრძოდი, ჩემთან წინადადებით მოვიდა პარიზის სამრევლოს წარმომადგენელი. ამრიგად, მივიღე მიპატიჟება პარიზში.

ჰოსპიტლის დატოვებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ყოველდღიური საქმეებით ვიყავი დაკავებული, იმგვარი რელიგიური აღმაფრენა ვიგრძენი, თითქოს ჰაერში დავლივლივებდი. მხოლოდ პარიზში ჩემს მომავალ მუშაობაზე ვლაპარაკობდი, მოუთმენლად ველოდი აღდგომის არდადეგებს, რათა რაც შეიძლება მალე ჩავსულიყავი იქ და დამეწყო მღვდლის მოვალეობის შესრულება. ვერც ცნობილმა პროფესორმა კეხლემ, ვერც ნაცნობმა პროფესორმა მარმა (რომელიც, თითქოს ბედის ირონიააო, სწორედ იმ ხანებში ჩამოვიდა ლენინგრადიდან, გადმომცა მოკითხვა ჩემი შორეული სამშობლოსი და შემომთავაზა მუშაობის დაწყების პერსპექტივები), ვერ გადამათქმევინეს ჩემი გადაწყვეტილება. არავის ამქვეყნად არ შეეძლო შეეცვლევიინებინა იგი, დედაჩემსაც კი, რომელიც წერილით მირჩევდა უკან დაბრუნებას, რადგან, მისი აზრით, თუ მე არჩეულ გზაზე სიარულს გავაგრძელებდი, მაშინ ველარასოდეს შევძლებდი სამშობლოს ხილვას. ყველანაირი მცდელობა ამაო იყო - რადგან გადაწყვეტილება მივიღე, მტკიცედ ვიდექი მასზე და 1931 წლის 18 თუ 19 აპრილს ლონდონის ბერძნულ ეკლესიაში მორჩილების აღთქმა დავდე, მეორე დღეს კი დიაკვნადაც აღვიკვეცე. ბერად მაკურთხა ეკუმენური ტაძრის ეგზარქოსმა არქიეპისკოპოსმა გერმანოზმა, რომლის რეზიდენციაც ლონდონში იყო. კურთხევის ცერემონიალი პარიზის ბერძნულ ეკლესიაში 1932 წლის 25 მაისს ჩატარდა.

ჩემთვის დაიწყო სრულიად სხვაგვარი, ახალი ცხოვრება, რომელიც ასევე მსურდა შემეწირა ქართული კულტურისათვის. ქართველი ხალხის ისტორიაში კულტურისა თუ სულიერი ცხოვრების განვითარებას ხომ უპირატესად ბერებმა დაამჩნიეს დიდი კვალი. რატომ არ უნდა დაგვეარსებინა ჩვენც ასეთი კერა პარიზში? იქ მდებარეობდა ქართული ემიგრაციის მთავარი ცენტრი, ემიგრაცია კი განათლებული ხალხისაგან შედგებოდა! მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ შეიძლება იყო ნასწავლი, შესაძლოა მინისტრიც და მაინც ვერ იქცე კულტურულ ადამიანად. ჩემს დანიშნულებას აღვიქვამდი მისიონერის მოვალეობად და ვგრძნობდი, საჭირო იყო, რაღაც ძალა ამომდგომოდა მხარში. როდესაც მისიონერები ინდოეთში ან სადმე სხვაგან მიდიოდნენ, მათ თანადგომას უცხადებდა მშობლიური სამრევლო. დაგვიანებით მეც დავიწყე ასეთ მხარდამჭერთა ძიება, მაგრამ ამაოდ. ამიტომ უკმაყოფილო ვიყავი საკუთარი თავის, რადგან დავკარგე ძვირფასი დრო, რომელიც შემეძლო შემეწირა სამეცნიერო და კვლევითი მუშაობისათვის.

ემიგრაციის ახალი თაობა (აღმოსავლეთში ადამიანი ახალგაზრდად მანამდე ითვლება, ვიდრე სულ არ გათეთრდება და კბილები არ დასცვივა) უმეტესად უმუშევარი, ავადმყოფი და გაუნათლებელი იყო. სამაგიეროდ, “ძველი დამსახურებებით” დამძიმებული, ათასგვარ პოლიტიკურ დაჯგუფებაში ჩათრეული უფროსი თაობა თავისი მიზნების მისაღწევად ახალგაზრდათა შორის ეძებდა მებრძოლთა და მხარდამჭერთ. უმიზნო პოლიტიკური ბრძოლები, სულისშემხუთველი მძიმე ატმოსფერო დაუფლებოდა ჩვენს ემიგრაციას. რამდენიმე თვეში მთელი ჩემი ენთუზიაზმი ჩაქრა. როგორც სრულიად უცხო მთელი დაწერილს, ისე ვკითხულობდი რელიგიურად მგზნებარე ნაწარმოებს - “ქერუბიმთა ჰიმნს”, რომელიც ბონში ლოგინში მწოლიარე ავადმყოფმა დავწერე.

მაინც ვცდილობდი კარგად შემესრულებინა ჩემი მოვალეობა და, ამასთან, მცირე დროც გამომენახა სამეცნიერო მუშაობისათვის. პარიზში დიდხანს არ გავჩერებულვარ - ბონიდან საფრანგეთის დედაქალაქში გადავედი 1932 წლის აპრილის დასაწყისში, მაისიდან ივლისის შუა რიცხვებამდე უკვე ინგლისში ვიმყოფებოდი, სადაც ოქსფორდის უნივერსიტეტის თხოვნით წავიკითხე ოთხი ლექცია “Examination School-ში და მივიღე ჰონორარი 50 გირვანქა სტერლინგის ოდენობით, რითაც შემემლო გარკვეული დროის მანძილზე უშფოთველად მეცხოვრა ინგლისში და მემუშავა ბრიტანეთის მუზეუმსა და ბოდლენანში. ამ ბიბლიოთეკებში დაცულია 75 ქართული ხელნაწერი. ზოგიერთი მათგანი ძალზე ძვირფასია. მაშინ პირადად გავიცანი სახელგანთქმული ინგლისელი მეცნიერი, პროფესორი ფ. ს. ბურლიტ-კემბრიჯი. იგი იყო აგრეთვე სახარების ძველი სირიული ტექსტების გამომცემელიც. ბურლიტი რამდენჯერმე მოვინახულე კემბრიჯში. ჩემი შრომით ძალზე დაინტერესებული ცდილობდა რაიმე მოკრძალებული სამეცნიერო თანამდებობა გამოენახა ჩემთვის. რამდენჯერმე გაემგზავრა ლონდონში, რათა პირადად დაეჭირა მხარი ჩემი განცხადებისათვის როკფელერის ფონდიდან სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე.

* ამ სათაურით ცნობილმა პოლონურმა ჟურნალმა - “მართლმადიდებლური მიმოხილვა” (1996 წლის სექტემბერი, #9-10 (135-136) - დაბეჭდა ქართველი მოძღვრისა და მეცნიერის - გრიგოლ ფერადის ცხოვრების გარკვეული პერიოდის ამსახველი ავტობიოგრაფია, რომელიც მამა გრიგოლმა დაწერა ვარშავაში 1940 წელს თავისი სამეცნიერო ნაშრომების გამომცემლის - აღმოსავლეთის კვლევის ცენტრის დაკვეთით. ავტობიოგრაფია დაწერილია ქართულად (თუმცა გრიგოლ ფერადემ კარგად იცოდა პოლონური ენა). ქართულიდან პოლონურად თარგმნილია ანნა პრაჟიბიშვესკას მიერ. ჩვენთვის უცნობია ავტობიოგრაფიის ფერადისეული (ქართული) დედნის ადგილმდებარეობა (ა.გ.).

3. მღვდელი ჰენრიკ პოპროვსკი - 1939 წელს ვარშავაში დაპატიმრებული სამი ქართველის საბრალდებულო დოკუმენტების ანალიზი

შესავალი

როგორც იქნა პარიზიდან პოლონეთამდე ჩამოაღწია საქართველოს ემიგრაციული მთავრობის დოკუმენტების ფოტოასლებმა. ეს მასალები ეხება 1939-1941 წლებში პოლკოვნიკ ნიკოლოზ კანდელაკის მიერ ჩატარებულ გამოძიებას და ჰიტლერელთა საოკოპაციო ხელისუფლების მიერ სამი ქართველი ემიგრანტის ვარშავაში დაპატიმრების ამბავს. ისინი - ვასო ათაბეგაშვილი, ტიტე ბერიშვილი და იასე კეჭყაძე დააპატიმრეს 1939 წლის 2 ოქტომბერს. საშინელი ამბები გამოსჭვივის ამ დოკუმენტებიდან. კანდელაკის მიერ ჩატარებული გამოძიება, მიზნად ისახავს პოლონეთისადმი ერთგულად განწყობილი ადამიანების - გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის, კოტე იმნაძისა და მღვდელ გრიგოლ ფერაძის კომპრომეტირებას. შესაძლოა, ამ ისტორიაში გადამწყვეტი როლი ითამაშა კანდელაკის პოლიტიკურმა მრწამსმა. გადმოცემით, იგი უაღრესად ულტრამემარჯვენე იყო. ცხადია, ამ დოკუმენტების ასლი გადაეგზავნა გერმანიის ხელისუფლებას, რაც გრიგოლ ფერაძის დაპატიმრების მიზეზი გახდა.

გამოძიების ფორმალური მხარე სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება:

1. კანდელაკს გამოძიება ჯერ ბოლომდე არ ჰქონდა მიყვანილი, რომ უკვე პატაკი გააგზავნა იქ, სადაც საჭირო იყო.
2. გამოძიების დასრულებამდე დაწერა მღვდელი ფერაძის დახასიათება.
3. ერთმანეთისათვის არ დაუპირისპირებია მოწმეები, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან.
4. ბევრი ჩვენება დაწერილი და ხელმოწერილია თავად კანდელაკის მიერ. არავის არ შეუძლონ ამ ჩვენებათა ჭეშმარიტება.
5. გამოძიებას არ გაუთვალისწინებია წინასწარ აღებული გეზის საწინააღმდეგო არგუმენტები.
6. ბევრი ჩვენება ეფუძნება ჭორებსა და ვარაუდებს, რაც სრულიად დაუშვებელია.

დოკუმენტების ანალიზი

ქრონოლოგიურად პირველი დოკუმენტი ეკუთვნის ლუბა შლეპორნოვა-გერიახოვას (18.12.39წ.). მოწმე ლაპარაკობს მამამისის, ათაბეგაშვილის დაპატიმრებაზე. მისი ჩვენებიდან ჩანს, რომ 1939 წლის 2 ოქტომბერს დილის 11 საათზე მათ ბინაში მივიდნენ გერმანელი სამხედროები. მათ ახლდნენ ლელო ჩიქოვანი და მიქელ მეკანარიძე. ისინი საღამოს 7 საათამდე ელოდნენ ვასოს და დაბრუნებისთანავე დააპატიმრეს იგი. ლუბა გერასიმოვა ამტკიცებს, რომ სახლში

დაბრუნებისას, 15 საათზე მან შენიშნა მღვდელი ფერაძე გერმანელებთან ერთად ავტომობილში. ამის საწინააღმდეგოდ, კაპიტანი ქავთარაძე ამტკიცებს, რომ 2 ოქტომბერს ფერაძე მთელი დღის განმავლობაში სახლიდან არ გასულა. გამოძიებამ ამ ფაქტს ყურადღება არ მიაქცია.

კოტე იმნაძე თავის ჩვენებაში ამბობს:

“...მღვდელმა ფერაძემ გერმანიაში დაამთავრა თეოლოგიის უმაღლესი სასწავლებელი, შემდეგ კარგა ხანს იმყოფებოდა პარიზში, ბერად აღიკვეცა და გავლენიანი თანამემამულეთა დახმარებით ვარშავის უნივერსიტეტში თეოლოგიის კათედრას ხელმძღვანელობდა. ვარშავაში იგი საინტერესო სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა, ხშირად დადიოდა საზღვარგარეთ. ქართველთა საზოგადოების საქმიანობაში აქტიურად არ მონაწილეობდა. მღვდელი ფერაძის კონფლიქტის თაობაზე ბერიშვილთან და ათაბეგიშვილთან მე არაფერი არ ვიცი”.

მღვდელი ფერაძის კონტაქტებზე გერმანიის მთავრობასთან ჩვენება მისცა მიხეილ ბაგრატიონმა 1940 წლის 26 იანვარს:

“მაღლაკელიძემ ვარშავა დატოვა და გერმანიის მთავრობას სთხოვა ეზრუნა ქართველთა საზოგადოებაზე მღვდელი ფერაძის დახმარებით. იმავდროულად მან ფერაძესაც მისწერა ვრცელი წერილი, რომელიც მღვდელს გადასცა გერმანელმა ოფიცერმა. ამ ოფიცრის თხოვნის თანახმად მღვ. ფერაძე გაჰყვა მას და აჩვენა ქართველთა საზოგადოების წევრთა, კერძოდ, გენ. ზაქარიასის, დოქტორ ალშიბაიას და პოლკ. ბაგრატიონის ბინები”.

1940 წლის 24 იანვარს ჩეჩელაშვილი გრიგოლ ფარაძეს ესტუმრა და გადასცა ქართული საზოგადოების წერილი საზოგადოებაში გამოცხადებისა და ახსნა-განმარტების თაობაზე. აი, ჩეჩელაშვილის ჩვენებაც:

“წერილი გადავეცი და ვთხოვე ახსნა-განმარტება. ამაზე ასეთი პასუხი მივიღე: ახსნა-განმარტებას არ მოგცემ, საზოგადოებაში კი მოვალ, ოღონ ერთი პირობით: კანდელაკთან საუბარს უნდა ესწრებოდეს გერმანელი ოფიცერი. უნდა ვისაუბროთ გერმანულად... ქართველთა დაპატიმრების თაობაზე არაფერი არ ვიცი”.

1940 წლის 25 მარტს გენერალი კონიაშვილი “საიდუმლო” ბარათს უგზავნის “კავკასიის რესპუბლიკების საქმეთა გამგებელს” - დოქტორ ალშიბაიას, სადაც იგი ამტკიცებს:

“...ქმრისა და მამის დაპატიმრების აქტიურ მონაწილეებად ასახელებენ ბატონებს ჩიქოვანსა და მეკანარიძეს. ამის საფუძველზე ვთხოვე პოლკ. კანდელაკს, როგორც ჩემს მოადგილეს, შეესწავლა ეს პრობლემა (...). ქართული საზოგადოების წევრები გადამტერებული არიან ერთმანეთს და ინტრიგებს აწყობენ, თავად კომიტეტშიც

ბშირად ჩხუბობენ. თვალშისაცემია ის გარემოება, რომ იმნადის, ფერადის, ცოტადის, ჩიქოვანის, მეკარანიძის, ბაგრატიონის და გომიაშვილის ჯგუფს არაფრით არ სურს ხელიდან გაუშვას ქართველთა საზოგადოების ხელმძღვანელობა”. ბატონმა მალაკელიძემ, ვარშავა რომ დატოვა, საზოგადოებაზე მზრუნველობის ფუნქცია მღვ. ფერაძეს გადაულოცა, რომელიც შორს იდგა თავისი თანამემამულეებისაგან (...). ბატონმა ჩიქოვანმა განაცხადა, რომ დაპატიმრების შესახებ არაფერი იცის, ნუთუ იგი მართალია? ჩიქოვანი ცრუობს და მამა აბრამის ბატონად მოაქვს თავი. ამაზე მეტყველებს ერთი ფაქტი: კაპიტანი კვატარაძე თავის ჩვენებაში (25.X.39წ.) ამბობს, რომ იგი 2 ოქტომბერს ფერაძესთან იყო, სადაც სადილობის შემდეგ მივიდა ჩიქოვანი და განაცხადა, ათაბეგაშვილი ვერსად ვნახე, ამიტომ მის ბინაში მიმა (მეკარანიძე) დავტოვეთ სათვალთვალოდო. (...). ფერადისადმი ჩიქოვანის ეს ნათქვამი მაფიქრებინებს, რომ ფერაძე დაინტერესებული იყო ქართველების დაპატიმრებით და მისი ბინა დაპატიმრებულ ადამიანთა შესახებ ინფორმაციის თავმოყრის ადგილს წარმოადგენდა. მას საკუთარი ანგარიშები ჰქონდა ჩიქოვანთან და კამპანიასთან. მღვდელი ფერაძე უარს ამბობდა რაიმე ახსნა-განმარტების მიცემაზე (...). ჩვენებიდან აშკარად ჩანს, რომ ფერაძე თავად მონაწილეობდა ბერიშვილის დაპატიმრებაში და კარგად იცოდა უდანაშაულო ქართველთა დაპატიმრების ამბავი. გერმანელებს დიდი დახმარება აქვთ გაწეული ქართველებისათვის და ყოველი ქართველის, განსაკუთრებით ქართველთა საზოგადოების სულიერი მოძღვრის მოვალეობაა, მიაწოდოს სწორი და პატიოსანი ინფორმაცია გერმანიის მთავრობას(...).“

გასაოცარია პირდაპირ, პოლონეთის არმიის ოფიცერს გერმანიისათვის ანუ ოკუპანტებისათვის ინფორმაციის მიწოდება სავალდებულოდ მიაჩნია, ისევე როგორც გასაოცარია, მოპოვებული ჩვენების მიხედვით, დაპატიმრებულთა დანაშაულის დადგენა.

ჩვენებიდან ჩანს, რომ არც 1 და არც 2 ოქტომბერს ფერაძე არ შეიძლება ყოფილიყო დაპატიმრების მოწმე, მაგრამ გამომიებამ ეს გარემოება უყურადღებოდ დატოვა.

დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ კანდელაკმა მოამზადა ფერადის დახასიათება, რომელიც წარუდგინა პოლონეთში მოქმედი კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელს დოქტორ გრიგოლ ალშიბაიას (ესაა გერმანულ ენაზე დაწერილი ერთადერთი დოკუმენტი მთელს ამ მასალაში. ჩანს, იგი გერმანელებს გაეგზავნა). ეს დოკუმენტი ბრალს სდებს არა მხოლოდ მღვდელ ფერაძეს, არამედ სხვა პირებსაც:

“1932 წლიდან სასულიერო პირი ფერაძე იმყოფება პოლონეთში, თუმცა აქ რაიმე მნიშვნელოვანი როლი არ უთამაშია პოლონეთში არსებული ქართველთა საზოგადოების საქმიანობაში. მას იცნობდნენ, როგორც ფულზე დახარბებულ კაცს. იგი მეგობრობდა ზაქარიაძე-იმნადის დაჯგუფებასთან, რომელნიც პოლონეთში ჟორდანიას სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას წარმოადგენდნენ (...). ეჭვს გარეშეა,

იგი სარგებლობდა თავისი კავშირებით პოლონეთის გენერალური შტაბის მეორე განყოფილებასთან (პოლონეთის კონტრდაზვერვა) და ამ გზით მოიპოვა გარკვეული თანხა: ეს საშუალებას აძლევდა ხშირად წასულიყო საზღვარგარეთ (...). ზემოთ ნახსენები სამი ქართველის დაპატიმრება შესაძლებელი იყო მხოლოდ ფერაძე-მალაქელიძის დასმენით ვერმახტში. ეს ორნი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან”.

არც ერთი ეს “აღმოჩენა”, რომელიც მოცემულია დახასიათებაში, არ დასტურდება ჩვენებებით. არადა, მთელი ეს დოკუმენტი, რომელიც ნამდვილად გერმანელთათვის გამზადდა, სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იყო - განსაკუთრებით მეორე განყოფილებასთან თანამშრომლობა. დახასიათების ავტორმა ვერ გაითვალისწინა, რომ უნივერსიტეტის ხელფასი, მარტოხელა პროფესორს საშუალებას მისცემდა, ხანდახან ემოგზაურა საზღვარგარეთ. ეს, არსებითად, ცდა იყო გასწორებოდნენ პოლონეთის ერთგულ ადამიანებს.

1941 წლის 21 აპრილით დათარიღებული მალაქელიძის მიერ კონიაშილისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც მალაქელიძე პასუხობს კანდელაკის შეკითხვებს, ბევრ რამესა ჰყენს ნათელს:

პასუხი: არ ვიცი, ვისი მითითებითა და რა ვითარებაში დააპატიმრეს 1939 წლის ოქტომბერში 3 ქართველი.

შეკითხვა: თქვენ გსურდათ თქვენთვის ცნობილი მიზნის მისაღწევად ვარშავაში ჯგუფი ჩამოგეყალიბებინათ. გამოძიებით დადგინდა, რომ ასეთი ჯგუფი ჩამოყალიბდა და მასში შევიდნენ: ფერაძე, ჩიქოვანი, მეკანარიძე და ქავთარაძე. გთხოვთ მიპასუხოთ, იყო თუ არა ამ ჯგუფში ზაქარიაძე და იმნაძე?

პასუხი: არასოდეს არ შემისრულებია ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარის ფუნქციები(...). მხოლოდ იმნაძემ მთხოვა დავხმარებოდი ქართველებს პოლონეთში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემთხვევაში...

ერთ-ერთი შეხვედრის დროს ჩიქოვანმა მითხრა, რომ მის უმთავრეს საქმეს ახლა კომუნისტების დაჭერა შეადგენს.

წერილი დაწერილია რუსულად. მისი როგორც შინაარსი, ასევე ფორმა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ იგი კვბ-ში ან გესტაპოში იყო მომზადებული...

დასკვნა

ცხადია, საქმე გვაქვს პოლიტიკური ინტრიგებისა და პარტიული ანგარიშსწორების დამადასტურებელ დოკუმენტთან. ამასთან იგი მიმართულია საკუთარი თანამემამულის, ევროპაში ერთადერთი სასულიერო პირის წინააღმდეგ

და მის საღალატოდ. გასაოცარია, რომ გამოძიებას წარმართავს მხოლოდ ერთი ადამიანი, რომელიც უაღრესად მემარჯვენე შეხედულებებისაა, და მის საქმიანობას არავინ აკონტროლებს(...) იმიტომ, რომ დაპატიმრებულთაგან ერთი (ვასო ათაბეგიშვილი) სოციალ-დემოკრატი იყო. გამოძიებამ ისეთი გეზი დაიჭირა, თითქოს ეს ოპერაცია ამ პარტიის წინააღმდეგ მიმართული ყოფილიყო.

ბოლოს და ბოლოს, თავად კანდელაკი წერს: “სამწუხაროდ, არავითარი პრინციპული საბუთი არ გაგვაჩნია მაღლაკელიძის, ფერაძის, ჩიქოვანის და მეკანარიძის წინააღმდეგ. ჩემი დასკვნები მხოლოდ სამხილებს ემყარება”. კანდელაკს დაავიწყდა ეთქვა: და ასევე ცილისწამებას და ზიზღს.

კანდელაკი აკნინებს მღვდელ ფერაძის მეცნიერულ დამსახურებასაც. იგი ამბობს, თითქოს ფერაძეს შესრულებული ჰქონდეს “რამდენიმე ნაშრომი”, მაშინ, როდესაც ფერაძის მიერ ფაქტიურად შესრულებულია 70-ზე მეტი მეცნიერული შრომა.

გასაოცარია აგრეთვე კანდელაკის შემდეგი მტკიცებაც: “ყურადღებას იქცევს ფერაძის საქციელიც; როგორც ეკლესიის თავდადებულთა წარმომადგენელი, იგი უფრო იმ ჯგუფისა და პარტიის ერთგული უნდა ყოფილიყო, რომელიც მხარს უჭერდა რელიგიასა და ეკლესიას. მაგრამ პირიქით, იგი ზუსტად იმ პარტიასთან თანამშრომლობს, რომელიც ავიწროებდა რელიგიას და პარტიას”. მაგრამ სოციალ-დემოკრატების პარტიას არ შეუვიწროებია რელიგია და ეკლესია. ეს თავად კანდელაკი არ იღებდა არავითარ მონაწილეობას ვარშავის რელიგიურ ცხოვრებაში.

იმ ფაქტიდან, რომ ჩიქოვანი მივიდა თავის სულიერ მამასთან და მას იმ დღის ღირშესანიშნავი ამბები მოუყვა, კანდელაკმა ის დასკვნა გააკეთა, თითქოს არსებობდა საიდუმლო ორგანიზაცია და, ო, საოცრებავ, იგი მხოლოდ პოლონეთის ერთგული ადამიანებისაგან შედგებოდა. ფერაძე იმ დროს ასრულებდა ისეთ საპატიო დავალებას, როგორც ქართველთა საზოგადოების თავკაცობა იყო. ამიტომაც ამ თვალსაზრისით ჩიქოვანის მასთან მისვლა და საუბარი, იმ დღეს მომხდარი ამბების შესახებ, ძალზე ბუნებრივი იყო. მალე გერმანელები შექმნიან ქართველთა ახალ საზოგადოებას და მას სათავეში პროგერმანულად განწყობილ კონიაშვილისა და ალშიბაიასთან ერთად, კანდელაკსაც ჩაუყენებენ.

მასთან, შემდეგი კითხვაც: თუ მღვდელი ფერაძე ოკუპაციის დროს გერმანელებთან თანამშრომლობდა, მაშ როგორ მოხდა, რომ იმავე გერმანელებმა დააპატიმრეს იგი 1942 წლის 5 მაისს და იმავე წლის ბოლოს (6 დეკემბერს) ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში სასიკვდილოდ გაიმეტეს?! შემთხვევითი როდი იყო, რომ პარიზელ ქართველთა მღვდელი ილია მელია წუხდა: ქართველებმა ჩაუგდეს ხელთ გერმანელებს თავიანთი სულიერი მოძღვარიო. საინტერესოა, არსებობს თუ არა პარიზის არქივებში რაიმე დოკუმენტები გამოძიებისა, რომელიც

ვარშავის ქართველმა საზოგადოებამ ჩაატარა 1942 წლის 5 მაისს გერმანიის ხელისუფლების მიერ დაპატიმრებული მღვდელი ფერადისა და სხვა ქართველების თაობაზე, რომლების აქტიურ კონსპირაციულ საქმიანობას ეწეოდნენ.

აკაკი რამიშვილი სამი ქართველის დაპატიმრების საქმეს “სასამართლოს” უწოდებს. ნუთუ ამგვარი ნათქვამი პოლონური ენის უცოდინარობას უნდა დაბრალდეს? ან იქნებ ეს პარტიის საიდუმლო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი იყო? და ყველაფერი საკუთარი თანამემამულის გერმანელებისათვის გადაცემით დასრულდა?! რამიშვილის შეხედულებით ამ საქმეში კანდელაკის “ნაბოდვარს” გადამწყვეტი როლის შესრულება შეეძლო. ცხადია, კანდელაკის მიერ მღვდელი ფერადის შესახებ დაწერილი დახასიათების შემდეგ, ამ უკანასკნელს დიდხანს აღარ აცოცხლებდნენ.

პოლკოვნიკი ველი ბეკ იადიგარი წერს, რომ მღვდელი ფერადე დაიღუპა (კაპიტან გრ. ხუნდაძესა და პოლკ. ბაგრატიონის ვაჟთან ერთად) ანტიპოლონურად განწყობილი ქართველების წინააღმდეგ ბრძოლისას. მისი სიკვდილის მიზეზი ებრაელთა გამოქომაგებაც იყო.

1994 წლის ივნისში, პოლონეთ-ისრაელის იანუშ კორჩაკის სახელობის მეგობრობის საზოგადოებამ ვარშავის მიტროპოლიას გაუგზავნა წერილი, სადაც ნათქვამია: “გთხოვთ თქვენს ლოცვებში მოიხსენიოთ ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი გრიგოლ ფერადის დიდებული სული, რომელიც ნაცისტებმა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში მოკლეს, ებრაული ოჯახების შეფარებისა და დახმარების აღმოჩენისათვის”.

ამავე წლის სექტემბერში ჩემთვის ცნობილი გახდა გიორგი ნაკაშიძის ნაამბობი. აშშ-ში, თავის ოჯახში, იგი რევაზ თაბუკაშვილს მოუყვა მღვდელ ფერადეზე.

“პოლონეთი მონაწილეობდა მსოფლიო მასშტაბით ჩატარებულ შოთა რუსთველის იუბილეში 1937 წელს. ამ ქვეყნის უნივერსიტეტებში მოხსენებებით გამოვდიოდით მე და ფერადე. გამოვეცით ბროშურა (მეტის საშუალება არ გვქონდა). ფერადე იშვიათად განათლებული კაცი იყო, მაგრამ ჩვენებმა დაუწყეს ბრძოლა და მტრობა. მას განსაკუთრებით უკიდურესად ეროვნულ დემოკრატიის ჯგუფი ებრძოდა. ბევრი ცილი დასწამეს მას ამ ბრძოლაში. ყველაფერს კადრულობდნენ. ფერადე გაემგზავრა პალესტინაში ჩვენი მონასტრებისა და ეკლესიების დასათვალიერებლად(...), როდესაც გერმანელები შემოვიდნენ, იგი დააბეზდეს, შეამოწმეს(...) და შემდეგ ფერადე უკვალოდ დაიკარგა. ვინაიდან ფერადე იყო მღვდელი და ამავე დროს, ეკლესიის მდივანი, მისი დაპატიმრებიდან მესამე დღეს მიტროპოლოტმა დიონისმა დამიბარა და მითხრა, რომ ყველაფერი უნდა გაგვეკეთებინა მის განსანთავისუფლებლად. მაგრამ განთავისუფლება კი არა, მისი ნახვაც კი ვერ შევძელით. შემდეგ მივიღეთ ცნობა, რომ გულის შეტევით

გარდაიცვალა(...) უბედური ადამიანი იყო, გულახდილი და ძალზე უბრალო. კაცი ვერ მიხვდებოდა, რომ იგი ასე განათლებული იყო. მისი დალუპვა ჩვენი ბრალია, ქართველების ბრალი(...). ვიცი, ვინც იყო ამ საქმეში გახვეული, მაგრამ არ ვიტყვი(...). ანდა რას უშველის თქმა?! ისიც ვიცი, რომ ფერადის დღიური გესტაპოში დაჰქონდათ და იქ უთარგმნიდნენ გერმანელებს(...). ეს ჩვენი სირცხვილია, ჩვენი დიდი სირცხვილი...”

4. გრიგოლ ფერაძე - საქართველოს წვლილი ბალკანეთის სულიერი კულტურის განვითარებაში

1935 წლის არდადეგების დროს საშუალება მიქონდა ბალკანეთის ქვეყნებში მომენახულებინა ის ადგილები, სადაც ცხოვრობდნენ და კულტურულ საქმიანობას ეწეოდნენ ქართველი ბერები. აქ მოკლედ აღვწერ ჩემი სამეცნიერო მოგზაურობის შედეგებს, რომელიც შედგა 1935 წლის 14 ივლისიდან 22 სექტემბრამდე.

რუმინეთი. რუმინეთის ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პრელატი იყო ქართველი ანთიმოზ ივერიელი. რუმინელი სტუდენტი ჯ. ხირითეხენი ამჟამად წერს სამეცნიერო ნაშრომს ანთიმოზის შესახებ, რომელიც ცხოვრობდა XVII და XVIII საუკუნეების მიჯნაზე. ანთიმოზი იყო მოლდავეთ-ვალახიის მეტროპოლიტი. მან რუმინეთის ეკლესია გაანთავისუფლა ბერძნული და სლავიანური გავლენისაგან და რუმინეთის ეროვნული ეკლესიის ერთ-ერთი პირველი დამაარსებელი გახდა. ანთიმოზი გარდაიცვალა 1716 წელს, როგორც წამებული. იგი დუნაიში დაახჩვეს თურქებმა. რუმინეთის ეკლესიას, მიუხედავად მისი მრევლის უდიდესი ღვთისმომშიშობისა, არა ჰყავს საკუთარი ეროვნული წმინდანები, ამიტომ განიზრახეს ანთიმოზის კანონიზირება.

მეტროპოლიტმა ანთიმოზმა, თუმცა თავისი სამშობლოდან მოშორებით იმყოფებოდა, მაინც დატოვა თავისი კვალი საქართველოს კულტურის ისტორიაშიც. საქართველოში გამოგზავნა საბეჭდი დაზგა, რამაც საქართველოს იმდროინდელ მეფეს, ვახტანგს, შეაძლებინა თბილისში სტამბა დაეარსებინა. 1709 წელს თბილისში დაბეჭდილი პირველი სახარება სწორედ ანთიმოზის ძალისხმევით ნაყოფია.

გარდა ანთიმოზისა, რუმინეთის მიწამ თავმესაფარი აღმოუჩინა ქართველ პოეტთა შორის ყველაზე დიდს შოთა რუსთაველის შემდეგ, ბესარიონ გაბაშვილს (ფსევდონიმი - ბესიკი), XVIII საუკუნის ქართველ ემიგრანტს. ბესიკი დაკრძალულია იასას სასაფლაოზე. პარიზში გამომავალი ქართული ჟურნალის, - “ჯვარი ვაზისას” ფურცლებზე (#1.1931 წ.), მე აღვწერე ბესარიონ გაბაშვილის შემოქმედების ძირითადი მიმართულებები და აგრეთვე გამოვაქვეყნე რამდენიმე მისი უცნობი ლექსი ბოდლენის (ოქსფორდი) ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდიდან.

რუმინეთის მრავალ სხვა მონასტერშიც ცხოვრობენ ქართველი ბერები, სადაც შესაძლებელია არსებობდეს ძველი ქართული ხელნაწერები. ბუქარესტი, თავისი მშვენიერი სტამბის წყალობით, წარმოადგენდა მართლმადიდებლური საეკლესიო კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრს. იქვე, სხვათა შორის, 1745 წელს დაიბეჭდა იერუსალიმის პატრიარქის დოსითეუშის კაპიტალური ნაშრომი იერუსალიმის საპატრიარქოს ისტორიის სფეროდან. ამ ნაშრომს უდიდესი მნიშვნელობა აქვს წმინდა მიწაზე ქართველთა მონასტრების ისტორიის შემსწავლელი ისტორიკოსისათვის. 1659-60 წლებში პატრიარქი დოსითეუში იყო საქართველოში, სადაც იგი მოწყალებას კრეფდა თავისი საპატრიარქოს მონასტრების შესანახავად. თავის ნაშრომში იგი აღწერს საქართველოს და ასევე წერს აფხაზ კათოლიკეთა შესახებ.

ასევე საფუძველს არ არის მოკლებული ვარაუდი, რომ ბუქარესტში შესაძლებელია დაცული იყოს ჯერ უცნობი ნაშრომი, რომელიც ეხება საქართველოს ეკლესიის ისტორიას. ბოლო დროს თავად რუმინელებმა (პროფ. ბალსი) გამოაქვეყნეს თეორია, რომ ბიზანტიურ ეკლესიას კი არა ჰქონდა გავლენა რუმინეთის საეკლესიო არქიტექტურაზე, არამედ ეს გავლენა სწორედ საქართველოდან მოდიოდა.

ათონის მთა. აქ ჩემი მოგზაურობის მიზანს შეადგენდა ათონის წმინდა მთის მართლმადიდებელ ბერთა რესპუბლიკის მონახულება; აქ მდებარეობს 20 მოზრდილი და 15 შედარებით მომცრო მონასტერი. რაც შეეხება სენაკთა საერთო რაოდენობას (განცალკევებულად მდგარი სახლი, სადაც ცხოვრობს ერთი ან რამდენიმე ბერი) იგი 900 აღემატება. მთელი ეს ნახევარკუნძული მიეკუთვნება ზევით აღნიშნულ 20 მსხვილ მონასტერს. სხვა მონასტრები მიწას იჯარით იღებენ. ბერთა მონასტრებს განაგებს პარლამენტი, რომელიც 20 წევრისაგან შედგება და რომლებიც მხოლოდ მსხვილ მონასტრებს წარმოადგენენ. პარლამენტის განთავსების ადგილია კარიასი, რომელიც ნახევარკუნძულის ცენტრში მდებარეობს. ამ 20 მონასტრიდან ძირითადად 5 ყველაზე ძველი და ყველაზე მდიდარი მონასტრის წარმომადგენლები არიან აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მათი რიგებიდანვე ირჩევენ წმინდა მთის პრეზიდენტს. ყველაზე ძველი მონასტერია ლავრა, რომელიც დაარსებულია X საუკუნეში წმინდა ათანასეს მიერ, შემდეგ მოდის ვატოპედის მონასტერი (ბერძნული), ივერიის (ქართული), ხილანდარი (სერბიული) და ბოლოს წმ. დიონისეს მონასტერი. ძველად ივერიის ქართულ მონასტერს მეორე ადგილი ეკავა ლავრის შემდგომ. ცნობილი არ არის, როდის და რა მიზეზის გამო დაკარგა მან თავისი პრივილეგირებული მდგომარეობა ბერძნული მონასტრის ვატოპედის სასარგებლოდ. 1169 წლის ცნობილ დაკუმენტზე ივერიის მონასტრის წინამძღოლი, მიხეილი, მეორე აწერს ხელს ქართულად ლავრის წინამძღოლის შემდეგ, ხოლო ვატოპედის ხელმოწერა მესამეა. (იხ. ~წმ. პანტელეიმონის რუსული მონასტერი წმ. ათონის მთაზე 7-ე გამოცემა, მოსკოვი, 1886წ. 10 გვ.). ქართული ხელმოწერა ასევე მეორეა 1363 წლის ერთ-ერთ სხვა დოკუმენტზეც (იხ. კათოლიკური “სადაა სიმართლე?”).

ხუთ უძველეს მონასტერს შორის ივერიის და ხილანდარის მონასტრებს გარდა ყველა სხვა მონასტერი ბერძნულია. 15 შედარებით მომცრო მონასტრებიდან ერთი მიეკუთვნება ბულგარელებს (სოგრაფის) და ერთი რუსებს (რუსიკო, ანუ წმ. პანთელეიმონის მონასტერი), რომელიც 19-ე ადგილს იკავებს.

ათონის ნახევარკუნძული საბერძნეთის პროტექტორატის ქვეშ იმყოფება. საბერძნეთის მთავრობას აქ თავისი ჟანდარმერია ჰყავს და თუ ვინმე ათონის წმ. მთის დათვალიერებას მოისურვებს, ნებართვა ათენიდან უნდა აიღოს.

ათონი იყო მთელი მსოფლიოს მართლმადიდებლური სამყაროს განათლებისა და კულტურის კერა. ათონის მთის ბერთა ცხოვრების ისტორია X საუკუნემდე ნაკლებ არის ცნობილი. ამ დროს მთის უმთავრესი ბინადარნი ანახორეცები იყვნენ. მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა წმ. პეტრე. წმ. ათანასი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა წმინდა მთის ისტორიულ ეპოქას, წარმოშობით ტრაპეზონიდან იყო, ხოლო დედამისს, ზოგიერთი ხელნაწერის მიხედვით, ქართული წარმოშობა ჰქონდა. მაგალითად, მოსკოვის ბიბლიოთეკის სინოდალური ბიუროს #398 ხელნაწერის მიხედვით (ვლადიმერის აღწერა, გამოცემული ი. პომიალოვსკის მიერ, პეტერბ. 1895 წ.). დედის მხრიდან იგი სისხლით ნათესავია ივერიის მონასტრის დამაარსებელთა, წმ. იოანესი (გარდაიცვალა 998 წ.), ექვთიმესი (გარდ. 1028 წ.) და გიორგისა (გარდ. 1066 წ.) ამ სამ, ერთმანეთის ნათესავ ქართველს (იოანე იყო ექვთიმეს მამა, გიორგი კი მათი სისხლით ახლო ნათესავი), მიეკუთვნებოდა ასევე სულიერად მათთან დანათესავებული წმ. გაბრიელი. ეს უკანასკნელი გამუდმებით იწვა კუბოში, რომელშიც ოდესღაც ცხოვრობდა და ასკეტურ ვარჯიშებს ატარებდა ბრწყინვალე პეტრე ათონელი. რაც შეეხება პირველ სამ წმინდანს, ისინი ცხოვრობდნენ წმ. ათანასესთან ერთად ლავრაში. ივერთა მონასტრის დამფუძნებელ ქართველ წმინდანთა ცხოვრება ქართული ენიდან ლათინურად გადათარგმნა ბოლანდისტმა მამამ პავლე პეტერსმა ანალექტ ბოლანდიაში (ბრიუსელი, 1923წ. ტ. XXXVI-XXXVII).

როდესაც საქართველოდან მოსულ ბერთა რაოდენობამ მკვეთრად მოიმატა, მაშინ მიღებული იქნა გადაწყვეტილება აეშენებინათ საკუთარი მონასტერი. მისი მშენებლობა დაიწყო ლავრიდან 40 კმ. მოშორებით, იმ ადგილზე, სადაც, ლეგენდის თანახმად, ნაპირზე გადმოვიდა ღვთისმშობელი, რათა გაექრისტიანებინა ათონის წარმართი მცხოვრებნი. სხვანაირად ეს ადგილი იწოდება წმ. კლემენტის უბედ. ქართველთა მონასტერში მოვიდა ასევე, სხვათა შორის, უდიდესი ქართველი სარდალი, თორნიკე ერისთავი, რათა დანარჩენი თავისი სიცოცხლე ბერად აღკვეცილს გაეტარებინა. თუმცა სარდალს დიდხანს არ დასცალდა მონასტრული სიმყუდროვით ტკბობა. ბიზანტიის ერთ-ერთი სარდლის, ბარდა სკლიაროსის ამბობმა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ, აიძულა ქართველი მეზრძოლი დაეტოვებინა მონასტერი, სადაც იგი კვლავ დაბრუნდება სკლიაროსის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში გამარჯვების შემდგომ. თორნიკეს იარაღი ამ მონასტრის

საგანძურში სხვა ნივთებთან ერთად ინახება. თორნიკეს გამარჯვების ჯილდოდ ქართველმა ბერებმა ბიზანტიის იმპერატორისაგან ძალზე დიდი ქონება მიიღეს წმ. მთაზე; ისინი ამავე დროს გაანთავისუფლეს ყოველგვარი გადასახადისაგან. შესაძლებელია, რომ ეს მოხდა 979 წელს (იხ. მიხეილ თამარაშვილი, *Leglise georgienne des origines iusu'a nos jourrs'* რომი, 1910, გვ. 320).

ქართველები მფარველობდნენ ბენედიქტელ ბერებს და ეხმარებოდნენ მათ აეშენებინათ ამაფიის საკუთარი მონასტერი. მისი ნანგრევები ახლაც მოჩანს ზღვის მხრიდან ლავრასა და ივერიის მანასტერს შორის მიმავალ გზაზე.

თავის დროზე ივერიის მონასტერში უაღრესად გაცხოველებული ლიტერატურული სამუშაოები მიმდინარეობდა. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები თარგმნიდნენ ნაწარმოებებს არა მხოლოდ ბერძნულიდან ქართულ ენაზე, არამედ პირიქით, - ქართულიდან ბერძნულ ენაზეც. წმ. გიორგი ლექსებსაც კი წერდა ბერძნულად.*

სადღეისოდ, ამდენი წარუმატებელი საუკუნის შემდეგ, მონასტრის ბიბლიოთეკა ფლობს ამ პერიოდის 100-ზე მეტ ქართულ ხელნაწერს. მათი ძალზე მცირე ნაწილია გამოკვლეული და კიდევ უფრო მცირე, - გამოცემული. აღნიშნულ ხელნაწერთა კატალოგი გამოსცა პროფ. ცაგარელმა: "ცნობები ქართული დამწერლობის ძეგლების შესახებ", ტ I-III, პეტერბ. 1886, 1889 და 1894წწ. და ნ. მარმა: "არქეოლოგიური მასალები ივერიის ქართული ხელნაწერების შესახებ" (იქვე, 1901წ.). ბლიკემ გამოაქვეყნა ივერიის ქართულ ხელნაწერთა ახალი კატალოგი ~*Revue de L'ozient Aretika*"-ის ფურცლებზე. პროფ ხახანაშვილმა გამოსცა ცალკეულ ხელნაწერებს მიძღვნილი რამდენიმე მონოგრაფია, ტექსტების დართვით.

საბერძნეთში ივერიის მონასტრის დაფუძნებასთან ერთად იბადება ქართული კულტურის ახალი მიმართულება: ბიზანტიის მიერ განდევნილი იქნა იერუსალიმის, ანტიოქიის და კოპტურის ეკლესიის გავლენა.

ქართული ეკლესიის ურთიერთობის საკითხი კოპტურ ეკლესიასთან ძალიან მნიშვნელოვანია და საწყენია, რომ გარდა ოსკარ დემისა ამ საკითხზე ჯერ არავინ მუშაობს (O. Demm, "Memoires l'academie des sciences de S. P. B.. VII სერია, ცლასსე classe Historiko-philologique"-ტომი VII, 6, 1906 წ.) მღვ. ნიობის ქართული ვერსია, ჩემს მიერ გადაწერილი 978 წლის ხელნაწერიდან, ძალიან ჰგავს ე. პორხერის მიერ გამოცემულ კოპტურ ვერსიას.

ბიბლიური საგალობლები, საეკლესიო სამართალი და ასევე ყველა სხვა დარგი ივერიამდელი ეპოქის თეოლოგიური ცოდნისა საქართველოში, ცვლილებებს დაექვემდებარა. ამ რეფორმას, რომელიც განახორციელეს ქართველმა მონასტრის მამებმა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურისათვის.

ქართველი მეფეები და საქართველოს მთელი მორწმუნე მოსახლეობა მხურვალედ უჭერდნენ მხარს ივერიის მონასტრის ამგვარ საქმიანობას. მთელი საქართველოდან აგზავნიდნენ ამ მონასტრისაკენ უდიდეს სიმდიდრეს, - ძვირფასი ხატების, მშვენიერი ხალიჩების, სამუშაო ძალისა თუ ფულის სახით. ქართველ გლეხთა ოჯახებმა ათონის მთაზე თავიანთი კოლონია დააფუძნეს. იესუსის ეკლესიაში არის ქართული წარწერები.

მაშინ მდიდარი და ძლიერი საქართველო ყველაფერს აკეთებდა, რათა ის მონასტერი, რომელიც ბიზანტიის იმპერიის ცენტრში მდებარეობდა, საქართველოს სიძლიერის ყველაზე საუკეთესო წარმომადგენელი გამხდარიყო. დღესაც კი მონასტრის საგანძური სავსეა ძველი საქართველოს უძვირფასესი ძეგლებით.

ივერიის მონასტერი პატივისცემით სარგებლობდა არა მხოლოდ ქართველთა შორის, არამედ მთელს მართლმადიდებლურ სამყაროში თავისი ივერიის ღვთისმშობლის ხატის წყალობით, რომლისადმი მოკრძალების გრძნობასაც ამ ტაძრის ყველა ერთგული ატარებდა.

ივერიის მონასტრის სიმდიდრე შურით ავსებდა ბერძენ ბერებს. ისინი ყველა ღონეს ხმარობდნენ მონასტრის ხელში ჩასაგდებად. შემდეგი გარემოებების გამო ქართველების მიერ ბერძნების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა გართულებული იყო:

1) შორეულ საქართველოსთან კავშირები ძალზე ძნელდებოდა. მაშინ, როდესაც ბერძნები თავის სამშობლოში იმყოფებოდნენ, ქართველებს თავიანთი სამშობლოდან ათასობით კილომეტრი აშორებდა. მონასტერი დიდი იყო და ბევრ ხალხს მოითხოვდა, ამიტომ ქართველები იძულებულები ხდებოდნენ მასში მიეღოთ ბერძნებიც, თუმცა ეს აკრძალული იყო მონასტრის სადამფუძნებლო წესდებით.

2) საქართველოს საზღვრებს გარეთ მრავალი ქართული მონასტრის არსებობა (პალესტინაში, ანტიოქიაში, კონსტანტინეპოლში, კვიპროსის კუნძულზე, სინას მთაზე, ოლიმპის მთაზე, ბოჩკოვოში და მრავალ სხვა ადგილებში) და ბრძოლა მათ შესანარჩუნებლად, საშუალებას არ აძლევდა საქართველოს, რომელიც უკვე XIII საუკუნის შუა პერიოდიდან სუსტი და დაქუცმაცებული ქვეყანა იყო, - მთელი ძალების კონცენტრაცია ივერიის ერთ მონასტერზე მოეხდინა, თუნდაც ის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და მნიშვნელოვანი ყოფილიყო. ამას შემდეგი გარემოებაც ემატება: თურქებმა ამ დროს უკვე დაიპყრეს მთელი მცირე აზია და შემდეგ კონსტანტინეპოლიც, რამაც ძალზე გაუჭირვა ქართველებს თავიანთი სამონასტრო კოლონიისაკენ გამგზავრება.

მონასტერში მიღებული ბერძენი ბერები მიისწრაფოდნენ მონასტრის დაპატრონებისაკენ, რასაც მათ ბოლოს მიაღწიეს კიდეც. როდის გადავიდა მონასტერი

ბერძნების ხელთ, - უცნობია. ივერიის მონასტრის ისტორია ჯერაც არ არის სრულყოფილად შესწავლილი.

ათონის მთაზე მოგზაურობის დროს შევიარე სალონიკშიც, სადაც IX საუკუნეში ცხოვრობდა ქართული ეკლესიის ყველაზე დიდი წარმომადგენელი, წმინდანი, ილარიონე ქართველი (გარდ. 875წ.). ამ წმინდანის ბიოგრაფია გადათარგმნილია ქართული ენიდან ლათინურზე ბოლანდისტ პეტერსის მიერ "Nelecta Bollandiana". XXXII, ბრიუსელი, 1913წ.

სალონიკში პოლონეთის კონსულის ბატონ ნეპემისა და პოლონეთის "ლოტის" (პოლონეთის სახელმწიფო ავიაკომპანია, არსებობს დღესაც, მთარგ.) დირექტორის, ინჟინერ პიატკოვსკის დახმარებით მალე ავიღე ნებართვა ათონის მთის მონახულების შესახებ. სალონიკიდან ათონის მთამდე მისვლას ერთი ღამე დასჭირდა. ათონის პორტში საპასპორტო საკითხის მოგვარების და ე.წ. "ხარტიის" (წმ. მთის პასპორტი) მიღებისა და კარიასში, კიმოთითის სასულიერო ხელისუფლებასთან აუდიენციის შემდეგ გავეშურე მონასტრის მოსანახულებლად.

კარიასის მონასტერში ყოფნისას შევიტყვე, რომ ქართველი ბერები ცხოვრობენ წმ. სტეფანეს მცირე სენაკში, წმ. პანტელეიმონის მონასტრის ტერიტორიაზე, კარიასიდან ნახევარი საათის ფეხით სავალზე. საკმარისად ადვილად მივაგენი ამ სენაკს. ბალის გვერდით გავლისას ქართულ ჩოხაში გამოწყობილი მოხუცი შევამჩნიე, რომელიც ქართულ ენაზე ლოცვანს წარმოსთქვამდა. როდესაც მას ქართულ ენაზე დაველაპარაკე, _ სიხარულისაგან ატირდა; იგი ძლიერ გაახარა იმ ამბავმა, რომ თანამემამულენი, მით უმეტეს შორეული პოლონეთიდან, არ ივიწყებენ მათ. იქ ისინი სამნი ცხოვრობენ. მცირე ხნის შემდეგ ყველანი გავიცანი. მათ 1926 წელს იჯარით აიღეს მცირე სენაკი წმ. პანტელეიმონის მონასტრის ტერიტორიაზე, რაშიც გადაიხადეს 20 ათასი დრაჰმა. გარდა ამისა, ისინი იჯარის სახით წელიწადში იხდიან 500 დრაჰმას. თავიდან ისინი ხუთნი ცხოვრობდნენ, მაგრამ ორი ბერი გარდაიცვალა. ხელშეკრულების თანახმად, უკანასკნელი ბერის გარდაცვალების შემდეგ სენაკი უნდა გადავიდეს წმ. პანტელეიმონის მონასტრის საკუთრებაში. ქართველებს აკრძალული აქვთ ახალი წევრების მიღება, თუმცა შეიძლებოდა კონტრაქტის განახლება, ასე 20 ათასი დრაჰმის ოდენობით თანხა რომ იყოს. მოვინახულე მათი პატარა, ორსართულიანი სახლი, საკმაოდ სუფთად მოვლილი, მათი ოთახები და მცირე ეკლესია ივერიის ღვთისმშობლის ხატის დიდი ასლითა და XIX საუკუნის რამდენიმე ქართული სურათით. მათი ბიბლიოთეკა ძალზე პატარაა - აქ 1932 წელს წიგნების საკმაოდ დიდი კოლექციის ხანძარს გადარჩენილი მცირე რაოდენობით წიგნების სახით. ამ ხანძარმა ძალიან დიდი ზარალი მიაყენა ქართულ კულტურას, მით უმეტეს, რომ ევროპაში ქართული წიგნები და ხელნაწერები ძალზე მცირე რაოდენობით არის შემორჩენილი. ამოვიწერე გადარჩენილი წიგნები. წიგნებს შორის შემორჩენილია ბერების ძველი პასპორტებიც - გადმოვიწერე მათი თარიღი და

გვარები. ბერებთან ხანგრძლივი საუბრის შედეგად ძალზე ბევრი რამ შევიტყვე მათ ცხოვრების შესახებ.

ძმები მათე და ათანასე გვაზავები წმინდა მთაზე 1896 წლიდან ცხოვრობენ. მესამე ბერს ქართულ სენაკში ჰქვია ტიხონი. მათ გარდა წმ. პანტელეიმონის მონასტერში იმყოფება ასევე მამა სიმონ ბაღდავაძე (წარმოშობით სოფ. ტობანაურიდან). იგი სამზარეულოში მუშაობს. სიმონი 69 წლისაა და წმინდა მთაზე უკვე 39 წელია, რაც ცხოვრობს. სენაკ “ღვთისმშობლის საფარველში” ცხოვრობს კიდევ ორი ქართველი. ერთ მათგანს, მამა მიხეილს მოწყალებით გააქვს თავი, მეორე კი, მამა იოანე (პიობ ტურდაიევი) კერავს ფეხსაცმელს და ანაფორებს და ასევე ატარებს ღამის მსახურებას მოლდაველთა და ბერძენთა სენაკებში, რადგან მათ მღვდელი არა ჰყავთ. იგი ამით ირჩენს თავს. ღვთის მსახურება გრძელდება საღამოს 8 საათიდან დილის 7 საათამდე. ანალოგიური ღვთის მსახურების ჩატარებისათვის სხვებს, ჩვეულებრივ, უხდებიან 15 დრაკმს (75 გროშს. გროში პოლონური ფულის ერთეულია, ზლოტის ერთი მეასედი ნაწილია. ახლა ერთ დოლარი დაახლოებით 4 ზლოტს უდრის. ზლოტი მაშინ გაცილებით მტკიცე იყო. მთარგ.), მაგრამ ქართველი მღვდელი წმ. სტეფანეს სენაკიდან ამ ღვთისმსახურებისათვის იღებს მხოლოდ 5 დრაკმს.

ამრიგად, ათონის მთაზე იმყოფება 6 ქართველი, მათ შორის მხოლოდ ორია მღვდელი, _ მამა იოანე და მამა სიმონი. დანარჩენები ჩვეულებრივი ბერები არიან. ქართულის გარდა მათ სხვა ენა არ იციან. თუმცა რუსულსაც საკმაოდ კარგად იგებენ.

XIX საუკუნეში ქართველთა ლტოლვა ათონის მთისაკენ საკმაოდ ძლიერი იყო. მიუხედავად ამისა, ივერიის მონასტერში მათ არ იღებდნენ, რადგან ბერძნებს ეშინოდათ ქართველებს უკან არ დაებრუნებინათ თავიანთი მონასტერი, რომელიც ქართველებს ბერძნებმა თავის დროზე წაართვეს. პატრიოტული მოსაზრებებით თავისი სენაკებისათვის ქართველები იჯარით იღებდნენ ადგილებს უპირატესად ივერიის მონასტრისაგან. ბერძნები სიამოვნებით აძლევდნენ მათ იჯარით მიწას, რათა შემდეგ ადვილად შეძლონ ქართველთა იქიდან გაძევება. პირველი ასეთი სენაკი იყო წმ. ელიასის სენაკი, რომელიც ააშენა მამა ბენედიქტმა (ბესარიონ ხიოტიშვილმა), ივერიის მონასტრის ტერიტორიაზე. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველმა ეპისკოპოსებმა მიმართეს რუსეთის იმპერიის სამოქალაქო ხელისუფლებას, რათა დახმარებოდნენ ბერძნებთან ბრძოლაში ივერიის მონასტრის დასაბრუნებლად, მაგრამ მათი მხარდაჭერა ვერ მოიპოვეს. რუსეთის ხელისუფლებამ არა თუ არ გააძლიერა ქართველთა ძალისხმევა ამ მიმართულებით, არამედ ხელსაც კი უშლიდა მათ, რადგან ეშინოდა, რომ ქართველები შექმნიდნენ კულტურისა და განათლების კერას რუსეთის უშუალო გავლენის და კონტროლის სფეროს საზღვრებს გარეთ. ეპისკოპოსებმა საქართველოში შეგროვილი ფულით იჯარით აიღეს ძველი და დიდი ხნის წინათ დაკეტილი წმ. იოანე თეოლოგის მონასტერი, რომელიც ივერიის მონასტრის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ივერიის მონასტრის საბჭომ, მას შემდეგ,

რაც წმ. იოანე თეოლოგიის მონასტერი ქართველთა ხელში გადავიდა, ჩამოაქვეითა ეს ძველი მონასტერი სენაკის როლამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ მონასტერს აღარ შეეძლო ეკურთხა მღვდელელები გამგებელი (ძირითადი) მონასტრის ნებართვის გარეშე, არ შეეძლო ეკურთხა ეკლესიები, არ შეეძლო ჰყოლოდა 4 ბერზე მეტი და ა.შ. ამ სენაკის არსებობის მთელ პერიოდში (1875-1912) ბერძნებმა ქართველების თუნდაც ერთი მღვდლის კურთხევის ნება არ მისცეს (ქართველებს თავიანთ სენაკში მიჰყავდათ უკვე ადრე ნაკურთხი მღვდელელები), ხოლო სენაკის მთავარი ეკლესია, რომელიც 1877 წელს ააშენეს, მხოლოდ 1917 წელს-და აკურთხეს, როდესაც წმ. მთა ანტანტის ჯარებმა დაიპყრეს.

ბერძნები გამუდმებით ცდილობდნენ გაეძევებინათ ქართველები მათ მიერ იჯარით აღებული მონასტრიდან. ეს დრო დადგა 1919 წელს ანტანტის ჯარების მიერ წმ. მთის დატოვების შემდეგ, რომელიც უკანასკნელი იურიდიული პირი იყო; ივერიის მონასტრის საბჭომ ბერძენ ჟანდარმთა დახმარებით გაყარა ქართველი ბერები მათ მიერ იჯარით აღებული სენაკებიდან. ბერებს მხოლოდ პირველი მოხმარების საგნების წაღების უფლება მისცეს. ქართველ ბერთა ნაწილი საქართველოში დაბრუნდა, რათა იქ ეძებათ დახმარება და პროტექცია; მათ სათავეში ჩაუდგა მამა ელიასი განდგომილ წმ. ელიასეს სენაკიდან, რომელმაც თავისი თანამემამულეების მიმართ შეურაცხყოფისადმი პროტესტის ნიშნად ნაბაყოფლობით დატოვა თავისი სენაკი. მან თან წაიღო უმნიშვნელოვანესი ქართული ხელნაწერები, რომლებიც ამჟამად ინახება თბილისის სიძველეთა მუზეუმში.

გარდა წმ. ელიასეს და წმ. იოანე თეოლოგის სენაკებისა, ათონზე არსებობდა ასევე წმ. ანდრეასა და წმ. ნინოს სენაკებიც. ამ სენაკების უკანასკნელი ბერი, მამა ანდრეი გარდაიცვალა 1934 წლის ოქტომბერში, ვგონებ 105 წლის ასაკში. წმ. დიონისეს მონასტრის ტერიტორიაზე, მაღალი მთის მწვერვალზე, არსებობს უფლის გარდასახვის მცირე სენაკი, სადაც X საუკუნეში ცხოვრობდა წმ. გაბრიელი, ქართველი, რომელმაც, როგორც გვამცნობს ლეგენდა, ზღვაზე დაინახა საოცარი სახე ივერიის ღვთისმშობლისა. XIX საუკუნეში ამ სენაკში ცხოვრობდა მამა ილარიონიც, რომელმაც 1836 წელს შეადგინა ივერიის მონასტრის ბიბლიოთეკის ქართულ ხელწერათა კატალოგი, ასევე ქართველი, თავისი მოწაფე ბერძენ სავასთან ერთად.

ამჟამად ამ სენაკში ცხოვრობს მამა ონოფრე, ბერძენი, სავას მოწაფე. მცირე ეკლესიაში, ცენტრალურ ადგილას ჰკიდია ხატი, სადაც გამოსახულია ყველა ქართველი წმინდანი. ამ ეკლესიის ტრიპტიხებში შეხვდებით მრავალ ქართულ გვარებს, რაც იმის მაუწყებელია, რომ ამ დროსაც კი საქართველოდან ამ სენაკში შეწირულობებს აგზავნიდნენ. აქ ძველ ქაღალდებში აღმოვაჩინე საინტერესო დოკუმენტი, სახელდობრ მამა ილარიონის ცხოვრების აღწერილობა, რომელიც დაწერილია ბერძნულ ენაზე, სავას, მისი მოწაფის მიერ.

გამორიცხული არ არის, რომ არსებობს სხვა სენაკებიც, სადაც ცხოვრობდნენ ქართველი ბერები, მაგრამ მე ვერ შევძელი მათი მოძებნა დროის უკმარისობის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ არავითარი შესაბამისი არქივი, ან სია, რომელსაც შეეძლებოდა ამის შესახებ ინფორმაციის მოცემა, არ არსებობს. ამგვარი ინფორმაცია მხოლოდ მხცოვან ბერებს აქვთ.

ივერიის მონასტრის ეზოში შენდება სამი ეკლესია: ერთი დიდი, ღვთისმშობლის ცად ამალეების სახელობის და ორიც სამრეკლო. აქვე მდებარეობს მონასტრის ქართველ დამაარსებელთა საფლავებიც: წმ. იოანესი, ექვთიმესი, გაბრიელის, გიორგის და თორნიკესი. მათი სამარადისო განსასვენებლის ადგილას სამარადისო ცეცხლი ანთია. გუმბათიდან ჩამოშვებულია უდიდესი ოსტატურად დამზადებული ჭაღი, რომელიც მონასტერს თორნიკე ბერმა შესწირა. მონასტერს იატაკიც მოზაიკური აქვს. ეგრეთ წოდებულ ნარდექსის ზევით დაშენებულია მეორე სართული, სადაც მოთავსებულია ბიბლიოთეკა, მის იქით კი მდებარეობს ჭკვიანურად შემალული (დაცული) მონასტრის საგანძური.

მეორე, მომცრო ეკლესია აშენებულია სპეციალურად ღვთისმშობლის სასწაულებრივი ხატისათვის. აქ ყოველდღიურად ტარდება მადლიერების გამომხატველი წირვა-ლოცვა. ღვთისმშობლის ხატი სიძველისაგან და გამუდმებით მბოლავი სანთლებისაგან ჩაშავებულია. მას ყოველი მხრიდან ჩამოკიდული აქვს ძვირფასი შეწირულობები. ხატი ჩასმულია ოსტატურად შესრულებულ ძვირფასი ვერცხლის ჩარჩოში, რომელზეც ქართული წარწერები იკითხება. ხატს ამჟამად საგულდაგულოდ აქვს ფარდა ჩამოფარებული. მონასტრის ყველაზე ძველი მესამე ეკლესია წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობისაა; მასში მოთავსებულია ძველი ქართული ძვირფასი ხატები, მ.შ. ათაბაგ ყვარყვარესი და მისი ვაჟის, მზექაბუჯის.

მონასტრის საგანძური ქართული კულტურის ნამდვილი მუზეუმაა. სახარება ძვირფას ჩარჩოში, მრავალი ძვირფასი ჯვრები, ძველი ხატები, ბაკლები, უმდიდრესი ოქროთი მოქსოვილი საეკლესიო სამოსები და ა.შ. დარწმუნებული ვარ, რომ იქ არის კიდევ უფრო მეტი ქართული კულტურის ძეგლები, რომლების ნახვის საშუალება არ მომეცა ჩემი... ქართული წარმოშობის გამო.

ქართული ძეგლების ძიებაში ივერიის მონასტრის შემდეგ მოვინახულე სხვა მონასტრებიც. მაგალითად, ფილატეს სახელობის მონასტერი, რომელიც 1492 წელს არის განახლებული კახეთის მეფის (საქართველოს ნაწილი) ლევანისა და მისი შვილი ალექსანდრეს მიერ; ამ მონასტრის სატრაპეზოში შემორჩენილია ამ მეფეთა სახეები. სამწუხაროდ ეს ფრესკები ისე ცუდადაა შემონახული, რომ ძალიან ძნელი საცნობია მათზე ქართველი მეფეები. სამაგიეროდ, მონასტრის მთავარ ეკლესიაში მაცხოვრის და ღვთისმშობლის ხატებზე აღმოვაჩინე ორი ქართული წარწერა, რომლებიც 1841 წელს მიეკუთვნება. ამ მონასტრის ბიბლიოთეკამდე ვერ მივაღწიე, რადგან ერთმა ბერმა ჩემს შეკითხვაზე, თუ სად მდებარეობს ბიბლიოთეკა, მიპასუხა, რომ მართალია

იგი მონასტერში უკვე 40 წელია, რაც ცხოვრობს, მაგრამ არ იცის, თუ სად შეიძლება იყოს იგი.

წმ. ათანასეს მონასტერში შენახულია ქართული საგალობლების ტექსტების ხელნაწერებიც, რომლებიც XVIII საუკუნით თარიღდება. ჩემს მონასტერში მისვლამდე ხელნაწერები სომხურად მიაჩნდათ (ხელნაწერები ბერძნულია. იხ. 1623 წ. წმინდა მიწაზე მოგზაურობის აღწერა. როგორც ცხადი ხდება ამ ხელნაწერიდან, ჯერ კიდევ 1623 წელს გოლგოთა ქართველთა ხელში იმყოფებოდა. მონასტრის ტერიტორიაზე იზრდება მშვენიერი კიპარისები, რომელთაგან ერთი დარგულია წმ. ათანასეს, ხოლო მეორე წმ. ექვთიმეს მიერ).

მოვინახულე აგრეთვე წმ. დიონისეს და წმ. პანტელეიმონის მონასტრები, სადაც შემონახულია X და XI საუკუნის ხელნაწერების რამდენიმე ასლი და ასევე მრავალი ძვირფასი საგალობლების წიგნები და ხელნაწერები. მე შევძელი მომეპარინებინა და ათონიდან წამომეღო 50 ქართული წიგნი და 13 ხელნაწერი (წმ. თეოლოგის სენაკში დაცულია არა მხოლოდ ივერიის მონასტრის ქართული ხელნაწერების ასლები, არამედ თავად საქართველოდანაც წაღებული ხელნაწერებიც. იმ ხელნაწერებს შორის, რომლებიც ჩამოვიტანე, არის აგრეთვე დიონისე არეოპაგელის ნაშრომი, მოციქულთა აპოკრიფული ბიოგრაფიები, ქართველი მწერლის, იონა ხელაშვილის საკუთარი ხელთ დაწერილი წიგნები და სხვ.).

უკან გამობრუნებულმა ბულგარეთში მოვინახული ქართული კულტურისა და განათლების მეორე ცენტრი, - ბოჩკოვოს ქართული პეტრიწონის მონასტერი. ეს მონასტერი დაარსებულია 1083 წელს ქართველი ფეოდალის, ბიზანტიელი სარდლის გრიგოლ ბაკურიანელის მიერ (გრიგოლ ბაკურიანელი მოკლეს პაჭანიკებთან ბრძოლის დროს 1086 წელს).

მონასტრის დამაარსებელმა მის წესდებაში გარკვევით მიუთითა, რომ მონასტერი აშენებულია მხოლოდ ქართველთათვის. მონასტრის აშენების მთავარი მიზანი იყო ბულგარეთში ძალზე გავრცელებულ ერესთან ბრძოლა. მონასტერში არსებობს ასევე სასულიერო სემინარია და მოხუცებისა და საპყართა სახლი.

ამ მონასტერმა უდიდესი როლი შეასრულა ბულგარული კულტურის ისტორიაში. იგი იოანე რილსკის მონასტრის შემდეგ ბულგარეთში ყველაზე პოპულარული და მდიდარია. მონასტრის წესდება გრიგოლ ბაკურიანელმა სამ ენაზე - ქართულად, ბერძნულად და სომხურად დაწერა. ბერძნული ტექსტი პირველად გამოსცა ბატონმა მუსეაოსმა, ქალაქ სტანიმაკეს ერთ-ერთმა მოქალაქემ (ამჟამად ასენოვგრადი, მონასტრიდან 9კმ-ის დაშორებით), 1888 წელს, ლიპსკში, როგორც სადოქტორო დისერტაცია. სამწუხაროდ, მასში გამოტოვებულია წესდების 24-ე პარაგრაფი, რომელიც ლაპარაკობს ბერების მონასტერში მიღების დაუშვებლობის შესახებ. მაგისტრმა ლოიუს პეტიტმა, ათენის ლათინმა არქივპისკოპოსმა, წესდების

სრული ტექსტი აღმოაჩინა ბუქარესტში, რუმინეთის აკადემიის ბიბლიოთეკაში. დასაწინაა, რომ არც ეს ტექსტია ხარვეზების გარეშე.

სოფიაში ჩემი ყოფნის დროს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მე შევძელი მომეძებნა ამ მონასტრის წესდების ქართული ტექსტის ასლი. იგი გაკეთებულია 1702 წელს. წესდება ბულგარული კულტურის მკვლევართა დიდ დაინტერესებას იწვევს, ხოლო ბიბლიოთეკის დირექტორმა ბატონმა რაიჩო რაიჩევმა ამ ნაშრომს სპეციალური, ძალზე საინტერესო წერილი მიუძღვნა, რომელიც დაიბეჭდა ყველაზე პოპულარულ ბულგარულ ჟურნალში ("ზორა" 1935წ. 2.X.).

საინტერესოა, თუ ამ მონასტერში როდის მოისპო ქართული ელემენტი და როდის გადავიდა იგი ბერძენთა ხელში. მიატიევი თავის ნაშრომში (ბულგარეთის ისტორიული ბიბლიოთეკა, 1932-33, ტ. I, გვ. 68-75) ასკვნის, რომ ქართველები იქ შემორჩნენ მხოლოდ 1189 წლამდე, ხოლო შემდეგ მონასტერი რიგ_რიგობით გადადის ბერძენთა და ბულგარელთა ხელში.

ჩემის აზრით, ეს მონასტერი ქართველთა ხელთ შემორჩა უფრო ხანგრძლივად, რაზედაც, სხვათა შორის, მეტყველებს წარწერა პეტრიწონის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატზე, რომელიც 1311 წლით თარიღდება. ეს წარწერა მცდარად არის წაკითხული ლოუის პეტიტის მიერ, რამაც შეცდომაში შეიყვანა მრავალი ისტორიკოსი.

ამ მონასტერმა უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. აქ ჩამოყალიბდა ქართული ლიტერატურის ახალი მიმართულება, რომელსაც პეტრიწონის სკოლა ეწოდება. ამ სკოლას წარმოადგენს საქართველოში ნეოპლატონიზმის ფუძემდებელი და ცნობილ ფილოსოფოსთა მთარგმნელი, იოანე პეტრიწონელი, რომელიც შემდგომ ქართველი მეფის დავით აღმაშენებლის (XII საუკ.) მიერ მოწვეული იქნა გელათის (დასავლეთ საქართველო) აკადემიაში.

დრომ და ბერძენთა შურისმაძიებლურმა ხელმა გაანადგურა ამ მონასტერში ყოველი ქართული ძეგლი. ამჟამად, გარდა მშვენიერი ხატისა, იქ, მთავარი ეკლესიის გუმბათზე, შემორჩენილია ჯვარი ქართული წარწერით. მონასტერში ერთი ქართველიც აღარაა დარჩენილი.

როგორც ვხედავთ, ქართული კულტურის ძეგლები გაბნეულია მთელს მსოფლიოში; მრავალი მათგანი უცნობია და დავიწყების წყვიადშია ჩაკარგული. ამჟამად ქართველი ხალხის მძიმე ყოფა მათი ძიებისა და შესწავლის საშუალებას არ იძლევა. ამიტომ თავი არ უნდა დავზოგოთ, რათა ხალხს შევუნარჩუნოთ ეს ფასდაუდებელი კულტურის ძეგლები.

*აქ არ შეიძლება ჩვენის მხრიდან არ დაუმატოთ შემდეგი: გიორგი მთაწმინდელი არის ავტორი ლექსისა "მწუხრის ზარები~: 'მწუხრის ზარები, მწუხრის ზარები, რამდენი სევდის ხართ მომტანები". ეს ლექსი შემდეგ მრავალი ქვეყნის ენაზე ითარგმნა და ისე კარგად მოერგო ამ ენებს, რომ აქ ძალზე ბევრმა არ იცის მისი ქართული წარმოშობის შესახებ. მაგალითად, რუსულად. "Вечерний Звон~: "Вечерний Звон, Вечерний Звон, как много дум наводит он~. a.g.

5. იერუსალიმის ვარდები ანუ დამოუკიდებლობის ზეიმი ალეპოში

(მოგზაურობის შთაბეჭდილებები)*

ბეირუთი, 26.IX. შაბათი. დილით ადრე ქალაქში დავეხეტებოდი. ვიყიდე დამასკური ტკბილეულის დიდი კოლოფი ჩემი ვარშაველი ნაცნობებისათვის და პირველად მთელი მოგზაურობის მანძილზე, - გაზეთები.

პრესა იუწყება, რომ სწორედ დღეს იწყებოდა ალეპოში საზეიმო ღონისძიებები სირიის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით. ზეიმი სამ დღეს გასტანდა, შეუწყვეტილად, დღე და ღამე. ერთმა პარიზელმა მოხელემ სახალხოდ წაიკითხა ეს განცხადება.

ორშაბათამდე საკმაო დრო მაქვს და ვგონებ, რომ მოვასწრო კიდევ ალეპოში წასვლა და უკან დაბრუნება. ბევრი აღარ მიფიქრია, სასტუმროსაკენ გავწიე და მოვიხმე ოფიციალტი, რომელიც ავტოსადგურამდე გამაცილებს. მთელი ბარგი სასტუმროში დავტოვე. თბილი ლაბადაც კი არ წამიღია თან.

9 საათისათვის უკვე ავტოსადგურში ვიყავი, სადაც ავტობუსის პატრონმა დამარწმუნა, რომ ნახევარი საათის შემდეგ გზას გავუდგებოდი. უკანა, ცუდ ადგილში გადავიხადე ერთი სირიული გირვანქა და ავტობუსში ჩავჯექი.

ავტობუსის მძღოლი ნასიამოვნებია, რომ გამოიჭირა სულელი უცხოელი და აგრძელებს ბილეთების გაყიდვას. ჩემს წინ მოთმინებით ზის ორი ქალი. მათ სახეს ჩადრი უფარავს. ისინი, ვგონებ, გათენებამდე არიან აქ მოსულები და მას შემდეგ აქედან ფეხი არ მოუცვლიათ.

ავტობუსიდან ჩამოსვლა არ შემეძლო, რადგან ასე ადგილს დავკარგავდი. შეიძლება შემდეგ საერთოდაც აღარ ამიშვან უკან. ამიტომ მოთმინებით ველოდები და ვწყევლი იმ წუთს, როდესაც გაზეთი შევიძინე. ჩვენს წინ დგანან სახელმწიფო ავტობუსები. ზოგიერთი მათგანი დაიდრა კიდევ. ჩვენ კი ვდგავართ და ვდგავართ.

ავტობუსი თანდათან ივსება მგზავრებით, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ცოტანი არიან იმისათვის, რომ ყველა ადგილი შეავსონ. ჩემს გვერდით რამდენიმე ბედუინი ჯდება.

ბოლოს, ორის ნახევარი შესრულდა, როცა ჩვენ ადგილიდან დავიძარით. მძღოლს შევეკითხე, როდის ჩავალთ მეტეი, ალექსოში. იგი მარწმუნებს, რომ თუ ექვსზე არა, საღამოს შვიდის ნახევარზე აუცილებლათ იქ ვიქნებით.

ეს როგორ? აქედან ალექსომდე ხომ 400 კილომეტრზე მეტია! ქალაქიდან გასვლაც კი ვერ მოვასწართ, რომ შოფერმა შენიშნა, - მანქანას წყალი შემოაკლდაო. თუმცა ადგილიდან დაძვრამდე, როდესაც ავტოსადგურში ვიდექით რამდენიმე საათი და შოფერს არაფერი საქმე არა ჰქონდა, მას ამაზე არ უფიქრია.

ეს იყო ჩვენი პირველი გაჩერება. ავტობუსში შეიძლებოდა ასე თუ ისე დაგვესვენა, თუმცა ყოველ წუთს შემოდინდნენ პოლიციელები და ამოწმებდნენ მგზავრთა რაოდენობას. გამოირკვა, რომ ერთი ბიჭი ზედმეტი იყო და ამიტომ იმალებოდა იგი მჯდომარე არაბების ფარფარა ხალათს ქვეშ.

მაგრამ როდესაც გავიარეთ სასაზღვრო კონტროლი ტრაბლუსთან, თითქმის ყოველ ნაბიჯზე იდგნენ არაბები და ყოველ მათგანს ეწადა ავტობუსში ამოსვლა. ისინი ჯერ ფასებზე ვაჭრობდნენ, ხოლო შემდეგ კი, როდესაც მორიდებოდნენ, შეგირდი უღებდა მათ კარებს და ავტობუსში უშვებდა. ბოლოს ავტობუსში იმდენი მგზავრი მოგროვდა, რომ მათი ნაწილი თითქმის ჩვენს მუხლებზე იჯდა.

წყლის შემდეგ ახლა ბენზინი შემოაკლდა ავტობუსს. ამიტომ კვლავ გავჩერდით.

ერთ-ერთი ასეთი გაჩერებისას უჩვეულო ავანტიურის მოწმე გავხდი. გზის პირას ერთი პატარა მაღაზია იდგა, სადაც ქალი შედედებულ რძეს ჰყიდდა. მგზავრები გადმოვიდნენ ავტობუსიდან და მიირთმევდნენ მას ან უბრალოდ დასეირნობდნენ. მე ავტობუსში დავრჩი და ჩემს თავს ვსაყვედურობდი, რომ ასეთ რისკზე წავედი და გამოვემგზავრე ახლა, როდესაც ასე ცოტა დრო დამრჩენია ევროპაში დაბრუნებამდე. თუ რაღაც შემთხვევის გამო დამაგვიანდა, მაშინ შესაძლოა, გემსაც ვეღარ მივუსწრო, რომელიც ჰაიფიდან გადის, 29-ში, 3 საათზე, საღამოს. ამბობენ, რომ გემი ძალზე პუნქტუალურად მოძრაობსო. მაგრამ ახლა უკვე სხვა გზა აღარ არის და იძულებული ვარ მოთმინების ეს ფიალა ბოლომდე უნდა გამოვცალო.

უცებ მაღაზიიდან რაღაც ხმაური და ყვირილი მომესმა, რის შემდეგაც ქუჩაში გამოცვივდა რამდენიმე წაკინკლავებული ადამიანი. მე ჩემს გვერდით მჯდარ, სასიამოვნო შესახედაობის მოხუცს ვეკითხები, თუ რაშია საქმე.

აღმოჩნდა რომ ერთმა არაბმა შეუკვეთა რძე ორ პიასტრად. ქალმა კი მოუტანა 5 პიასტრის რძე - შეიძლება კარგად ვერ გაიგო შეკვეთა. ახლა არაბი მას უხდის მხოლოდ ორ პიასტრს, ქალი კი ხუთს მოითხოვს. კინკლაობა ნამდვილ ჩხუბში გადადის. არაბი ქალს ლანძღვას უწყებს. ამ დროს ქალის ქმარიც გამოჩნდება, მოვა

პოლიციაც და ყველანი მიჰყავთ პოლიციის სამორიგოსკენ, რათა ჩვენებები ჩამოართვან.

ჩვენ კი ამ დროს ვსხედვართ ავტობუსში და ველოდებით. მამაკაცებს მოთმინა უკვე აღარ შეეძლოთ და მოითხოვენ, რომ ავტობუსი ახლავე დაიძრას. ქალები კი თავისთვის წყნარად სხედან და ხმას არ იღებენ.

მინდა არაბის ნაცვლად ამოვიღო 3 პიასტრი, რათა მეტი დრო აღარ დავკარგო, მაგრამ არ ვიცი, როგორ გავაკეთო ეს. ამის შესახებ ჩემს გვერდით მჯდომს შევეკითხე. ის კი მიყურებს და მეუბნება, რომ ეს უკვე ფულის საკითხი აღარ არის და რომ ახლა საქმე ღირსებას ეხება! ბოლოს დავიძარით, როგორც იქნა. სადღაც შორს, უდაბნოში მდგარი კარავიდან შუქი მოჩანს. ერთ-ერთ არაბს რაღაც საქმე აქვს იმ ადამიანთან, რომელიც იქ, კარავში ცხოვრობს. ამიტომ მისკენ გასწევს. ჩვენ კი ვსხედვართ და ვიცდით. თითქმის ერთი საათი ვუცადეთ მას.

ბოლოს მგზავრთა ერთმა ჯგუფმა გასწია მისკენ, რათა ეთხოვათ, რომ ცოტა სწრაფად მორჩენილიყო თავის საქმეს. შემდეგ რომელიღაც სადგურზე გავჩერდით, სადაც ლელვს ყიდდნენ. რამდენიმე პიასტრის ლელვი ვიყიდე. ფერწასული ბიჭი, რომელიც არაბის ტანსაცმლის ქვეშ იმალებოდა, მე შემომყურებს. ამიტომ ვუწვდი იმდენ ლელვს, რამდენიც მის პატარა ხელისგულში ჩაეტევა. და კვლავ უდაბნოში ვაგრძელებთ გზას.

ჩამოზნელდა. უკვე ათი საათი დაიწყო, უცებ ვხედავ ქვის ნიშანს, რომელზედაც იმის მაუწყებელი წარწერაა, რომ აქედან ალექსანდრე კიდევ 125 კილომეტრია დარჩენილი. ღრმად ამოვიოხრე, ჩემს წინ მჯდარი არაბი მიყურებს და მეუბნება: “ხავადქა საბახტან”, - რაც ნიშნავს: თქვენ მიტოვებული ხართ. ზუსტად ეს გამოთქმა იხმარა უფალმა იესო ქრისტემ, როდესაც ჯვარზე გაკრული, უდიდესი წამებას განიცდიდა: “ელი, ელი, ლამმა საბაჰტანი!” (“ღმერთო, ღმერთო, რატომ მიმატოვე”? მათე, XXVII, 46; მარკოზი XV, 34;).

გამიხარდა, რომ ეს სიტყვა კვლავ ცოცხლობს და რომ იგი მოვისმინე ამ წუთს ამ გაუნათლებელი, როგორც ჩანს, ხელოსნისაგან. ძალზე მესიამოვნა, - მაშასადამე, ჩემს მოგზაურობას ამ დანტეს დამეს ჰქონდა თავისი გამართლება! თუმცა, ჩვენს უშუალო მიზნამდე ჯერ კიდევ ძალზე ბევრი რჩებოდა.

კვლავ რომელიღაც ახალი ქალაქი გამოჩნდა. ეს აღმოჩნდა ქალაქი ჰორმსი, - ემესის ძველი და ცნობილი ქალაქი. აქ, სხვათა შორის, ნეოპლატონიკოსი პემესიოსი ცხოვრობდა, რომელმაც ადამიანის სულის შესახებ მნიშვნელოვანი ფილოსოფიური ნაშრომი დაგვიტოვა.

კვლავ ავტოსადგურში გავჩერდით. ავტობუსი გაფუჭდა და მძლოლი შეგირდთან ერთად ძრავის ქვეშ შეძვრა.

მე ერთი უჩვეულო სიმადლის მამაკაცი მიახლოვდება. ვგონებ, ისიც ჩვენთან ერთად მგზავრობდა ავტობუსით. _შეხედეთ ერთი, ჩემო ბატონო, - მეუბნება იგი ფრანგულად, თან სიცილით, - რკინის მანქანის შეკეთება და გამაგრება სურთ თასმების დახმარებით! თქვენ აქაური არ უნდა იყოთ?! - მეკითხება მცირე ხნის შემდეგ.

- არა - ვპასუხობ, - მხოლოდ ვმოგზაურობ ამ მხარეში. - ეს იმ მოხუცმა ქალმა, რომელთან ერთადაც მე მოვდივარ, მაშინვე შენიშნა; მე მას, მისი ასაკის გამო ძალუას ვეძახი, თორემ იგი ჩემი ღვიძლი ძალუა როდია, მას ხვალ, დილით ადრე, თურქეთში გამგზავრება აქვს გადაწყვეტილი და მე უნდა გავაცილო იგი ალექსომდე, სადაც მატარებელში ჩაჯდება. აი, - განაგრძო საუბარი უცნობმა მამაკაცმა, - ეს იმან შეგნიშნათ, მყისიერად, და მეუბნება, რომ თქვენ არ შეიძლება არაბი იყოთ, რადგან თქვენ მათ არავითარ კამათსა და ჩხუბში არ ერევით და თანაც ძალზე ლმობიერი გული გაქვთ; თქვენ ხომ პატარა ბიჭს ლეღვი უწილადეთ.

ვინ შეიძლება იყოს ეს კაცი? მას, ჩანს, არ უყვარს არაბები, მაშასადამე, შესაძლებელია იგი სომეხია, მაგრამ სომეხები ძალზე გულჩათრხობილები არიან და პირველსავე შემხვედრ ადამიანს როდი გადაუხსნიან გულს. თანაც იგი ძალზე დაბალი ტანისაა.

_თქვენ საიდან ბრძანდებით? - ვეკითხები მას

- ჩერქეზი ვარ - მპასუხობს იგი და ხედავს რა ჩემს გაოცებას, მყისვე აგრძელებს: ეს ამ ქვეყანაში და ამ ხალხს შორის მოხდა ჩვენი ფიზიკური დეგენერაცია. ჩვენ შორის უკვე აღარ არიან ისეთი მშვენიერი ვაჟკაცები, როგორც ეს ლეგენდებშია გადმოცემული. თუმცა სულითა და მოხერხებით, ინტელიგენტურობითაც, სხვებზე მაღლა ვდგავართ. მაგალითად, ჩემმა ძალომ, ესე იგი, არა ჩემმა ღვიძლმა ძალომ (და იგი კვლავ ძველ ისტორიას მიყვება), ძალიან მოკლე დროში შეისწავლა თურქული და არაბული ენები, თუმცა იგი სულ რამდენიმე წელია, რაც ყაზარდოდან ჩამოვიდა.

ვეუბნები, რომ მეც კავკასიიდან ვარ, წარმოშობით ქართველი, მაგრამ ამჟერად ვარშავაში ვცხოვრობ.

- იქ ერთი კარგი ნაცნობი მყავს - მაწყვეტინებს, - რედაქტორი ბაუტუგანი. თუმცა მართალია, პირადად არ ვიცნობ, მაგრამ მასთან მიწერ-მოწერა კი მაქვს. კავკასიელი მთიელების ხელით მისგან ჟურნალი მივიღე "სიმალი კავკასია", რომელსაც იგი თავად გამოსცემს. რამდენიმე წლის წინათ სამი ეგზემპლარი ამ ჟურნალისა გამოწერილი მქონდა, მაგრამ შემდეგ ავად გავხდი, ვეღარ შევძელი გამეგზავნა

ჟურნალების ღირებულება და უკვე კარგა ხანია, აღარ მიმიღია ისინი. შევპირდი, რომ დავეხმარებოდი, რათა მისთვის კვლავაც გაეგზავნათ ეს ჟურნალები.

- ამ ჟურნალისთვის - აგრძელებს იგი ლაპარაკს, - მეც დავწერე წერილი ჩერქეზული ცხენების შესახებ, მაგრამ არ დაუბეჭდიათ.

ასეთი ადამიანი, რომელიც პროვინციაში, ასე შორს ცხოვრობს, უნდა წაახალისო, ამიტომ მე ვპირდები, რომ კარგად შეისწავლიან მის წერილს და ალბათ, გამოაქვეყნებენ კიდევ.

მას ძალზე ბევრი ცნობები აქვს ჩვენი კავკასიის ფედერაციის შესახებ და აქ კარგი ნაცნობებიც ჰყავს სხვადასხვა თანამდებობაზე მომუშავე ჩერქეზებს შორის.

ისინი კი აქ ბევრნი არიან და საკმაოდ მაღალ თანამდებობებსაც ფლობენ. თითქმის მთელ აქაურ ფრანგულ კავალერიას, საკმაოდ ბევრ ხელმძღვანელ პირებს არმიაში, ისევე როგორც პოლიციასა და ჟანდარმერიაში, ჩერქეზები წარმოადგენენ. თუმცა არც სამოქალაქო იერარქიულ კიბეზე იგრძნობა მათი ნაკლებობა. მათი ერთადერთი კონკურენტები იქ მხოლოდ სომხები არიან.

თავად ჩემი მოსაუბრე მასწავლებელია კუნაიტრის ჩერქეზულ სკოლაში.

- თავის დროზე ფრანგული ენის მასწავლებელად ჩვენს სკოლაში ქართველი მუშაობდა; შემთხვევით ხომ არ იცნობთ მას, ჩემო ბატონო? - მეკითხება იგი. მე ვინტერესდები ჩემი თანამემამულის გვარ-სახელით.

- მე არ ვიცი, და მგონი მთელს კუნაიტრშიც არავინ არ უნდა იცოდეს, - მპასუხობს იგი მცირე ჩაფიქრების შემდეგ.

ჩვენ არაბ ბედუინთა ჯგუფი გვიახლოვდება. ერთი მათგანი მთელი თავისი ჯალაბობით მოდის ალეპოში. ჩემს მხლებელს ყაზარდიულად ეკითხებიან, თუ ვინ ვარ მე და აქ რას ვაკეთებ. მათ წარმოდგენაც კი არა აქვთ სამეცნიერო თუ ტურისტული მოგზაურობის შესახებ. მათთვის ყველა ის ადამიანი, ვინც თავის სამშობლოდან მიემგზავრება, არის მდიდარი და ამასთან, სულელიც, ვინაიდან უცხოეთში თავგადასავლებს ეძიებს. ამას ისინი ფანტაზიას უწოდებენ.

- თუ მას არავითარი საქმე არ აქვს ალეპოში და მხოლოდ ფანტაზიის გამო მიდის, - თქვა ერთმა მათგანმა - მაშინ უჯობს ახლავე უკან, ბეირუთში დაბრუნდეს, რადგან იქიდან ჯერ კიდევ იქნება მატარებელი, თორემ იქით უკვე აღარ არის არავითარი ტრანსპორტი.

მაგრამ ახლა განსაკუთრებით მსურს ბოლომდე გავაგრძელო მოგზაურობა, რადგან ასეთი საინტერესო თანამგზავრები გავიჩინე.

ჩემი თანამგზავრი ამტკიცებს, რომ ცხოვრებაში არასოდეს ასე ცუდად არ უმგზავრია, როგორც ეხლა, და ეშინია, რომ მისმა ძალმომრე შესაძლოა დააგვიანოს მატარებელზე, რომელიც ალექსიდან თურქეთისაკენ გავა დილის ექვს საათზე. დილით კვლავ უკან ბეირუთისაკენ დაბრუნდება, სადაც რაღაც საქმე აქვს მოსაგვარებელი და მეც მთავაზობს, რომ ერთად წავიდეთ.

უკვე საჭიროა ავტობუსში ჩავსხდეთ, რადგან იგი გაარემონტეს და დროა გზას გავუდგეთ.

ამ ადგილას კვლავ შემოგვემატნენ მგზავრები. ჩემი და ყაზარდოელის საუბრის დროს ვიღაც ბედუინმა ფანჯარასთან დაიკავა ჩემი ადგილი და ადგომასაც არ აპირებდა. ძალიან დიდი ყვირილი დასჭირდა როგორც ყაზარდოელს, ასევე ევფრატის სანაპიროზე მცხოვრებ ჩემს მეზობლად მჯდომ არაბს, და ასევე იმ არაბსაც, ვინც მე ბრწყინვალე და საოცარი სიტყვებით "ზაბახტან" მომმართა. ახლა ყველა ესენი ცდილობდნენ აეყენებინათ ბედუინი ჩემი ადგილიდან.

- არც ეს არის მაინდამაინც კარგი ადგილი, - მეუბნება ყაზარდოელი, - კარგი იქნებოდა მძღოლის გვერდით რომ დამჯდარიყავით, მაგრამ იქ ადგილი 75 პიასტრი ღირს.

- მე კი ჩემს ადგილში მთელი გირვანქა, ანუ 100 პიასტრი გადავიხადე, - ვეუბნები მას. იგი აღშფოთებულია არაბთა ამ ახალი სახის აფერისტობით.

- რანაირად შეიძლება უცხო ადამიანი ასე საშინლად მოატყუო - ეკითხება იგი ევფრატის სანაპიროზე მცხოვრებ არაბს. მაგრამ რას იზამ, 25 პიასტრს უკვე აღარავინ დამიბრუნებს. იმაზეც მადლობელი ვიქნები ღმერთის, თუ შუა გზიდან არ ჩამომავდებიან. გზას ვაგრძელებთ "კუს ნაბიჯებით".

არაბი, რომელიც 3 პიასტრის გამო ჩხუბობდა და რომელიც მე ძალზე ღვთისნიერად ამიანად მომეჩვენა, ახლა ავტობუსის ჩაბნელებულ ადგილას ვაჭრობას უმართავს რაღაც საქმის გამო სხვა არაბებს და ფულის ბანკნოტების მსხვილ დასტას იღებს ჯიბიდან. ჩემი მეზობელი თვლემას იწყებს და თავისდაუნებურად თავს ვიღაც ბედუინს მხარზე ჰკიდებს. ეს უკანასკნელი ყვირილით იკლებს იქაურობას. კვლავ ახალი ჩხუბი იწყება. ძილი არ შემიძლია, ამიტომ ვდგები და ჩემს ადგილს ვუთმობ ფანჯრის გვერდით.

ბედუინი, რომელსაც ეწადა ეს ადგილი ჩემთვის წაერთო, ახლა სადღაც კუთხეში ხვრინავს და თითქმის იმ საწყალ ბიჭს აწევს ზევიდან. იგი ჭუჭყით სავსეა და პირიდან დორბლი გადმოსდის.

დილით, ხუთს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, როგორც იქნა, მივუახლოვდით ალექოს.

ალექო, 27. IX. კვირა. ალექოს ქუჩები განათებულია. ისინი მოსეირნე ხალხით, უსაქმურებით და შავჩადრიანი ქალებით არის სავსე. ყველგან სიხარულია გამეფებული და ირგვლივ მხიარული ყიჟინა გაისმის. ჩვენი ავტობუსის დანახვაზე ხალხი გვესალმება და ხელებს გვიქნევს; ჩანს, შევეშალეთ რომელიღაც დელეგაციაში. ჩვენი მგზავრები იცინიან და ისინიც ხელის ქნევითა და ყვირლით ეგებებიან დამხდურთ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მოულოდნელად უხმოდ ვიღებ ამ ჭუჭყიანი ბედუინის ხელს, რომელიც გუშინ ადგილს მეცილებოდა, და მეც ვიწყებ მასთან ერთად ტაშის ცემას. იგიც სიამოვნებით ყვირის და დორბლებს პირდაპირ მის გვერდით მჯდარ ბიჭს აყრის.

მე არაბი მეძახის, ახლა მისი თანამემამულეც გავხდი. თუ იცის მან, სინამდვილეში რას ნიშნავს ეს?

ავტობუსი სადგურში ჩერდება და ჩვენ ჩამოვდივართ. ყაზარდოელი ქირობს ეტლს, მიდის მატარებლის სადგურში და გვპირდება, რომ ნახევარ საათში უკან დაბრუნდება. მე ძალზე დაღლილი ვარ და მივდივარ ოთახის მოსამძებნად. სასტუმროში ადგილის დაკავებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ყველა ადგილი დაკავებულია. ამიტომ მივდივარ ბარისაკენ. ოფიციალტი დიდი მცდელობის შედეგად მიძებნის ადგილს, რის შემდეგაც ყავას ვუკვეთავ. ჭუჭყიანი ვარ მოგზაურობის შემდეგ, მაგრამ აქ დაბანაც კი არ შეიძლება.

ვუყურებ ქუჩაში მიმომსვლელ ხალხს და აღტაცებაში მოვდივარ მათი ტანსაცმელის ფერებით და ჩაცმულობის სიჭრელით. ბევრი საერთოდ შიშველიც კი მიდის ქუჩაში. ხელში უჭირავთ ხმლები, ზოგს კი მიაქვს ჟანგიანი ხანჯალი, რომელიც ძველი სკივრიდან ამოუღია.

ჩემდაუნებურად მახსენდებიან აბისინიელები, რომლებიც ასეთი ხმლებითა და ხანჯლებით თავს ესხმოდნენ იტალიელთა ტანკებს ან მრისხანე სახით ემუქრობოდნენ თვითმფრინავებს.

მაგრამ უკვე დროა უკან დაბრუნებაზეც ვიფიქრო; ქალაქში არ არის მოძრაობის განრიგი, ამიტომ მივდივარ მატარებლის სადგურზე.

ალექოში მატარებლის ორი სადგურია: ერთი მთავარია, ხოლო მეორე კი ერთგვარი ქვესადგურითაა. ეს უკანასკნელიც აქვე ახლოს მდებარეობს, ამიტომ მეც იქით მივეშურები. გზაზე ნაცნობი ყაზარდოელი მხვდება, რომელიც თავის ძალოსანთან ერთად მოდის ბარგით. ისინი სადგურისკენ მიემართებიან. ცხადია, რომ თურქეთისაკენ მიმავალი მატარებელი მთავარი სადგურიდან გავა, რამეთუ იქ არის

საბაჟო სამსახური. ამიტომ ვეუბნები მას, რომ პირდაპირ იქით წავიდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ შესაძლოა დააგვიანონ.

- ბეირუთისაკენ მატარებელი გავა სადამოს 10 საათზე. მაგრამ შეიძლება დააგვიანოს, - მეუბნება სადგურის უფროსი - მე ამაში დარწმუნებული ვარ. თუმცა მას არ შეუძლია მითხრას, როდის შეიძლება მატარებელი დანიშნულების ადგილას ჩავიდეს: შესაძლოა ხვალ სადამოს, ან იქნებ ზეგ დილითაც; ყოველ შემთხვევაში, არა იმ დროისთვის, რომელიც მისი მოძრაობის განრიგშია მითითებული.

უკან, იმ ადგილისაკენ მიბრუნებული, სადაც ყაზარდოელთან დავთქვით შეხვედრა, გადავაწყდი ახლად აგებულ მეჩეთს, რომელიც ჯერ არ იყო მთლად დასრულებული, მის შესასვლელთან სამი არაბი ტრიალებდა; მათ თავზე მშვენიერი აბრეშუმის ფრიგიული ქუდები ეხურათ, ეცვათ ასევე მშვენივრად მოქარგული ლამაზი პერანგები, თუმცა ფეხშიშველანი იყვნენ. მათ სიახლოვეს, დიდი თიხის ქოთანთან იჯდა ვიღაც მოხუცი დედაკაცი. ოდნავ მოშორებით დაყუნცულიყო უპატრონო ძაღლი.

ქუჩები კვლავაც სავსე იყო დემონსტრანტებით. მოდიოდნენ აგრეთვე ყოველი აღმსარებლობის ქრისტიანი მღვდლები. მიუხედავად იმისა, რომ კვირა დღე იყო, დღეს არც ერთ ქრისტიანულ წმინდა ადგილას არ მიმდინარეობდა რაიმე სახის ღვთისმსახურება. დღეს ყველა პოლიტიკით იყო დაკავებული, არაფერს არ აკეთებდნენ, გარდა იმ პოლიტიკის შექმნისა, რომელიც შემდგომ, თავის მხრივ, დაიპყრობდა მათ. ამჯერად კი ვხედავ მხოლოდ პლაკატს, რომელზედაც ჩანს მხოლოდ ჯვარი ნახევარმთვარის ჩრდილში! საფრანგეთი არ ერევა ქრისტიანულ აღმსარებლობაში.

ყველგან დგანან ქალები, რომელთა სახესაც პირბადე ფარავს და ინტერესით ათვალიერებენ, რაც მათ ირგვლივ ხდება. ზოგჯერ ისმის რაღაც მკვეთრი ხმები, რომლებიც გადაუვლიან ხოლმე ბრბოს - დაახლოებით ისეთი ხმები, თითქოს კვიცები ჭიხვინებნო; ამ ხმებს ხალხის მხრიდან "ბრავოს" შემახილი მოჰყვება. მცირე ხნის შემდეგ დავადგინე, რომ ქალები გამოსცემდნენ ასეთ გულისგამგმირავ ხმებს.

ცხადია, რომ დემონსტრანტების ასეთი აღფრთოვანებული შეგებებისათვის ისინი გასამრჯელოს მიიღებდნენ.

გარაჟთან ჩემი მგზავრობის ამხანაგი, ყაზარდოელი უკვე მელოდებოდა. ჩანდა, რომ იგი მოქანცული იყო. ისიც ჩემსავით დაუბანელი გამოიყურებოდა. შევხვდით ასევე ჩვენს თანამგზავრ, დიდი ოჯახის პატრონ არაბს, რომელიც ჩიოდა იმის გამო, რომ მგზავრობისას მას ჩემოდანი მოჰარეს.

ჯერჯერობით არ ჩანს რაიმე ავტობუსი, არც სახელმწიფო და არც კერძო, მაგრამ იმედია, რომ მალე გამოჩნდება, როგორც ამაში ჩვენი დაჯერება იქ მყოფ ერთ-ერთ ჩვენს მძღოლს სურს. ერთი საათის შემდეგ, რომელიც ბარში გავატარეთ, იგი ჩვენ უკვე ვეღარ გვცნობს.

ჩემი ამხანაგი მსუბუქი ავტომანქანის მოსაძებნად მიდის, მე კი ბარში უნდა დაველოდო მას. ბოლოს, დიდი ხნის გასვლის შემდეგ, იგი გამოჩნდება.

- რა მატყუარები არიან ადამიანები - ჩივის იგი - სრულიადაც არ შეიძლება მათი დაჯერება. ავტობუსები ხან არიან და ხან - არა.

ამ ქვეყანაში დაიბადა და მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ადამიანები მატყუარები ყოფილან.

- ჩვენ სხვა აღარაფერი დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ საღამომდე მოვიცადოთ და მატარებლით წავიდეთ, - ამბობს ბოლოს მშვიდად, ცოტა ჩაფიქრების შემდეგ. ვინ იცის, რამდენი ტანჯვა და ზრუნვა იმალება გარეგნულად ამ მშვიდ გამოხედვაში. უკვე მოგვშივდა. 5 პიასტრად ვყიდულობთ პურს, ყველს და ყურძენს. ვჯდებით ქუჩის კუთხეში და ვიწყებთ ჭამას. ჩვენს საყურებლად არაბებიც კი გაჩერდნენ., - ყურადღებას ნუ მიაქცევთ მათ, - ამბობს ჩემი ამხანაგი - ჩვენ ხომ აქ არავინ გვცნობს. შემდეგ იგი კვლავ სადღაც მიდის და ბოლოს, რამდენიმე ჩერქეზთან ერთად, კვლავ გამოჩნდება. როგორც აღმოჩნდა, ეს ჩერქეზები აქ ეროვნულ დღესასწაულზე იყვნენ ჩამოსულნი. ჩვენ ჯერ ერთმანეთს ვეცნობით, ხოლო შემდეგ ერთად წავალთ ერთ ჩემს თანამემამულესთან, რომელიც აქ საკმაოდ ცნობილი კაცია და დიდი თანამდებობაც უკავია.

მე დაუბანელი, ჭუჭყიანი, დაღლილი და ნერვებმოშლილი ვარ. ამიტომ ვთავაზობ მათ, იქნებ ჯერ აქაური ციხე-სიმაგრე დავათვალიეროთ, შემდეგ ვნახოთ მამლუკთა დარბაზი, რომელიც ნათლად წარმოგვიდგენს ძველ დესპოტურ დროს მეთქი.

მაგრამ ჩემს ყაზარდოელს ამის სურვილი არა აქვს. ამასთან, ისტორია მას არც ისე აინტერესებს. ეს ქვეყანაც ეჯავრება და ერთი სული აქვს ევროპაში წავიდეს, სადაც მისი აზრით, ღირსეული ურთიერთობაა ადამიანებს შორის, სადაც ადამიანები შრომობენ და ერთმანეთს არ ატყუებენ.

მე მას ვემშვიდობები. ჩვენ ერთმანეთს მისამართებს ვუცვლით. თუმცა ისე ვარ ქანცგანწყვეტილი, რომ კარგად არც კი მესმის, დამშვიდობებისას რას მეუბნება. ამასთან, ერთი საათის შემდეგ უნდა დავბრუნდეთ და ერთად ვიმგზავროთ მთელი ღამე, იქნებ მთელი დღე და ღამეც კი; მაშასადამე, საკმარისი დრო გვექნება და ყოველთვის მოვასწრებ მისი გვარისა და მისამართის ჩაწერას.

მაგრამ ორი საათის გასვლის შემდეგ იგი კვლავ არა ჩანს. ამიტომ მე ისევ ქალაქში წავედი სასეირნოდ. ირგვლივ ყველაფერი მორთულ-მოკაზმულია, ნამდვილ აღმოსავლურ ყაიდაზე, გარდა სომეხთა სახლების და სასტუმროებისა. სომეხებს მხოლოდ რამდენიმე დროშა გამოუფენიათ და მეტი არაფერი _ არავითარი ხალიჩები და პორტრეტები ეროვნული გამირებისა. უცბად აზრად მომდის, წავიდე და ნაცნობ ინგლისელს ცოტა მაინც გამოვესაუბრო და დავისვენო.

პირველივე შემხვედრი ჟანდარმი მასწავლის საავადმყოფოსაკენ მიმავალ გზას. მეც მას მივყვები. რა ბედნიერებაა, აქ რომ ნაცნობი მყავს.

- ალექსოში არასოდეს ყოფილა ამდენი ხალხი, - მეუბნება იგი. - ნამდვილად მაინტერესებს, ამ აღტკინებული და ქუჩაში მოსეირნე ადამიანებიდან რომელი ისარგებლებს იმ კეთილდღეობითა და კულტურული განვითარებით, რომელსაც მათ დამოუკიდებლობა მოუტანთ.

სირია არ არის ერთი ეროვნების ხალხით დასახლებული ქვეყანა: აქ ცხოვრობენ სომეხებიც, - მეწარმეები და მდიდრები. ისინი ფრანგების თვალში კარგი ავტორიტეტით სარგებლობენ; აქ ცხოვრობენ ჩერქეზებიც, არა ნაკლები რაოდენობით, ვიდრე სომეხები. ისინი ნახევარ მილიონს შეადგენენ და დასახლებული არიან სირიის სამხრეთ-აღმოსავლეთის ტერიტორიებზე (სომეხები დასახლებული არიან ჩრდილო-დასავლეთ-აღმოსავლეთით).

ჩერქეზები არიან ძალზე პატიოსანი, ინტელიგენტური ადამიანები, გამოჩენილი მეომრები და ფრანგები მათაც ძალზე ენდობიან.

აქვე ცხოვრობენ თავად სირიელებიც, რომლებიც სამ აღმსარებლობას მიეკუთვნებიან. კერძოდ, მათ შორის არიან ნესტორიანელები, იაკობინელები და მარონიცები. სირიელები ძირითადად, ცხოვრობენ ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში.

და ბოლოს, სირიაში ცხოვრობენ არაბები, რომლებიც სარწმუნოების მხრივ რამდენიმე მიმდინარეობად იყოფიან: მაჰმადიანები, ალავიცები და დრუჟოვები. არაბებს შორის არიან ასევე ქრისტიანებიც, რომლებიც ასევე სხვადასხვა აღმსარებლობას მისდევენ: მართლმადიდებლობას, კათოლიციზმს (უნიტები) და პროტესტანტიზმს.

ყველა ამ ხალხებს შორის, ერთი და იგივე სისხლის მქონე ხალხს შორისაც კი, - საშინელი ზიზღია დაბუდებული ერთმანეთის მიმართ. ყველას ჯერ კიდევ კარგად ახსოვს დრუჟოვების ისტორია, რომლებიც თითქოსდა ეშმაკის მიმდევრები იყვნენ და მათი დაშოშმინება ჩერქეზების მიერ.

სირიაში ცხოვრობენ თურქებიც, ამ ქვეყნის ძველი მფლობელები, რომლებიც გვხვდებიან დიდი რიცხოვნობის მჭიდროდ დასახლებულ სომხებს შორის.

აქ ცხოვრობენ დიდი რაოდენობის ემიგრანტი რუსებიც. ებრაელები სირიაში, ვგონებ, არ უნდა ცხოვრობდნენ.

დარწმუნებული ვართ, რომ თუ ფრანგები ნამდვილად წავლენ აქედან სამი წლის მანძილზე, მაშინ ალბათ დაიღვრება აქ მცხოვრები ხალხის ბევრი სისხლი. ყოველივე ამით კი თურქეთი ისარგებლებს, რომელსაც ერთი სურვილი აქვს, - როდის შეიერთებს თავის ყოფილ ტერიტორიებს.

შესაძლოა იხეთქოს სომხების ახალმა ტრაგედიამ, - და ამას სომხები ძალიან კარგად გრძნობენ. გონივრულად მოიქცა საფრანგეთი, როდესაც შეჰპირდა მათ სრულ დამოუკიდებლობას, რადგან გრძნობს, რომ აქ მცხოვრები ყოველი ეროვნების ადამიანი შეევედრება მას, რათა იგი მშვიდობის გულისათვის დარჩეს ამ ქვეყანაში.

როდესაც შემდეგ ცენტრალურ მოედანზე ვბრუნდებოდი, სადღაც სადამოს შვიდი საათისათვის, თვალში მომხვდა, რომ საზეიმოდ არ იყო მორთული ასევე გერმანიის საელჩოც; რუმინელთა კი პირიქით, - თითქმის დაფარული იყო ხალიჩებით და ფერადი ელექტრონათურებით. იქნებ მათ ამ ქვეყნის მიმართ მადა გაეხსნათ?

სადგურის მოსაცდელი დარბაზი ბედუინებით იყო სავსე. ირგვლივ ყვიროდნენ, ჟრიაშობდნენ. ყველგან სიბინძურე იყო გაბატონებული. მე ვკითხულობ, თუ სად შეიძლება სადგურის უფროსის მოძებნა და მისი კაბინეტისაკენ მივეშურები. იგი სომეხია. ვუხსნი მას, რომ ვარ ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი, პირველად მოვხვდი ამ ქვეყანაში და ვთხოვ მას, რომ დამეხმაროს მატარებლის ბილეთის შეძენაში, რადგან არ შემიძლია რიგში დგომა, მით უმეტეს, რომ რიგი საერთოდ არ არსებობს და ვინც როგორ ახერხებს, ისე მიიწევს წინ სალაროსაკენ, ზოგი ჯოხის დახმარებითაც კი.

სადგურის უფროსი ძალზე წესიერი კაცი ჩანს. იგი გამოიძახებს თანამშრომელს, გზავნის მას სალაროში და 15 წუთის შემდეგ მე ბილეთი ჯიბეში მიდევს. მატარებელი უკვე პერონზე დგას. ვიკავენ ადგილს და მხოლოდ ახლა-და ვამჩნევ, რომ ერთი ბილეთი მაკლია. მე ხომ მატარებლით მხოლოდ ტრანზლუსამდე უნდა ვიმგზავრო, ხოლო იქიდან კი სახელმწიფო ავტობუსით გავაგრძელო გზა, რომელიც ყოველთვის ელოდება მატარებელს. ამგვარად, მე შემეძლება დილით გავემგზავრო ბეირუთიდან ჰაიფამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მატარებლით თავად ბეირუთამდე ჩავალ, მაშინ შესაძლოა დავაგვიანო და იძულებული გავხდები დაველოდო გემს პოლონეთამდე, ანუ თითქმის 2 კვირა მომიწევს ლოდინი. არადა, ავტობუსის ბილეთი არა მაქვს, თუმცა მისი ღირებულება მივეცი სადგურის უფროსის კაბინეტში მის ხელქვეითს..

კვლავ სადგურზე მივდივარ. სადგურის უფროსს ვეღარ ვნახულობ, ამიტომ პირდაპირ სალაროსაკენ მივეშურები. სალაროს საკანთან ბევრი ხალხია მოგროვილი, ყველა ყვირის და ბილეთს მოითხოვს. მოლარე ნამდვილად საშინელ დღეში უნდა იყოს. შევამჩნიე, რომ სალაროს გვერდით აქვს კარები, რომელსაც ჟანდარმი სდარაჯობს. მივუახლოვდი ამ კარებს და ყურადღება არ მიმიქცევია მისთვის, ისე ვცდილობ სალაროში შესვლას. დარაჯი მაჩერებს და არაბულად მეუბნება, რომ შესვლა არ შეიძლება. თავს ისე ვაჩვენებ, თითქოს მისი არაფერი მესმოდეს და ხმამაღლა ვეუბნები ფრანგულად, რომ სადგურის უფროსის მიერ ვარ გამოგზავნილი და მოლარესთან საქმე მაქვს მეთქი. მაშინ იგი თავაზიანად მატარებს სალაროში და ჩემი იქ შესვლის შემდეგ კეტავს მის კარებს. ამასთან, იგი ჯოხით ერეკება არაბებს, რომლებსაც ჩემთან ერთად უნდათ შემოსვლა სალაროში.

28. 09. ორშაბათი. სადგურიდან გამოვემგზავრე მცირე ხნით ადრე, ვიდრე შუალამე დადგებოდა.

კუპეში ცოტანი ვიყავით: ორი ბედუინი, ერთი ნესტორიანელი, რომელსაც მოხუცი ასირიელი დესპოტის სახე ჰქონდა და მე. ბედუინს აქვს მწყემსის ლამაზი ჯოხი, რომელიც კათოლიკე ეპისკოპოსის კვერთხს მაგონებს. ძალიან მინდა მისგან ამ ჯოხის შესყიდვა და ვთხოვ ნესტორიანელს, რომ შეეკითხოს მას ფასის შესახებ, - მონ ვიუხ , - მპასუხობს იგი – იილ ნე ფოუტ პას დუ ტოუტ პარლერ ავეე ეუხ ეე სონტ დეს ანიმსუხ.

მატარებელი ძალზე ნელა მიდის და იქნებ დავაგვიანო კიდეც. არადა, დავაგვიანების შემთხვევაში, რა უნდა გავაკეთო? კუპეში არის ფარდა, ამიტომ ვცდილობ მისით ერთი მინა მაინც დავფარო, მაგრამ ვერ ვახერხებ. ნესტორიანელიც ვერ ახერხებს ამას. – იქნებ კონტროლიორისათვის გვეთხოვა, - მეუბნება იგი და ეშმაკურად იცინის.

მოდის კონტროლიორი და მეც მას მივმართავ ჩემი თხოვნით.

- კიდეც რა გინდათ? იქნებ ფიქრობთ, რომ მე თქვენზე მეტი ძალა მაქვს?

ნესტორიანელი არა ფარავს თავის მხიარულ განწყობილებას. – ბატონო, თქვენ ევროპაში ხომ არ გგონიათ საქმე, სადაც თავაზიანობა იგრძნობა ყოველ ფეხის ნაბიჯზე. აქ აზიაა, აზია! – იმეორებს იგი ზიზღით და ვგრძნობ, რომ მასაც ენატრება ევროპა. თქვენ რომ ამ ცხოველებთან მარტო მიდიოდეთ, - და მან ბედუინებზე მიმითითა, - ისინი თვალსაც არ დაახამხამებდნენ, ისე გადაგისვრიდნენ ვაგონიდან, ხოლო უდაბნოში ან ყელს გამოგლადრიდნენ და ან ქვებით ჩაგქოლავდნენ.

რომელიღაც სადგურზე შევჩერდით. ნესტორიანელი და ბედუინი მცირე ხნით ჩადიან მატარებლიდან. იმავდროულად კუპეში შემოვარდა ვიღაც არაბი პატარა

ბიჭით. ეს უკანასკნელი იატაკზე მოისვრის ერთ-ერთი ბედუინის პლაშს და მის ადგილს იკავებს. ძალზე ვბრაზდები. აქ ხომ ადგილები ისედაც საკმარისია. ამ ბიჭისაგან მომავალში დიდი არამზადა გაიზრდება, - ვფიქრობ ჩემთვის და მამამისს მივმართავ, რომ მან უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს შვილის აღზრდას (თუმცა, თავად კი არის აღზრდილი?). იგი კი ყვირილით იკლებს იქაურობას: - რა ჩემი შვილი უბილეთოდ მგზავრობს? განა ჩვენ ბილეთში ფული არ გადაგვიხდია? - ე. ი. რადგან ბილეთი აქვს და მასში ფული გადაიხადა, ყველაფრის გაკეთების უფლება აქვს.

ამ ყვირილზე ნესტორიანელიც შემოდის. არაბი იმწამსვე უთმობს მას ადგილს და საკმარის თავაზიანადაც ეპყრობა, თუმცა სრულიადაც არ იცნობს მას. ჩემს თავს ვეკითხები: რატომ? ის ნესტორიანელი ჩემზე კარგად არ არის ჩაცმული, მაგრამ მას თავი ღირსეულად უჭირავს, მისგან გამოსჭვივის ძალა, თავხედობა და ზიზღი ყველა იქ მყოფთა მიმართ – და ამის გამო ხალხი მას პატივს სცემს.

საინტერესო ის არის, რომ მსგავს დესპოტიზმს, ხოლო მეორეს მხრივ კი მონურ ქედმოდრეკას, ადგილი აქვს არა მხოლოდ ამ შორეულ უდაბნოში!

ტრამბლუსში ჩვენ ავტობუსი გველოდა. მხოლოდ იმდენი დრო მქონდა, რომ მივსულიყავი სასტუმროში და ჩემი ბარგი ამელო; ამგვარად, ჰაიფუსაკენ სახელმწიფო ავტობუსის გასვლამდე თხუთმეტი წუთით ადრე უკვე ბეირუთის ავტოსადგურში ვიყავი.

ჰაიფუმდე 160 კილომეტრი გვაშორებს. გზა ზღვის პირას გადის სიდონისა და ტირუს საზღვრებს შორის. მსიამოვნებს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა. სამწუხაროდ, ის ყაზარდოელი მეტად აღარ მინახავს, მაგრამ რას იზამ. ჩერქეზული საკითხი მეტად რთულია და მას ერთი დამის განმავლობაში და ისიც მატარებელში, ვერ გადაწყვეტ. ამ მიზნით ღირს რამდენჯერმე ჩამოხვიდე აქ და უფრო მეტი ხანი მიუძღვნა ამ პრობლემის ადგილზე შესწავლას. ამ ხალხის წინაშე ახლა დიდი შესაძლებლობები იშლება და ჩვენ მოვალენი ვართ მივეხმაროთ მათ თავიანთი მიზნების მიღწევაში. ოდესღაც, მაშინ, როდესაც ისინი ბატონობდნენ ეგვიპტესა და მცირე აზიაში, მათ ბევრი კარგი რამ გააკეთეს ქართული კულტურისათვის, მფარველობდნენ რა ქართულ მონასტრებსა და ქართველ ბერებს ამ ქვეყნებში. ერთი უცნობი დოკუმენტიც კი მაქვს, რომლითაც მტკიცდება, თუ რა უხვად სწირავდნენ მაჰმადიანი მამლუქები ხარკს ქართულ მონასტრებს.**

ახლა ჯერი ჩვენზეა! ვისზე? ჩვენს ემიგრაციაზე.

მყისიერად შევწყვიტე ამ თემაზე ფიქრი. რა კარგი და ზღაპრულია აქ ყოფნა! თითქოს სამოთხეში მივდიოდე – მარჯვნივ ზღვაა, მარცხნივ – მთები, სოფლები და აყვავებული ბაღები. ის ყაზარდოელი კი ოცნებობს, - გაიქცეს აქედან ევროპის რომელიმე ქვეყანაში, სადაც წელიწადში ექვს თვესაა გაბატონებული ზამთარი, ყინვა

და ნისლი, რომელიც იჭრება ჩვენს სხეულსა და ფილტვებში, გვაავადებს ფილტვების ანთებით და გვართმევს ჩვენთვის დამახასიათებელ ნიშნებს სულისას, ნიშნებს ჩვენი ეროვნულობისას, ნიშნებს ჩვენი სისხლისას***.

* ვსარგებლობთ ავტორის მოწყალე ნებართვით და ვაქვეყნებთ ამ მცირე შესავალს მისი ვრცელი ნაშრომიდან, რომელიც დაიბეჭდება მიმდინარე წლის თეოლოგიურ ჟურნალ ~ელპისში, სათაურით: "იერუსალიმის ვარდები" (წმინდა მიწასა და სირიაში 1936 წლის ივლის_სექტემბერში მოგზაურობის შთაბეჭდილებები). რედაქცია.

** პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ უცხოელ პილიგრიმთა მრავალ ცნობას მკითხველი გაეცნობა აგრეთვე წიგნში: გრიგოლ ფერაძე, უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, თბ. 1995წ. გრიგოლ ფერაძის მოღვაწეობის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის მისი ნაშრომების პუბლიკაციაც. მაგალითად ზემოთ აღნიშნულ წიგნში მოტანილია გრიგოლ ფერაძის შრომების ბიბლიოგრაფია, რომელშიც ქართულ, პოლონურ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე მოცემულია მისი 82 დასახელების პუბლიკაცია.

*** დავასრულეთ რა არქიმანდრატ გრიგოლ ფერაძეზე საუბარი, გვინდა მოვიტანოთ ასევე ნაწყვეტი ნინო მიქიაშვილის წერილიდან _ "გაუგებრობა პარიზის ქართულ ეკლესიაში", რომელიც დაიბეჭდა 2001 წლის 2 მაისის გაზეთ "რეზონანსში". კერძოდ, აქ ქალბატონი ნინო წერს: "პარიზის ქართულ ეკლესიას საინტერესო ისტორია აქვს, თუნდაც იმის გამო, რომ მისი დამაარსებელი, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე პოლონეთის და საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. როგორც მეცნიერი, პროფესორი, გარკვეულ წრეებში და განსაკუთრებით პოლონეთში, ის დღესაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

იგი ოსვენციმის ბანაკში მოწამეობრივად აღესრულა, რადგან უცნობ ტყვეს ნაცვლად გასწირა თავი. მისი კანონიზაციის, ანუ წმინდანად შერაცხვის შემდეგ, უკვე მერამდენე წელი გადის და მიჭირს წარმოდგენაც კი, რომ არსებობდეს წმინდანის მიერ დაარსებული ეკლესია და სალოცავად მისი ხატიც კი არ გააჩნდეთ, თუნდაც უბრალოდ მამა გრიგოლის, როგორც ამ ეკლესიის პირველი მოძღვრის სიყვარულის ნიშნად. პირადად შევსწრებივარ ქართულ ეკლესიაში მოწიწებით მოსულ უცნობ პოლონელს, რომელიც წმინდა გრიგოლის ხატს ამაოდ დაემებდა."

აქვე, ჩვენის მხრიდან, გვინდა დავამატოთ, რომ წმიდა გრიგოლის სახე გამოსახულია ვარშავის წმიდა მარიამ მაგდალინელის მართლმადიდებლურ ეკლესიაში მეტად საპატიო ადგილას. ამავე ქალაქში შექმნილია და საქმიანობს წმიდა გრიგოლის ძმობა.(ა).

თავი IV. ქართველი იუნკერები და კონტრაქტის ოფიცრები პოლონეთის არმიაში 1921-1939 წლებში

1921 წლის 16 მარტს ბათუმში საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საგანგებო სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება თავისი არმიის დემობილიზაციის შესახებ. ამის შემდეგ ოფიცერთა და იუნკერთა ნაწილი ემიგრაციაში წავიდა მთავრობასთან ერთად.*

ორი დღის შემდეგ ფრანგულმა სამხედრო ხომალდმა ნოე ჟორდანიას თავის მთავრობასთან ერთად ბათუმიდან წაიყვანა. პრეზიდენტის თანმხლებ სამხედროებს შორის იყვნენ ასევე თბილისის სამხედრო სასწავლებლის იუნკერებიც, რომლის კომენდატიც იყო გენერალი კვინიტაძე. ეს იყო საკმაოდ პრესტიჟული სასწავლებელი, სადაც ახალგაზრდა ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად სწავლობდნენ უძველესი და გამოჩენილი გვარის შვილებიც. ამის მაგალითად შეიძლება დასახელებდეს სამეგრელოს მთავართა შთამომავალი მიხეილ დადიანი.

თბილისის დასაცავად ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში იუნკრებს გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე ხელმძღვანელობდა.

ამ ბრძოლების დროს იუნკრებმა, ჩხეიძის ხელმძღვანელობით, რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვებაც მოიპოვეს (გვინდა აქვე აღვნიშნოთ, რომ პოლონეთში გენერალ ალ. ჩხეიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ცნობები ნაკლებ მოგვეპოვება. ის კი უნდა ვთქვათ, რომ იგი ნკვდ-მ დაიჭირა ლვოვში. გენერალი მთელი წლის განმავლობაში ციხიდან ციხეში გადაჰყავდათ, ვიდრე, ბოლოს, მოსკოვში არ ჩაიყვანეს იგი. ამის შემდეგ გენერლის შესახებ ყველანაირი ცნობები ქრება. როგორც ჩანს, ალ. ჩხეიძე 1941 წლის დასაწყისში დასაჯეს სიკვდილით).

მაგალითად, ტაბახმელასთან მათ საბჭოთა არტილერიის პოზიციებიც კი ჩაიგდეს ხელში. შემდგომ მათ ვაზიანი, გორი, ბერბუკის გავლით უკან დაიხიეს და ბრძოლებით გაიკვლიეს გზა ბათუმისკენ. აქ მათ საზღვაო ტრანსპორტი ელოდებოდათ, რომელმაც ისინი კონსტანტინოპოლში ჩაიყვანა. მიახლოებითი გაანგარიშებით, საქართველო მაშინ 700-ზე მეტმა სამოქალაქო და სამხედრო მოხელემ დატოვა.

იმ პერიოდში კონსტანტინეპოლი იქცა ბოლშევიკების მიერ ბუდემოშლილი ყველა სახის და რჯულის მრავალრიცხოვანი ემიგრანტების თავშესაფრად. ბანაკი ბოსფორის სანაპიროზე, სადაც ქართველი კურსანტები მოათავსეს, კონსტანტინოპოლიდან 20 კილომეტრის მოშორებით იმყოფებოდა და იგი წარმოადგენდა ასევე "თეთრი რუსების" თავშესაფარსაც.

ესწრაფოდა რა თავისი ხალხისთვის მდგომარეობის გაუმჯობესებას, საქართველოს ემიგრაციულმა მთავრობამ დახმარებისთვის თავდაპირველად საფრანგეთის ხელისუფლებას მიმართა. ამ თხოვნის შედეგად მათ გარკვეული, თუმცა ძალზე უმნიშვნელო, მატერიალური დახმარება მიიღეს. საფრანგეთის

მთავრობამ ზოგიერთი ქართველი სამხედრო მოსამსახურე არმიაშიც მიიწვია (სულ 15 სამხედრო გაემგზავრა სენ-სირის უცხოელთა ლეგიონში სასამსახუროდ. მათ ამ საჯარისო ნაწილში დიდი ხანი იმსახურეს. ზოგიერთი მათგანი მის რიგებში მეორე მსოფლიო ომშიც იბრძოდა და თავიც ისახელა).

მიუხედავად ამ არც თუ ისე წარმატებული მოლაპარაკებებისა საფრანგეთის ხელისუფლებასთან, საქართველოს მთავრობას ხელი არ აუღია სხვა ქვეყნების მთავრობებისათვის თხოვნით მიმართვისაგან. მათ თხოვნას შედარებით ადვილად დათანხმდა საბერძნეთის ხელისუფლება. 22 იუნკერი მართლაც გაემგზავრა ათენში სწავლის გასაგრძელებლად. მაგრამ მალე საბერძნეთში პოლიტიკური სიტუაცია უაღრესად გართულდა. ამიტომ საქართველოს მთავრობამ პოლონეთის ხელისუფლებასთან მიღწეული შეთანხმების თანახმად, როგორც ათენში მყოფი, ასევე კონსტანტინოპოლში დარჩენილი იუნკერებიც, 1922წლის დეკემბერში ვარშავის სამხედრო სასწავლებელში გაგზავნა სასწავლებლად. ცხადია, ასეთი შეთანხმების მიღწევაში უდიდესი როლი ითამაშა იმანაც, რომ მაშინ პოლონეთსაც და საქართველოსაც ერთი საერთო მტერი, - რუსეთი ჰყავდათ. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ასევე ვარშავის ქართველთა კლუბმაც, რომლის ხელმძღვანელმა, სერგო ყურულიშვილმა 1921 წლის ზაფხულში პირადად მიმართა თხოვნით ამის თაობაზე პოლონეთის სამხედრო საქმეთა მინისტრს, კაზიმეჟ სოსნოვსკის. ამ საქმის დადებითად გადაწყვეტაში არც თუ ისე მცირე როლი ითამაშა იმანაც, რომ თბილისის სამხედრო კურსანტთა სკოლის კომენდატს გენერალ კვინტიძეს, რომელიც I მსოფლიო ომის დროს ვარშავაში მდგარ რუსეთის არმიაში მსახურობდა, პოლონოფილის სახელი ჰქონდა მოპოვებული. გარდა ამისა, პოლონეთს თავისი ინტერესები ჰქონდა კავკასიაში. ქართველ ემიგრანტთათვის დახმარების გზით კი, პოლონელ დიპლომატთა აზრით, პოლონეთის პოზიციები საქართველოში, და საერთოდ, კავკასიაში, საკმაოდ განმტკიცდებოდა.

ამასთან, მაღალი ჩინის ქართველ ოფიცრებში ბევრი ისეთიც იყო, რომელთა გამოცდილების გაზიარებაც ძალზე წაადგებოდა გარდაქმნის და განახლების პროცესში მყოფ პოლონეთის არმიას. მნიშვნელოვანწილად სწორედ მათით შეიძლებოდა პოლონეთის სამხედრო სასწავლებლების დაკომპლექტება, სადაც მანამდე რუსი ოფიცრები დომინირებდნენ. ყოველივე ამას იღებდა ალბათ მხედველობაში პოლონეთის ელჩი თურქეთში, ბარანოვსკი, როდესაც თავის მთავრობას ურჩევდა, რომ თუ პოლონეთს არ შეეძლო კონსტანტინეპოლში მყოფი ყველა ქართველი სამხედროს მიღება, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც აუცილებლად მიეწვია.

ყველაფერი ეს კი მარშალ იუზეფ პილსუდსკის აღმოსავლეთის პოლიტიკის ჩარჩოებში ჯდებოდა. პილსუდსკის არც ის ჰქონდა დავიწყებული, თუ რა დიდი და უანგარო დახმარება გაუწია საქართველოს მთავრობამ აქ მცხოვრებ პოლონელებს, როდესაც მათ საქართველოდან პოლონეთში გადასახლება დააპირეს. ამიტომ ყველა

ამ ფაქტორების მხედველობაში მიღებით, 1921 წლის 1 სექტემბერს ქართველი ემიგრანტების პოლონეთში მიღება დადებითად გადაწყდა და ამავე წლის დეკემბერს 46 ქართველი იუნკერი ვარშავაში სწავლას შეუდგა. ერთი-ორი ადამიანის გარდა (რომელთა მიერ სასწავლო კურსების არდასრულების მიზეზი უცნობია), ყველა მათგანმა დაასრულა სამხედრო სასწავლებელი და კონტრაქტის საფუძველზე პოლონეთის არმიაში დაიწყო სამსახური (ზოგიერთი დამატებითი ცნობა ამის შესახებ იხ: ნიკო ჯავახიშვილი, ქართველები პოლონეთის დროშის ქვეშ, თბილისი, 1998 წელი-ა.გ.). იუნკრების გარდა, პოლონეთის მთავრობამ მალე (1922 წლის შემოდგომაზე), კონსტანტინოპოლიდან ვარშავაში ჩაიყვანა ასევე უმაღლესი სამხედრო წოდების 8 ოფიცერი - 3 გენერალი, 1 პოლკოვნიკი და 4 კაპიტანი.

ვფიქრობთ, საინტერესოა იმ იუნკერების გაცნობაც, რომელთაც ბედმა პოლონეთში არგუნა სამხედრო საქმის სწავლა და ცხოვრება. აი, ისინიც:

დადიანი მიხეილი, ტურაშვილი გრიგოლი, იაშვილი გრიგოლი, წითლანაძე თადეუში, ხელაძე ვალერიანი, ბაქრაძე იანი, სომხიანი მელიქი, კვალიაშვილი მიხეილი, კაკაბაძე იულიუსი, ზაუტაშვილი იოსები, ჩხეიძე დავითი, ტუნიკაშვილი ბორისი, სხირტლაძე არკადი, უგრეხელიძე ვიტალი, ფურცელაძე შალვა, მრელაშვილი იეჟი, ნიკოლაიშვილი ნიკოლოზი, ცერცვაძე ზაქრო, ხუნდაძე გედეონი, ჯავახიშვილი იეჟი, ჩხეიძე იეჟი, ბახუტაშვილი სიმონი, ბოკუჩავა გრიგოლი, გლოვაცკი ალექსანდრე, კობიაშვილი სიმონი, ყიფიანი დავითი, ლომიძე ვიქტორი, ლალიძე ვლადიმერი, ყაზბეგი ირაკლი, რატიშვილი იეჟი, კიკნაძე ირაკლი, ლალიძე დიმიტრი, ლალიძე დავითი, აღნიაშვილი ნიკოლოზი, ტოკაიშვილი პლატონი, აბაშიძე ვახტანგი, მახარაძე ლადო, ნანუაშვილი იანი, აბულაძე პროკოფი, ყიფიანი მიხეილი, ლობჟანიძე იულიანი, მათიკაშვილი ნიკოლოზი, ნაცვლიშვილი ფარნაოზი, ბალახვანელი საველი, ციბაძე ვლადიმერი, აბაშიძე სიმონი.

სრულიად განსხვავებულად აეწყო პოლონეთში დასახლებული იუნკრების ბედი. აი, ამის ერთი მაგალითი: როგორც რუსუდან დაუშვილმა განაცხადა თავის საჯარო ლექციაში „საქართველოს საკითხი ნაცისტურ გერმანიაში“ (იხ. გაზეთი „ჩვენი მწერლობა“, 2002 წელი, 7-14 ივნისი) ყოფილი იუნკრები ნებაყოფლობით ჩაეწერნენ პოლონურ არმიაში და გაიზიარეს პოლონელთა ბედი. მაგალითად, დედაჩემის ბიძა იუნკერი ვანო ბაქრაძე სამხედრო სკოლისა და აკადემიის დამთავრების შემდეგ როტმისტრად მსახურობდა პოლონეთის არმიაში. როცა რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტით გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა გაიყვეს პოლონეთი, 15 000 პოლონელი ოფიცერი კატინის ტყეში დახვრიტეს, მათ შორის ქართველებიც. სუკი ნადირობდა ემიგრანტებზე. როცა ვანო შეიპყრო ორმა საბჭოელმა, ქართულად წამოსცდა `ვაიმე, დედაო~. გადარჩა იმიტომ, რომ საბჭოელთაგან ერთ-ერთი ქართველი აღმოჩნდა. მოხდა გაუგებარი რამ - მან რუსი მოკლა და ვანო გაუშვა. მერე გერმანელებმა შეიპყრეს და საკონცენტრაციო ბანაკში

მოათავსეს. იქიდან შტაბმა დაიხსნა. ომის შემდეგ ამერიკელების ზონაში აღმოჩნდა და საფრანგეთში გაასწრო.

* Wspuldzialanie rządu polskiego z emigracyjnymi organizacjami antyradzieckimi w latach 1918-1939, "Z dziejow stosunkow polsko- radzieckich. Studia I materialy". t. 111, Warszawa 1969, s. 269

1. პოლონეთის არმიის ზოგიერთი ქართველი კონტრაქტის ოფიცრის ბიოგრაფია*

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას 1918-21 წლებში მჭიდრო კავშირები ჰქონდა კავკასიაში მყოფ პოლონელებთან. მას აქაურ პოლონელთაგან სამხედრო ფორმირების შექმნაც კი სურდა. მაგრამ როდესაც ბოლშევიკთა რუსეთმა თავისი შიდა პრობლემები მოაგვარა და პოლონეთთან ომიც დასრულდა, 1921 წლის თებერვალში წითელი არმია საქართველოსაკენ დაიძრა. მალე, მიუხედავად მძაფრი წინააღმდეგობისა, საქართველოს რესპუბლიკა დაეცა. მისი პრეზიდენტი, მთავრობა, პარლამენტის წევრები და მრავალი სამხედრო პირი ემიგრაციაში წავიდა.

საქართველოდან ლტოლვილებმა თავშესაფარი მრავალ ქვეყანაში ჰპოვეს.

მათი ყველაზე დიდი კოლონია წარმოსდგა საფრანგეთში, თურქეთსა და პოლონეთში. 1922 წელს ი. პილსუდსკიმ, რომელიც სახელმწიფოს მეთაური იყო, ახალგაზრდა ქართველი სამხედროები პოლონეთში სწავლის გასაგრძელებლად, ხოლო ოფიცრები კონტრაქტის საფუძველზე პოლონეთის არმიაში სასამსახუროდ მიიწვია. მათი ზუსტი რიცხოვნობის დადგენა რთული საქმეა, რადგან მრავალი მათგანი შემდეგ საზღვარგარეთ წავიდა, ზოგმაც თავი დაანება არმიაში სამსახურს, სხვებმა პოლონეთის მოქალაქეობა მიიღეს (მაგალითად, პოლკოვნიკი ალექსანდრე ტაბიძე), ან გარდაიცვალნენ. ყველა შემთხვევაში, 1923 წლის ბოლოსათვის პოლონეთის მეორე რესპუბლიკის არმიაში 37 ქართველი ოფიცერი, 1934 წელს – 54, ხოლო 1938 წლის ბოლოს – 51 ირიცხებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ დროს პოლონეთის არმიაში კონტრაქტის საფუძველზე მსახურობდა 9 ქართველი გენერალი.

ომის დაწყებამდე ქართველები მსახურობდნენ სახმელეთო ნაწილებში (17), კავალერიაში (9), არტილერიაში (6), კავშირგაბმულობაში (3), სატანკო ნაწილებში (3) და საჰაერო და საზღვაო ძალებში (2). სხვები მსახურობდნენ სასამართლოებში, სამხედრო სასწავლებლებში და ა. შ.

იმას, თუ როგორი დამსახურებული პატივისცემით სარგებლობდნენ ქართველი სამხედროები პოლონეთში, ვგებულობთ ასევე ემიგრანტ გენერალ შალვა მაღლაკელიძის მოგონებებიდან.

1939 წლის ივლისის ბოლოს, რაიხის ფრიად გავლენიანმა პირებმა - რაიხსმარშალმა ჰერმან გერინგმა და "აზვერის" შეფმა ფრიდრიხ ვილჰელმ კანარისმა პირადად დაავალეს გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის

სამხედრო მრჩეველს, ობერსტ (პოლკოვნიკ) შალვა მაღლაკელიძეს, რომ იგი საიდუმლო მისიით ვარშავაში ჩასულიყო. მას დაევალა, რომ პოლონურ არმიაში მომსახურე თავისი თანამემამულისათვის გადაეცა ჰიტლერის განზრახვა - დაეწყო ომი, თუკი პოლონეთი გერმანიას ე. წ. "დანცინგის დერეფანს" არ დაუთმობდა. გერინგსა და კანარისს იმედი ჰქონდათ, რომ ქართველი ოფიცრების საშუალებით ეს ინფორმაცია პოლონეთის მთავრობის ზედა ფენასაც ეცნობებოდა. 1939 წლის 16 აგვისტოს, გერინგისა და კანარისის საგანგებო რწმუნებით აღჭურვილი შ. მაღლაკელიძე ვარშავაში ჩავიდა. როგორც თვითონ აღნიშნავდა თავის მოგონებებში, ღამის 12 საათზე იგი სასტუმრო "ევროპის" რესტორანში მიიწვიეს. მასპინძელთა შორის ყოფილან: გენერალი ალ. ზაქარიაძე, ვარშავის სამხედრო პროკურორი ყიფიანი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ ვაჩნაძე, მაიორები გიორგი ფავლენიშვილი, ლადო სიამაშვილი და სხვები. სულ 15 ქართველი ოფიცერი.

შალვა მაღლაკელიძე იგონებდა: "ყველა მათგანი შესანიშნავი სამხედროა, მაგრამ პოლიტიკაში ნაკლებად ერკვევიან... მიდგა თამადის არჩევაზე საქმე და მე სანდრო ზაქარიაძე დავასახელე. არაო - განაცხადა. მე ოკრიბელი კაცი ვარ, დემოკრატიო - იხუმრა და ვითომ ყველამ ვითამადოთო! ასე არ გამოვაო და ფავლენიშვილი დადგა თამადად. დიდებული ქეიფი გაიმართა, კახური მრავალჯამიერით - უმრავლესობა კახელები იყვნენ. მე ვცდილობ ღვინო არ დავლიო, ფხიზლად ვიყო, რადგან დიდი მისია მაკისრია და არც დავთვერი, ალბათ ნერვიულობის გამო. მარცხნივ ყიფიანი მიზის და არ სვამს. ოფიცინტებად გადაცმული პოლონელი ჯარისკაცებია, მათთვის სანდონი. მოკლედ, გავაცანი მათ გერინგ-კანარისის დავალება, ე. ი. "გავამხილე" გერმანიის სამხედრო საიდუმლო, რომ ომი აუცილებლად მოხდება დანცინგის გამო, იქნება "ბლიცკრიგი" და ამიტომ ინგლის-საფრანგეთის იმედი ნუ ექნებათ. ომი იქნება სექტემბრის დასაწყისში, რასაც ჯერ საზღვარზე წინ გაუსწრებს რაიმე პროვოკაცია... მე მათ მოვუწოდე, რომ პოლონეთისათვის ეს ომი გამანადგურებელი იქნება და როგორმე იმოქმედონ პოლონეთის მთავრობაზე.. თქმით კი ვთქვი, მაგრამ ეტყობა არ მიჯერებენ: ინგლის-საფრანგეთის შიშით გერმანია ომს ვერ გაბედავსო!.. @20 აგვისტოს გავტოვე პოლონეთი. გამაცილა სანდრო ზაქარიაძემ. არაყი დალია გაცილების წინ, ერთი სამჯერ გადაკრა. შემდეგ მითხრა: "შენიანებს (იგულისხმა გერმანელები) უთხარიო, რომ ომის შემთხვევაში ტემპელჰოფის აეროდრომზე დაგიდებთ ზავს, ე.ი. იმ აეროდრომზე, სადაც გერმანიამ პირველი ომის დროს თავი დამარცხებულად სცნო; ე.ი. ზაქარიაძეს გადაუცია პოლონელებისათვის ჩვენი საუბარი და ისინი ასეთ აზრზე იყვნენ! მათ ვერაფრით წარმოედგინათ, რომ გერმანია ომს გაბედავდა ერთა ლიგის შიშით".

*ვლადიმერ კოზლოვსკი, ლოდის უნივერსიტეტის ისტორიის ინსტიტუტი, "pro georgia", 1999 წლის, #8

2. გენერალი ივანე (იან) ყაზბეგი

ვარშავაში საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდა და დიდი გავლენით სარგებლობდა გენერალი ივანე (იან) ყაზბეგი (1860-1943წწ.). კერძოდ, 1897 წლამდე იგი იყო ამ ქალაქის სამხედრო შტაბის წევრი, შემდეგ არმიის ზურგის უფროსი და საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ვარშავის ერთ-ერთი ციხის, დენბლინის ციხის უფროსი. 1902 წელს მას გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიანიჭეს და ვარშავის კომენდატად დანიშნეს. პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის იგი მუდმივად დასახლდა ვარშავაში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1943 წლის 2 დეკემბერს. გენერალი ივანე (იან) ყაზბეგი დაკრძალულია ვარშავის ცნობილ პოვიაკის სამხედრო სასაფლაოზე.

3. გენერალი ალექსანდრე ზაქარიადე

გენერალი ალექსანდრე ზაქარიადე კონტრაქტის საფუძველზე პოლონეთის არმიაში მიღებულ იქნა 1923 წლის 1 იანვარს. ამ ქვეყანაში მან წარჩინებით დაასრულა უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი, რომლის ხელმძღვანელობაც შესაბამის დოკუმენტში მის დასახასიათებლად შემდეგ გამოთქმას ხმარობს: "ბრწყინვალე ღირსების მქონე ოფიცერი". პოლონეთის შეიარაღებულ ჯარებში ალ. ზაქარიადეს უმაღლესი სამხედრო პოსტები ეკავა. კერძოდ, იგი იყო დივიზიის გენერალი. მისი არაჩვეულებრივი სამხედრო მონაცემები განაპირობებდა აგრეთვე იმასაც, რომ იგი მუდმივ შტატში იყო დასაქმებული ვარშავის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში.

გენერალი ალ. ზაქარიადე უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა პოლონეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა შორის. ცხადია, ეს შემთხვევით არა ყოფილა. გენერალი ზაქარიადე ხომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი იყო.

1939 წლის სექტემბერში პოლონეთის მიერ განცდილი მარცხის შემდეგ გენერალი ზაქარიადე ჰიტლერელებს ჩაუვარდა ხელთ. თუმცა იგი სწრაფად გაათავისუფლეს. ვარშავის აჯანყების* შემდეგ ალ. ზაქარიადემ დატოვა პოლონეთი და ალიანსის მიერ კონტროლირებად ზონაში გადავიდა. იგი გერმანიაში (ვესტფალიაში) დასახლდა.

გენერალმა ალ. ზაქარიადემ დიდხანს ვერც გერმანიაში გასძლო და საცხოვრებლად საფრანგეთში გადავიდა. იგი 1956 წელს პარიზში გარდაიცვალა.

თუ როგორი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა გენერალი ზაქარიადე არა მხოლოდ ქართულ თუ პოლონურ, არამედ მსოფლიო სამხედრო ელიტაში, ამის შესახებ ნათლად მოწმობს ის გარემოება, რომ 1939 წლის სექტემბერში, პოლონეთში შეჭრილი გერმანული არმიის სარდლობამ გენერალი ალექსანდრე ზაქარიადე "პოლონეთის დამცველ უკანასკნელ რაინდად გამოაცხადა"

ამ ფაქტის თაობაზე საყურადღებო ცნობას გვაწვდის შ. მაღლაკელიძე. ბედის ირონიით, სწორედ მას ჩაუვარდა ტყვედ თავისი ძველი მეგობარი, გენერალი ალ. ზაქარიაძე, რომელიც პოლონეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მნიშვნელოვანი დოკუმენტების გადასარჩენად რუმინეთში აპირებდა გახიზვნას.

“დავბრუნდით ვარშავაში, - იგონებდა შ. მაღლაკელიძე, - ბაუნმა წაიყვანა ზაქარიაძე ისევ გენერალურ შტაბში, მთელი პატივით. 2-3 დღის მერე შევიკრიბეთ ისევ ვარშავის სასტუმრო “ევროპაში”, რესტორანში. 12 გერმანელი გენერალია თეთრ კიტელებში, საპარადოდ გამოწყობილი. მე ჩოხაში. ამ გენერლებში ერთი გენერალია, გვარად ხორაჩევი, წარმოშობით ჩეხი თუ პოლონელი. სადღესასწაულო განწყობაა და ველოდები ზაქარიაძეს - პოლონეთის დამცველ უკანასკნელ ჯარისკაცს. გავედი კიბეებთან და ვხედავ: მოყავს ბაუნს ზაქარიაძე ცივილურ ტანისამოსში.. შევედით დარბაზში და გაიჭიმნენ ეს გენერლები, ქუსლების დარტყმით ესალმებოდნენ ზაქარიაძეს. წინ გამოვიდა გენერალი და პოლონურ ენაზე მიმართა ზაქარიაძეს: ”პან გენერალ! თქვენ ხართ ჯარისკაცი, რაინდი. თქვენ დაგიკარგავთ სამშობლო და ვაშა თქვენ, რომ დარჩენილხართ ერთგული პოლონეთისა და მისი უკანასკნელი დამცველი!”

ჩვენ აქაც და შემდეგაც არაერთხელ ვახსენებთ ვარშავის აჯანყებას (1944 წელი). მას ხომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყნის ისტორიაში (შემდეგ დავინახავთ, რომ ამ აჯანყებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პოლონეთში დასახლებული ქართველი ემიგრანტების ცხოვრებაშიც). ამიტომ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება, თუ ორიოდ სიტყვას ვიტყვით მასზე.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ აჯანყების შემდეგ საკმაოდ დიდი დროა გასული, პოლონელ (და არა მხოლოდ პოლონელ) ისტორიკოსებს შორის (და თავად ამ ქვეყნის მოსახლეობაშიც) არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი აზრი მის შესახებ.

კერძოდ, ისტორიკოსთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ვარშავის აჯანყებას ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს პოლონეთის ისტორიისათვის, როგორც გრუნვალდისა თუ ვენასთან ბრძოლებს.

ისტორიკოსთა მეორე ნაწილის აზრით, ეს იყო უაზრო და უპერსპექტივო აჯანყება (არა იმდენად არმია კრაიოვას სარდლობის, რამდენადაც პოლიტიკოსების მხრიდან). ვარშაველთა გამოსვლებმა დამატებით სისხლისგან დაცალა ქვეყანა. იმ სამოცი დღის განმავლობაში, რომლის დროსაც ბრძოლები მიმდინარეობდა (აჯანყების ლიდერთა ვარაუდით, ბრძოლები 3-4 დღის მანძილზე უნდა დამთავრებულიყო) დაინგრა ვარშავის შენობა_ნაგებობათა 80 პროცენტამდე, დაიღუპა 200 ათასზე მეტი ადამიანი და ჰიტლერელებმა საკონცენტრაციო ბანაკებში

სული ამოხადეს 40 ათასზე მეტ მებრძოლს, რომელთა უმეტესობასაც 20-21 წლის პირტიტველა ყმაწვილები შეადგენდნენ.

ამის საწინააღმდეგოდ ისტორიკოსებს, რომელთაც ვარშავის აჯანყება უდიდეს მოვლენად მიაჩნიათ, ამტკიცებენ, რომ მცირე ხნის გასვლის შემდეგ ქალაქი მაინც დაინგრეოდა და ვერც უდიდეს მსხვერპლს გადაურჩებოდა. საქმე იმაშია, რომ გერმანელებს უკვე შემუშავებული ჰქონდათ გეგმა, რომლის მიხედვითაც მთელი ქალაქი ტანკსაწინააღმდეგო თხრილებით უნდა დაქსაქსულიყო და ასე შეგებებოდა შეტევაზე წამოსულ საბჭოთა ჯარებს. რა თქმა უნდა ამ თხრილებს გერმანელები პოლონელთა ხელით გააკეთებდნენ. ცხადია, ასეთი წინააღმდეგობის გადაწყდომისას საბჭოთა მეომრების მძვინვარებას საზღვარი არ ექნებოდა და ისინი არც ქალაქს და არც მის მკვიდრთ არ დაინდობდნენ.

მოკლედ, ჩვენ ისლა დაგვრჩენია, დაველოდოთ, ვიდრე პირუთვნელი ისტორიკოსები თავის ვერდიქტს არ გამოუტანენ ვარშავის აჯანყებას.

* ვლადიმერ კოზლოვსკი, “pro georgia”, 1999წლის, ¹¹ 8

4. გენერალი ზაქარია ბაქრაძე

დიდი ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვის ყოფილი პოლკოვნიკი, 1943 წელს გამართულ თეირანის კონფერენციაზე ინგლისის მხარის ერთ-ერთი წარმომადგენელი მერაბ კვიციანი (1902-1990), პოლონეთის არმიაში მომსახურე ქართველ გენერლებს შორის გამოყოფს ზაქარია ბაქრაძეს. მ.კვიციანი იგონებდა: “ზაქარია იყო დიმიტრი ბაქრაძის შვილიშვილი. ის ჯერ რუსეთის არმიაში მსახურობდა და მერე პოლონეთის არმიის გენერალი გახდა. გენერალი ბაქრაძე იყო ყველაზე მეტი ორდენების კავალერი მხოლოდ ქართველებს შორის კი არა, საერთოდ იმათ შორის, ვინც მე შემხვედრია. სხვათაშორის, მას ჯერ კიდევ რუსეთში ჰქონდა გიორგი მეორის ორდენი”

როგორც ცნობილი ისტორიკოსი ნიკო ჯავახიშვილი აღნიშნავს თავის წიგნში “ქართველი მხედრები პოლონეთის დროშის ქვეშ” (თბილისი, 1998 წ.), 1769 წელს დაწესებული წმინდა გიორგის ორდენის დამსახურება ერთობ ძნელი ყოფილა. მაშინ, როდესაც რუსეთის უმაღლესი საიმპერიო ჯილდო – წმინდა მოციქული ანდრია პირველწოდებულის ორდენი ათასზე მეტ კაცს ჰქონია მიღებული, წმინდა გიორგის I ხარისხის ორდენი მთელი მისი არსებობის მანძილზე სულ @25 კაცს ჰქონია მიღებული. არანაკლებ რთული ყოფილა წმინდა გიორგის შედარებით დაბალი ხარისხის ორდენების დამსახურებაც, რაც გენერალ ბაქრაძის გარდა რუსეთის სამსახურში მყოფ სხვა სამხედრო პირებსაც მიუღიათ.

5. კაპიტანი ლადო მახარაძე*

როდესაც მამაჩემმა, ბრიგადის გენერალმა მიკოლაი ბოლტუჩმა ტორუნში 4 სახმელეთო დივიზიის ხელმძღვანელობა ჩაიბარა, ჩვენს სახლში ხშირი სტუმარი იყო ძალზე მომხიბლავი მამაკაცი, - კაპიტანი ლადო მახარაძე. ეს იყო ომის დაწყებამდე, 1937-39 წლები.

კაპიტანი მახარაძე IV დივიზიის შტაბის უფროსი და მამაჩემის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაახლოებული და ერთგული თანამშრომელი იყო. მე განსაკუთრებით მახსოვს მისი მშვენიერი აკრობატული ნომრები ცხენით ჯირითის დრო, რასაც “ქართველთა ჯიგიტობას” უწოდებდნენ. მე მისი მშვენიერი დანიშნულიც მახსოვს, რომელიც ექიმ-სტომატოლოგი იყო და ერთ დროს მთელ ჩვენ ოჯახს მკურნალობდა. ომის შემდგომ რამდენიმე წელი კიდევ მქონდა მასთან გარკვეული კონტაქტები, მაგრამ.....ახლა უკვე აღარც მახსოვს, რა ერქვა.

კაპიტანი ლადო მახარაძე ბზურასთან (მდინარეა პოლონეთში – ა. გ.) ბრძოლების დროს დაიღუპა 4 დივიზიის უფროს პოლკოვნიკ მეჩისლავ რავიჩთან ერთად. ისინი პირველ რიგებში იბრძოდნენ და ნაღმზე აფეთქდნენ.

* ირენა ბოლტუჩი, ქართველი საკონტრაქტო ოფიცრები ტორუნში, როგორც ისინი მე დამამახსოვრდა, “pro georgia”, 1999 წლის, #8.

6. ვიტალი უგრეხელიძე-უგორსკი*

ვიტალი უგრეხელიძე ძველ კეთილშობილურ ქართულ ოჯახში დაიბადა. მისი წინაპრები მეფესთან ძალიან დაახლოებულები ყოფილან. თავდაპირველად მათ გვარად ჯანდიერი ჰქონიათ. მეშვიდე საუკუნეში მათი ერთ-ერთი წინაპარი მეფის მთავარი მრჩეველიც კი გამხდარა. ერთხელ, როდესაც მეფე დაავადებულა, მას მცენარე უგრეხელისაგან დამზადებული წამლით განუკურნავს იგი. ამის შემდეგ ჯანდიერების გვარის ამ შტოს წარმომადგენლებს, მეფის მოთხოვნით, უგრეხელიძეს გვარის ტარება დაუწყიათ.

ძველი ქართული ტრადიციის თანახმად, მამა გასაზრდელად სხვისათვის მიუბარებიათ. იმ დროს აღნიშნული წეს-ჩვეულება იმიტომ იყო გავრცელებული, რომ დედა მეტისმეტად არ შეჩვეოდა შვილს, რომელიც, როდესაც გაიზრდებოდა, თავი არ უნდა დაეზოგა სამშობლოს დასაცავად მტერთან ბრძოლაში.

მამაჩემს ძალიან უყვარდა თავისი დედობილი და მისი ოჯახი. იგი მაშინაც კი, როდესაც გაიზარდა და დამოუკიდებელ ცხოვრებას შეუდგა, არ ივიწყებდა მათ და ხშირად ნახულობდა. ეს იქ ეცნობოდა მამა ქართულ ტრადიციებს, ეროვნული ფოლკლორის ნიმუშებს, ლეგენდებს, ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს და ა. შ. მამა სწორედ იქ ცხოვრების დროს დაინტერესდა ასევე თავისი სამშობლოს ისტორიით და ბუნებით. არდადეგების დროს იგი ხშირად და ბევრს მოგზაურობდა.

მას განსაკუთრებით იზიდავდა მხატვრული ლიტერატურა და განზრახული ჰქონდა სწორედ ამ განხრით ესწავლა თბილისის უნივერსიტეტში.

როდესაც მამას შვიდი წელი შეუსრულდა, იგი ტრადიციის თანახმად, თავის მშობლიურ ოჯახს დაუბრუნდა ქუთაისში, სადაც დაიბადა. აქ მან სწავლა დაიწყო ქუთაისის კეთილშობილთა სასწავლებელში. აქ გაკვეთილები ქართულად და არა რუსულად, ტარდებოდა.

როდესაც მეფის რუსეთმა არსებობა შეწყვიტა, საქართველოში მოხუცი და ახალგაზრდაც დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოვიდა. იმ რწმენით, რომ ქვეყანა მზად უნდა ყოფილიყო დამოუკიდებლობის დასაცავად, მამა იუნკერთა სამხედრო სასწავლებელში შევიდა. სამი წლის შემდეგ ბოლშევიკებმა დაიპყრეს საქართველო. საოფიცრო სასწავლებლის სტუდენტები უთანასწორო ბრძოლაში ჩაებნენ. დამარცხების შემდეგ მათი გადარჩენილი მცირე ნაწილი, სხვა სამხედროებთან ერთად, თურქეთში წავიდა ემიგრაციაში. 10 თვის კონსტანტინეპოლში ყოფნის შემდეგ პოლონეთის მთავრობამ მარშალ იუზეფ პილსუდსკის ინიციატივით ისინი პოლონეთში მიიწვია, სადაც მათ ბინა და სამუშაო შესთავაზა.

მამა 1921 წელს ჩავიდა პოლონეთში ქართველ სამხედროთა მოზრდილ ჯგუფთან ერთად. მას ადრეც ბევრი რამ ჰქონდა მოსმენილი პოლონეთის შესახებ, იცოდა ამ ქვეყნის მკვიდრთა სიჩაუქისა და პატრიოტიზმის თაობაზე. მას ჯერ კიდევ ბავშვობაში ჰქონდა წაკითხული ჰენრიკ სენკევიჩის “ტრილოგია”, მისი გავლენით არაერთხელ უოცნებია პოლონელ ჰუსარად გახდომა. ამიტომ, როდესაც მამამ ჯერ ვარშავის კურსანტთა სასწავლებელი, ხოლო შემდეგ კავალერიის სკოლა დაამთავრა, საკუთარი სურვილით წავიდა ულანთა მე-19 პოლკში სასამსახუროდ. ეს პოლკი პოლონეთის II რესპუბლიკის აღმოსავლეთ საზღვრების დაცვის სადარაჯოზე იდგა. მამას დიდად ეამაყებოდა ის ამბავი, რომ პოლონეთის ულანთა სამმოს ერთ-ერთი წევრი იყო.

იმ პერიოდში პოლონეთს არა ჰქონდა საკმარისი ფინანსური სახსრები, რათა თავისი საზღვრები კარგად დაეცვა. ამიტომ ბოლშევიკთა ბანდები ხშირად “სტუმრობდნენ” პოლონეთს და არბევდნენ მის საზღვრისპირა რაიონებს. მამამ სწორედ იმისათვის ითხოვა მე-19 პოლკში განმწესება, რომ მათთან ეწადა ბრძოლის გაგრძელება. მან მართლაც ისე შედეგიანად გააგრძელა ეს ბრძოლა, რომ სტალინმა საგანგებოდ სთხოვა პილსუდსკის მისი რუსებისათვის გადაცემა. საზღვრისპირა რაიონებში მას ისე გაუვარდა სახელი, რომ მშობლები თავიანთ ურჩ ბავშვებს “შავი პორუჩიკით” აშინებდნენ.

აღმოსავლეთ პოლონეთში სამხედრო სამსახურისას მამა ყოველ წუთს იყენებდა იმისათვის, რომ ახლოს გაეცნო თავისი მეორე სამშობლო. ამ მიზნით მან სულ მოიარა მთელი პოლონეთი, ითვისებდა ადგილობრივ მკვიდრთა წეს-ჩვეულებებს, ათვალიერებდა და სწავლობდა ისტორიულ ადგილებსა და არქიტექტურულ

ძეგლებს. მამამ, მაგალითად, მთა ბონაზე (პოლონეთში, ოსტროგის ახლოს), სხვა ნივთებთან ერთად, აღმოაჩინა რენესანსის დროინდელი ლოცვანი, ყოველდღიური მოხმარების სხვადასხვა ჭურჭელი და სხვა, რომლებიც კრაკოვის მუზეუმს გადასცა.

ამავე დროს მამას ძალიან იზიდავდა ცხენთა შეჯიბრებაში მონაწილეობა. თავდაპირველად მან რამდენჯერმე იწვინა წარუმატებლობა, მაგრამ შემდეგ დახელოვდა და ბრწყინვალე გამარჯვებებსაც აღწევდა. იგი ხშირად ბევრ ჯილდოსაც იღებდა. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ჯილდო იყო ვერცხლის მომცრო ჭიქები. მამას ისინი კარგა ხანი ჰქონდა შენახული ოჯახში, მაგრამ ქართული ჩვეულების მიხედვით, როდესაც სტუმარს რაიმე მოეწონება, მასპინძელი ვალდებულია იგი აჩუქოს. უფრო მეტიც: როდესაც მამა სახლში არ იყო, სტუმრები მის დაუკითხავად იღებდნენ ასეთ ნივთებს. ისინი კი, რაც დარჩა, გერმანელებმა გაიტაცეს 1939 წელს. ყოველივე ამის შედეგად, ასეთი ნივთები, სამწუხაროდ, ჩვენს ოჯახში აღარ დარჩა.

გერმანელებმა წაიყვანეს ასევე მამას დოდის ცხენიც. სწორედ მასზე ამხედრებული იღებდა მამა შეჯიბრებებში მონაწილეობას. ამ ცხენთან ერთად მონაწილეობდა მამა პარიზისა და ბერლინის ცხენთა შეჯიბრებაზე. ეს იყო თავის დროზე მთელს ევროპაში სახელგანთქმული არაბული ცხენი, სახელად ქაშმირი.

მამას ახლო მეგობარი იყო რომან სანგუშკო, რომელიც როვნოში ცხოვრობდა. რომანი ვერტფრენზე მუშაობდა და სწორედ ვერტმფრენით წაიყვანა მამაჩემი მომავალი მეუღლის, ანუ დედაჩემის გასაცნობად ვარშავაში. ჩემმა მშობლებმა ერთმანეთი ბაგრატიონების ოჯახში გაიცნეს, რომლებიც ასევე ბოლშევიკებს გამოქცეოდნენ საქართველოდან. როდესაც მშობლებმა ჯვარი დაიწერეს, მამა ჯერ ულანთა მე-14 პოლკში გადავიდა, რომელიც ლვოვში იყო დაბანაკებული, ხოლო შემდეგ მე-7 კავალერიის პოლკში, პოზნანთან. სწორედ აქ მოუსწრო მას ომმა.

სექტემბრის საომარი კამპანიის დროს გამოჩენილი გმირობისათვის მამამ უმაღლესი სამხედრო ჯილდო - “ვირტუტი მილიტარი” მიიღო. ეს კამპანია საბოლოო ჯამში დამარცხებით დასრულდა და იგი გერმანელებს ჩაუვარდათ ხელში. მამა ჯერ ტყვეთა ბანაკებში ჰყავდათ, მაგრამ შემდეგ გაათავისუფლეს იმ მიზნით, რომ გერმანელებს ქართველთა ლეგიონის შექმნა სურდათ რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად და მამას იქ გამოყენებას აპირებდნენ.

მამა ვარშავაში დაბრუნდა და დაუყოვნებლივ ჩაება წინააღმდეგობის მოძრაობაში. მცირე ხნის შემდეგ იგი გახდა კონსპირაციაში მყოფი ულანთა მე-17 პოლკის ხელმძღვანელი. მას, ფირმის საფარქვეშ, რომელიც ინჟინერ დიმიტრი უტგოფთან ერთად შექმნა, არმია კრაიოვას (პოლონეთის ეროვნული არმია, რომელიც შემდეგ ბოლშევიკებმა დაშალეს და გაანადგურეს) ნაწილებს საბრძოლო აღჭურვილობით ამარაგებდა. მას, როგორც ქართველს, ამგვარი საქმიანობა

შედარებით უსაფრთხოდ შეეძლო, თუმცა, როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, გერმანელები არც ქართველებს ერიდებოდნენ. მათ ამგვარი საქმიანობისათვის დახვრიტეს, მაგალითად, მამას ახლო მეგობარი გენო ხუნდამე. მამას ამგვარ საქმიანობას ართულებდა ისიც, რომ ქართველთა კომიტეტის თავმჯდომარე დოქტორი ალშიბაია და მისი მარჯვენა ხელი პოლკოვნიკი კანდელაკი, ქართველ ემიგრანტებს დაუღალავად მოუწოდებდნენ იქით, რომ ისინი გერმანელთა არმიაში შესულიყვნენ. მათ ჩვენი სახლის მოპირდაპირე სახლში სამეთვალყურეო პუნქტიც კი მოაწყეს და მამას თვალთვალი დაუწყეს. მიუხედავად ამისა, მამას თავისი საქმიანობა არ შეუწყვეტია და კიდევ უფრო გააფართოა იგი. უფრო მეტიც: ხვდებოდა ინგლისიდან შემოპარულ აგენტებს, აწყობდა ტერორისტულ აქციებს, საბოტაჟებს და ა. შ. მფარველობდა ებრაელებს (ამ ბოლო დროს ისრაელიდან მივიღე წერილი იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილია მამას მოხსენიება ებრაელთა ლოცვებში). მამას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩვენი სახლის სარდაფიდან გაითხარა რამდენიმე კილომეტრის სიგრძის გვირაბი, მოეწყო ხანძარსაწინააღმდეგო ორგანიზაცია და ა. შ.

ამასთან, მამა მეტად პრინციპული და უკომპრომისო კაცი იყო. მაგალითად, როდესაც საჯარისო ხელმძღვანელთა შეკრება იყო ვარშავის აჯანყების ორგანიზებასთან დაკავშირებით, მამა ბოლშევიკებთან რაიმე თანამშრომლობას სასტიკად ეწინააღმდეგებოდა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ მამა იტალიაში ჩავიდა საგანგებო დავალების შესასრულებლად. იგი სპეციალური ყალბი დოკუმენტებით აღჭურვეს ამისათვის. კერძოდ, ამ დოკუმენტების მიხედვით, მამა იყო აერონავტიკის ინჟინერი და რომ იგი მიდიოდა იტალიის ერთ-ერთ თვითმფრინავების ქარხანაში, ხოლო მისი ცოლი კი წარმოადგენდა მის მდივანს. ამგვარად, ცოლ-ქმარმა 1945 წლის ადრე გაზაფხულზე ვენის გავლით მილანამდე ჩააღწიეს. როგორც კი ამ ქალაქში ამერიკელები ჩავიდნენ, მამამ იმწამსვე მიაკითხა პოლონეთის მეორე კორპუსს, რომელსაც გენერალი ანდერსი ხელმძღვანელობდა. მამა მას ადრე, პოლონეთში სამსახურის დროიდან იცნობდა. იქ მამამ სპეციალური მოხსენება გააკეთა და თავისი დოკუმენტებიც ჩააბარა. მას დაუჯერეს და კორპუსში ჩარიცხეს.

მამა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მსახურობდა ინსტრუქტორად გალიპოლში, სამხედრო კურსანტების მომზადების ცენტრში. მას რამდენჯერმე შესთავაზეს სხვადასხვა სამხედრო თანამდებობა იტალიის ქალაქებში, მაგრამ იგი უარს ამბობდა: ეშინოდა, რომ იტალიაში გავლენიან კომუნისტურ პარტიას არ შეეტყო მისი არსებობის შესახებ. თავისუფალ დროს მას ჯარისკაცები მიჰყავდა ექსკურსიაზე სხვადასხვა ისტორიულ ადგილებში, აცნობდა მათ იტალიის ისტორიასა და თანამედროვეობას, დაჰყავდა ისინი მუზეუმებში, ოპერაში და სხვა კულტურულ დაწესებულებაში.

ინგლისში ჩასვლისა და დემობილიზაციის შემდეგ მამა ლონდონის ერთ-ერთ ფაბრიკაში მუშაობდა. ამასთან, იგი მეტად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ინგლისში

მაშინ არსებულ მრავალრიცხოვანი რუსული, პოლონური თუ ქართული ემიგრაციის კულტურულ ცხოვრებაში. თავისუფალ დროს იგი წერდა სტატიებს ქართული და რუსული ემიგრაციული ჟურნალ-გაზეთებისათვის. მან დაიწყო ასევე თავის მშობლიურ ენაზე პოლონური ლიტერატურის კლასიკოსთა შედეგების თარგმნა. კერძოდ, მან თარგმნა მიხეილ ბალუცკის, ალექსანდრე ფრედროს, იან პარანდოვსკის და სხვათა ნაწარმოებები.

მამა განსაკუთრებული მოკრძალებით ეკიდებოდა პოლონური ლიტერატურის კლასიკოსის ადამ მიცკევიჩის პოემის “პან თადეუშის” თარგმნას. პოემის დასაბეჭდად გამზადებული თარგმანი მან გადასცა მიცკევიჩის იუბილეს მოსამზადებელ კომიტეტს (100 წლისთავისადმი). მამა 1983 წლის 8 იანვარს გარდაიცვალა.

* სევდია უგრეხელიძე ლუკასი, ლონდონი, “pro georgia”, 1999წლის, #8

7. არტემ არონიშიძე

მას შემდეგ, რაც დავადგინე, რომ 11 სექტემბერს მეორე ბატალიონის უფროსად დაინიშნა არტემ არონიშიძე (20.X.1891წ.-22. 1V. 1950წ.), ვიღაცამ ვროცლავში მისი ოჯახის მისამართი მომაწოდა და მეც მათთან კონტაქტი დავამყარე.

აქ არ არის იმის აუცილებლობა სრულად დავახასიათო არტემ არონიშიძე. ეს მისმა ვაჟიშვილმა მშვენივრად გააკეთა. მხოლოდ იმის დამატება შეიძლება, რომ შემორჩენილი მისი მცირერიცხოვანი ფოტოსურათებიდან მეტად სერიოზული გამომეტყველების ქართულულვაშებიანი ოფიცერი გამოიყურება. იგი განსაკუთრებით მომხიბლავია მაშინ, როდესაც თავის თეთრ ცხენზეა ამხედრებული.

1922 წლის 1 ნოემბერს 31 წლის არტემი უკვე პოლონეთის არმიაში მსახურობს. მას კარგი ლინგვისტური ნიჭი აღმოაჩნდება, რაც იმაში გამოიხატა, რომ იგი საკმაოდ მალე და კარგად აითვისებს პოლონურ ენას. ა. არონიშიძე მრავალი წლის მანძილზე მსახურობდა ტორუნში, 63-ე პოლკში, რომელიც 4-ე სახმელეთო დივიზიას ეკუთვნოდა. სახელდობრ ამ დივიზიის შტაბში მსახურობდა რომან გველესიანიც. ტორუნში არტემმა გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე - ლიდია. ისინი 1927 წელს შეუღლდებიან და მალე ვაჟიშვილი - იეჟიც შეეძინებათ. კაპიტანი არ. არონიშიძე 1934 წელს უკვე მაიორი გახდება და მცირე ხნის გასვლის შემდეგ ბატალიონსაც ჩააბარებენ.

1939 წელს არტ. არონიშიძე გადაწყვეტს ვარშავის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში განაგრძოს სწავლა, მაგრამ მას ამ განზრახვას ომის დაწყება შეუშლის ხელს.

ომში გამოჩენილი მამაცობის გამო არტემ არონიშიძე თავისი თანამებრძოლებისათვის სანიმუშო მხედარი იყო. მისი შემხედვარე ბატალიონის სხვა

ჯარისკაცებიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ. არონიშიძის თავდადება არც ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობას დარჩენია შეუნიშნავი. დივიზიის გენერლის, არმია “ვარშავის” სარდლის იულიუს რომელის ბრძანებით იგი უმაღლესი სამხედრო ორდენით - “ვირტუტი მილიტარი” -თ იქნა დაჯილდოებული.

ვარშავის კაპიტულაციის შემდეგ მაიორი არონიშიძე ტყვეობაში აღმოჩნდა. შემდეგ, კერძოდ, 1942 წელს, როდესაც გერმანელებმა ქართველი მეომრები გაათავისუფლეს, ა. არონიშიძე ვარშავაში დაბრუნდა. აქ იგი არმია კრაიოვაში შედის და იან პილევცის ფსევდონიმით იბრძვის. შემდეგში იგი აქტიურად მონაწილეობს ვარშავის აჯანყებაშიც, სადაც კონსპირაციულად მოქმედებს. სამწუხაროდ, მისი საქმიანობის შესახებ ამ პერიოდში ცნობები ნაკლებად არსებობს. ამიტომ ძნელია მისი ვაჟის, იეჟის იმ განცხადების დადასტურება, თითქოს მამამისი ვარშავის ერთ-ერთი ოლქის კომენდატი ყოფილიყო.

ომის დასრულების შემდეგ (1945 წლის მარტი-სექტემბერი) ა. არონიშიძე დაპატიმრებულია. თავდაპირველად ნკვდ_ის, ხოლო შემდეგ პოლონეთის უშიშროების მიერ. განთავისუფლების შემდეგ იგი საცხოვრებლად გადადის შკლარსკიე პორემბოში, სადაც პანსიონატის დირექტორად ინიშნება. ქვემო სილეზიაში მამინ არმია კრაიოვას მრავალი ყოფილი მეზობელი იმყოფებოდა, ამიტომ იქ შედარებით ადვილი იყო თავის შეფარება.

არტემ არონიშიძე 1950 წელს ვროცლავში გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული.

8. იეჟი არონიშიძე - მაიორი არტემ არონიშიძე*

როგორც ჩანს, ძნელია საკუთარი მამის შესახებ წერა, მაგრამ ის, რაც მე ვიცი მის შესახებ, და ასევე ისიც, რაც მასზე მოუყოლიათ ადამიანებს. ნამდვილად საჭიროა დაიწეროს, რათა ამ გზით შთამომავლობას შემოვუნახოთ იგი.

არტემ არონიშიძე დაიბადა 1891 წლის 20 ოქტომბერს, საქართველოს ერთ-ერთ კუთხე გურიაში, სოფელ კონჩკათში, ოზურგეთის სიახლოვეს.

არტემი მშობლების მეორე შვილი იყო. მათი უფროსი შვილი ბავშვობაში გარდაიცვალა. მიხეილს და ნინას ოთხი შვილი ჰყავდათ - ორი გოგო და ორი ბიჭი.

საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ არტემი თბილისის იუნკერთა სკოლაში შევიდა. ცნობილი არ არის, თუ როდის დაასრულა იგი, მაგრამ როგორც ჩანს, 1913 წელს იგი უკვე უმცროსი ოფიცერი იყო და თბილისის ფეხოსანთა პოლკში მსახურობდა. ეს თუმცა მეფის არმიის სტრუქტურაში შემავალი პოლკი იყო, მაგრამ იგი ძირითადად ქართველებით იყო დაკომპლექტებული.

I მსოფლიო ომის წლებში არტემი მონაწილეობას იღებდა კავკასიის ომში თურქეთის წინააღმდეგ, რომელიც გერმანიის მოკავშირე იყო. სწორედ ამ დროს მიანიჭეს მას კაპიტნის წოდება. არტემი ნამდვილად გამორჩეული პიროვნება იყო, გონებაგახსნილი, დიდი პოტენციისა და შესაძლებლობების, სამხედრო საქმის უაღრესად მოყვარული და სამართლიანი. დღესაც კი, ამდენი ხნის გასვლის შემდეგ კონჩკათის მკვიდრნი, როდესაც უნდათ ვინმეს რაიმეში დაჯერება, ამბობენ: “არტემს გეფიცებით”. სოფელში იგი ყველას ახსოვს, მიუხედავად იმისა, რომ მისი თანატოლებიდან მრავალი უკვე აღარ არის ცოცხალი.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება არტემისა და მისი მსგავსი პატრიოტებისათვის უდიდესი სიხარულის მომნიჭებელი იყო. ამ დროს არტემი სამხედრო საქმეში წვრთნის ქართველ ახალგაზრდებს, ადგენს სამხედრო ჯგუფებს. საქართველოზე ბოლშევიკების მიერ განხორციელებული თავდასხმის შემდეგ იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს სამშობლოს დასაცავად გამართულ ბრძოლებში, ხოლო როდესაც საქართველო ამ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდება, არტემი ერთ-ერთ უკანასკნელ ბატალიონს ხელმძღვანელობს, რომელიც უზრუნველყოფს მენშევიკური მთავრობის ბათუმიდან საზღვარგარეთ უსაფრთხო გამგზავრებას. შემდეგ არტემი თავადაც გემზე ჯდება და სამშობლოს სტოვებს.

ქართველი ემიგრანტები თავდაპირველად კონსტანტინეპოლში ჩადიან. აქ ქართველი ოფიცრები უმძიმეს პირობებში აღმოჩნდნენ. მათ სიცოცხლის ელემენტარული სახსარიც კი არ გააჩნიათ. საბედნიეროდ, ეს დროის ძალზე მოკლე პერიოდი აღმოჩნდება. პოლონეთის მთავრობის მიწვევით 1922 წელს ქართველ ემიგრანტ ოფიცერთა საკმაოდ დიდი ჯგუფი და მათთან ერთად არტემ არონიშიძეც, ჩავა პოლონეთში, რომელიც მათი მეორე სამშობლო გახდება. როგორც შემდგომი ისტორია გვიჩვენებს, ისინი ამ ქვეყანას მთელი სულითა და გულით ემსახურებიან პოლონეთში (რუმბერტოვოში) მამა 3 თვიან კურსებს გაივლის, რომელიც უცხოელ სამხედროებისათვის მოეწყობა. იგი პარალელურად საკმაოდ კარგად შეისწავლის ასევე პოლონურ ენას. შემდეგ მას ტორუნის ფეხოსანთა ერთ-ერთ პოლკს ჩააბარებენ, რომელსაც კაპიტნის ჩინით გაუძღვება წინ საბრძოლო მოქმედებების დროს. 1927 წელს იგი პოლონელ ქალზე, ლიდიაზე დაინიშნება. ეს ქალი პოლონეთის არმიის კაპიტნის, ფეხოსანთა 4 დივიზიის შტაბის უფროსის, ლუციან სტალის ქვრივი იყო. პირველი ქორწინებიდან მას ორი გოგო დარჩა, - რომანა და ქრისტინა. ამავე წელს მათ ვაჟი, ანუ მე, შეეძინებათ. თუ როგორი მაღალი მორალის პატრონი იყო მამა, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ცოლის პირველ ქმართან გაჩენილი შვილები საკუთარ შვილებად მიიღო და არასოდეს არ გაუკეთებია განსხვავება ნამდვილ შვილსა და მათ შორის. უფრო მეტიც: იგი გოგოებს უფრო მეტი ყურადღებით ეპყრობოდა, რადგან ფიქრობდა, რომ ვაჟს ალერსი და ფერება უფრო აფუჭებს. მას თავისი ცოლი უდიდეს ავტორიტეტად მიაჩნდა. ამაზე შემდეგი ფაქტიც მეტყველებს: ერთ დღეს დედა რაღაც საქმეზე გავიდა სახლიდან, ვიდრე მამა დაბრუნდებოდა. როდესაც მამა მოვიდა, ჩვენ,

ბავშვები გავეგებეთ მას. მამამ კი, მიიხედ-მოიხედა და რადგან მეუღლეს თვალი ვერ მოჰკრა, იკითხა: რა, სახლში არავინ არ არის?

მამა რომ უდიდესი პასუხისმგებლობის ადამიანი იყო, ამაზე შემდეგი ფაქტიც მეტყველებს: მახსოვს, ერთხელ, როდესაც იგი საზაფხულო სამხედრო მანევრებზე უნდა წასულიყო, დედა ცუდად გახდა. მამას ვერაფრით ვერ გაეგო, თუ როგორ მოხდა, რომ დედა სწორედ ახლა გახდა ავად, როდესაც მას ასეთი მნიშვნელოვანი დავალება ჰქონდა შესასრულებელი.

მამა 1934 წელს კვლავ გაივლის რემბერტოვოს საოფიცრო კურსებს და მაიორის წოდებას მიიღებს. გერმანელების მიერ პოლონეთზე თავდასხმამდე იგი აღმოსავლეთ პრუსიასთან პოლონეთის საზღვარზე დაბანაკებულ პოლკს ხელმძღვანელობს. აგვისტოს ბოლო დღეებში იგი მიიღებს ბრძანებას, რის შესაბამისადაც ვარშავაში ჩადის, რათა უმაღლეს სამხედრო აკადემიაში დაიწყო სწავლა, მაგრამ ამ დროს ომიც ატყდება. ამიტომ მამა ვარშავაში დარჩება და ბატალიონს ხელმძღვანელობს, რომელიც ვარშავის ერთ-ერთ ციტადელს იცავს. მალე მის ბატალიონს ვარშავის დაცვის ფრონტს, “ოხოტას”, ჩააბარებენ. მიუხედავად იმისა, რომ მამა ამ წრეში უცხო იყო, იგი იმთავითვე მოიხვეჭს ჯარისკაცთა და ოფიცერთა სიმპათიებს. ვარშავაში, გროცკის ქუჩაზე აღმართული ძეგლი “1939” სწორედ იმ ადგილას დგას, სადაც მამას ბატალიონი გერმანელებისაგან იცავდა ქალაქს. მაიორ არტემ არონიშიძის გვარი თითქმის ყოველგვარ ისტორიულ ნაშრომშია შეტანილი, რომლებიც ვარშავის დაცვას ეძღვნება. ვარშავის დაცვის ამ ხაზმა ბოლომდე ისე გაუძლო გერმანელთა შემოტევას, რომ ერთი ნაბიჯითაც კი არ დაუხვევია უკან, ერთი გოჯი მიწაც არ დაუთმიათ, ვიდრე ამ ქალაქის კაპიტულაცია არ მოხდა. გამოჩენილი მამაცობისათვის მამა გენერალ რომელის მიერ “ვირტუტი მილიტარის” ორდენით არის დაჯილდოებული. კაპიტულაციის შემდეგ მამა თავის ხელქვეითებთან ერთად ჰიტლერელებს ჩაბარდა ტყვედ. ისინი შემდეგ დრეზდენტან გადაიყვანეს. ტყვეობიდან როგორც ქართველი, ისე გაათავისუფლეს და იგი 1942 წელს ვარშავაში დაბრუნდა. აქ მამა ჯერ მუშად მუშაობდა, ხოლო შემდეგ მეცნიერ-მუშაკად მოეწყო. პოლკოვნიკ ბოკუმჩანინის დახმარებით, რომელსაც მამა ომამდე იცნობდა, იგი არმია კრაიოვაში შევა და სახელსა და გვარსაც იან პილევკად შეიცვლის. ვარშავის აჯანყებაში მამას ფეხის მძიმე ტკივილის გამო მონაწილეობა არ მიუღია. აჯანყების ჩახშობის შემდეგ იგი კვლავ ეძებს კონტაქტებს არმია კრაიოვასთან, ხვდება თავის ყოფილ ოფიცერს მეჟნიცკის და მისი დახმარებით ა. არონიშიძე კვლავ კონსპირაციულ საქმიანობას ეწევა. მას ერთ-ერთი ოლქის კომენდატად ნიშნავენ.

ამ თანამდებობაზე მამა იმუშავებს ქვეყნის განთავისუფლებამდე, შემდეგ, თანახმად არმია კრაიოვას ხელმძღვანელობის ბრძანებისა, ოლქი უქმდება. სამწუხაროდ, მის კვალს ნკვდ მიაგნებს და 1945 წლის მარტში დააპატიმრებს. მას პიეტრკოვის ციხეში ჩასვამენ, სადაც საბჭოთა ოფიცრები მის დაკითხვას მოაწყობენ, რაც, რა თქმა უნდა, მის ცემასთან ერთად მიმდინარეობს. აქვე ხდება იმის

იდენტიფიკაციაც, რომ იგი არტემ არონიშიძეა და არა იან პილევკი. ნკვდ შემდეგ მას ლოდის უშიშროების სამსახურს ჩააბარებს, რომლის კომენდატიც იმ დროს იყო მოჩარი (შემდეგ ამ ქვეყნის თავდაცვის მინისტრი-ა.გ.) თავის მხრივ, პოლონეთის უშიშროებაც მოაწყობს მამას დაკითხვას. მათ მიზნად აქვთ დაადგინონ, რომ მამა იბრძოდა როგორც წითელი არმიის, ასევე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგაც. 1945 წლის ივლისში ლუბელის მთავრობა ამნისტიას გამოაცხადებს. ამ საქმეში დედაჩემის ენერგიული ჩარევით, რაც საკმარისი რაოდენობით ქრთამის მიცემაში გამოიხატა, მაიორ არტემ არონიშიძე 1945 წლის სექტემბერში ტოვებს ციხეს. მას პოლონეთის სახალხო მილიციაში სამსახურს შესთავაზებენ, რაც მისთვის ავტომატურად პოლკოვნიკის წოდების მინიჭებასაც ნიშნავდა, მაგრამ მამა ამ შეთავაზებას არ მიიღებს. მას არ სურდა ემსახურა იმ მთავრობისათვის, რომელიც სამართლიანად არ მიაჩნდა ქვეყნის პოლონურ მთავრობად. მამამ უარის თქმის მიზეზად ავადმყოფობა დაასახელა. მცირე ხნის შემდეგ მას შკლარსკიე პორემბოში (ქვემო სილეზია) პანსიონატის დირექტორად დანიშნავენ. 1949 წელს ექიმები მას კიბოს დაუდგენენ და სწორედ ამ სენის გამო გარდაიცვლება 1950 წლის 22 აპრილს.

მამა იყო ძალზე ძლიერი ნებისყოფის ადამიანი და არასოდეს არ ამჟღავნებდა იმას, რასაც გრძნობდა, რაც მას სტანჯავდა. ტორუნში ჩვენთან ხშირად იკრიბებოდნენ ქართველები თითქმის მთელი პოლონეთიდან და საათობით საუბრობდნენ. სამწუხაროდ, მეუღლე ვერაფერს იგებდა ამ საუბრიდან. ერთადერთი პოლონური სიტყვა, რასაც მას ეუბნებოდნენ, იყო “დმიენ დობრი პანი”, “დო ვიდმენია პანი” (გამარჯობათ ქალბატონო, ნახვამდის ქალბატონო). მაგრამ გასაკვირი ამაში არაფერია. თავიანთ წრეში შეკრებილ ქართველებს ეწადათ თავი როგორღაც ისე ეგრძნოთ, თითქოს საკუთარ სამშობლოში ყოფილიყვნენ.

რაც შეეხება სამსახურში მის დამოკიდებულებას ხელქვეითებისადმი, არტემ არონიშიძე იყო ძალიან მკაცრი და მომთხოვნი, თუმცა ამასთან უაღრესად სამართლიანი. ყოველივე ამან მამას უდიდესი პატივისცემა და სიყვარული მოუხვეჭა თანამშრომლებს შორის. ამიტომ იხსენებენ მას დღესაც უდიდესი მოწიწებით. თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში ბატონმა ნიკოლოზ მათიკაშვილმა, ქართველთა ნესტორმა პოლონეთში, ერთხელ შეხვედრისას მითხრა: “თუ თქვენ ნახევრად მაინც ჰგავხართ მამათქვენს, ეს უკვე ძალიან კარგიაო”.

იმედი მაქვს, რომ ეს პატარა წერილი არტემ არონიშიძის შესახებ ცოცხლად დარჩენილებს, რომლებიც მას იცნობდნენ, გაახსენებს მას, ხოლო მათ, რომლებიც მამს არ იცნობდნენ, შესაძლებლობას მისცემს წარმოდგენა იქონიონ არტემ არონიშიძეზე. იგი ხომ თავისი თაობის პოლონური და ქართული გულანთებული პატრიოტიზმის ცოცხალი განსახიერება იყო, რის დეფიციტსაც დღეს ასე მწვავედ ვგრძნობთ

9. ვიქტორ სტალა, - ჩემი ძმა იეჟი არონიშიძე*

1998 წელს გარდაიცვალა ჩემი ძმა იეჟი არონიშიძე, ქართულ-პოლონური საზოგადოების დამფუძნებელი და თავმჯდომარე.

ამ მოგონებებს იმიტომ ვწერ, რომ ჩემი ძმა გავაცნო მათ, ვინც არ იცნობდა მას და შევახსენო მისი წვლილის შესახებაც ქართველი და პოლონელი ხალხის დაახლოების საქმეში.

იურეკი (იეჟი) დაიბადა 1927 წლის 9 ნოემბერს, ტორუნში, არტემ არონიშიძის და ლილია კამინსკის ოჯახში.

დედაჩვენი ძალზე მომთხოვნი და პრინციპული ქალი იყო, თუმცა არც გულის სითბო და გარეგნული მომხიბვლელობა აკლდა. არტემ არონიშიძემ დედაჩემი მაშინ გაიცნო, როდესაც იგი პოლონელ ოფიცერზე, კაპიტან ლუციან სტალზე იყო ქვრივად დარჩენილი და უკვე ორი ქალიშვილი _ რომანა და ქრისტინე ჰყავდა.

იეჟის მამის - არტემის შესახებ ძალზე ბევრი რამის დაწერა შეიძლება, მაგრამ ეს გაცილებით უკეთ გააკეთა მისმა ვაჟმა, იეჟიმ. არტემ არონიშიძის შესახებ ისტორიკოსებიც ბევრს წერენ. განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ვარშავის აჯანყების თემაზე მუშაობენ.

ახლა რაც შეეხება ჩემ ძმას. იურეკი იყო ძალზე ცოცხალი და ენერგიული ბიჭი. ამასთან, მას ჰქონდა უსაზღვრო ფანტაზია და წარმოსახვის დიდი უნარი. იურეკი 12 წლის ასაკამდე ტორუნში იზრდებოდა.

პოლონეთის ქართველებში ჩვენი ოჯახი დიდი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდა. წელიწადში რამდენჯერმე, თითქმის ყოველი დიდი დღესასწაულისას, ჩვენს სახლში თავს იყრიდნენ ქართველები, განსაკუთრებით მარტოხელები. ისინი აქ ოჯახურ სითბოს გრძნობდნენ. მრავალი მათგანი მე აღარც კი მახსოვს, მაგრამ ზოგიერთი კი ღრმად ამოიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. მათგან განსაკუთრებით უნდა დავასახელო: კობიაშვილი (რომელიც შემდეგ ამერიკაში აღმოჩნდა), ტერაშვილი, მიხეილ კვალიაშვილი, ალექსანდრე ალავიძე, სიცოცხლის ბოლომდე მამას ერთგული მეგობარი, წითლანაძე და სხვები.

თავად ტორუნში ჩემი მშობლები მეგობრობდნენ იქ მცხოვრებ ქართველებთან: ვალერიან ხელაძეს (ოფიცერი, რომელსაც პოლონელი ქალი ჰყავდა ცოლად) და სამოქალაქო ცხოვრებაში მოქანდაკე, კაპიტან ვანო მახარაძესთან. ეს უკანასკნელი გენერალ ნიკოლაი ბოლტუჩთან დაიღუპა (ისინი ნაღმზე აფეთქდნენ).

ტორუნში ჩვენი ხშირი სტუმარი იყო სამხედრო-საზღვაო ძალების ოფიცერი იეჟი თუმანიშვილი, რომელიც დღეს შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. როდესაც მან ჩემი ძმის მისამართი შეიტყო, იეჟის ვრცელი წერილი გამოუგზავნა, სადაც იგი თავის

ცხოვრებას და ასევე სამხედრო-საზღვაო ძალების კაპიტნის ვიქტორ ლომიძის ცხოვრებას აღუწერდა.

ყოველივე ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ მკითხველს წარმოდგენა შეექმნას იმის შესახებ, თუ რა ატმოსფეროში ვიზრდებოდით და როგორი ადამიანები გვერტყა გარს მე და იეჟის.

იურეკი თავისი გმირი მამის ნამდვილად ღირსეული შვილი იყო. ეს მან საქმიანად დაამტკიცა საქვეყნოდ. კერძოდ, გერმანელთა მიერ ვარშავის ოკუპაციის დროს იგი, 13-14 წლის ყმაწვილი უდიდეს უდიდეს დახმარებას უწევდა არმია კრაიოვას მეზობლად იარაღით მომარაგება იქნებოდა ეს, ტყვია-წამლის გადატან-გადმოტანა თუ სხვა რამ.

ომის შემდეგ იეჟიმ ჯერ ლომის მექანიკის ტექნიკუმში, ხოლო შემდეგ გდინიის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაასრულა. იგი პარალელურად გდინიის ნავსადგურშიც მუშაობდა. მან ძალზე ახალგაზრდამ (მაშინ 22 წლისაც არ იყო) შექმნა ოჯახი. რამდენიმე წლის შემდეგ იეჟი ლომში გადმოვიდა და ინვესტიციების დაპროექტების სფეროში დაიწყო მუშაობა.

თავისი მშობლებიდან იეჟის დაჰყვა უაღრესი პრინციპულობა. იგი დასანახავად ვერ იტანდა ეშმაკსა და მდაბალ ადამიანებს. იგი შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ცხოვრების მატერიალურ მხარეს, თუმცა უაღრესად შრომისმოყვარე იყო და ყოველნაირად ცდილობდა ცხოვრება გააუმჯობესებინა თავისი ოჯახისათვის. იგი იყო ძალზე მზრუნველი მამა და უაღრესად მოსიყვარულე პაპა. მას უსამართლოდ და მკაცრად მოექცა ბედისწერა, როდესაც წაართვა ერთადერთი უსაყვარლესი შვილი, პეტრე. იგი 43 წლის ასაკში გარდაიცვალა. თუმცა იეჟიმ მამაცურად გაუძლო ბედის ამ გამოცდას, მაგრამ ვერ შეძლო დიდხანს ეტარებინა ეს ტკივილი.

იეჟი მთელი თავისი სიცოცხლე წუხდა იმას, რომ ვერ ახერხებდა მამამისის სამშობლო ქვეყნის მონახულებას. ბოლოს, 1979 წელს მან როგორც იქნა შესძლო ეს და მეუღლესთან ერთად ესტუმრა საქართველოს.

მამის მშობლიურ კუთხეში მას ჯერ კიდევ ცოცხალი ბიძა დახვდა - მამამისის უმცროსი ძმა. აქ მან გაიცნო ასევე ბიძაშვილებიც (ერთ-ერთ მათგანს იეჟი სიკვდილამდე ეხმარებოდა მატერიალურად).

საქართველო მეორე მოგზაურობისას შემოარა და არც ერთი ნათესავი არ დარჩენია გაუცნობი და უნახავი. იეჟიმ ნათესავები პოლონეთშიც მოიწვია და თავისი სამშობლო გააცნო.

ყველაფერი, რასაც იეჟი აკეთებდა, აკეთებდა დიდი ენთუზიაზმით და მონდომებით. მან განსაკუთრებული სიყვარულით მოკიდა ხელი საქართველო-პოლონეთის საზოგადოების შექმნას. იგი სათუთად ეპყრობოდა ყველაფერს, რაც საქართველოსთან იყო დაკავშირებული. ამის შედეგია თუნდა ის, რომ მისი ბინა სავსეა სამახსოვრო საჩუქრებით საქართველოდან.

ჩემს ძმას გულის ავადმყოფობამ არ დააცადა დიდხანს სიცოცხლე. მეუღლე ნინას გარდაცვალებამ ხომ მთლად მოუღო ბოლო. იეჟი ზუსტად თავისი მეუღლის გარდაცვალების წელსა და თვეს, სექტემბრის 28-ში გარდაიცვალა.

დაგვმორდა ჩემი უსაყვარლესი ძმა, უდიდესი მოყვარული საქართველოსი და ყველაფერი ქართულის. ნათელი დაადგეს მის სახელს.

* ვიქტორ სტალა, - ჩემი ძმა იეჟი არონიშიძე, “Pro Georgia”, 1999წლის, #9

10. იანინა არონიშიძე - ფესვების ძიებაში ანუ გოჭის ყური*

1979 წლის ივლისი, გურია.

კონჩკათამდე ჩემი ქმრის ბიძაშვილის, რომეო არონიშიძის მანქანით მივედი. მთელი გზა მოხიბლულები ვიცქირებოდით აქეთ-იქით, ისე ლამაზად გამოიყურებოდა იქაურობა. გზა მთებში მიიკლავნებოდა, რომელიცათასგვარი ხეებით იყო დამშვენებული. გზის პირას ორიგინალური სახლები გამწვრივებულიყვნენ.

ჩვენს სულს რაღაც მოუსვენრობა დაუფლებოდა, რადგან არ ვიცოდით, რა გველოდა. ჩემს ქმარს, იეჟი არონიშიძეს, თავისი ქართველი ნათესავები უნდა გაეცნო. მან კი ისიც არ იცოდა, ვინ და როგორები იქნებოდნენ ისინი. იგი ხომ პოლონეთში დაიბადა ქართველი ემიგრანტი მამის და პოლონელი დედის ოჯახში. აქამდე არც ჩვენი საქართველოში ჩასვლა იყო შესაძლებელი და არც მისი ღვიძლი ნათესავების პოლონეთში ჩამოსვლა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მხოლოდ მიმოწერა გვექონდა და ფოტოგრაფიებს ვუგზავნიდით ერთმანეთს. ჩვენი ამგვარი ურთიერთობა განსაკუთრებით ცხოველი იყო ჩემი მამამთილის ერთადერთ ცოცხლად შემორჩენილ ძმასა და მის ოჯახთან. მათი წერილები საკმაოდ მაღალი დონის რუსულით გამოირჩეოდა.

ბოლოს, როგორც იქნა მივიღეთ მიწვევა და უკვე საქართველოში ვიყავით, ანუ იმ ქვეყანაში, რომლის შესახებაც ჩემი ქმარი დღე და ღამე ოცნებობდა.

კონჩკათში შევედი თუ არა, რომეომ მანქანის საყვირი ჩართო და თითქმის მთელი სოფელი მისი აკომპანიმენტის ქვეშ გავიარეთ. სოფლის მთელი მოსახლეობა გზაზე იყო გამოფენილი და ცნობისმოყვარე თვალებით აცილებდა ჩვენს მანქანას.

მათთვის ჩვენი სოფელში ჩასვლა ისეთსავე მძაფრ შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორც მარშალკოვსკაზე (ვარშავის ერთ-ერთი მთავარი ქუჩა - ა.გ.) დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედის გავლა მოახდენდა ვარშაველებზე. ბოლოს, ქმრის ბიძის, იაგორას სახლის ეზოში შევედით.

ქმრის ბიძის სახლი კავკასიური წაბლის ხისაგან იყო აგებული. მის მეორე სართულზე ასევე ხის ლამაზ კიბეს ავყავდით. ეს ამ კუთხისათვის დამახასიათებელი ტიპიური შენობა იყო.

მეუღლის ბიძა გამხდარი, უაღრესად კეთილი გამომეტყველების, ძალზე მოძრავი მოხუცი იყო. შეხვედრისას მან ჩემი ქმარი მკერდში ჩაიკრა და ორივენი ატირდნენ. მალე ოჯახის სხვა წევრებიც გარს შემოგვერტყნენ და მაშინ გამოირკვა, რომ არც ერთმა მათგანმა ქართულის გარდა არც ერთი სხვა ენა არ იცოდა. რაც შეეხება წერილებს, მათ თურმე რუსულის კარგად მცოდნე ნაცნობებს აწერინებდნენ. რაც შეეხება ჩემს ქმარს, მან ერთი ღერი ქართული არ იცოდა, რაც ცხადია, ძალზე ართულებდა ჩვენს ქართველ ნათესავებთან ურთიერთობებს.

აქაური წესისამებრ, რაშიც ჩვენ საქართველოში ყოფნისას არაერთხელ დავრწმუნდით, ჩავედით თუ არა კონჩკათში, მაშინვე შეუდგნენ კერძების მომზადებასა და სუფრის გაწყობას: აკრიახდნენ დასაკლავად დაჭერილი ქათმები, აჭყიპინდა გოჭი... ყველაფერი ეს ეზოში განცალკევებით მდგარ სამზარეულოში შეჰქონდათ, სადაც ქალები მათ სათანადოდ დამუშავებას იწყებდნენ.

ასე, საღამოს ხუთი საათისათვის, საჭმელებით გაზვინულ სუფრას შემოვუსხედით, სადაც ჩვენ სხვა ქართულ ტრადიციასაც გავეცანით. სუფრაზე ჩემს მეტი სხვა ქალი არ მჯდარა. მხოლოდ მე მერგო ეს პატივი. დანარჩენი მანდილოსნები ცალკე გაშლილ სუფრას მიუსხდნენ. ზოგიერთი მათგანი კი არც დამჯდარა და მთელი საღამო კედელთან მდგომმა გაატარა.

მაგიდა სხვადასხვა, ძირითადად ჩემთვის უცნობი კერძებით იყო სავსე. სუფრის შუაში შემწვარი გოჭი იწონებდა თავს. ჩვენ აქ კიდევ ერთი მოულოდნელობა გველოდა - სუფრაზე მოტანილი თითქმის ყველა კერძი და მათ შორის გოჭიც, აბსოლუტურად ცივი იყო. საქართველოში უბრალოდ არ უყვართ ცხელი კერძები, რაშიც მე შემდეგშიც არაერთხელ დავრწმუნდი ამ ქვეყანაში ყოფნის მთელი დროის მანძილზე.

მაგიდის თავში ადგილი თამადამ დაიკავა. ეს არის ადამიანი, რომელიც ასეთი საზეიმო შეკრებების დროს ოჯახის უფროსისადმი პატივისცემის ნიშნად უძღვება სუფრას. მხოლოდ მას აქვს პირველი სადღეგრძელოს წარმოთქმის უფლება, რაც შემდგომ სუფრის ყველა წევრმა უნდა გაიმეოროს. თამადა პირველად აუცილებლად მშვიდობის სადღეგრძელოს შემოგთავაზებთ.

ჩვენი ლხინი ახალი დაწყებული იყო, რომ თამადამ წააჭრა გოჭის ყური და ჩემს მეუღლეს დაუდო თეფშზე. იეჟი დაიხარა და ყურში მიჩერჩულა:

- ხომ არ იცი, რა უნდა ვუყო ახლა მე ამას?

- ალბათ უნდა შეჭამო, - ვუპასუხე ოდნავი დაეჭვებით, - მაგრამ შენი ხასიათი რომ ვიცი, გირჩევ მაგ ყურს სხვა რაიმე საჭმელი გადააფარო ზევიდან.

შემდეგ გავიგეთ, რომ საქართველოში გოჭის ყური ნუგბარ საჭმელად არის მიჩნეული, რომელსაც მხოლოდ საპატივსაცემო სტუმარს მიართმევენ ხოლმე...

ძია იაგორა, რომელმაც რუსული არ იცოდა და ამიტომ არ შეეძლო უშუალოდ დალაპარაკებოდა თავის ძმიშვილს, იჯდა სუფრასთან თავისთვის წყნარად და იეჟის ისეთი კეთილი თვალებით შესცქეროდა, რომ მე სიკვდილამდე არ დამავიწყდება მისი გამოხედვა...

როდესაც ერთი თვის გასვლის შემდეგ ჩვენ სახლში გამოსამგზავრებლად მოვემზადეთ, ბიძა გამომშვიდობებისას, მიუხედავად იეჟის დიდი წინააღმდეგობისა, ხელებზე სწვდა მას და აღელვებულმა დაუკოცნა. ალბათ გრძნობდა, რომ მეტად ვეღარ მოესწრებოდა მის ნახვას. მართლაც, ორიოდე წლის გასვლის შემდეგ გავიგეთ მისი გარდაცვალების შესახებ. ჩვენ ვერ შევძელით საქართველოში მის დაკრძალვაზე ჩასვლა, პოლონეთში იმ პერიოდში სამხედრო მდგომარეობა იყო შემოღებული და მამასადამე, ჩვენ, პოლონელებს, კვლავ რაღაც გვქონდა აკრძალული...

რამდენჯერაც არ უნდა მოვიგონო საქართველოში ჩემი პირველი ყოფნა, იმდენჯერ ჩემს გონებაში იქ გატარებულ სხვა მშვენიერ მომენტებთან ერთად, ის შემწვარი გოჭი და ჩემი ქმრის თეფშზე დადებული მისი ცივი ყური ამოტივტივდება ხოლმე...

* ი. არონიშიძე, ფესვების ძიებაში ანუ გოჭის ყური, “Pro Georgia”, #6

11. მაიორი იეჟი (გიორგი) მამალაძე

ვარშავის ქართული კოლონიის ღირსეულ წევრის მაიორ იეჟი მამალაძის შესახებ ძალზე მწირი ცნობები მოგვეპოვება.

იგი მოიხსენიება კატინში რუსი “კაგებეშნიკების” მიერ დახვრეტილ პოლონელ ოფიცერთა შორის (15 ათასამდე ოფიცერი) და ასევე სიმბოლურ წარწერაში დედამისის საფლავის ქვაზე, ვარშავის სამხედრო სასაფლაოზე: “გარდაიცვალა კატინში 1940 წელს”.

იეჟი მამალაძის ყველაზე საუკეთესო ბიოგრაფი, ახლა უკვე ოთხმოცდაექვს წელს გადაცილებული მისი მეუღლეა. თუმცა ისიც ბევრს ვერაფერს იხსენებს. დოკუმენტები ვარშავის აჯანყების დროს დაიკარგა, არ არსებობს დაბადების მოწმობა, ქორწინების მოწმობა, ცნობები სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების შესახებ, წერილები და ა.შ. მეხსიერება კი მხოლოდ რამდენიმე სახელს, რამდენიმე თარიღს იხსენებს, დარჩა ასევე რამდენიმე ფოტოგრაფია, - ამბობს პანი ზოსია და სამი ძველი ალბომი მოაქვს, რომლებიც ჟამთა სრბოლისაგან საკმაოდ გაცვეთილია. ეს ალბომები 1939 წელს შეუფუთავთ და მიწაში შეუნახიათ. სხვაგვარად ისინი ვერ გადარჩებოდა. და თუ დღეს რაიმეს თქმა შეიძლება იეჟის შესახებ, სწორედ ამ ალბომების წყალობით. პანი ზოფია თვალისჩინივით უფრთხილდება მათ, როდესაც სურათი დამატებით რაიმეს გაახსენებს, ქვეშ მიაწერს პოლონურად, ზოგჯერ ქართულადაც, ქართული ასოებით ან ლათინური ტრანსკრიპციით. ეს ფოტოგრაფიები ძირითადად იეჟის პოლონეთში სამხედრო სამსახურს ეხება.

იეჟი მამალაძე საქართველოში დაიბადა 1895 წლის 25 დეკემბერს ინტელიგენტების ოჯახში. მამა ტარასი გიმნაზიის პროფესორი იყო, დედა კამილა მუსიკას და ფრანგულ ენას ასწავლიდა. ამ ქალბატონის დედა, ელისაბედი ხომ წარმოშობით ფრანგი იყო, მრავალშვილიანი ოჯახიდან, - მას ხუთი თუ ექვსი და ჰყავდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამუშაოს საძებნელად ემიგრაციაში წავიდა. ამგვარად მოხვდა საქართველოში, სადაც იგი გათხოვდა კიდევ. პანი ზოსია დარწმუნებით ვერ ამბობს, მისი ქმარი კარლო ქართველი იყო თუ არა. მაგრამ ის კი კარგად ახსოვს, რომ მას გორში აფთიაქი ჰქონია. კამილა 1873 წელს დაიბადა. მას ხშირად უყვარს ხოლმე იმის გახსენება, რომ იცნობდა სტალინს და ბავშვობაში მასთან ხშირად უთამაშია კიდევ (ამის თქმაზე მას სახე უბრწყინავს).

16 წლის, ანუ 1889 წელს პანი ზოფია ქართველ მამალაძეზე გათხოვდა. 1890 წლიდან 1900 წლამდე მათ ოთხი ბავშვი დაებადათ, - 2 ბიჭი და 2 გოგო. უფროსი ბიჭი იყო ჟერომი, უმცროსი გიორგი. გოგოებიდან უფროსს თამარა ერქვა, უმცროსის სახელი კი პანი ზოსიას არ ახსოვს. მან ისიც არ იცის კარგად, თუ როდემდე ცხოვრობდა მამალაძეების ოჯახი გორში და როდის გადასახლდა თბილისში. ის კი იცის რომ 1917 წლამდე ისინი ბედნიერად ცხოვრობდნენ, ბავშვები სწავლობდნენ, სახლს სტუმარი არ აკლდა, დედა მათ ფრანგულს ასწავლიდა. დედამისს თავის დებთან საფრანგეთში კონტაქტი გაწყვეტილი არ ჰქონდა. ამასთან, ერთი მათგანი პოლონეთის აჯანყების მონაწილეზე გათხოვდა, ასე რომ, მისთვის არც შორს მდებარე პოლონეთი იყო უცხო.

1917 წელს საბედისწერო გამოდგა მათი ოჯახისათვის. გიორგი ამ წელს კარგავს მამას. იქნებ სწორედ ამ მოვლენის გავლენითაც შევიდა იგი მენშევიკების მოხალისეთა არმიაში. მალე მას სამშობლოს დატოვებაც მოუწევს. იგი მრავალ სხვა ქართველთან ერთად თურქეთში გაიქცევა და იქ დაელოდება თავის ბედისწერას.

იოსებ პილსუდსკის წინადადებას პოლონეთის არმიაში სამსახურის შესახებ. 1922 წლის 12 ნოემბერს ისინი კონსტანტინოპოლიდან პოლონეთისაკენ გაემგზავრებიან. ალბომში შემორჩენილია სამი სურათი, რომელიც მათ გემზე გადაუღიათ. სურათებზე მხოლოდ თარიღი მოჩანს.

პოლონეთში ჩასული იეჟი სამხედრო სკოლაში გაივლის წელიწადნახევრიან სწავლებას. იგი კავშირგაბმულობის პოლკში მოხვდება. თუმცა მას საზღვაო პოლკში უნდა სამსახური, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, რადგანაც იქ მხოლოდ ერთი ქართველისათვის იყო გამოყოფილი ადგილი.

1924 წლის 1 აპრილიდან იეჟი ბიგდომშია, სამხედრო წვრთნებზე, სადაც იგი 1924 წლამდე დარჩება. 1925 წელს მას უკვე სამხედრო სამსახურში გაამწესებენ.

ამ ხანებში, ანუ 1923-25 წლებს შორის, იეჟის ჩააკითხავს მისი ძმა ჟერომი, რომელიც იძულებული გამხდარა ბოლშევიკებთან წაგებული ბრძოლის შემდეგ საქართველო დაეტოვებინა. საქართველო დაუტოვებია მათ დედასაც, რომელსაც პასპორტი ლეგალურად მიუღია და საფრანგეთისათვის შუფარებია თავი. როდესაც მან საფრანგეთში მიიღო იეჟის წერილი, სადაც იგი იტყობინებოდა, რომ კარგად მოეწყო პოლონეთში და შეუძლია მისი მიღებაც, იგიც შვილთან ერთად ჩადის საცხოვრებლად. ქალიშვილები საქართველოში, თბილისში რჩებიან; დედა მათ მხოლოდ ერთხელ მიწერს წერილს, მაგრამ არ სურს რა მათ ცხოვრება გაურთულოს, შემდეგ იგიც წყვეტს მათთან კავშირს. ქალიშვილები უკვე გათხოვილები არიან და ვინ იცის...

იეჟიმ, როგორც ჩანს, პირველი ალბომი პოლონეთში ჩასვლისას შეიძინა. იგი ქართველი მეგობრების თუ ნათესავების სურათებით იწყება. ეს სურათები 1916 და 1917 წლებით არის დათარიღებული. დღეს არ ვიცით, ვინ არიან მათზე წარმოდგენილები. იქნებ იქ მამამისია, ან ბიძა... იმის თქმა კი ნამდვილად შეუძლებელია, რომ იქ ნამდვილად არიან იეჟის დები, მისი მეგობრები... სურათებიდან მხოლოდ ერთზეა ქართული წარწერა: “ჩემი საყვარელი დედა”. შემთხვევით ვიცი, თუ რას ნიშნავს ეს: "Maja ukochana matka". ჟამთა სრბოლისაგან უკვე საკმაოდ გაცრეცილ ფოტოგრაფიაზე ვხედავთ ჩაფიქრებული, ლამაზი სახის ახალგაზრდა ქალს შავ კაბაში. რამდენჯერ უნდა დაეხედა იეჟის ამ სურათისათვის!... ალბომში განცალკევებით, ერთ ფურცელზე ორი ქალიშვილის სურათია წარმოდგენილი წარწერით: თამარა და ნინა წერეთლები, 1916 წელი. ალბათ მხოლოდ ეს შემოინახა ახალგაზრდა კაცის გულის პირველმა ამგერებამ...

საქართველოში და პოლონეთისაკენ მიმავალ გზაზე გადაღებული სურათების შემდეგ ჩნდება უკვე პოლონეთში შესრულებული სურათები. აი, ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ვარშავაშია გადაღებული, - ახალგაზრდა სამხედროები გამიშვლებული ხმლებით იჭონებენ თავს წვრთნებისაგან თავისუფალ დროს...

მაღზე საინტერესოა ბიგდოშში 1926 წელს გადაღებული ერთი სურათი, რომელსაც ქართული წარწერა ამშვენებს. ბატონმა დავით ყოლბაიამ (პოლონეთში მცხოვრები ქართველი მეცნიერი - ა.გ.) ამოიკითხა წარწერა. სურათზე გამოსახულია 1924 წლის ანტიბოლკშევიკური აჯანყების გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი. რომ არა ეს სურათი, აქამდე ცნობილი არ იყო, რომ ჩოლოყაშვილი პოლონეთში იყო ჩასული...

1925-1929 წლები სწრაფად გარბიან. იეჟი ბენიამინოვის ციხე-სიმაგრეშია. ერთ-ერთ სურათზე იგი გიტარით ხელშია გამოსახული. თითქოს გესმის კიდეც მის მიერ ნამღერი მშვენიერი მელოდიები. იგი უაღრესად მუსიკალური იყო, რამდენიმე ინსტრუმენტზეც უკრავდა, მათ შორის, პიანინოზეც. კარგი სმენა დაეხმარა იეჟის, რომ საკმაოდ მცირე დროში საკმაოდ სრულყოფილად აეთვისებინა მისთვის სრულიად ახალი ენა.

ამ ხანებამდე იეჟის ალბომიდან მხოლოდ ქართველი ქალები იწონებდნენ თავს. 1926 წელს კი მის ცხოვრებაში უკვე პოლონელი ქალები ჩნდებიან. მაგალითად, ერთ-ერთი სამხედრო წვრთნის დროს იგი რომციმევეების ოჯახს ეწვევა, სადაც ქალების წრეში გადაიღებს სურათს. ესაა მისი პირველი სურათი პოლონელ ქალთან. მალე ამ სურათს მრავალი სხვა სურათი მოჰყვება, სადაც იეჟი პოლონელ ლამაზმანებთან არის გადაღებული. 1927 წელს იეჟი მამალაძეს პოლონეთის კაპიტნის ჩინს მისცემენ.

ერთ-ერთ საზეიმო საღამოზე, 1930 წელს, რომელიც მის პოლკში მოეწყო, იეჟი გაეცნობა 18 წლის მომხიბლავ პოლონელ ქალიშვილს, ზოსია იაროშევსკას, რომელიც მეჯლისზე ბიძაშვილთან ერთად იყო მოსული. იგიც იეჟის მსგავსად ნახევრადობოლია. მამამისი იანი 1917 წლის რევოლუციის დროს დაიღუპა არხანგელსკში. ოჯახის დანარჩენი წევრები 1918 წელს ვარშავაში დაბრუნდნენ. სწორედ ვარშავაში დაასრულა ზოსიამ საშუალო სკოლა. იეჟი დროს არ კარგავს. ქალიშვილის თანხმობა და რამდენიმე დღის შემდეგ იეჟი მათ ოჯახს ეწვევა. ოჯახის წევრები მას კარგად იღებენ. მალე, 1930 წლის 7 ივნისს ახალგაზრდა წყვილი ჯვარს იწერს წმ. იეჟის (წმ. გიორგის) სახელობის ეკლესიაში.

სამწუხაროდ, ქორწინების შემდგომი ყველა ფოტოსურათი, ანუ “სამოქალაქო სურათები”, სხვა ალბომში იყო შენახული და იმის გამო, რომ მათი ბედი შედარებით უსაფრთხოდ ეჩვენებოდათ, დანარჩენი ალბომების მსგავსად მიწაში არ დაუმარხავთ. იგი ვარშავის აჯანყების დროს დაიწვა ოჯახის ყველა სხვა მონაგართან ერთად. ამიტომ არც ის სურათებია შემორჩენილი, რომლებიც ახალგაზრდა წყვილმა პარიზში საქორწინო მოგზაურობის დროს გადაიღო, 1931 თუ 1932 წელს. ამ ქალაქში მათ მეგზურობას იეჟის დედა უწევდათ, რომელსაც აღელვების გარეშე არ შეეძლო მათთვის ეჩვენებინა ტრიუმფალურ თაღზე გამოსახული პაპამისის, ნაპოლეონის გენერლის გვარი.

სურათების მეორე ალბომი 1934-37 წლებს შეიცავს. ერთ-ერთ სურათზე იეჟი და დედამისია გამოსახული რამოდენიმე ქართველთან ერთად.

იოზეფ პილსუდსკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით იეჟი ალბომში ჩააკრავს პროსპექტს, რომელსაც ქვეშ აწერია: რადიოტელეგრაფის პოლკის საპატიო ყარაული, პოლონეთის მარშალ იოზეფ პილსუდსკის ცხედართან ვარშავაში წმ. იანის (წმ. იოანეს) ეკლესიაში 1935 წლის 17 მაისს. პროსპექტზე იეჟის გვარიც არის მოხსენიებული.

მალე, მარშალ პილსუდსკის გარდაცვალების შემდეგ, მთელ პოლონეთში დაიწყება ფართომასშტაბიანი კამპანია, რომლის მიზანიც არის კრაკოვში პილსუდსკის საფლავზე, მისი სახელობის ყორღანზე მიწის დაყრა, ამ კამპანიაში პოლონეთში არსებული ქართველთა კოლონაც მიიღებს მონაწილეობას. ერთ-ერთ სურათზე ვხედავთ ქართველებს, რომელთაც ქართული მიწა მოაქვთ პილსუდსკის საფლავზე. ამ მსვლელობაში სხვა ქართველებთან ერთად იეჟიც მიიღებს მონაწილეობას. სურათი 1935 წლის 20 ივლისშია გადაღებული.

ამავე წლით დათარიღებულ სურათზე გამოსახულია რამდენიმე სურათი რადომიდან, სადაც მისმა ძმამ, ჟერომმა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მოაწყო. აქვეა მშვენიერი ქართველი ქალის სურათი... მას ასეთი წარწერა აქვს: აკა უგრეხელიძე, ლვოვი 1935 წელი.

1936 წელს ერთ-ერთ სურათზე ქართული ემიგრანტის შალიკო ფურცელაძის გარდაცვალების მომენტია გამოსახული, სურათს ლათინური ასოებით ქართული წარწერა ახლავს: “გასვენება 1936 წელს, ვარშავაში, სამხედრო სასაფლაოზე.”

ამ ფოტოგრაფიაზე ლათინური ასოებით გაკეთებული ქართული წარწერა ერთგვარი ყივილია სამშობლოს მონატრებული სულისა! საქართველო თანდათან შორდება მას, იგი თანდათან მიუწვდომელი ხდება, იეჟი დროთა განმავლობაში უსისხლხორცდება პოლონეთს, მაგრამ სამშობლოს დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს ეს ვერ უნაზღაურებს. ეს განსაკუთრებით შემდეგი პერიოდის ალბომებიდან გამოსჭვივის.

1937 წელს იეჟის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას აქვს ადგილი. იგი მამა ხდება. ამ პერიოდის ალბომის სურათების უმრავლესობა სწორედ ამ ოჯახურ იდილიას ასახავს.

1938 წლის ალბომი ერთი სურათის გამო გახდა განსაკუთრებული, კერძოდ, აქ არის გამოსახული ვარშავის დაცვის გმირი პოდპოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე თავის მეუღლე მალგოჟატა თევზაძესთან ერთად.

ამ წელს იეჟი მამალაძე მაიორის ჩინსაც მიიღებს. შემდგომი პერიოდის ალბომებში იეჟი უკვე მაიორის სამხრეებით არის გამოსახული.

1938 წლის 5 ივლისს იეჟის დედა გარდაიცვლება. სამწუხაროდ, იეჟის მისი გამოგლოვების დროც კი არა აქვს. იწყება ინტენსიური სამხედრო წვრთნები, შემდეგ ომიც. მათი პოლკი წითელმა არმიამ ჩაიგდო ხელში. ეს კი ძალზე ცუდი მოვლენის მაუწყებელია საქართველოდან პოლიტიკური მოტივებით ემიგრირებული იეჟისათვის. ამით შეშინებული იგი გვარს "მალინოვსკად" იცვლის და ამ მანევრით ცდილობს კომუნისტების სასჯელს გადაურჩეს. ვლადისლავ მალინოვსკი იყო მათი პოლკის სარდალი, რომელიც მცირე ხნით ადრე გარდაიცვალა. ამ ცნობას ჩვენ ვტყობილობთ მისი სახელით მეგობრის მიერ გაგზავნილი წერილიდან, რომელიც იეჟის ცოლმა ვანდამ (ზოფია მეორე სახელი, კათოლიკთა წესისამებრ, ვანდა იყო).

ზოფია ომის დაწყების შემდეგ ქართველთა კლუბში კელნერად (მიმტანად) მოეწყო. სახელდობრ ქართველთა კლუბში იპოვის მას 1940 წლის ბოლოს, თუ 1941 წლის დასაწყისში ქმრის მეგობარი და იეჟის სიკვდილის შესახებ აუწყებს...

იეჟის ვაჟიშვილი, სახელად ასევე იეჟი, ფილტვების ანთებით გარდაიცვლება 1941 წელს, იეჟის ძმა, ჟერომი, ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე განქორწილდა ცოლთან. მისი ვაჟიშვილი ყოფილი ცოლის მეორე ქმარმა იშვილა და არ ატარებს მამის გვარს. ჟერომი ომმა ჯერ იტალიაში გატყორცნა, ხოლო შემდეგ არგენტინაში მოახვედრა, სადაც მან სამუდამო განსასვენებელი ჰპოვა.

ზოფია ქმრისა და ვაჟიშვილის გარდაცვალების შემდეგ საზოგადოებისაგან იზოლირებულად ცხოვრობდა. იგი ჰიტლერელებმა დააპატიმრეს და დიდი ხანი ამყოფეს საკონცენტრაციო ბანაკებში. ომის შემდეგ მან მეორე ოჯახი შექმნა. მაგრამ ეს უკვე სხვა ისტორიაა...

P.S. სურათების რეპროდუქცია ეკუთვნის სერგო ყურაშვილს.

12. მარია ბჟინოვსკა - ოცდაათიანი წლების ვარშავის ქართული კოლონიის ცხოვრების ნამცეცები იეჟი მამალაძის ალბომიდან

მე მქონდა ბედნიერება, მცნობოდა იეჟი მამალაძის მეუღლე, ზოფია მამალაძე, ამჟამად ბორისოვიჩი. მან გადმომცა იეჟის ომს გადარჩენილი ფოტოგრაფიული ალბომი, რომლის საფუძველზე „Pro Georgia“-ს წინა ნომერში შევეცადე წარმომედგინა მაიორ იეჟი მამალაძის სამხედრო კარიერა. თუმცა ალბომი ძირითადად სამხედრო ფოტოებს შეიცავს, მაგრამ მასში შიგადაშიგ ვხვდებით ვარშავის ქართული კოლონიის ამსახველ ფოტოებსაც.

1930 წელს ქორწინების შემდეგ სოფია და იეჟი პოვასკის ოფიცერთა ქალაქში დასახლდნენ იეჟის დედასთან, კამილა მამალაძესთან ერთად. მათი სახლი ქართველ

ემიგრანტთა თავშეყრის ადგილად გადაიქცა. სამშობლოდან გამოძევებული ქართველები იკრიბებოდნენ აქ, იხსენებდნენ საქართველოს და გულის დარდს უზიარებდნენ ერთმანეთს. ახალგაზრდა ცოლ-ქმარის საზოგადოებაში ისინი თავს მშვენივრად გრძნობდნენ. დედამთილმა ასწავლა სოფიას ქართული კერძების მომზადება, რადგან მათ სახლში უფრო მეტი ქართველი იყრიდა თავს, ვიდრე პოლონელი.

ქალბატონი სოფია იგონებს სხვა ორ ქალბატონსაც, რომლებმაც მისივე მსგავსად გაიზიარეს ემიგრანტ ქართველთა ცხოვრება და მათთან ერთად შექმნეს ოჯახი, ესენი იყვნენ მილგოჟატა თევზაძე და ელენე უგრეხელიძე. ელენე და თალიკო - ვიტალი უგრეხელიძე თავდაპირველად ლვოვში ცხოვრობდნენ, ხოლო 30-იანი წლების მეორე ნახევარში, ისინი პოზნანში გადასახლდნენ. ლვოვიდან წასვლის ერთი თვით ადრე ისინი ესტუმრნენ იუჟის და სოფიას. სოფია იყო ნათლიდედა, იან ტერიაშვილთან ერთად, ელენეს და თალიკოს ქალიშვილის, აკასი, რომელთან კავშირი მან 70-იანი წლებში კვლავ აღადგინა. ქალბატონი აკა ამჟამად ლონდონში ცხოვრობს. მან თავის დროზე გაიხსენა (ეს იმ დროს იყო, როდესაც ჯონი შალიკაშვილი ნატოს შეიარაღებული ძალების უფროსად დანიშნეს), თუ როგორ სტუმრობდნენ მამალაძეების ოჯახს მარია და დიმიტრი შალიკაშვილები, ხოლო იგი “ზოფია ძალოს” სახლში მაშინ პატარა ჯონისთან და მის ძმასთან ერთად თამაშობდა.

იმედი მაქვს ქალბატონი აკა დაწერს სრულ მოგონებებს თავისი მშობლების შესახებ. აქ კი მცირე ნაწილს მოვიტანთ იმისას, რაც მან ლონდონის პრესაში გამოაქვეყნა.

იგი იხსენებს, რომ მისმა მშობლებმა ერთმანეთი თავად ალექსანდრე ბაგრატიონის ოჯახში გაიცნეს. მათ ჯვარი მამა გრიგოლ ფერაძემ დაწერა. თალიკო უგრეხელიძეს უყვარდა საქართველო და შეიყვარა პოლონეთიც. ამასთან, იგი არა მხოლოდ სამხედრო იყო, არამედ მთრგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა. მან ქართულ ენაზე თარგმნა ადამ მიცკევიჩის “პან თადეუში”, ალექსანდრე ფრედროს რამდენიმე პიესა, იან პარანდოვსკის წერილები და სხვ.

მამალაძეების ოჯახის ხშირი სტუმარი იყო მამა გრიგოლი, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი. როგორც ჩანს, კამილა (იუჟის დედა), გრ. ფერაძეს ჯერ კიდევ თბილისიდან იცნობდა. ისიც ცნობილია, რომ ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ ასევე პარიზშიც, სადაც კამილა, საქართველოდან გადასახლების შემდეგ გარკვეული ხანი ცხოვრობდა. ისინი მხოლოდ ქართულად როდი საუბრობდნენ ერთმანეთში. მამა გრიგოლმა სწორედ კამილასთან საუბარში სრულყო ფრანგული ენა. სწორედ მამა გრიგოლმა გადაიხადა პარაკლისი 1939 წელს კამილას დაკრძალვაზე.

იუჟი ყოველდღიურად იყო დაკავებული თავისი სამხედრო საქმით. ასევე იყვნენ სხვა ქართველებიც. ამიტომ ისინი თუმცა ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ

მათი შეხვედრები ძალიან მოკლე იყო ხოლმე. ბოლოს გადაწყვიტეს შვებულება ერთად გაეტარებინათ. ეს იყო 1934 წელს. ამ წელს ისინი ერთად ისვენებდნენ კურორტ ზალესჩიკში. ეს მართლაც რომ მშვენიერი ადგილია. წინა წელს სწორედ აქ ისვენებდა ი. პილსუდსკი. (M. Lepecki, Pamietnik adiutanta marszalka Pilsudskiego, PWN, Warszawa, 1987.). ქართველებმა შემდეგ წელსაც აქ გაატარეს შვებულება. მათ ეს ადგილები ალბათ იმიტომ მოსწონდათ, რომ იგი ძალზე წააგავდა საქართველოს. აი, რას წერს აღნიშნულ წიგნში პილსუდსკის ადიუტანტი ლეპეცკი: “დნესტრის დაბლობ ადგილას მდებარე ზალესჩიკი ყველაზე მეტად მზიანი და თბილი ადგილია მთელ პოლონეთში. მხოლოდ აქ ხარობს ვაზი, მხოლოდ აქაურებს აქვთ გარგარის და ატმის ბაღები, აქ იზრდება ველური ნუში. აქ თითქმის ყველა ოჯახს აქვს ვენახი და სამხრეთული ხეხილის – ნესვისა და საზამთროს ბაღები”.

საზაფხულო კოსტიუმები, მზის საწინააღმდეგო ფერად-ფერადი ქოლგები, ერთად თამაში და გართობა, გაზეთ “კურიერის” კითხვა, ახლო-მახლო მიდამოების ერთად დათვალიერება, - აი, ყველაფერი ის, რაც იეჟი მამალაძის ალბომმა შემოგვინახა. სამწუხაროდ, ქალბატონ ზოფიას აღარ ახსოვს ყველა მათი სახელი და გვარი, რომლებთან მან ქმართან ერთადაც 1934-35 წლების შვებულება გაატარა.

ქართველ ემიგრანტთა ცხოვრების სხვა ეპიზოდი, როდესაც მათ ერთად გადაიღეს სურათი, იყო მარშალ პილსუდსკის ყორღანზე მიწის დაყრა. ამ სურათზე ჩვენ ვხედავთ ორმოცდაათ ქართველს, მათთან ერთად პატარა ბავშვებსაც. ამავე პერიოდში მათ ერთად მოინახულეს ასევე კრაკოვიც. ამ ქალაქში მათი ყოფნის ამსახველი რამდენიმე სურათია შემორჩენილი, მ.შ. ვაველზე (პოლონელ მეფეთა დაკრძალვის ადგილი – ა.გ.).

მე შევეცადე მომეძია რაიმე წყარო ქართველთა მონაწილეობის შესახებ პილსუდსკის ყორღანზე მიწის დაყრის ცერემონიაზე. ვფიქრობდი, რომ იარსებებდა რაიმე სამახსოვრო წიგნი, სადაც ამ პროცესიაში მონაწილე ქართველთა გვარი და სახელი მაინც იქნებოდა დაფიქსირებული. სამწუხაროდ, მსგავსი არაფერი არ აღმოჩნდა. ამის შესახებ არც მაშინდელ პრესაშია რაიმე ცნობა. მხოლოდ ერთ ფოტოსა აქვს იეჟის ხელით გაკეთებული წარწერა: ”1935 წლის 20 ივლისი”. პილსუდსკის ყორღანის ზედამხედველობის კრაკოვის კომიტეტს არა აქვს ცნობა იმის შესახებ, საერთოდ არსებობდა თუ არა ამგვარი სამახსოვრო წიგნი. იქნებ საერთოდაც არ ყოფილა ასეთი ტრადიცია?! ყორღანის ფორმირების პროცესიაში ხომ ათასობით ადამიანი მონაწილეობდა!

სხვა ეპიზოდს, რომლის დროსაც იეჟის სურათზე ერთად შეკრებილი (თუმცა მცირერიცხოვანი) ქართველებია გადაღებული, ადგილი ჰქონდა 1936 წელს. სამწუხაროდ, ეს იყო სამგლოვიარო პროცესია, ანუ ის დღე, როდესაც ქართველი ემიგრანტი შალვა ფურცელაძე დაკრძალეს. 1899 წლის 1 მაისს დაბადებული შალვა პოლონეთის არტილერიის კაპიტანი იყო. იგი 1936 წლის 1 ივლისს, ოტვოცკის

(პატარა ქალაქია ვარშავის ახლოს), სანატორიუმში გარდაიცვალა. მას ოჯახი არ დარჩენია. მოკრძალებულ ნეკროლოგს, რომელიც გაზეთ “შეიარაღებულ პოლონეთ”-შია დაბეჭდილი, ხელს აწერენ “თანამემამულეები”. ქართველებმა მის საფლავს, პოვოზკის სამხედრო სასაფლაოზე, სამახსოვრო ქვა დაადეს, რომელსაც მათი წარწერა ამშვენებს.

იეჟი მამალაძის ალბომის ზოგიერთი სურათი სხვა პროფესიონალი ფოტოგრაფის მიერ არის შესრულებული. ასეთი სურათები მიიღო იეჟიმ მაგალითად, თავისი უფროსი ძმა, ჟერომისაგან. ჟერომმა 1936 წელს რადომში ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ჩარჩოებში, მელიორაციის მიღწევების გამოფენა მოაწყო. ჟერომი სამხედრო არა ყოფილა. იგი განათლებით აგრონომი იყო. სამწუხაროდ, ვერც ამ გამოფენის შესახებ მივაკვლიე პრესაში რაიმე ცნობას.

იეჟის ძმა ჟერომი სხვა ფოტოებმაც შემოგვინახეს. 1938 წელს გადაღებულ ამ სურათზე, რომელსაც იეჟის ხელით უკანა მხარეს “მეორე დღე ჩვენთან” აწერია, იეჟის და მის ძმას ერთად ვხედავთ. აქვეა ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარეც. როგორც ჩანს, ეს სურათი ამ წლის დასაწყისშია გადაღებული.

და კიდევ ერთი მეტად საინტერესო ფოტოსურათი. იგი გადაღებულია მაშინ, როდესაც იეჟიმ და მისმა მეუღლემ საავადმყოფოში მოინახულეს ავადმყოფი თავადი ალექსანდრე ბაგრატიონი. ეს იყო 1938 წლის სექტემბერი.

თუ იქნებოდა თავადი კმაყოფილი საკუთარი თავი ასეთ ფორმაში რომ ენახა წიგნში? მაგრამ მან ხომ იეჟის სურათის გადაღების უფლება თავად მისცა?! თავადს მხარს უმშვენებენ მარჯვნივ მისი მეუღლე, ხოლო მარცხნივ სოფია მამალაძე.

თხრობა მხიარული ნოტიო გვინდა დავასრულოთ. ეს ბოლო სურათი 1938 წელს გარნიზონში მოწყობილ ქართველთა მეჯლისზეა გადაღებული. იეჟის პოლონეთში ჩამოსვლიდან ზუსტად 15 წელია გასული. რამდენიმე წელია გასული ასევე მისი ქორწინებიდან. მაშინ ყველას ეგონა, რომ ცხოვრება წინ იყო. ძალზე ძნელი იყო იმ დროს იმის წარმოდგენა, თუ რა მოხდებოდა მომავალში, მით უფრო, ემიგრანტთა ცხოვრებაში.

ვფიქრობ, რომ მკითხველი იეჟი მამალაძის მიერ ასე სათუთად შეგროვებულ და შემონახულ სურათებზე გამოსახულ ზოგიერთ ნაცნობს მაინც ამოიცნობს.

P.S. . წიგნში დასაბეჭდად სურათების ასლები გააკეთა სერგო ყურულიშვილმა, რაზედაც მას უდიდეს მადლობას მოვახსენებ.

P.S. S. 1998 წლის 11 ნოემბერს ვარშავაში გარდაიცვალა ზოფია ვანდა ბორისევიჩი, მამალაძის ყოფილი მეუღლე.

ქალბატონი ზოფია თითქმის მთელი სიცოცხლე, ახალგაზრდობიდანვე საქართველოსთან იყო დაკავშირებული.

ომის დროს ქალბატონი ზოფია “ჩარნულკას” ფსევდონიმით აქტიურად მონაწილეობდა ჰიტლერელების წინააღმდეგ კონსპირაციულ ბრძოლებში, რაც სათანადოდ დააფასა პოლონელმა ხალხმა. კერძოდ, იგი დაჯილდოებულია პარტიზანული ჯვრითა და არმია კრაიოვის ორდენით.

ქალბატონ ზოფიას დიდი წვლილი მიუძღვის ჟურნალ “pro georgia” დაარსებასა და გამოცემაში.

13. რომან გველესიანი

რომან გველესიანი (17. V. 1888 - 2. IV. 1949) პოლონეთის სამხედრო ნაწილებში მსახურობდა 1922 წლის 1 თებერვლიდან. თავდაპირველად იგი სახმელეთო ჯარებში იყო, ხოლო შემდეგ - კავშირგაბმულობის ოფიცერთა კორპუსში. მან პარალელურად 1923-24 წლებში ვარშავის უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი დაასრულა. ამ სასწავლებელში მისი კოლეგები იყვნენ გენერლები ალექსანდრე კონიაშვილი და ალექსანდრე ზაქარიადე და ასევე პოლკოვნიკი ნიკოლოზ ვაჩნაძე.

აღსანიშნავია, რომ ეს უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი რ. გველესიანმა ძალიან კარგი შეფასებით დაასრულა. აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ამ სასწავლებლის დამთავრებისას გენერალ ალექსანდრე ზაქარიადეს შეფასება “გამოჩენილი” მიანიჭეს.

სასწავლებლის დასრულების შემდეგ რ. გველესიანი იღებს ცნობას იმის შესახებ, რომ მისმა სამსახურმა შეიძლება ძალზე კარგი შედეგები მოიტანოს გენერალურ შტაბში. მართლაც, რ. გველესიანი გენერალურ შტაბში მსახურობდა ჯერ როგორც კომუნიკაციების განყოფილების უფროსი, ხოლო შემდეგ IV განყოფილების ხელმძღვანელი.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ასეთი დაფასებისა თავისი მეორე სამშობლოს, პოლონეთის მხრიდან თავიანთი სამსახურის აღსრულების დროს კონტრაქტის ოფიცრები გარკვეულად შეზღუდულები იყვნენ და არა ჰქონდათ ისეთივე უფლებები, როგორც ანალოგიური წოდების მათ კოლეგა პოლონელ სამხედროებს. მაგალითად, თუმცა ისინი ყოველმხრივ იყვნენ შემოწმებული გენერალური შტაბის 11 განყოფილების მიერ, მაგრამ მათ არ შეეძლოთ გასცნობოდნენ ოპერატიულსა და სამობილიზაციო გეგმებს. კონტრაქტის ოფიცრებისადმი ასეთი მიდგომის საჭიროება ზოგიერთ პოლონელ გამოჩენილ სამხედროშიც კი ეჭვს იწვევდა. ამის დასტურია, მაგალითად, ბრიგადის გენერლის, კავალერიის ბრიგადის ხელმძღვანელის სტანისლავ გრჟმოტ-სკოტნიცკის წერილი გენერალური შტაბისადმი, სადაც იგი ამ საკითხის განმარტებას მოითხოვდა. პასუხად მან გენერალური შტაბის 11

განყოფილების ხელმძღვანელის, თეოდორ ფურგალსკისაგან მიიღო წერილი, სადაც ეს უკანასკნელი ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ არ შეიძლება ამ საკითხში დაშვებული იქნეს რაიმე გამონაკლისი.

სამწუხაროდ, არ არის სრულად ცნობილი პოლკოვნიკ რომან გველესიანის სამხედრო სამსახურის მთელი პერიპეტეები. ცნობილია, რომ 1927-29 წლებში იგი იყო პულავის მენადმეთა 2 პოლკის მეთაურის მოადგილე, ხოლო 1930 წლიდან კი იგი ფეხოსანთა 4 დივიზიის შტაბშია.

1937 წელს გადაღებული ერთ-ერთი ფოტოსურათიდან პოლკოვნიკი რ. გველესიანი ძალზე სერიოზული სახით გამოიყურება. იგი ამ დროს 49 წლისაა, თითქმის გამელოტებული, გაჭაღარავებული. როგორც ჩანს, ადამიანები იმ ეპოქაში ადრეულ ასაკში ბერდებოდნენ.

1938 წლის გაზაფხულზე პოლკოვნიკი გველესიანი კრაკოვშია, სადაც იგი ფეხოსანთა 6 დივიზიის ხელმძღვანელის მოადგილეა. მალე იგი ერთ-ერთ საჯარისო განაყოფის, - “კრაკოვის” ხელმძღვანელობას ჩაიბარებს და ამ პოსტზე მოუსწრებს მას II მსოფლიო ომი.

სამწუხაროდ, იმ სამხედრო ნაწილებს, რომლის ერთ-ერთ დანაყოფსაც რ. გველესიანი ხელმძღვანელობდა, არ შეეძლოთ მომხვდურთა დიდი ძალების მოგერიება. არსებობს ცნობა, რომ რ. გველესიანს არმია “კრაკოვის” სარდლის, ბრიგადის გენერლის ანტონ შილინგის ბრძანებით დაევალა მდინარე ვისლაზე არსებული გადასასვლელის დაცვა. რ. გველესიანის შემდგომი დაწვრილებითი მონაწილეობა ამ ომში ჩვენთვის უცნობია.

არსებობს ასევე ცნობა, რომლის თანახმადაც პოლკოვნიკი რ. გველესიანი პრჟემისლშია, ბრიგადის გენერალ ბოლესლავ იატელნიცის შტაბში. იგი მალე მისი მოადგილეც ხდება. ამ დაჯგუფებას ძალზე რთული ამოცანის შესრულება დაევალა. მათ უნდა დაეცვათ დნესტრის 170 კილომეტრიანი ხაზი და ეს არარეალური ამოცანა სულ რაღაც 3 ათას ჯარისკაცს უნდა შეესრულებინა, რომელთაგან მხოლოდ მესამედი იყო შეიარაღებული და ისიც უვარგისი იარაღით. ეს სამხედრო დაჯგუფება დაუცველი იყო ასევე ზურგიდანაც, სადაც თანდათან ხშირდებოდა უკრაინელთა დივერსიები.

როდესაც წითელი არმია პოლონეთის საზღვარს გადავიდა. ამ ქვეყნის არმიის აქ მყოფმა ნაწილებმა ქვეყანა დატოვეს და რუმინეთში გადავიდნენ. მათთან ერთად იყო რ. გველესიანიც, რომელიც შემდეგ საფრანგეთში მოხვდება. იგი იქაც პოლონეთის არმიაში მსახურობს. საფრანგეთის დაცემის შემდეგ იგი დიდ ბრიტანეთში გადადის. რ. გველესიანი ამჯერადაც შოტლანდიაში დაბანაკებულ პოლონეთის არმიაშია. ომის

შემდეგ პოლკოვნიკი დიდ ბრიტანეთში რჩება და აქ მას, სხვათაშორის, პოლონელთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ ირჩევენ.

რ. გველესიანი ლონდონში გარდაიცვალა 61 წლის ასაკში. იგი აქვეა დაკრძალული.

14. ალექსანდრე ალავიძე

პოლონეთის არმიაში სამსახური ალექსანდრე ალავიძემ 1922 წელს დაიწყო. იგი ჯერ კაპიტანია, ხოლო მალე მაიორის ჩინსაც მიანიჭებენ. იგი თავიდანვე საავტომობილო ნაწილებში მსახურობს. 1929-1930 წლებში „ალექსანდრე ალავიძე ლოძში, 4-ე საავტომობილო დივიზიაში მსახურობდა.

ქართველი მაიორი მაღალი, გამხდარი, საკმაოდ გამელოტებული მამაკაცია. მას ტიპური ქართული ცხვირი და ასევე ტიპური ქართული უღვაშები აქვს. და კიდევ ერთი, მისთვის დამახასიათებელი თვისება. მაიორი იშვიათად იღიმება, განსაკუთრებით, ფოტოსურათებში.

ომში მისი მონაწილეობის მცირე დეტალებია შემორჩენილი. იგი ომს გადაურჩა. როგორც ჩანს, მას ოჯახი არ შეუქმნია, რადგან მის შესახებ ყველა დოკუმენტში მოხსენებულია როგორც უცოლო. იგი პოლონეთში გარდაიცვალა და აქვეა დაკრძალული.

15. პლატონ თაყაიშვილი

პოლონეთის შეიარაღებულ ძალებში პლატონ თაყაიშვილი 1922 წლის 17 დეკემბერს ჩაირიცხა. ვარშავაში მან სამხედრო სკოლაში კურსებიც დაამთავრა 1923 წლის 3 ივლისს. ამ დროს მასთან ერთად კურსებზე სხვა ქართველებიც სწავლობდნენ.

სწავლის დასრულების შემდეგ არტილერიისტი, პოდპოლკოვნიკი პლატონ თაყაიშვილი პოზნანში მსახურობდა, არტილერიის 7-ე დივიზიაში. იგი ბატარეას ხელმძღვანელობდა. ომის დროს მას მოუწია საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მიღება როგორც ვარშავაში, ისე ლვოვში.

ომის დასრულების შემდეგ მაიორის წოდებით თაყაიშვილი პოლკის უფროსის მოადგილეს, გნეზნოში. შემდეგ მას ვარშავაში გადაიყვანენ და პოდპოლკოვნიკის წოდებას მიანიჭებენ. დოკუმენტებიდან ირკვევა ისიც, რომ პ. თაყაიშვილი 1946-47 წლებში არტილერიის პოლკის უფროსია. ამავე პერიოდში იგი დაქორწინდება. სამწუხაროდ, მისი შემდგომი ბიოგრაფიის დადგენა შეუძლებელი ხდება.

16. ვარშაველი მაია წყნეთელი

ვარშავაში, პოვოზკის სასაფლაოზე მხოლოდ გამოჩენილ ადამიანებს კრძალავენ. ამიტომ ამ სასაფლაოზე სრულიად ახალგაზრდა (16 წლის) ქართველი გოგონას, “ირინე სხირტლადის” (ასე აწერია მის საფლავის ქვას), დაკრძალვა, მართლაც რომ, საინტერესო ამბავია.

ირინე სხირტლაძე ვარშავის ერთ-ერთი დამცველი იყო. იგი გერმანელის ტყვიამ 1944 წლის 14 სექტემბერს, ქალაქის აჯანყების დროს იმსხვერპლა.

მცირე რამ ისტორიიდან:

საბჭოთა ჯარები გერმანელებს ამარცხებდნენ და წინ მიიწევდნენ. მათ უკვე აღებული ჰქონდათ პოლონეთის გარკვეული ნაწილი და ვარშავას უახლოვდებოდნენ. ეს 1944 წლის მეორე ნახევარია. და ამ დროს, 1 აგვისტოს პოლონეთის ეროვნული მთავრობის, რომელიც ემიგრაციაში იყო, გადაწყვეტილებით, იწყება ვარშავის აჯანყება. ამ არმიის ხელმძღვანელობა (იგი ცნობილია არმია კრიოვას (ეროვნული არმია) სახელით). არ შეუთანხმდა არმია ლუდოვას (სახალხო არმია, რომელიც საბჭოთა ხელმძღვანელობის კარნახით მოქმედებდა) ხელმძღვანელობას და ჰიტლერების წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლა წამოიწყო.

ის, თუ რატომ მოხდა, რომ არმია კრიოვას ხელმძღვანელობამ აჯანყების თავისი გეგმა არ შეუთანხმდა საბჭოთა ხელმძღვანელობას, გამოწვეული იყო შემდეგით: პოლონეთის ემიგრაციულ მთავრობას თავად სურდა ქვეყანაში ძალაუფლება ხელში აეღო და პოლონეთისათვის საბჭოთა გავლენა აეცილებინა. არმია კრიოვას ხელმძღვანელობა ვარშავაში საბჭოთა ჯარების შესვლის წინააღმდეგი იყო. აჯანყება მარცხით დასრულდა. მის დამცველთა უმეტესობა (200000-მდე ადამიანი) დაიღუპა, ქალაქი დაინგრა...

ცნობილმა ქართველმა პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა სწორედ ირინე სხირტლაძეს უძღვნა ლექსი, სადაც ასეთი მშვენიერი სტრიქონებია:

“... მხოლოდ ცეცხლში

მხოლოდ ცეცხლში,

ცეცხლში გამოიკადა,

პოლონეთშიც, პოლონეთშიც,

საქართველოს იცავდა.

აჯანყდა და მტერი ხოცა,

ბინად ჰქონდა სანგარი,

საქართველოვ,

შენ ვინ მოგცა -

ვილი დასაკარგავი...”

ირინეს მამის, არკადი სხირტლაძეს ოჯახს, გორში, რკინიგზის ახლოს უცხოვრია. არკადის მხოლოდ ერთი ძმა ჰყოლია, გიორგი. არკადი 1899 წელს დაბადებულია. მამაც და დედაც, თუმცა თავად ვეტერინარები ყოფილან და იმ დროს საქართველოში გავრცელებული პარტახტიანი ტიფით დაავადებულებს მკურნალობდნენ, მაგრამ მალე თავად მათაც შეჰყრიათ ეს ავადმყოფობა და გარდაცვლილან.

შემდეგ არკადი პოლონეთში მოხვდება და ავიაციაში დაიწყებს მსახურს. აქ იგი პოლონელ ქალზე დაქორწინდება. მისგან არკადის 1928 წელს ორი ქალიშვილი შეეძინება. ირინე მისი უფროსი ქალიშვილი იყო; იგი 1928 წელს დაიბადა.

როგორც მამამ, ისე ქალიშვილმა თავი პოლონეთისგანთავისუფლებას შესწირა. ამ თემაზე მკითხველს შეუძლია ასევე წაიკითხოს ლარისა ხუბულური -ტატიშვილის წიგნი -“ მეორე სიცოცხლე”.

17. კაპიტანი ვანო ნანუაშვილი

ივანე ნანუაშვილი დაიბადა 1902 წელს თბილისში. მან, როგორც საქართველოს არმიის ოფიცერთა (კადეტთა) სკოლის კურსანტმა, ამ სკოლის სხვა პედაგოგ-მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომში. რუსეთის მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ იგი, ისევე როგორც კადეტთა სკოლის სხვა მოსწავლეები, საქართველოს მთავრობამ ემიგრაციაში წაიყვანა.

ივანე ნანუაშვილი ჯერ საბერძნეთის სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა, ხოლო შემდეგ პოლონეთის ანალოგიურ სასწავლებელში იქნა გადაყვანილი. II მსოფლიო ომში ივ. ნანუაშვილი პოლონეთის არმიის რიგებში იბრძოდა ჰიტლერელთა წინააღმდეგ.

პოლონეთში ცხოვრების დროს ივ. ნანუაშვილი წლების მანძილზე იყო ქართველ ოფიცერთა ასოციაციის აქტიური წევრი, მისი პოლიტიკური მდივანი და ასოციაციის ჟურნალის რედაქტორი. იგი ენერგიულად მონაწილეობდა ასევე იმ სხვა

პოლიტიკურ ორგანიზაციებში, რომლებიც ჩაბმულნი იყვნენ საქართველოსა და ყველა სხვა დაპყრობილი ერების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

1939-41 წლებში ივ. ნანუაშვილი გერმანელებს ჩაუვარდა ტყვედ, საიდანაც იგი იმ დროს გერმანიაში მცხოვრებმა გავლენიანმა ქართველებმა გამოიხსნეს. ამის შემდეგ ივ. ნანუაშვილი იატაკქვეშეთში გადავიდა და 1944 წელს ფრონტის ხაზი გადაკვეთა. მალე იგი ამერიკელებს შეუერთდება და მათი დახმარებით კვლავ პოლონეთის არმიას უბრუნდება, რომელიც მაშინ უკვე იტალიაში იბრძოდა.

1951 წელს ივ. ნანუაშვილი შეერთებულ შტატებში გადავიდა საცხოვრებლად და ამ ქვეყნის მოქალაქე გახდა.

ამერიკაში იგი ეწეოდა ძალზე აქტიურ სამწერლო და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. ამ პერიოდის ივ. ნანუაშვილის ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1973 წელს ნიუ-იორკში გამოქვეყნებული მეტად სოლიდური (ინგლისურ ენაზე, 400-მდე გვერდის მოცულობით), ნაშრომი: "რა უნდა იცოდეს თავისუფალმა სამყარომ რუსეთის შესახებ".

18. ვანო ნანუაშვილის წერილი აკაკი რამიშვილისადმი

(ვანო ნანუაშვილის წერილში, რომელიც აკაკი რამიშვილის ახლობელმა, ქალბატონმა მანანა დავითაშვილმა გადმოგვცა, ჩვენ არავითარი შესწორება არ შეგვაქვს. ამასთან დიდ მადლობას ვუხდით ქალბატონ მანანას ამ მეტად საინტერესო წერილებისათვის)

159-17th Avenue

San Francisco, Calif. 94121

U.S.A.

7 მარტი 1968.

ძვირფასო აკაკი:

გმადლობთ შენი პირველ მარტის წერილისათვის. ჩვენი მჭიდრო და მკვიდრი თანამშრომლობა დღეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

ამ წერილს ვწერ აჩქარებით, რომ რასაც მოვასწრებ დროზედ მოგაწოდო პასუხი შენ კითხვებზე. მალე მოგწერ დინჯ და სრულ წერილს.

სრულიად ვეთანხმები შენ აზრს. გავაკეთებ ყველაფერს, რის საშუალებას მომცემენ ჩემი პირობები. ბევრი ხალხი არ არის საჭირო. აქ მნიშვნელობა აქვს არა რიცხვს, არამედ მუშაობის ღირსებას.

დასავლეთის სახელმწიფოებში, ჩვენ საქმეს აქტიურად ებრძვის მხოლოდ ამერიკა და ამ ბრძოლას აწარმოებს კარგად გამოცდილ ახრანკა_ჩეკის გაერთიანებულ ძალების პროვოკაციულ მანერებით. აქ სურთ ძლიერი და დიდი რუსეთი, როგორც ერთადერთი ღირსეული და სასურველი პარტნერი და მოკავშირე მსოფლიოს დასაპყრობად. ამათი აზრით, ყველა დანარჩენ სახელმწიფოებს უნდა წეერთოს ხმა და აქტივობის უფლება საერთაშორისო სარბიელზედ, ესენი მხოლოდ სატელიტებად უნდა დარჩნენ ან რუსეთის ან ამერიკისა.

ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველა კონტაქტები და მოქმედებათა საშუალებანი. ამერიკა ძალიანაა დაინტერესებული, როგორც ჩვენი, ისე ყველა დაპყრობილ ერების მუშაობით, მაგრამ დაინტერესებულია ნეგატიურად, რომ ყველაფერი კარგად იცოდნენ, რა ხდება და როგორი პროვოკაციით მოსპონ ამ ერების მოძრაობა.

პასუხები შენ კითხვებზე. ქართული ტოლერანცია:

დავით აღმაშენებლის დროს (მეთერთმეტე საუკუნე), როდესაც საქართველო ძლიერი იყო და მეფობდა მთელ კავკასიაზედ, თბილისში არსებობდა სარელიგიო ორგანო, რომელშიც ქრისტიანული და მაჰმადიანური რელიგიის წარმომადგენელნი ერთად განაგებდნენ სარელიგიო საკითხებს და დავითის ორი ქალი მაჰმადიანებზედ იყვნენ გათხოვილნი.

ქართულ-პოლონური თანამშრომლობა დაიწყო პოლონელ კურნატოვსკიმ, რომელმაც დაარსა სოც. დემ. პარტია საქართველოსი. ქართულ სოც. ფედერალისტების ერთ-ერთი ლიდერთაგანი იყო პოლონელი გიორგი ზდანევიჩი. მჭიდრო თანამუშაობა დაიწყო და გრძელდებოდა რუსეთის სახელმწიფო დუმაში. პოლონურ ერთეულებს საქართველოში აწყობდა პოლკოვნიკი მაკარევიჩი. 1918 წლის მარტ-აპრილში ეს ერთეული შეუერთდა გენ. ჟელიგოვის ერთეულს ჩრდილოეთ კავკასიაში.

1922 წელს პილსუდსკის მთავრობამ მიიღო: პირველად ქართველი იუნკრები პოლონეთის სამხედრო სკოლებში, შემდეგ რამოდენიმე უფროსი ოფიცერი და ბოლოს უცხოეთში მყოფი ყველა ქართველი მხედარი და სხვა კავკასიელები.

ქართველ ოფიცერთა სია, რომელთაც თავი ისახელეს პოლონეთის ჯარში:

პპულ. თევზაძე - მიიღო ვირტუტი მილიტარი
მაიორი არონიშიძე- მიიღო ვირტუტი მილიტარი

კაპ. რატიშვილი - მიიღო ვირტუტი ლვოვის ბრძოლაში, დახვრეტილი იქმნა ბოლშევიკების მიერ ლვოვის კაპიტულაციის შემდეგ.

კაპ. მახარაძე - დაიღუპა კუტნოს ბრძოლაში

კაპ. ხუნდაძე - დახვრეტილი იქმნა გერმანელების მიერ ვარშავაში 1944წ.

კაპ. სხირტლაძე - დაიღუპა კატინში შეცვლილი გვარით.

კაპ. მამალაძე - დაიღუპა კატინში შეცვლილი გვარით.

პლკ ნიკოლოზ ვაჩნაძე - გარდაიცვალა გერმანელთა ტყვეობაში ბანაკ ბუხენვალში

კაპ. რუხიშვილი - გარდაიცვალა ბოლშევიკების ტყვეობაში.

ლტ. კაკაბაძე - გარდაიცვალა კომი სსრ ბოლშევიკების ტყვეობაში.

გენ. ჩხეიძე - გარდაიცვალა ბოლშევიკების ტყვეობაში.

ქართული მანქანის ყიდვა შეიძლება გერმანიაში, აკეთებს მას ფირმა ოლიმპია. მე რომ ვიყიდე, მაშინ ჯერ კიდევ არ იღებდნენ თითობლივ შეკვეთას. დღეს მთელ აქაურ დაწესებულებებში, ვისაც სჭირიათ ქართული მანქანები, იქ შეუკვეთეს და მიღება ძალიან ადვილია. ჩემი აზრით, კარგს იზამ, თუ იყიდი ორ მანქანას: ერთ პატარა “პორტაბლ“-ს და მეორე დიდს, ნორმალურს, მაგრამ არა ელექტრონისას. ყველგან სხვა და სხვა ძალაა და ყველგან სხვა და სხვა ტრანსფორმატორი დაგჭირდება. ისე კი ავტომობილშიც შეგიძლია სწერო. გიგზავნი იმ ფირმის ბარათს, რომელმაც მე გამიკეთა (მიყიდა). მე მგონი მანდ რო მიმართო, ყველა სავაჭრო დუქანი შეუკვეთავს თითონ გერმანიაში.

ამ წერილს უმატებ თანდართს იმ გერმანული ფირმისა, რომელმაც ჩემთვის შეუკვეთა მანქანა. ეს პირველი ცდა იყო და ამიტომ ძნელი იყო. ეხლა თითონვე დეეძებენ მყიდველებს.

ამ წერილთან ერთდროულად ვგზავნი საჰაერო ფოსტით "მხედარს", ნომერ 19, პილსუდსკის შესახებ. გთხოვ გამოყენების შემდეგ უკან დამიბრუნო.

აქ ამერიკული პრესა არ უშვებს არაფერს დაპყრობილ ერების სასარგებლოს და განსაკუთრებით, საქართველოსი. პირიქით, მუდამ სცდილობენ რამე საწინააღმდეგო შხამით გაუშონ და არც ამის პასუხის გაცემის საშუალებას იძლევიან. 1956 წელს არც ერთი წერილი არ გაუშვეს საქართველოს სასარგებლოდ, საწინააღმდეგოდ კი დაიწერა ექვსამდე წერილი. ისე ტენდენციაა, რომ საქართველო გამოიყვანონ, როგორც ყველაზე მაგარი კომუნისტური მხარე.

თუ გჭირია, შემატყობინე და გამოგიგზავნი რამოდენიმე ცალს (სანამ კიდევ მაქვს) ჩემ უკანასკნელ წერილს ინგლისურ ენაზე: “ლენინი და ეროვნებათა საკითხი”. ლონდონის უნივერსიტეტმა მთხოვა, რომ ყველა ჩემი ნამუშევარი მივაწოდო ხოლმე მათ.

გამარჯობით, მარად შენი (ხელმოწერილია: ვანო ნანუაშვილი)

19. იეჟი ირაკლი გომიაშვილი - პან პრეზიდენტი და დროშა

1937 წელს პარიზში ჩატარდა მეცნიერებისა და ტექნიკის საერთაშორისო გამოფენა; დედაჩემი, რომელმაც კარგათ უწყოდა ჩემი დიდი სურვილის შესახებ, დამეთვალაიერებინა ეს გამოფენა, შემპირდა, რომ პარიზში წამიყვანდა.

იმ პერიოდში ტურიზმი არ იყო ასე განვითარებული, როგორც დღეს და ძალზე იშვიათი ამბავი იყო, რომ 15 წლის ბიჭი საზღვარგარეთ წასულიყო. მაგალითად, ჩვენს კლასში მხოლოდ მე მხვდა ეს ბედნიერება.

მამინ, გარდა იმისა, რომ საზღვარგარეთ ტურისტული მოგზაურობა იშვიათი ხილი იყო, იგი ძალზე ძვირიც ჯდებოდა. მიუხედავად ამისა, დედა ამ მოგზაურობის აუცილებლობას ასაბუთებდა იმით, რომ ამის შედეგად მე შემეძლებოდა გამეფართოებინა მსოფლმხედველობა და ასევე გამემდიდებინა ჩემი ფრანგული ენის ცოდნა.

დედაჩემის დიდი მცდელობის შედეგად საოჯახო საბჭოზე გადაწყდა, რომ ჩვენ საზღვარგარეთ წავსულიყავით.

პარიზში ჩვენ უნდა გვეცხოვრა დედაჩემის ყოფილი ქმრის (ასევე ქართველის), იასე კეჭყამაძის (გარდაიცვალა ვარშავის დაცვის დროს, 1939 წელს), მეგობართან, ბატონ სარჯველაძესთან.

ბატონი სარჯველაძე პარიზში მაწონის წარმოებით ცხოვრობდა. მისი ფირმის სახელიც ეს იყო, - “გემრიელი მაწონი”.

მან ვარშავაში სწორედ თავისი ფირმის სარეკლამო ნიშანი გამოგზავნა, რომელიც ჩვენ უნდა გვჭეროდა ხელში, როდესაც პარიზში ჩავიდოდით, რათა მას ადვილად ვეცნეთ.

სარჯველაძის ოჯახი არც სამზარეულოში დალატობდა ქართულ ტრადიციებს. მათთან ხშირად აწყობდნენ მრავალრიცხოვან სადილებს. ამ წვეულებების დასახასიათებლად საკმარისია ერთი სიტყვაც კი - ისინი ქართული ლხინი იყო. სარჯველაძე ვერ იტანდა, რომ ასეთი შეხვედრებისას მაგიდაზე არ ყოფილიყო ქართული პური. ამიტომ მან თავის ეზოში ქართული პურის გამოსაცხოზად თონე ააშენა. ეს იყო კასრის მსგავსი რამ, რომელიც სანახევროდ მიწაში იყო ჩასმული. ფრანგი, რომელმაც თონე ჩადგა, გაკვირვებული იყო შეკვეთით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან ბრწყინვალედ შეასრულა თავისი საქმე.

ჩვენ პარიზში ორ თვემდე გავჩერდით და თითქმის ყველამ შევისწავლეთ ქართული პურის გამოცხოზა. ისე კი, რამდენი ცომი გავაფუჭეთ ამის შესწავლამდე,

რადგან მას არაფრით არ ეწადა გაჩერებულიყო თონის მხურვალე კედლებზე. სამაგიეროდ, შემდეგ პური მართლაც, რომ ბრწყინვალე გამოდიოდა, ჰქონდა საოცარი გემო და როგორც მე მახსოვს, ვარდისფერი შეფერილობა. მე იმასაც კი ვფიქრობ, რომ იგი გაცილებით გემრიელი იყო, ვიდრე ის პური, რომელიც მე ვჭამე ამ ამბებიდან 50 წლის შემდეგ საქართველოში. ჩვენს მიერ გამოცხობილი პირველი პურის აღსანიშნავად ბატონმა სარჯველაძემ სტუმრები დაპატიჟა, რათა მათაც ეგემათ იგი. ეს კი კვირა დღეს მოხდა, ეკლესიაში გადახდილი წირვა - ლოცვის შემდეგ.

მანამდე, ვიდრე ჩვენ პარიზში გავემგზავრებოდით, მამაჩემმა პიჯაკზე მიმაბნია დამოუკიდებელი საქართველოს დროშის ფორმის პატარა ნიშანი, რომელსაც იგი მანამდე განუშორებლად თან ატარებდა. სამწუხაროდ, მას ეს ნიშანი ჩემთვის არ უჩუქებია, მხოლოდ მათხოვა. მაშინ პოლონეთში ასეთი ნიშნები არ იყიდებოდა. როგორც მე მახსოვს, ეს იყო საიუბილეო ნიშანი, რომელიც ვერცხლისა და ბორდოსფერი ემალისაგან იყო დამზადებული.

ეკლესიაში იყო ასევე დემოკრატიული საქართველოს პრეზიდენტი ნოე ჟორდანიას. ეს იყო არც თუ ისე მაღალი, ჭაღარათმიანი, გამხდარი მამაკაცი;

ეკლესიიდან გამოსვლის შემდეგ ქართველები გარს შემოერთყნენ თავის პრეზიდენტს და რაღაცაზე დაიწყეს საუბარი (სამწუხაროდ, მე არც მაშინ და არც ახლა, არ ვიცი ქართული). მათ ჩემი არსებობის შესახებ სრულიად დაივიწყეს. მე ჩემთვის ვიდექი გვერდით და მოწყენილი ვუყურებდი მათ.

მოულოდნელად ბატონმა პრეზიდენტმა შემნიშნა და თავისი ყურადღება ჩემს ნიშანზე შეაჩერა. შემდეგ მან მიატოვა გარსშემოხვეული ქართველები, მომიახლოვდა, ხელი გამომიწოდა და ქართულად რაღაც მითხრა. ამასობაში ჩვენ ბატონი სარჯველაძეც მოგვიახლოვდა და ჩემი თავი წარუდგინა ჟორდანიას. ჩვენ ერთმანეთს ფრანგულად გავესაუბრეთ. ბატონმა პრეზიდენტმა თავზე ხელი გადამისვა და გზა მშვიდობისა მისურვა, რადგან პარიზში ჩვენი ყოფნის დრო უკვე ამოწურული იყო და ჩვენ პოლონეთში ვაპირებდით დაბრუნებას. სადამოს ვახშამი მართლაც, რომ ბრწყინვალე იყო, - ქართული ტრადიციისამებრ, - თამადითა და სადღეგრძელოებით. სამწუხაროდ, ბატონმა პრეზიდენტმა ვერ შეძლო იმ ვახშამზე მოსვლა. ყველა ჩვენს მიერ გამოცხობილ პურს მიირთმევდა და როგორც მე შევამჩნიე, მათ თვალეში ცრემლი კიაფობდა...

რამდენიმე დღის შემდეგ მე ვარშავაში დავბრუნდი და სინანულით დავუბრუნე ნიშანი მამას.

გავიდა დრო. მე ვიყიდე ასეთი ნიშანი, თუმცა ბევრად ჩამოუვარდებოდა მამაჩემისას. ამ ნიშანს მე ვარშავის ოკუპაციის დროსაც კი ვატარებდი.

1941 წელს მამა ტრაგიკულად დაიღუპა. იგი კუბოში თავის ნიშნიანად იწვა. მე მაშინ შევეუცვალე ნიშანი და დავიწყე მამაჩემის ნიშნის ტარება. ამ დროს ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მამა კვლავაც ჩემს გვერდით იყო და მამხნევებდა. მე მართლაც გადავიტანე კონსპირაციის მთელი საშინელებანი, ვარშავის აჯანყება, როდესაც რამდენჯერმე სასწაულებრივად გადავურჩი სიკვდილს. ვიმეორებ: მამა მართლაც სულ ჩემთან იყო, მეხმარებოდა და რწმენას მმატებდა. მე ერთი წუთითაც არ ვუშვებდი ჩემს გონებაში იმ აზრს, რომ ვინმეს შეეძლო ჩემი მოკვლა. სამწუხაროდ, აჯანყების შემდეგ, ვარშავაში დაბრუნების შემდეგ, ჩემმა საყვარელმა დედამ, რომელსაც სურდა ხიფათი თავიდან აეცილებინა, გაანადგურა მამას წიგნები და ხელნაწერები. მათ ის ნიშანიც თან გაჰყვა. თუმცა, მას არასოდეს არ უთქვამს, თუ რა გაუკეთა მან ამ საგნებს.

1990 წელს ჩემი ბიძაშვილისაგან მე საქართველოდან მივიღე ზუსტად ასეთი პლასტმასის ნიშანი. მიუხედავად ამისა, მე არა მტოვებს იმის იმედი, რომ როდესმე მივიღებ ნამდვილ ნიშანს, რომელიც რომელიმე იუბილეს აღსანიშნავად იქნება საქართველოში გამოშვებული. მე მაქვს იმის იმედიც, რომ როდესმე ხელს ჩამოვართმევ დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტსაც.*

P.S. თუ არა ვცდები, სარჯველადის ქალიშვილი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე დაბრუნდა საქართველოში.

იქნებ ვინმე იცნობს, მამაჩემის, იასე კეჭყამაძის მისივე განცხადებით, ნ. ჟორდანიასათვის პრეზიდენტის წოდების მინიჭება ფრანგული ენის ბრალია, რომელიც თავმჯდომარესა და პრეზიდენტს ერთი და იგივე სიტყვით, - *Prezident*, - ით გამოხატავს. თავად ფრანგები თავიანთ მთავრობის თავმჯდომარეს უწოდებენ *Monsieur le Prezident* და ამიტომაც ნოე ჟორდანიას უძახდნენ *le Prezident* მჟორდანია. ამ წიგნში აკაკი რამიშვილი წერს ასევე, რომ ნოე ჟორდანია თავად ხმარობდა წოდებას *Ancient Prezident du Gouvernement* (საქართველოს მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე). მას არასოდეს უხმარია წოდება - საქართველოს პრეზიდენტი.

* ამ წერილთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: ნოე ჟორდანია საქართველოს პრეზიდენტი არასოდეს არა ყოფილა. როგორც ნოე ჟორდანიას ვაჟი, აკაკი წერს თავის წიგნში: “ჩვენი შეცდომები” (თბ. @2000 წ.), დამოუკიდებელი საქართველოს არც ერთი დოკუმენტი არსად არ ახსენებს პრეზიდენტის პოსტს, ყველგან ლაპარაკია მთავრობის თავმჯდომარეზე მისივე განცხადებით, ნ. ჟორდანიასათვის პრეზიდენტის წოდების მინიჭება ფრანგული ენის ბრალია, რომელიც თავმჯდომარესა და პრეზიდენტს ერთი და იგივე სიტყვით, - რეზიდენტ, - ით გამოხატავს. თავად ფრანგები თავიანთ მთავრობის თავმჯდომარეს უწოდებენ *Monsieur le* რეზიდენტ და ამიტომაც ნოე ჟორდანიას უძახდნენ *le* რეზიდენტ მჟორდანია. ამ წიგნში აკაკი რამიშვილი წერს ასევე, რომ ნოე ჟორდანია თავად ხმარობდა წოდებას *ნციენტ რეზიდენტ დუ ოუვერნემენტ ეორგია* (საქართველოს

მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე). მას არასოდეს უხმარია წოდება - საქართველოს პრეზიდენტი.-ა. გ. ოჯახსაც? იგი ფერმაცვეტი იყო.

20. “შალიკაშვილები” *

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნიკო ჯავახიშვილმა 1997 წელს თბილისში, ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოსცა ნარკვევი “შალიკაშვილები (ფესვები, ტრადიციები, დღევანდლობა). “მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ეს წიგნი ავტორმა პირადად გადასცა 1997 წლის აგვისტოში საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფ აშშ-ის შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის იმჟამინდელ თავმჯდომარეს, გენერალ ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილს. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ ნ. ჯავახიშვილის წიგნის თაობაზე პოლონეთში დაბეჭდილი რეცენზიის ქართულ თარგმანს მცირეოდენი შემოკლებით. . ეს რეცენზია ცნობილმა პოლონელმა ისტორიკოსმა, დოქტორმა ანჯეი ფურიერმა ვარშავაში გამომავალ ჟურნალ “რო გეორგია”-ში დაბეჭდა. ჩვენ მიერ ქართულად თარგმნილი რეცენზია დაიბეჭდა გაზეთ “ქართული უნივერსიტეტი”-ის 1998 წლის 22 ოქტომბრის ნომერში.

1997 წლის სექტემბერში მსოფლიოს პრესაში გავრცელდა ცნობა იმის თაობაზე, რომ აშშ-ის შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალი ჯონ შალიკაშვილი, რომელიც ამ თანამდებობაზე 1993 წლის ოქტომბრიდან იმყოფებოდა, მალე დატოვებდა ამ პოსტს და პენსიაზე გავიდოდა. აქვე უნდა ითქვას, რომ გენერალი ფრიად საპატიო პიროვნებაა, რომელმაც აშშ-ის თანამედროვე თავდაცვითი პოლიტიკის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ჟურნალი “pro georgia” უკვე იუწყებოდა, რომ შალიკაშვილი პოლონეთს 1994 წელს ეწვია. ამჟამად კი ხელთა გვაქვს ქართველი ავტორის ნიკო ჯავახიშვილის მიერ თბილისში გამოცემული წიგნი, რომელშიც შალიკაშვილთა გვარის ისტორიაა გადმოცემული.

წიგნი ოთხი თავისაგან შედგება. შესავალში საუბარია ავტორის მიმოწერაზე გენერალ ჯ. შალიკაშვილთან. შემდეგ კი მოთხრობილია შალიკაშვილთა გვარის წარმოშობის, მისი კახეთის შტოს, აგრეთვე, პოლონეთის დროშის ქვეშ მებრძოლ ქართველ მხედართა (და მათ შორის, დიმიტრი შალიკაშვილის) შესახებ. ბოლო თავში ვეცნობით ამ გვარის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელის ჯონ შალიკაშვილის ბიოგრაფიას. წიგნს ერთვის გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია. მას ქართული გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდომარის იური ჩიქოვანის მიერ შედგენილი ჯ. შალიკაშვილის გენეალოგიური ტაბულა ახლავს.

ეყრდნობა რა ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომს, ნიკო ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ შალიკაშვილთა პირვანდელი გვარი როჭიკაშვილი ყოფილა. წიგნში ნაჩვენებია, რომ შალიკაშვილთა გვარის წარმომადგენლები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ XV-XVI საუკუნეების სამცხის, ხოლო შემდგომ ქართლისა და კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ზოგადი შესავლის შემდეგ ავტორი აღწერს შალიკაშვილთა საგვარეულოს გამოჩენილი წარმომადგენლების: გენერალ-მაიორ ანტონ სტეფანეს ძე შალიკაშვილის (1756-1821), მწერალ პეტრე შალიკოვის, რეჟისორისა და მსახიობის ვალერიან შალიკაშვილის და დიპლომატ სერგეი შალიკოვის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ვფიქრობთ, რომ სასურველი იყო მათი ღვაწლის უფრო ვრცლად წარმოჩენა.

წიგნში გაცილებით სრულყოფილად არის წარმოდგენილი შალიკაშვილთა საგვარეულოს კახეთის შტოს ისტორია. ცნობილი ქართველი გენეალოგის იური ჩიქოვანის მიერ შედგენილ ხსენებულ ტაბულაზე დაყრდნობით ავტორმა წარმოგვიდგინა დიმიტრი შალიკაშვილის უშუალო წინაპრები. კერძოდ, პაპა – გენერალ-მაიორი ივანე შალიკაშვილი (1813-66) და მამა – იოსები, რომელიც ნინო სტაროსელსკაიაზე იყო დაქორწინებული.

ნარკვევიდან დიმიტრი შალიკაშვილის ოჯახის შესახებ მრავალ საყურადღებო დეტალს ვგებულობთ. კერძოდ, თუ როგორ იზრდებოდნენ იმდროინდელი ბავშვები ბიბლიისა და ქართული ენის პოპულარული სახელმძღვანელოს - “დედა ენის” საფუძველზე. მოთხრობილია დიმიტრის მიერ მიღებული განათლების, ასევე მისი ძმის – დავითისა და დის – თამარის შესახებაც. აღნიშნულია, რომ სამხედრო განათლების მიღების შემდეგ დ. შალიკაშვილი 1914-1918 წლებში რუსეთ-გერმანიის ფრონტზე იბრძოდა, ხოლო მოგვიანებით, ანკარაში გახსნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოში მოღვაწეობდა. საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფის შემდეგ დიმიტრიმ პარიზს მიაშურა, საიდანაც პოლონეთში ჩავიდა.

თავი, რომელშიც შესწავლილია დიმიტრი შალიკაშვილის ცხოვრების “პოლონური პერიოდი”, გასაგები მიზეზის გამო, ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა. მასში კარგად არის ნაჩვენები ის ვითარება, რომელშიც 1921 – 39 წლებში ქართველ მხედრებს პოლონეთში უხდებოდათ ცხოვრება. ავტორი ხაზგასმით მიუთითებს, თუ როგორ კეთილგანწყობილნი იყვნენ ქართველებისადმი პოლონელები და, მათ შორის, სახელმწიფოს მეთაური მარშალი იუზეფ პილსუდსკი. აღნიშნულია, რომ ქართველებს ცხოვრებისა და სამსახურის ისეთივე პირობები ჰქონდათ შექმნილი, როგორც თვით პოლონელებს.

საგულისხმოა, რომ იმდროინდელი პოლონეთი ეკონომიკურ გაჭირვებას განიცდიდა. პირველი მსოფლიო ომის ფრონტებმა ხომ სწორედ მის ტერიტორიაზე

გადაიარა. ამიტომ მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს პოლონეთის მთავრობის გადაწყვეტილება – დახმარებოდა ქართველ ემიგრანტებს. იოლია დაეხმარო სხვას, როდესაც ამის საშუალება გაგაჩნია, ხოლო ძნელია ამის გაკეთება, როცა თავად გიჭირს.

სწორედ ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნამ შეაძლებინა პოლონეთის კავალერიის ოფიცერს – დიმიტრი შალიკაშვილს, რომ 1932 წელს შეექმნა ოჯახი. მან იქორწინა მარია რუდიგერ–ბელიაევაზე, რომელთანაც შეეძინა ორი ვაჟი: ოთარი (დაბ. 1933 წელს) და ჯონი, რომელიც 1936 წლის 27 ივნისს დაიბადა ვარშავაში. იმ სიმპათიური და კეთილგანწყობილი დამოკიდებულების შესახებ, რომლითაც პოლონეთში იყვნენ გარემოცული. ქართველი ემიგრანტები ხაზგასმით იუწყებოდნენ თავიანთ მემუარებში (ავტორს ციტირებული აქვს შალვა მაღლაკელიძის, შალვა ამირეჯიბის და ალექსანდრე ზაქარიადის მოგონებები). ამის შესახებ “პრო გეორგიას” ფურცლებზე აღნიშნავდა ასევე რობერტ კარაბინიცი (ტ. IV, გვ. 23-24). ნიკოლოზ მათიკაშვილისა და მიხეილ კვალიაშვილის მოგონებებზე დაყრდნობით, ნიკო ჯავახიშვილი სხვათაგან განსხვავებულ მონაცემებს გვაწვდის პოლონეთში მომსახურე ქართველ მხედართა რიცხოვნების შესახებ. ასევე განსხვავდება მის მიერ დასახელებული პოლონური ბრიგადის რიცხვი (10000) მარეკ მენდიკის მიერ დასახელებული ციფრისაგან (1500). ისინი პოლონეთში 1918 წელს დაბრუნდნენ და არა 1919 წელს, როგორც წიგნშია აღნიშნული. აქვე დავძენთ, რომ ამ ბრიგადას პოლკოვნიკი მროძინსკი მეთაურობდა, რომელიც 1918 წლის დასაწყისში საქართველოს მესვეურებს სახელმწიფო ობიექტების დაცვაში ეხმარებოდა. იგი ქართველთა მხარდამხარ იბრძოდა თურქეთთან შეტაკებებში. სავარაუდოა, რომ გერმანელთა მოთხოვნით, საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა 1918 წლის 26 ივლისს დაეშალა ხსენებული ბრიგადა. ქართველთა დახმარებით, დაახლოებით 400 პოლონელი დაუბრუნდა თავის სამშობლოს. გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლებმა ოფიცრებს დამატებით ოთხი თვის ხელფასიც მისცეს.

წიგნის ბოლო თავში აღწერილია მაიორ დიმიტრი შალიკაშვილის ოჯახის ისტორია, თითქმის ჩვენს დღეებამდე. საგულისხმოა, რომ წინა თაობის ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, რომელნიც გერმანელთა მხარდამხარ მებრძოლი ქართველების შესახებ ან საერთოდ დუმდნენ, ან კი ამ ფაქტს ყოვლად სამარცხვინოდ მიიჩნევდნენ, ნიკო ჯავახიშვილი ცდილობს ახსნა მოუძებნოს დიმიტრი შალიკაშვილისა და იმ სხვა ქართველთა ბიოგრაფიის აღნიშნულ დეტალს. იგი იქვე იხსენებს 1918 წელს, გერმანელთა მიერ საქართველოსადმი აღმოჩენილ რეალურ სამხედრო დახმარებას, რასაც უწინ შეგნებულად უვლიდნენ გვერდს. ავტორი წერს, რომ დიმიტრი შალიკაშვილი და მისი თანამოაზრე ქართველები, შევიდნენ რა გერმანელთა ხელდასხმით ჩამოყალიბებულ ქართულ ლეგიონში, მოქმედებდნენ პრინციპით: „ჩემი მტრის მტერი – ჩემი მეგობარია“. ამასთან, ავტორი აღწერს რა დიმიტრის სამხედრო სამსახურს საფრანგეთსა და იტალიაში, ხაზს უსვამს, რომ მას

არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ნაცისტურ აქციებში. ინგლისელთა ტყვეობისაგან იგი 1946 წელს განთავისუფლდა.

1944 წელს რუსების ვარშავაში შეჭრის შემდეგ, შალიკაშვილების ოჯახი ჯერ ბავარიაში, 1952 წელს კი აშშ-ში, პეორიაში (ილინოისის შტატი) გადასახლდა. მაშინ ჯონი (მალხაზი, რაც ქართულად სიცოცხლით სავსეს ნიშნავს; სწორედ ასეთი იყო მომავალი გენერალი ბავშვობაში) შალიკაშვილი 16 წლის იყო. ვარშავასა და გერმანიაში გატარებულმა წლებმა თავისი კვალი დააჩნია მას. ჯ. შალიკაშვილმა სრულყოფილად შეისწავლა პოლონური და გერმანული ენები, ხოლო ამერიკაში გადასახლების შემდეგ – ინგლისური, რომელზედაც მან უმაღლესი განათლება მიიღო. დედამ კი მას მემკვიდრეობით გადასცა რუსული ენის ცოდნაც.

თავად ჯონ შალიკაშვილისაგან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით წიგნში სრულყოფილად აისახა გენერლის ცხოვრების „ამერიკული პერიოდი“ და პროფესიონალი სამხედრო პირის 35 – წლიანი კარიერა. ჯონი დაქორწინდა ჯოან ელიზაბედ ციმპელმანზე, რომელთანაც მას შეეძინა ვაჟი – ბრანტი. გენერალი შალიკაშვილი საქართველოში ორჯერ – 1992-95 წლებში იმყოფებოდა. მეორედ იგი ძმასთან ერთად ჩამოვიდა. მას შეხვედრები ჰქონდა ედუარდ შევარდნაძესთან და სხვა ქართველ პოლიტიკოსებთან, მოინახულა მშობლიური მხარე – კახეთი (გურჯაანის რაიონი), სადაც სამხედრო ხელოვნების მუზეუმის გახსნა აქვს გადაწყვეტილი.

აღსანიშნავია, რომ ნიკო ჯავახიშვილის განხილული ნარკვევის სახით წიგნის ბაზარზე გამოჩნდა ფრიად საყურადღებო ნაშრომი, საიდანაც შალიკაშვილების ოჯახის ისტორიიდან მრავალ უცნობ ფაქტს ვგებულობთ. ეს ჩვენთვის იმითაცაა საინტერესო, რომ მასში საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება პოლონეთისადმი და გვიჩვენებს, თუ წარსულში რას ეყრდნობოდა პოლონეთ-საქართველოს თანამეგობრობა. ეს წიგნი მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს თანამედროვე პოლიტიკოსებს, რომელთაც მთელ რიგ მიზეზთა გამო ჯერაც ვერ მოუხერხებიათ ასეთი ძვირფასი ტრადიციების აღორძინება.**

* სტატია დაიბეჭდა ქართულ-პოლონური საზოგადოების ორგანო “pro georgia”-ში.

**პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლის, პროფესორ ვოიცეხ მატერსკის წინამდებარე წერილი დაბეჭდილია ჟურნალ "pro georgia"-ს 1999 წლის მერვე ნომერში.

21. დიმიტრი შალიკაშვილი - X11 საუკუნის საქართველო

შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლისთავის აღსანიშნავად 1938 წელს პოლონეთის ქართულმა ემიგრაციამ სხვადასხვა სახის კულტურულ-

ლიტერატურული ღონისძიებები მოაწყო. ერთ-ერთი ასეთი იყო საიუბილეო კრებულის - "შოთა რუსთაველის" გამოცემა. ამ კრებულში "დ. შ." ფსევდონიმით დაბეჭდილი იყო სტატია "X11 საუკუნის საქართველო". თუმცა სტატია თავისი მოცულობით ერთობ მოკრძალებული იყო, მაგრამ მისი წამკითხველი ადვილად შენიშნავდა, რომ ავტორი კარგად ერკვეოდა საქართველოს ისტორიის საკითხებში, იცოდა ქვეყნის ლიტერატურა და სხვ. ამასთან, ჩანს, რომ მისი ავტორი ბრწყინვალედ ფლობს პოლონურ ენასაც.

როგორც ირკვევა, კრიპტონიმის "დ. შ." – ს ქვეშ იგულისხმება ვოისკა პოლსკის ქართველი კონტრაქტის ოფიცერი, იუზეფ პილსუდსკის სახელობის პოლკის ზურგის უფროსი, მსოფლიოში ცნობილი გენერლის ჯონი (მალხაზ) შალიკაშვილის მამა, მაიორი დიმიტრი შალიკაშვილი.

შალიკაშვილების ოჯახი II მსოფლიო ომამდე ვარშავაში ცხოვრობდა. დიმიტრის ცოლად პოლონეთში მცხოვრები ემიგრანტი გენერლის ქალი ჰყავდა. მათმა ოჯახმა პოლონეთი ვარშავის აჯანყების (1944წ.) შემდეგ დატოვა და საცხოვრებლად ჯერ გერმანიაში, ხოლო 1952 წლიდან - ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა. გთავაზობთ აღნიშნულ წერილს.

*
* *

თუმცა შოთა რუსთაველი საერთოსაკაცობრიო, აბსტრაქტული შეხედულებების მატარებელი პოეტია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი არის X11 საუკუნის საქართველოს ტიპიური წარმომადგენელი.

როგორი იყო ამ ეპოქის საქართველო?

ქვეყნის გეოგრაფიულმა მდებარეობამ, რომელიც აზიისა და ევროპის გზის გასაყარზე მდებარეობს, ქართულ ეროვნულ კულტურაზე უდიდესი გავლენა მოახდინა.

საქართველოს უხსოვარი დროიდან ჰქონდა მჭიდრო კავშირურთიერთობა როგორც ევროპის, ისე აზიის კულტურულ ცენტრებთან. კერძოდ, იგი დაკავშირებული იყო საბერძნეთთან, რომთან, ბიზანტიასთან, სპარსეთთან და არაბეთთან. მრავალი თვალსაზრისით შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველო არის ხმელთაშუა ზღვის ლათინური კულტურის აღმოსავლეთით ყველაზე შორს გაწეული კულტურული ცენტრი.

საქართველომ განვითარების ყველაზე მაღალ დონეს X11 საუკუნეში, ბრწყინვალე თამარის მეფობის დროს მიაღწია. ამ ეპოქას სწორედ შეარქვა ისტორიამ სახელი - საქართველოს ოქროს ხანა. მაშინ ქვეყანას არაფერი ემუქრებოდა გარედან.

უფრო მეტიც: იგი წარმოადგენდა ახლო აღმოსავლეთის ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს. მაშინ ქვეყნის მართვა ისეთ ბრძნულ პრინციპებს ემყარებოდა, რომელთაგან მრავალი თანამედროვე მოთხოვნებსაც პასუხობს. ვხედავთ საპარლამენტო სისტემის ჩანასახებსაც. განათლება მაღალ დონეზე აყვანილი. X11 საუკუნის საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლებლები არა მხოლოდ რელიგიურ საფუძველს ეყრდნობა, არამედ არსებობს ისეთებიც, რომლებშიც მხოლოდ სამოქალაქო მეცნიერებებს ასწავლიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ აქ ლექტორები ასწავლიან არა მხოლოდ ანტიკურ ფილოსოფიას, არამედ საკუთარ ფილოსოფიურ მოძღვრებასაც.

ქვეყანაში ასევე მაღალ დონეზეა აყვანილი პოეზიისა და ხელოვნების თითქმის ყველა მიმართულება. არქიტექტურა, თავისი გაბედული გადაწყვეტილებებით, შორსა დგას უცხოური ფორმების ბრმად მიბადვისაგან.

თამარ მეფის ეპოქის საქართველო საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმებით ნამდვილად დგას იმდროინდელი სამყაროს სათავეში, ხოლო თავისი კულტურის არსით იგი წინ უსწრებს ევროპაში მაშინ არსებულ ჰუმანიზმის ეპოქასაც.

სწორედ ამ დროს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა შოთა რუსთაველი.

ქვეყნის განათლებისა და განვითარების ეპოქაში ქართველის ნიჭი და ენერჯია მხოლოდ იქით როდი იყო მიმართული, რომ თავისი სამშობლო დაეცვა. ამიტომ მაშინ ქართველის აზროვნებას შეეძლო აბსტრაქტული, ზოგადსაკაცობრიო სახე მიეღო. ქართველის მსოფლმხედველობას ხელეწიფებოდა გასცდენოდა საკუთარი ქვეყნის საზღვრებს, გათავისუფლებულიყო ყოველდღიური საზრუნავისაგან.

ეს შეეძლო შოთა რუსთაველსაც და სწორედ ამით აიხსნება მისი გენიალური თხზულების უცხო ენებზე თარგმნის უამრავი შემთხვევა, რასაც ამჟამად აქვს ადგილი.

უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ “ვეფხისტყაოსანი” ითარგმნება არა როგორც გარკვეული ერისა და გარკვეული ეპოქის კულტურის ძეგლი, არამედ როგორც ყოველი დროის აქტუალურ და გენიალურ აზრთა საგანძური.

დღევანდელი ლიტერატურათმცოდნეობა და კრიტიკა შოთა რუსთაველის თხზულებას აყენებს ისეთსავე დონეზე, რა დონეზეც დგას დანტეს “ღვთაებრივი კომედია”, მილტონის “დაკარგული სამოთხე”, შექსპირის დრამები თუ მიცკევიჩის ლირიკა.

მაშ რატომ არის იგი შედარებით ნაკლებ ცნობილი საქართველოს ფარგლებს გარეთ? იმიტომ, რომ აყვავების ხანა საქართველოსათვის შეცვალა ისტორიული

კატაკლიზმებით გამოწვეულმა შავბნელმა ეპოქამ. ამასთან, ქვეყანა ევროპისაგანაც იზოლირებული აღმოჩნდა.

დადგა დრო, როდესაც ამა თუ იმ დამპყრობს, ამა თუ იმ სახელმწიფოს უფრო ის გაეხადა მიზნად, რომ საქართველო აღეგავა პირისაგან მიწისა, რომ მისი კულტურისა თუ საერთოდ, არსებობის კვალიც კი აღარ დარჩენილიყო. მაგრამ ქვეყანა გადარჩა და კვლავაც ცდილობს ევროპასთან კავშირების დამყარებას, ცდილობს დაანახოს მას თავისი ჭეშმარიტი სახე.

22. ორი სამშობლოს გმირი - ვალერიან თევზაძე

ბევრი ქართველი ემსახურა ერთგულად და თავდადებით თავის მეორე სამშობლოს - პოლონეთს. ერთ-ერთი მათგანი იყო პოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე (ვალერიან კჟიჟანოვსკი, ფსევდონიმით - ტომასი).

ვალერიან თევზაძე დაიბადა 1892 წლის 28 იანვარს საქართველოში და გარდაიცვალა 1987 წელს, პოლონეთში.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე მონაწილეობდა საქართველოს დასაცავად გამართულ გმირულ ბრძოლებში.

ბოლშევიკებთან დამარცხების შემდეგ იგი ემიგრაციაში წავიდა. პოლონეთში მან დაამთავრა უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი და პოლკოვნიკის დიპლომი მიიღო.

ვალერიან თევზაძე სამწერლო მოღვაწეობასაც ეწეოდა. მას გამოქვეყნებული აქვს პოლონურ ენაზე დაწერილი წიგნი “კავკასია, გეოგრაფიული აღწერილობა” (ვარშავა, 1933 წელი). 1939 წელს იგი გმირულად იბრძოდა ვარშავის დასაცავად გამართულ ბრძოლებში. საერთოდ, მეორე მსოფლიო ომის დროს ვალერიან თევზაძე პოლონეთის არმიის (არმია კრაიოვა -ანტიბოლშევიკური, ანტისაბჭოთა სამხედრო ორგანიზაცია) მე-7 სახმელეთო დივიზიის შტაბის უფროსი და სარდლის მოადგილე იყო. ეს პოლონეთის უმაღლეს სამხედრო ხელისუფლებას შეუმჩნეველი არ დარჩენია და ვალერიან თევზაძე ამ ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი, “ვირტუტი მილიტარით” დააჯილდოვა (აღსანიშნავია, რომ ეს ჯილდო პირველად ნაპოლეონმა დააწესა და ომში გამოჩენილი გმირობისათვის პოლონელ მეომრებს აჯილდოებდა. შემდეგ იგი იუზეფ პილსუდსკიმ აღადგინა).

ერთ-ერთი ბრძოლის დროს ვ. თევზაძე გერმანელებს ჩაუვარდა ტყვედ. მათი ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ ვ. თევზაძე პოლონეთში (სილეზიაში) კონსპირაციულად ცხოვრობდა მოგონილი გვარით და სახელით, როგორც ვალერიან კჟიჟანოვსკი.

ვალერიან თევზაძეს ცოლად ჰყავდა პოლონელი ქალი მალგოჟატა ხმელნიკოვსკა. მათ შვილები არ შესძენიათ.

23. იეჟი ირაკლი გომიაშვილი - მოგონებები ვალერიან თევზაძეზე

პირველი მსოფლიო ომი დასრულდა. მთელს დედამიწაზე სიხარული გაბატონდა, რადგან სისხლი ნგრევა და სიკვდილი უკან დარჩა. დიახ, ეს იყო უდიდესი სიხარული, მაგრამ იმპერიალისტური ქვეყნები სულაც ჩქარობდნენ დაპყრობილი ერებისათვის დამოუკიდებლობა მიეცათ. ამიტომ მრავალი ოკუპირებული ხალხისათვის კვლავაც გრძელდებოდა ბრძოლა, თუმცა ამ ბრძოლაში დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად იბრძოდნენ და არა დამპყრობის ინტერესებისათვის. ამრიგად, ომის შემდგომი ქაოსიდან დაიწყო გამოძერწვა ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოებისა, რომელთათვისაც თავისუფლების ვარსკვლავმა იწყო ბრწყინვა.

ვალერიან თევზაძის ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული საკუთარ სამშობლოსთან. ქართველი ხალხის ტრაგედიის შემდეგ იგი პოლონეთში აღმოჩნდა, რომელიც მისი მეორე სამშობლო გახდა. ეს ის დრო იყო, როდესაც მარშალმა პილსუდსკიმ ხელი გაუწოდა გმირ ქართველ მეომრებს - პოლონელებით მრავალსაუკუნოვან უბედურებაში მყოფ ძმებს და მათ პოლონეთის არმიას სამსახური შესთავაზა. ამ პერიოდში პოლონეთის არმიაში 6 ქართველი გენერალი და მრავალი სხვადასხვა წოდების ოფიცერი მსახურობდა. ასევე მრავალი ქართველი ახალგაზრდა იუნკერი სწავლობდა პოლონეთის სამხედრო სასწავლებლებში.

ვალერიან თევზაძემ ნორმალურ ქვეყანაში დაიწყო ადამიანური ცხოვრება. დაამთავრა უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი, დაწერა წიგნი სახელწოდებით: - "კავკასია. გეოგრაფიული აღწერილობა". აქვე დაქორწინდა და ვარშავაში დასახლდა. მაგრამ დადგა ტრალიკული 1939 წელი. პოლონეთისათვის განსაკუთრებით სამარცხვინო და მწუხარების მომტანი იყო ამ წლის 1 და 17 სექტემბერი, როდესაც ორმა მოკავშირე სახელმწიფომ მთელ მსოფლიოს ომი გამოუცხადა. ეს კი მათ პოლონეთზე თავდასხმით დაიწყო. თავს დაესხნენ და ამოჟლიტეს ამ ქვეყნის მოქალაქენი.

ვალერიან თევზაძე, როგორც პოლონელი ოფიცერი, ფრონტზე წავიდა, რათა დაეცვა თავისი მეორე სამშობლო; მერე რა, რომ მეორე იყო, იგი ხომ ისევე ძლიერ უყვარდა, როგორც პირველი. ტყუილად როდი დაუჯილდოებია პოლონეთს იგი "ვირტუტი მილიტარის" ჯვრის ორდენით.

მოკლე, მაგრამ გმირული ბრძოლის შემდეგ (სხვათაშორის იგი ხელმძღვანელობდა ვარშავის დაცვის ჩრდილოეთის ფრონტს), ვ. თევზაძე

გერმანელებს ჩაუვარდა ხელთ. განთავისუფლების შემდეგ პოდპოლკოვნიკი თევზაძე დაუყოვნებლივ ჩაება იატაკქვეშეთის ბრძოლებში, სადაც იგი ომის დასრულებამდე დარჩა. მისი ფსევდონიმი იყო ტომასი. წითელი არმიის პოლონეთში შესვლის შემდეგ ვ. თევზაძის საქმე ისე იყო, როგორც იტყვიან ხოლმე - “ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო”. იგი ხომ პოლონეთის ეროვნული არმიის ოფიცერთა კორპუსის წევრი გახლდათ, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ებრძოდა და ანადგურებდა. ამიტომ იგი იძულებული გახდა დაეწყო არალეგალური ცხოვრება, მიეღო სხვა სახელი და გვარი, ცოლი, როგორც და, ისე გაეფორმებინა და ასე აებნია კვალი მდევნელისათვის.

ახლა კი, სჯობს სიტყვა თავად ვალერიან თევზაძეს გადავცეთ, რომელიც 1980 წლის 17 ნოემბერს შედგენილ ანდერძში შემდეგს წერს: “ვემზვიდობები რა ცხოვრებას, მსურს გაგანდოთ ერთი საიდუმლო - ჩემი გვარი და სახელია ვალერიან თევზაძე, ვარ პოლონეთის არმიის დიპლომირებული პოლკოვნიკი, დავიბადე საქართველოში, ვმონაწილეობდი ვარშავის დაცვაში 1939 წელს, როგორც ჩრდილოეთის ფრონტის სარდალი. ჩავვარდი გერმანელთა ტყვედ, ვარ “ვირტუტი მილიტარი“-ს მეხუთე კლასის ორდენის კავალერი, როგორც ქართველი გერმანელებმა ტყვეობიდან გამათავისუფლეს, ვისარგებლე თავისუფლებით და შევედი არმია კრაიოვას რიგებში, შეცვლილი სახელით და გვარით, როგორც ვალერი კჟიჟანოვსკი. 1944 წელს გამაგზავნეს არმია კრაიოვას მეშვიდე სახმელეთო დივიზიაში, სადაც ვმსახურობდი შტაბის უფროსად და დივიზიის სარდლის მოადგილედ. ომის შემდეგ ვცხოვრობდი ქვემო სილეზიაში, სადაც მრავალი წლის მანძილზე ვმუშაობდი. 60-იან წლებში ბევრი ვეცადე, რომ ჩემი ნამდვილი სახელი და გვარი დამებრუნებინა, მაგრამ ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ეს არ მოხერხდა.

1980 წლის 12 თებერვალს გარდაიცვალა მალგოჟატა ხმელიკოვსკა, იგი ჩემი და კი არა, მეუღლე იყო.

ვამხელ რა ჩემს ვინაობას, ვთხოვ მათ, რომლებიც მე დამმარხავენ, საფლავის ქვას ჩემი ნამდვილი სახელი დააწერონ. ამავე დროს, ვთხოვ ჩემი მეუღლის საფლავის ქვაზე წარწერილი მალგოჟატა ხმელიკოვსკაც გადააკეთონ მალგოჟატა თევზაძედ. ფული, რომელსაც მე გიტოვებთ, გთხოვთ გამოიყენოთ ჩემს დასაკრძალავად, საფლავის ქვების გასაკეთებლად და ასევე მომავალში სასაფლაოზე სისუფთავის დასაცავად (ძერჟინოვი, 1980 წლის 17 ნოემბერი)”.

ომიდან რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ ვ. თევზაძე მოულოდნელად ერთ პოლონელ ქალს, ქართველის ქვრივს ესტუმრა. თევზაძის შეკითხვაზე, თუ იცნო იგი (რადგან მათი ბოლო შეხვედრის შემდეგ მრავალმა წელმა განვლო), პასუხად სიხარულის ყვირილი მიიღო: ბატონო პოლკოვნიკო! ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ, დაიწყეს წარსულის გახსენება. იმ დროიდან დაიწყო ვარშავაში მცხოვრებ ქართველთა შორის შეხვედრები და მათ შორის ურთიერთობების აღდგენა.

პოლკოვნიკმა ვალერიან თევზაძემ ახალი პროფესია შეიძინა და მერყინოვის აბრეშუმის ფაბრიკის საფინანსო განყოფილების უფროსი გახდა. იგი დირექტორთან ერთად ხშირად დადიოდა მივლინებაში ლოდის სათაო ფაბრიკაში. ზოგჯერ, ასეთი მივლინებისას ისეთი კურიოზებიც ყოფილა, რომელთაც, შესაძლოა, საქმე გაერთულებინათ და ასეთი წვალეების შედეგად მოპოვებული წყნარი ცხოვრება ამღვრიათ. მაგალითად, ერთხელ სასტუმროში, რომელშიც ისინი შეჩერდნენ, მასთან ერთი მამაკაცი მივიდა, მხედრული სალამი მისცა და თავისი გვარი და სახელი, აგრეთვე სამხედრო წოდება მოახსენა. ვ. თევზაძემ გულისთქმას სძლია და მოსაუბრეს წყნარად უთხრა, რომ სამხედროში არასოდეს უმსახურია და იგი ფაბრიკის საფინანსო განყოფილების გამგეა. ამასთან, არც მოსაუბრეს იცნობდა. სხვა დროს კი, როდესაც ვ. თევზაძე დირექტორთან ერთად კერძო მაღაზიაში პროდუქტებს ყიდულობდა, უცებ მაღაზიის თანამშრომელს ყვირილი აღმოხდა; მან მეორე თანამშრომელს გასძახა: იანეკ, მოდი ვინ გაჩვენო! ჩემი პოლკოვნიკი მოვიდა! იანეკიც მოვიდა და კვლავ განმეორდა უწინდელი სიტუაცია. ასეთი შემთხვევები მრავლად ხდებოდა. ამიტომ დირექტორმა სთხოვა პოლკოვნიკს, სიმართლე გაეჩვენა მისთვის. პატიოსანი სიტყვის ჩამორთმევის შემდეგ, რომ საიდუმლოს შეინახავდა, პოლკოვნიკი ყველაფერს მოჰყვა.

უნდა დავუმატოთ ისიც, რომ “და-ძმა” კვიჟანოვსკები ცხოვრობდნენ სახლში, სადაც მათ გარდა რამდენიმე ოჯახი ბინადრობდა. მოხდა ისე, რომ პოლკოვნიკს ნერვებმა უმტყუნა და თავის მეზობელსაც გაანდო საიდუმლო. და მიუხედავად იმისა, რომ მისი ეს საიდუმლო უკვე რამოდენიმე ადამიანმა იცოდა, არავის გაუცია იგი. ერთ-ერთი ამნისტიის შემდეგ მე ვუთხარი პოლკოვნიკს (მაშინ იგი 70 წლის იყო), რომ საქვეყნოდ განეცხადებინა ყველაფერი. თავიდან ეშინოდა. ბოლოს მიიღო გადაწყვეტილება და მიმართა კაროლ მალეცუჟინსკის (რომელსაც იგი კარგად იცნობდა, რადგან მას ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი, ვ. თევზაძის მეგობრის ქალიშვილი) თხოვნით, რომ მას მოეხერხებია მისთვის გენერალ ბერლინგთან შეხვედრა. ეს გენერალი ვ. თევზაძის მეგობარი იყო სამხედრო სასწავლებლიდან და სატყეო სამინისტროში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა. გენერალთან ერთად წავედით. ჩვენ ძალიან კარგათ მიგვიღეს და ამ საქმეში დახმარებასაც შეგვპირდნენ. ოფიცერმა, რომელსაც ეს საქმე უშუალოდ ეხებოდა და რომელიც გენერალ ბერლინგის თხოვნით, ჩვენ უნდა დავგხმარებოდა, კარგა ხნის ლოდინისა და რამოდენიმე შეხვედრის შემდეგ ასეთი წინადადება მისცა ვ. თევზაძეს: იგი უნდა დარჩენილიყო კვიჟანოვსკის გვარზე. ხელისუფლება “ვირტუტი მილიტარი“-ის ორდენს ამ გვარზე გადაუფორმებდა და შესაბამისად, პენსიასაც გაუზრდიდნენ. ამ წინადადების პასუხად ვალერიან თევზაძე ადგა და კაბინეტიდან გაბრაზებული გამოვიდა. ეს საქმე ამით დამთავრდა. ამ შეხვედრას პოლკოვნიკმა თევზაძემ შემდეგი კომენტარი გაუკეთა: “ისინი ფიქრობენ, რომ მე ორდენისთვის ფულს მოვიტხოვ; მე კი მსურს, რომ დავიბრუნო ჩემი ნამდვილი გვარი და სახელი და ვცხოვრობდე ვარშავაში”.

მოგონება მსურს დავასრულო “ვირტუტი მილიტარი”-ს ორდენის კავალერის, პოლონეთის არმიის დიპლომირებული პოლკოვნიკის ვალერიან თევზაძის ანდერძის ერთი ციტატით: “როგორც ქართველი, ვისურვებდი, რომ საქართველოში ვყოფილიყავი დაკრძალული, მაგრამ ბედნიერი ვარ იმითაც, რომ დავიკრძალე გმირი და კეთილშობილი პოლონელების მიწაზე”.

24. იეჟი არონიშიძე - კაპიტანი იეჟი თუმანიშვილი

კაპიტანი იეჟი თუმანიშვილი პოლონეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მეზრძოლი იყო. იგი გახლდათ ზემოთნახსენებ თავად პავლე თუმანიშვილისა და მისი პოლონელი მეუღლის იადვიგა შიშკოს ვაჟი. ქალბატონი იადვიგა იყო ჟიტომირის გარნიზონის კომენდატის გენერალ ცეზარი შიშკოს ასული. აღსანიშნავია, რომ მისი პირველი ქმარი იყო პოლონელი დოქტორი სტროინოვსკი, რომელიც თბილისში მსახურობდა და ჭლეკით გარდაიცვალა. აღსანიშნავია ისიც, რომ დედის მხრიდან იეჟი თუმანიშვილი მრავალ პოლონელ დიდგვაროვან ოჯახს ენათესავება. რაც შეეხება მამამისს, პავლე თუმანიშვილს, იგი მრავალგზის აირჩიეს საქართველოს თავადაზნაურთა მარშლად. შემდეგ ეს თანამდებობა თავად სუმბათაშვილს ჩააბარეს.

იეჟი თუმანიშვილი დაიბადა 1916 წლის 21 ივნისს, მოსკოვში. მაგრამ მალე მთელი მისი ოჯახი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. აქ ისინი ცხოვრობდნენ 1921 წლამდე, ანუ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვამდე. ამ დროიდან იეჟის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება - ემიგრაცია, რომელიც პოლონეთში დამკვიდრებით დასრულდება.

თავდაპირველად ისინი გომიაშვილებთან დაიდებენ ბინას, ვარშავის გარეუბანში, ხოლო შემდეგ თავად ვარშავაში დასახლდებიან. ამ ქალაქში იეჟი სტეფან ბატორის (პოლონეთის მეფე – ა. გ.) სახელობის სასწავლებელში დაიწყებს სწავლას. მალე ისინი ვილნიუსში გადადიან საცხოვრებლად, სადაც იეჟი ლელეველის სახელობის (XIX საუკუნის ცნობილი პოლონელი ისტორიკოსი-ა.გ.) გიმნაზიაში აგრძელებს სწავლას.

უნდა აღინიშნოს, რომ 1930 წლამდე პავლე თუმანიშვილი რამდენიმე წლის მანძილზე იყო საქართველო-პოლონეთის საზოგადოების პრეზიდენტი ვარშავაში. ამ პერიოდში საზოგადოების საბჭოში შედიოდნენ ასევე ნიკოლოზ კანდელაკი, კონსტანტინე ტერიაშვილი და ალექსანდრე ყიფიანი.

1935 წელს იეჟი თუმანიშვილი, როგორც თავად იხსენებს, გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის პროტექციით მოეწყობა სამხედრო – საზღვაო სასწავლებელში, რომელიც ამ პერიოდში ტორუნში (პოლონეთის ერთ-ერთი სავოევოდო) მდებარეობდა. თავის მოგონებებში იეჟი თუმანიშვილი წერს, რომ სხვა მოსწავლეებისაგან იგი არაფრით გამოირჩეოდა, თუმცა, როგორც ჩანს, ეს არც მთლად ასე იყო. მაგალითად, ცურვაში

ჩატარებულ გამოცდებში იგი თანაკურსელთა შორის პირველი იყო, ასევე პირველობდა იგი მრავალ სხვა გამოცდებშიც. პოლონეთის სამხედრო-საზღვაო ძალების პორუჩიკის წოდებას იეჟი 1938 წელს მიიღებს.

ომის დაწყებისას იეჟი თუმანიშვილი ხომალდ “ბურჟაზე” (ქარიშხალი) იწყებს თავის სამხედრო სამსახურს. ამ გემზე მოუწია მას ომში მონაწილეობის მიღება. 1940 წლის გაზაფხულზე იგი გადაჰყავთ გემ “ურაგანზე”, რომელიც ატლანტიკის ოკეანეში გამართულ სამარ ოპერაციებში მონაწილეობს. აღსანიშნავია, რომ შემდეგ ეს ხომალდი პოლონეთის სამხედრო-საზღვაო ძალებს შეემატება.

1941 წლის 3 მაისს იეჟის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება. ამ დღეს იგი ჯვარს იწერს მარგარეტ ჰოგჰერზე, ინგლისელ ქალზე, რომელსაც დღემდე იანეჩკას უწოდებს. ამავ პერიოდში იეჟის აწინაურებენ. იგი გადაჰყავთ ხომალდ “კრაკოვიაკზე” და არტილერიის ოფიცრის წოდებას ანიჭებენ.

ამ ხომალდზე იეჟი იბრძვის 1943 წლის თებერვლამდე, ანუ მანამდე, ვიდრე ფიზიკურად ქანცგაწყვეტილი და გამოფიტული არ გადავა ნაპირზე და საკმოდ გრძელვადიან მკურნალობას არ დაიწყებს. დასვენებისა და ძალების მოკრების შემდეგ იგი სამხედრო ხომალდ “ტირპიტზე” გადაჰყავთ, რომელიც მალე ცხარე ბრძოლებში ჩაებმება ნორვეგიის ნაპირებთან.

იეჟი თუმანიშვილი ომს კაპიტნის ჩინით დაასრულებს. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მას მრავალ ორდენითა და მედლით დააჯილდოებენ და მათ შორის, “ვირტუტი მილიტარითაც”. იეჟი თუმანიშვილი მშვიდობის დროსაც გამოიჩინს თავს პოლონეთის საზღვაო-სამხედრო ძალებში სამსახურისას. ეს ამ ქვეყნის მთავრობის მიერ მისი მრავალგზისი დაჯილდოებით აღინიშნება.

მაგრამ მალე იეჟი თუმანიშვილი შეერთებულ შტატებში გადავა საცხოვრებლად და სამუშაოდ. აქ იგი ერთჯერადი ნემსების მწარმოებელ ქარხანაში დაიწყებს მუშაობას. პენსიაზე გასვლის შემდეგ იეჟი კონსულტატად მუშაობს და თან მთელ მსოფლიოში მოგზაურობს მეუღლესთან ერთად. იგი არც პოლონეთს ივიწყებს, რომელსაც მრავალგზის ესტუმრება.

იეჟიმ ომის დროს კალამიც სცადა. მისი პირველი მოთხრობები ლონდონში “ლიტერატურულ გაზეთში” დაიბეჭდა. მრავალი მოთხრობა მან პოლონურ ბეჭდვითი სიტყვის ორგანოშიც გამოაქვეყნა, მაგალითად, “მებრძოლ პოლონეთში”. მრავალი მოთხრობა დაბეჭდა ასევე ნიუ-იორკში გამომავალ “პრეგლად პოლსკიში” (“პოლონეთის მიმოხილვა”). მასა და მის მეუღლეს ჰყავთ ორი შვილი და ექვსი შვილიშვილი. ისინი ძირითადად არიზონის შტატში ცხოვრობენ.

იეჟი თუმანიშვილი არის ერთ-ერთი ქართველთაგანი, რომლებიც პოლონეთის არმიაში მსახურობდნენ და ერთგულად იცავდა თავის მეორე სამშობლოს. ის იყო მეზრძოლი, რომლისთვისაც ჯარისკაცის ღირსება აბსტრაქცია და ლიტონი სიტყვა ნამდვილად არა ყოფილა.

დასასრულს უნდა ვთქვათ შემდეგი: ჯერ კიდევ მრავალი ქართველი, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში პოლონეთის შეიარაღებულ ძალებში იბრძოდა, დადის ამ ქვეყნად. ჩვენი ვალია, გვახსოვდეს და პატივს ვცემდეთ მათ. ისინი ხომ საქართველოს ცოცხალ ისტორიას წარმოადგენენ პოლონეთში. ამასთან, მათ მრავალი ისეთი რამის გახსენებაც შეუძლიათ, რომელიც არც ისტორიაში და არც ლიტერატურაში არ არის შემონახული.

25. იეჟი თუმანიშვილი - ოკეანეს გაღმა დაწერილი მოგონებები

პავლე თუმანიშვილი რევოლუციის დაწყებამდე ქართულ თავად-აზნაურთა მარშალი იყო მრავალი წლის განმავლობაში. შემდეგ ამ თანამდებობაზე იგი თავადმა სუმბათოვმა შეცვალა, ანუ მან, რომლის “მემორიალიც” დაბეჭდილია “პრო გეორგია” –ში. მე შევხვედრივარ მას ლონდონში მეორე მსოფლიო ომის დროს. სუმბათოვს მაშინ ეკავა SHELL OIL – ის ერთ-ერთი დირექტორის პოსტი.

პავლე იყო იოსებისა და იულია ზუბალოვის ვაჟი. მათ ოჯახი საკმაოდ მდიდარი ნავთობის საბადოების მფლობელი იყო. ზუბალოვებმა ნავთობის მინდვრები გაყიდეს ჩვენი საუკუნის პირველ ათწლეულში; იგი მიჰყიდეს ზუსტად იმ კომპანიას, სადაც შემდეგ სუმბათოვი მსახურობდა, ანუ SHELL OIL – ს. თანაც მიჰყიდეს საარაკო ფასად – მილიარდ რუბლად. ზუბალოვებმა რუსეთი დატოვეს პოლიტიკური კატაკლიზმების მოახლოებამდე და თავი შევიცარიასა და საფრანგეთს შეაფარეს. სტალინის ქალიშვილი, სვეტლანა, მოგონებებში კარგად აღწერს თავის ცხოვრებას მოსკოვის გარეუბან “ზუბალოვში”, სადაც სტალინი ოჯახთან ერთად იმყოფებოდა. იგი აღწერს ასევე მაგნატებსაც, რომლებმაც შორსმჭვრეტელურად დატოვეს მოსკოვი რევოლუციამდე რამდენიმე წლით ადრე. მე ამ ოჯახის წევრებს პარიზშიც შევხვედრივარ, უკვე ომის შემდეგ. პარიზის ერთ-ერთ პატარა ეკლესიაში დგას მცირე მშვენიერი ქანდაკება ქრისტესი, რომელიც ზუბალოვების ოჯახმა შესწირა ეკლესიას თავიანთი ერთ-ერთი ვაჟის სულის მოსახსენიებლად. იგი საფრანგეთის იატაკქვეშეთის მოძრაობის გმირი იყო, რომელიც ჰიტლერელებმა დახვრიტეს.

თავადი პავლე თავისი დედის ქონებას განკარგავდა. იგი იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, მონაწილეობას იღებდა საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობის დაგეგმვაში. მას ქონება ჰქონდა საქართველოში, სპარსეთში და ფინეთში. მისი საერთაშორისო ინტერესების სფეროში შედიოდა საფრანგეთი, გერმანია, იტალია და ა. შ. იგი მფარველობდა და შემწეობას

უწევდა საქართველოს კათოლიკურ ეკლესიას, რის გამოც მან საკმაოდ მაღალი ქრისტიანული ჯილდოც მიიღო. იგი საკმაოდ ახლოს იცნობდა რომის პაპს პიუს XI და ხშირად სტუმრობდა ვატიკანსაც.

იმ დროს, როდესაც ბოლშევიკებმა რუსეთში ხელისუფლება აიღეს ხელთ, პავლე ქვეყანაში არ იმყოფებოდა. იგი დიპლომატიური მოლაპარაკებების გასამართად და ბიზნესის საწარმოებლად იყო პარიზში. დედაჩემი იადვიგა ჟიტომირის გარნიზონის კომენდანტის გენერალ ცეზარი შიშკოს ქალიშვილი იყო. მისი პირველი ქმარი, პოლონელი სტროინოვსკი თბილისში მსახურობდა და აქვე გარდაიცვალა ჭლექით. დედას პირველ ქმართან ერთი ვაჟი, კაზიმეჟი ჰყავდა. მისი მეორე ქმარი იყო შემოიტი, მეფის რუსეთის ოფიცერი, რომელიც იდუმალ ვითარებაში გარდაიცვალა. იადვიგას შემოიტთან ჰყავდა ქალიშვილი, ელენე. მამაჩემმა იადვიგა გაიცნო პეტერბურგში 1915 წელს და ცოლად მოიყვანა იგი. თავისი სამსახურის გამო ისინი მოსკოვში ცხოვრობდნენ, სადაც მე დავიბადე 1916 წლის 21 ივნისს. მალე მშობლები თბილისში დაბრუნდნენ. კაზიმეჟი და ელენე სწავლობდნენ გიმნაზიაში. კაზიმეჟი ლაპარაკობდა და კითხულობდა ქართულად. მამაც ფლობდა ამ ენას, თუმცა არა სრულყოფილად.

როდესაც წითელი არმია თბილისში შეიჭრა, ჩვენი სახლი რუსული არმიის ერთ-ერთი გენერლის რეზიდენციად იქცა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ იგი როგორც ნამდვილი ჯენტლმენი, ისე იქცეოდა. მისი წყალობით ჩვენი სახლი გადაურჩა ნამდვილ იავარქმნას, დამცირებასა და შეურაცყოფას, რაც მრავალ ოჯახს დაემართა იმდროინდელ საქართველოში. ნაცნობი გერმანელი ელჩის დახმარებით დედაჩემმა შეძლო ვიზის აღება და გამგზავრების უფლების მიღება.

ამნაირად, 1921 წლის ბოლოს ჩვენ უკვე იტალიაში ვიყავით, სადაც შემოგვიერთდა მამაც. მალე ჩვენ ვარშავაში ჩავედით, სადაც დედას მრავალრიცხოვანი ნათესავები ჰყავდა. იგი იყო ცეზარისა და კასილდას უმცროსი ქალიშვილი. მათ 2 ვაჟი და 5 ქალიშვილი ჰყავდათ. ამგვარად, პოლონეთში ჩვენ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნათესავები გყავს. ცხადია, მამა მოელოდა საქართველოში სწრაფ დაბრუნებას და რადგან შვეიცარიის ბანკში მას საკმაოდ ბევრი ფული გააჩნდა, საკმაოდ კარგად ვცხოვრობდით. მაგრამ როდესაც ფულის მარაგი ამოიწურა, საჭირო შეიქმნა რაიმე სამუშაოს მოძებნა. ეს კი ძალზე ძნელი საქმე აღმოჩნდა, განსაკუთრებით უცხოელისათვის, რომელმაც ამასთან, კარგად არ იცოდა პოლონური ენა. მაგრამ დიპლომატიური ურთიერთობების დახმარებით მოხერხდა ქართველთა კომიტეტის დაარსება, რომლის ერთ-ერთი ფუნქციონირების და ხელმძღვანელი მამაჩემი იყო 1930 წლამდე.

თავდაპირველად ვცხოვრობდით ვარშავის გარეუბანში, გოძიაშვილების აგარაკზე. ჩემ დას კარგად ახსოვს მისი ბავშვები, მე კი კარგად დამამახსოვრდა გოძიაშვილის კაფე ვარშავაში, რომელიც ასე კარგად აქვს აღწერილი ბატონ იეჟის

“პრო გეორგიაში”. 1927 წელს გადავედით ვარშავაში, სადაც 1928 წელს სწავლა დავიწყე სტეფანე ბატორის სახელობის გიმნაზიაში. მამას ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ საქართველოში არჩევნები წააგო და ამგვარად იგი უმუშევარი აღმოჩნდა. მას უკვე აღარ შეეძლო ოჯახის რჩენა. ამიტომ იგი პარიზში გადავიდა, სადაც ცდილობდა საკმარისი რაოდენობით თანხა გამოემუშაებინა, რაც მას სჭირდებოდა როგორც ოჯახის სარჩენად, ისე ძველი ვალების დასაბრუნებლად. ამასთან, მას იმედი ჰქონდა, რომ ზუბალაშვილების მდიდარი ოჯახი დახმარებას აღმოუჩენდა. მსესხებლები, თუმცა ძალზე ბევრნი იყვნენ, მაგრამ ისინი კონიუნქტურის გაუარესებას უჩიოდნენ. იმ ნათესავეებს კი, რომელთაც ნამდვილად ძალიან უნდოდათ ჩვენთვის დახმარება აღმოეჩინათ, უსახსრობის გამო მათ ამის გაკეთება არ შეეძლოთ. ამასობაში კაზიმეჟმა, რომელიც ამ დროს უნივერსიტეტში სწავლობდა, იმოვა სამუშაო (მე მაშინ ვილნიუსის გიმნაზიის 6 კლასში ვსწავლობდი) და მთელი ჩვენი ოჯახი ვილნიუსში გადავიდა საცხოვრებლად. 1935 წელს კაზიმეჟი კიდევ უფრო დააწინაურეს. სწორედ ამ დროს 63 წლის ასაკში გარდაიცვალა მამაჩემი, თავადი პავლე. ამავე წელს გენერალ ზაქარიაძის პროტექციით მე სამხედრო-საზღვაო საოფიცრო სასწავლებელში ჩავირიცხე.

თუმანიშვილების ოჯახის შესახებ მთელი ეს ინფორმაცია მოვიპოვე კირილე ტიუმნოვის ნაშრომებიდან. ეს უკანასკნელი იყო ჩემი ბიძა თუმანიშვილების გარუსებული შტოდან, რომელიც რევოლუციის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხვდა, სადაც დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და როგორც ისტორიის პროფესორი ასწავლიდა ვაშინგტონის კათოლიკურ უნივერსიტეტში. თავადი კირილე ამჟამად რომში ცხოვრობს. იგი ერთ დროს მალტის ორდენის მდივანი იყო.

*
* *

მიხეილ თუმანიშვილი იყო მამაჩემის უმცროსი ძმა, რომელიც თავისი ოჯახით თბილისში დარჩა. იგი აქვე გარდაიცვალა 1925 წელს. მისი უფროსი ვაჟი იოსები (იგი კაზიმეჟის თანატოლი იყო) მშობლების ნებართვის გარეშე კიევში წავიდა და თეატრალურ ინსტიტუტში მოეწყო. მიხეილი მეუღლესთან ერთად (იგიც ასევე პოლონური წარმოშობის იყო) დააპატიმრეს და სოლოკამსკის კუნძულზე გადაასახლეს. იგი იქ ფიზიკური გამოფიტვის შედეგად გარდაიცვალა. ასევე ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე მისმა ცოლმაც. მიხეილის უმცროს ვაჟსაც (იგი ჩემი თანატოლი იყო), ბანაკიდან ბანაკში დაათრევდნენ, ვიდრე ბოლოს უპატრონოდ არ აღმოხდა სული. სამაგიეროდ მისმა უმცროსმა ქალიშვილმა გადაიტანა გადასახლებები და 70-იან წლებში იგი იოსებ თუმანიშვილმა, რომელიც ბრწყინვალედ ახერხებდა მაღალ თანამდებობებზე მოხვედრას, შეიფარა. იოსები ბოლოს დიდი თეატრის დირექტორიც კი იყო. მას ძალიან უყვარდა მოგზაურობა და მთელი მსოფლიო მოვლილი ჰქონდა. 1975 წელს იგი ვარშავასაც ესტუმრა, სადაც მან

ელენე მოინახულა (კაზიმეჟი ამ დროს უკვე აღარ იყო ცოცხალი) და მოუყვა მას თავისი ჯოჯოხეთური ცხოვრების შესახებ. იგი 15 წლის წინათ გარდაიცვალა და დატოვა ვაჟი, რომელიც დღემდე პატრონობს თავის ძალს.

20-იან და 30-იან წლებში მამაჩემის მოღვაწეობიდან განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ყოველწლიური ქართული მეჯლისების ორგანიზება, რომელიც ვარშავის რატუშაში ეწყობოდა ხოლმე. მეჯლისები საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ვარშავის მაღალ საზოგადოებაში. მას საკმაოდ სოლიდური შემოსავალიც მოჰქონდა ქართველთა კომიტეტის გამოცარიელებული ბიუჯეტისათვის. მეჯლისზე ახალგაზრდა ოფიცრები ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი გამოდიოდნენ და თავიანთი მოხდენილი მანერებით და “ლეკურის” ცეკვით ხიბლავდნენ ვარშაველ ქალბატონებს. ჩემი და ელენეც იღებდა ამ მეჯლისებში მონაწილეობას. მან ამ ბოლო დროს ჩემთან სატელეფონო საუბარში გაიხსენა მოხდენილი გარეგნობის როტმისტრი მახარაძე (ჩემი და ამჟამად ფლორიდაში ცხოვრობს). მის გარდა ჩვენ სხვებიც გავიხსენეთ, რომლებიც იმ პერიოდში მამას ესტუმრებოდნენ ხოლმე და ერთად წვავდნენ მწვადებს.

მაიორ არონიშიძის ოჯახის გარდა ჩვენს ოჯახთან მეგობრობდა კაპიტანი ლომიძე. ეს უკანასკნელი მე როგორც თავის შვილს, ისე მეპყრობოდა. ჩვენთან დაახლოებული იყო ასევე მედიცინის დოქტორ ალშიბაიას ოჯახიც. მე არავითარი ცნობა არა მაქვს ამჟამად იმის შესახებ, თუ სად იმყოფებიან ისინი, მაგრამ ვფიქრობ, რომ გერმანიაში უნდა იყვნენ, რადგან ადრეც დიდ სიმპათიებს ამჟღავნებდნენ გერმანელთა მიმართ. მაშინ მათი უფროსი ვაჟიც გერმანიაში სწავლობდა.

პოლონეთში ქართველები სამოქალაქოებად და სამხედროებად იყოფოდნენ. აქ განსაკუთრებული სიმპათიებით სარგებლობდნენ სამხედროები, რომელთაც ამ ქვეყნის ყოველ კუთხეში სიამოვნებით იღებდნენ სასამსახუროდ. მრავალი მათგანი დაქორწინდა პოლონელ ქალზე. ამ ბოლო დროს პრესაში გამოჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიარაღებული ძალების გენერალი ჯონი შალიკაშვილი ნატოს შეარაღებული ძალების ხელმძღვანელის თანამდებობაზე დაინიშნა. მე მას მისალოცი ბარათი გავუგზავნე და ჩვენი ერთად გატარებული წარსული გავახსენე. მამამისი ხომ პოლონეთის შეიარაღებული ძალების პოლკოვნიკი იყო, ხოლო დედამისი პოლონელი ქალი გახლდათ. ჯონიმ მაშინ დატოვა პოლონეთი, როდესაც 7 წლის იყო. მან განათლება შეერთებულ შტატებში მიიღო და თანამდებობებზეც სწრაფად წინაურდებოდა. მალე გენერლისაგან საპასუხო წერილი მივიღე (ინგლისურ ენაზე), სადაც იგი მადლობას მიხდოდა მილოცვისათვის და თავადაც იხსენებდა წარსულს.

რაც შეეხება პოლონეთის სამოქალაქო სამსახურში მყოფ ქართველებს, ისინი სხვადასხვა სოციალური წარმოშობის ადამიანები იყვნენ. მათ სამსახურში მოწყობაზე ქართველთა კომიტეტი ეხმარებოდა. გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ისინი ვერ

იქცეოდნენ შესაფერისად და ქართველთა კომიტეტი მათ გამო ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა.

ვიქტორ ლომიძე ომის დაწყებისას ხომალდ “გრიფის”-ის კაპიტნის მოადგილედ მუშაობდა. ომის დაწყების პირველსავე დღეებში ჰიტლერელები ბომბავენ "გრიფს"ს და კლავენ მის კაპიტანს. თანამებრძოლები მის ნაცვლად ლომიძეს ირჩევენ კაპიტნად. ერთ მომენტში, როდესაც იგი მოწინააღმდეგის ბომბდამშენების ესკადრელიას შენიშნავს, გადაწყვეტს ნაღმები ხომალდიდან გადაყაროს, რადგან თვითმფრინავებიდან დაბომბვის შემთხვევაში გემის მთელი ეკიპაჟი ამოწყდებოდა. მისი ეს გადაწყვეტილება მრავალი წლის განმავლობაში საკამათო გახდა. როდესაც “გრიფი”, ძალზე დაზიანებული, პორტ ჰელში შევიდა, დაჭრილი ლომიძე გრინიევიციკიმ შეცვალა. მეორე დღეს “გრიფის” არტილერია კვლავ შეეხებება მტერს და დიდ ზიანსაც მიაყენებს მას. მაგრამ მალე თავად მასაც დაბომბავენ. როდესაც ადმირალი უნრუგი შეხედავს “გრიფის” ეკიპაჟის გამოუვალ სიტუაციას, ნებას დართავს ეკიპაჟის წევრებს ნაპირზე ძრავიანი ნავებითა და მეთევზეთა ნავებით გადავიდნენ. ერთ-ერთი ძრავიანი ნავით ვიქტორიც უშველის თავს. მალე იგი ლიტვის ნაპირებთან აღმოჩნდება. მას დააპატიმრებენ. პატიმრობიდან რამდენიმე თვის შემდეგ იგი გარბის და შვედეთის გავლით ინგლისამდე ჩააღწევს. ლომიძე ხშირად ავადმყოფობდა, ამასთან მას მხოლოდ ერთი თირკმელი ჰქონდა. აწუხებდა კუჭიც. ამიტომ ინგლისში ჩასვლისას გარკვეული პერიოდი მკურნალობდა, ხოლო შემდეგ ადმირალ შვირსკის შტაბში საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე დანიშნეს. იგი ჯანმრთელობის გაუარესების გამო აღარ დაბრუნებია სამხედრო გემს. მან თავისი სამხედრო კარიერა პოდპოლკოვნიკის წოდებით დაასრულა. ვიქტორ ლომიძე პოლონელ ქალზე იყო დაქორწინებული, თუმცა ეს ქორწინება ბედნიერი არა ყოფილა.

ომის დასრულების შემდეგ მან ქართველ გუგაშვილთან ერთად საექსპორტო კომპანია “გეო-პოლო” დააფუძვნა. სამწუხაროდ, ლომიძეს ვერც ბიზნესმა გაუმართლა. როდესაც 1949 წელს მე სავაჭრო გემზე მოვეწყე სამუშაოდ, ლომიძე კვიპროსში წავიდა, სადაც დაზვერვაში მუშაობდა, თუ არ ვცდები დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურში (იქნებ ეს სამსახური შეერთებული შტატებისაც იყო?). რამდენიმე წლის შემდეგ იგი დაბრუნდა ლონდონში, რათა კუთვნილი შვებულებით ესარგებლა. სამწუხაროდ, რამდენიმე დღის შემდეგ დაავადდა. მას განუკურნებელი სენი აღმოაჩნდა. მალე გონიც დაკარგა და ისე გარდაიცვალა, რომ გონზე არ მოსულა.

ლონდონში მე გავეცანი ასევე თავად სუმბათოვსა და გუგაშვილსაც, რომლებიც, ჩემი აზრით, ასევე დიდი ბრიტანეთის დაზვერვაში მუშაობდნენ. ვფიქრობ, რომ მათგან არც ერთი აღარ არის ცოცხალი.

უკვე ომის დასრულების შემდეგ ლონდონში გავეცანი ასევე პოლკოვნიკ კანდელაკსაც, რომელიც ინგლისში ანდერსის (ცნობილი პოლონელი გენერალი)

არმიასთან ერთად ჩამოვიდა. იგი ინგლისში პოლონელ ჯარისკაცთა დაბინავების პრობლემით იყო დაკავებული.

კანდელაკი საქართველოს ისტორიის ნამდვილი ენციკლოპედია იყო. იგი კარგად იცნობდა აგრეთვე ყველა ქართველს, რომლებიც პოლონეთში მოხვდნენ. კანდელაკი ჰოსპიტალში გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც ჩვენ ამერიკაში გადავსახლდით.

*

* *

გემი, რომელზედაც მე, როგორც ბორტის ოფიცერი, ისე ვმსახურობდი, ნიუ-იორკსა და სამხრეთ ამერიკის პორტებს შორის დაცურავდა. ამ გემით ჩასული ვარ ბუენოს-აირესში, სანტოსში, მონტევიდეოში, რიო დე ჟანეიროში, ტრინიდადში, ამაზონის შესართავის პორტებში, კუნძულ ბარბადოსზე და ა. შ. თუმცა ჩვენი ამგვარი სამსახური დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან გემი გაიყიდა და მთელი მისი ეკიპაჟი უმუშევარი დარჩა. დავრჩი ასე ნიუ-იორკში და არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. გადავწყვიტე ლონგ ისლანდში წავსულიყავი და იქ ფერმაში დამეწყო მუშაობა. ეს ადგილი ძალიან მომეწონა და საბოლოოდაც აქ დავსახლდი. ამიტომ დავბრუნდი ინგლისში და ემიგრაციისათვის საჭირო დოკუმენტები გავაფორმე. ზუსტად ერთი წლის შემდეგ მთელი ჩემი ოჯახი ნიუ-იორკში გაემგზავრა, ჯიბეში 70 დოლარით...— მაგრამ, როგორც იტყვიან, ბედმა გაგვიღიმა და მოკლე ხანში ჩვენი ცხოვრებაც აეწყო.

ამერიკაში გავიცანი პროფესორი ა. მანველაშვილი, საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე სპეციალისტი. თავის დროზე, როდესაც მამამისს ამის შესაძლებლობა ჰქონდა, ვაჟი საფრანგეთში გაგზავნა და იქ ასწავლიდა. აქვე გავიცანი კირილე თუმანოვი, რომლის შესახებაც ზემოთაც ვსაუბრობდი. აქ მოვიძიე ასევე ჩემი შორეული ნათესავი ჯაყელი, რომელიც ნიუ-იორკში ცხოვრობდა. პარიზში მოგზაურობისას ახლო კონტაქტები დავამყარე ბიძაშვილ ევატერინე და მის მომხიბლავ დედა, იულიასთან, რომელიც მამაჩემის ბიძაშვილი იყო. მოვინახულე ასევე ლეონიდე ზურაბიშვილი, რომლის მამაც საქართველოს წარმომადგენელი იყო რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში. თავის დროზე ლეონიდე ჩემ და ელენესთან და ძმა კაზიმეჟთან მეგობრობდა. იგი საფრანგეთში საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე იყო. როდესაც პარიზს ხრუმჩოვი ესტუმრა, ფრანგებმა ლეონიდე და სხვა ემიგრანტი ქართველები კუნძულ კორსიკაზე შეაფარეს. ლეონიდე პარიზში გარდაიცვალა 20 წლის წინათ.

ზემოთნახსენებ კომპანიაში მუშაობის დროს ფილიალები გავხსენით ჩრდილოეთ ირლანდიაში, ბელგიასა და იაპონიაში. მოგვიანებით, როდესაც პენსიაზე გავედი, დავაფუძნე საკონსულტაციო ფირმა, რომელსაც სტეფანეც შეუერთდა. ჩვენი ფირმა ერთჯერადი შპრიცების, რეზინის ხელთათმანების და სხვა ამგვარი

პროდუქციის წარმოებაზე სპეციალდებოდა. ამ სფეროში 5 წლის ძალზე საინტერესო მუშაობის დროს თითქმის მთელი მსოფლიო შემოვიარე, მ. შ. სოციალისტური ქვეყნებიც - ბულგარეთი და პოლონეთი. პოლონეთში პირველად 1961 წელს ვიყავი, როდესაც დედაჩემი ჯერაც ცოცხალი იყო. მეორედ კი მეუღლესთან ერთად წავედი ამ ქვეყანაში და მოვინახულე ზაკოპანე, კრაკოვი, ვარშავა, სუვაკი, გდინია და ა. შ. მოკლედ, ზღაპრული მოგზაურობა გვექონდა.

კალამს ჯერ კიდევ ომის დროს მოვკიდე ხელი. ჩემი პირველი მოთხრობები დაიბეჭდა 1940 წელს პოლონურ “ლიტერატურულ გაზეთში”. შემდგომ წლებში მოთხრობებს ვაქვეყნებდი “მებრძოლ პოლონეთში”. ამერიკაში დასახლების შემდეგ ამ კონტინენტის მკვიდრთა შესახებ მოთხრობებს ვბეჭდავდი “ლიტერატურულ გაზეთში”. 70-იან წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში შევუდექი პოლონეთის სამხედრო – საზღვაო ძალების ისტორიის წერას. მასალებს გაზეთ “პრჟეგლად პოლსკის” ვაწვდიდი. შემდეგ კი ამ ისტორიული ხასიათის წერილებს ამერიკულ გაზეთებსაც ვუგზავნიდი ხოლმე. მთელმა ამ ნამუშევარმა 400 მანქანაზე ნაბეჭდი გვერდი შეადგინა. ეს ისტორია გასაცნობად გავუგზავნე პოლონეთის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორ ი. კონდრაცკის. იგი წიგნის გამოცემაში დახმარებას დამპირდა. ვნახოთ. როგორც ვხედავ, ამ ბოლო დროს ნაკლებად არიან მსურველები, რომ “ძველი, უკვე აღარავისათვის საჭირო” მოგონებების ავტორს წიგნის გამოქვეყნებაში მიეხმარონ...

პენსიაზე შედარებით ადრე, 1977 წელს გავედი. ოჯახმა გადაწყვიტეთ დავსახლებულიყავით ორიგონის შტატში 15 ჰექტარიან ფერმაში, რომლის მდებარეობაც ძალიან წააგავს კავკასიის მთისწინა ადგილებს. ამ ტერიტორიის ნაწილი მშვენიერი ტყეა (ამერიკული ნაძვი), ხოლო ნაწილიც მოლია, სადაც გარკვეული დროის განმავლობაში ცხენები და ძროხები ბალახობდნენ. მთელი ჩვენი ოჯახი კარგა ხნის მანძილზე ერთად ცხოვრობდა. ჩემი ქალიშვილი ელიზაბეტი გათხოვილია პოლონელ მაქსიმილიან სენდეკზე. სიმის ოჯახი კრაკოვში ცხოვრობდა. ომის დროს ჰიტლერელებმა ისინი ავსტრიაში გადაიყვანეს სამუშაოდ. უფროსი ვაჟი პავლე 30 წლის შესრულდა. ამჟამად იგი ჩვენს მეზობლად ცხოვრობს. პავლე ჩვენი სახლიდან 30 კილომეტრის მოშორებით პორტლანდში მუშაობს სავაჭრო ცენტრის ადმინისტრატორად. უმცროსი ქალიშვილი ჯენიფერი ისევე როგორც შვილიშვილიც, გათხოვილებია. ეს უკანასკნელი, რომელსაც ტიპიური ქართული სახის ნაკვთები აქვს, ბანკში მუშაობს მდივნად. მისი ქმარი მშენებელი-ინჟინერია. მათ საქმე კარგად მისდით. ააშენეს საკუთარი სახლი და კარმიდამოც მშვენივრად მოაწყეს. უმცროსი ქალიშვილი ქრისტინე უნივერსიტეტში სწავლობს. იგი პარალელურად იმავე ფირმაში მუშაობს, სადაც ჩემი უფროსი ვაჟი. სტაფანეს, ჩვენს ვაჟს, ასევე სამი შვილი ჰყავს პირველი ცოლიდან. ისინი ფლორიდაში ცხოვრობენ, დედისაგან არც თუ ისე მოშორებით. შვილიშვილი დანიელა 22 წლისაა. იგი სადაზღვევო კომპანიაში მუშაობს. 18 წლის ნინო კი ჯერ დედასთან ცხოვრობს. ბავშვებს ამერიკულად ვზრდით. ჩვენ კარგად დავრწმუნდით იმაში, რომ საკმაოდ ძნელია იმ ადამიანების

ყოფა, რომელთაც ვერც თავიანთ ადრინდელ წეს-ჩვეულებებზე უთქვიათ უარი და სრულად ვერც ახალს შეგუებიან. ამიტომ ჩვენ თავიდანვე გადავწყვიტეთ, თუ ჩვენი თავი ვისთვის მიგვეკუთვნებინა. თუმცა ისეთ ტრადიციებს, როგორც არის შობა და აღდგომა, პოლონური წესისამებრ ვასრულებ

დასასრულს, მსურს გავიხსენო შემდეგი: 1940 წელს ჩვენი ხომალდი “ბურჟა” გენერალმა სიკორსკიმ (ცნობილი პოლონელი გენერალი) მოინახულა. როდესაც მე მომიახლოვდა და ჩემი გვარი გაიგო, მითხრა: “შენ, პორუჩიკო, ალბათ იმ ქართველის ვაჟი იქნები, რომელიც თურქეთიდან პოლონეთში მე ჩამოვიყვანე”.

26. იეჟი ირაკლი გომიაშვილი - “ნიკოლოზ ქვარიანი - საქართველო”

ოცდაათიან წლებში ძმები სტანეესკების ვარშავის ცირკში (ომის დროს ეს შენობა დაინგრა. შემდგომ იმ ადგილას ფრ. შოპენის სახელობის აკადემიის შენობა ააგეს). ხშირად იმართებოდა ხოლმე შეჯიბრებები პროფესიონალ მოჭიდავეებს შორის. მაშინ ამ სახის პაექრობები უაღრესად პოპულარული სანახაობა იყო და უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ვარშაველებში. ცირკის შენობა სულ გადატენილი იყო მაყურებლით. საჭიროა ისიც გავიხსენოთ, რომ იმ დროს სპორტი არ იყო ასე გავრცელებული და სპორტული სანახაობებიც იშვიათად ეწყობოდა.

მაყურებელი, განსაკუთრებით ისინი, ვინც დარბაზის ბოლო რიგებში იჯდა, ძალიან გულშემატკივრობდა ამ შეჯიბრებებს, ტაშითა და შეძახილებით ხვდებოდნენ თავიანთ საყვარელ მოჭიდავეებს, ხოლო თუ რომელიმე მათგანი ამა თუ იმ მიზეზით არ მოსწონდათ, უსტვენდნენ და ფეხებს უბრაზუნებდნენ.

მაყურებელთა დიდი სიმპათიები ჰქონდათ მოხვეჭილი, რაც სავსებით ბუნებრივია, პოლონელ მოჭიდავეებს, თუმცა არა ყველას. განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა ელეგანტურად მოჭიდავე თეოდორ შტეკერი და ასევე ორმეტრიანი გოლიათი ლეონ გრაბოვსკი. მაყურებელს უყვარდა ასევე სიმპათიური ბილევიჩი (უკრაინა) და პანოვი (უნგრეთი). სამაგიეროდ, მათი სიმპათიებით ვერ სარგებლობდა ურბახი (გერმანია) და გრომოვი (ციმბირი). ეს ალბათ იმიტომ, რომ ვერც ლამაზად ჭიდაობას ახერხებდნენ და გარეგნულადაც შეუხედავები იყვნენ. თუმცა უნდა ითქვას, რომ გერმანელი და რუსი მოჭიდავეებისადმი ვარშაველი მაყურებლის ცივ დამოკიდებულებას შესაძლოა პოლიტიკური მოტივებიც განსაზღვრავდა. ეს მოჭიდავეები ხომ იმ ქვეყნებს წარმოადგენდნენ, რომლებიც თავს ესხმოდნენ და ჩაგრავდნენ პოლონეთს. მათ მიმართ გულცივ დამოკიდებულებას მნიშვნელოვანწილად 1920 წლის ომიც განაპირობებდა. ის ამბავი, რომ მოჭიდავეთა გვარის გამოცხადების შემდეგ მათ ქვეყანას აცხადებდნენ როგორც უკრაინას, ციმბირს თუ საქართველოს და არა საბჭოთა კავშირს, მიანიშნებდა პოლიტიკურ შეხედულებებზე და დამოუკიდებლობის იდეის სიძლიერეზე.

ქართველი სპორტსმენი ნიკოლოზ ქვარიანი ვარშაველი მაყურებლის მიერ მიღებული იყო დიდი სიყვარულით, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ლამაზად ჭიდაობდა და უკვე სახელიც ჰქონდა მოხვეჭილი საფრანგეთისა თუ ამერიკის ტურნირებში, არამედ საქართველოსადმი პოლონელთა პოლიტიკური სიმპათიების გამოც. სპორტის ასაკოვან მაყურებელში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო იმის მოგონებები, თუ როგორი გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდათ რევოლუციამდე ციმბირში გადასახლებულ პოლონელსა და ქართველს ერთმანეთის მიმართ. ცხადია, მისადმი მაყურებელთა დიდ სიმპათიებს ისიც განაპირობებდა, რომ იმ დროისათვის პოლონეთის არმიაში მრავალი ქართველი მსახურობდა პორუჩიკიდან გენერლამდე. შესაძლოა მის პოპულარობას პოლონეთში დაბადებული პატარა თანამემამულე ბიჭის მიერ მირთმეული ყვავილებიც ზრდიდა. ქვარიანისადმი ვარშაველების სიმპათიებს აძლიერებდა ასევე ამ ქალაქში მაშინ არსებული დიდი ქართული დიასპორის ცხოველი გულშემატკივრობა მისადმი.

მშვენივრად მახსოვს ჩემი პირველი დასწრება ამ შეჯიბრზე. ლამაზად ვიყავი გამოწყობილი, ზუსტად ისე, როგორც პირველი ზიარების დროს - თეთრ პერანგსა და ბროწეულისფერ შარვალში. მახსოვს ისიც, თუ როგორი ძალით ვუჭერდი ხელს ვარდების თაიგულს, რომელთა შესაკვრელადაც დედაჩემმა სპეციალურად შეკერა ქართული დროშის ფერების - შინდისფერი, შავი და თეთრი, - სიმბოლურად გამომსახველი ბანტი. მშობლებმა ისიც დამარიგეს, რომ თუ ქვარიანი ხელში ამიყვანდა (იგი ხომ ზორბა ტანის მამაკაცი იყო), მე კისერზე უნდა მოვხვეოდი მას და მეკოცნა.

ბოლოს დადგა დრო, როდესაც ჩვენ ცირკის ლოჯაში აღმოვჩნდით. ძალიან ვღელავდი. შეჯიბრებამდე ჩვეულებრივი ცირკის ნომრები გათამაშდა. მისი დასრულების შემდეგ ორკესტრმა სპორტული მარში დაუკრა და მოჭიდავეებიც რიგ-რიგობით სცენაზე გამოვიდნენ. გამოსვლისას ისინი ჰაერში რკალს კრავდნენ. პროგრამის წამყვანი მეგაფონით წარუდგენდა მათ მაყურებელს. კერძოდ, აცხადებდა სახელს, გვარს, სამშობლო ქვეყანას და ასევე მიღებულ ჯილდოებს. მოჭიდავე გამოდიოდა ცირკის არენაზე, თავს უკრავდა მაყურებელს და მაყურებელიც მას ან მოწონების შემახილებით ამხნევებდა და ტაშს უკრავდა, თუ მოჭიდავე მათი კკერპი იყო, ან უარყოფის ნიშნად ფეხების ბრახუნითა და სტვენით ხვდებოდა. მახსოვს, რომ თეოდორ შტეკერი და ლეონ გრაბოვსკი მაყურებელმა ენთუზიაზმით მიიღო, ხოლო ურბახი და გრომოვი უკმაყოფილო შემახილებით. ისიც მახსოვს, რომ ამ რამდენიმე წუთის განმავლობაში ძალიან ვღელავდი, რადგან მაინტერესებდა, თუ როგორ შეხვდებოდა მაყურებელი ქვარიანს. ბოლოს გაისმა: “ნიკოლოზ ქვარიანი - საქართველო” და სხვა ინფორმაცია.

მე აღელვებული, მამის დახმარებით გადავხტი ბარიერზე, რომელიც ცირკის არენას მაყურებელთა ლოჟებისაგან ყოფდა და აკანკალებული ხელით ამაყად გავუწოდე სპორტსმენს ვარდების კონა, თან ადრე ნასწავლი ქართული სიტყვებით

მივესალმე. ბატონი ნიკოლოზი დაიხარა და მხოლოდ მაკოცა. ჩემი საქციელი ძალიან მოეწონა მაყურებელს და ჩვენ მისი გაცხოველებული ტაშიც დავიმსახურეთ. ვფიქრობ, ამ ტაშის მცირე ნაწილი მეც მერგო.

თუმცა ყველაფერი კარგად როდი დასრულდა.

ბავშვების ცხოვრებაში ხშირად ხდება გულსატკეპნი მარცხი, რომელიც მათ მთელი სიცოცხლის მანძილზე ამახსოვრდებათ. ეს მეც არ ამცდა და იგი სწორედ იმ საღამოს, ცირკში მოხდა. თაიგულის მიწვდისას ერთ-ერთ ვარდს სულ გასცვივდა ფურცლები და ცირკის არენაზე მიმოიფანტა. ღმერთო ჩემო, რა დიდი სირცხვილი ვჭამე ქვარიანის გარდა ყვაილების თაიგული იმ დღეს მხოლოდ უკრაინელმა ბელევიჩმა დაიმსახურა. როგორც შემდეგ გამოირკვა, იგი ერთ ვარშაველ ქალბატონს შეჰყვარებოდა და იგი მის ყოველ გამოსვლას მხურვალედ გულშემატკივრობდა. ეს თაიგული ლოჟის არენისაგან გამყოფ თეჯირზე იდო და როდესაც მოჭიდავე არენაზე გამოვიდა, მას იგი ცირკის მოსამსახურემ მიართვა. ბელევიჩი გულშემატკივარი ქალბატონის ლოჟას მიუახლოვდა და მდაბლად თავი დაუკრა მას. მსგავსი სცენები შემდგომ დღეებშიც განმეორდა, რადგან, როგორც ჩანს, ეს ქალბატონი ძლიერ იყო შეყვარებული თავის რჩეულზე, ხოლო ქართველები - თავის თანამემამულეზე.

ეს შეჯიბრება ქვარიანმა ბრწყინვალედ ჩაატარა. მან თავისუფალ სტილში დაამარცხა შტეკერი. ეს ამ უკანასკნელის ერთადერთი დამარცხება იყო. ქართველები აღფრთოვანებულები იყვნენ ქვარიანის ასეთი კარგი გამოსვლისაგან. იგი მრავალმა ქართულმა ემიგრანტულმა ოჯახმა მიიპატიჟა. ქვარიანი წესისამებრ თავის მეუღლესთან, ამერიკელ ქალბატონთან ერთად დადიოდა სტუმრად. მე კარგად მახსოვს მათი ჩვენთან სტუმრობაც. ეს იყო დაუვიწყარი საღამო. ქართველებმა ერთობ მოიღვინეს. იმ პერიოდში ვარშავაში ძირითადად ფრანგული ღვინოები ისმებოდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ძმები პაკულსკების ცნობილმა ფირმამ სახელდობრ მაშინ შემოიტანა ვარშავაში ქართული ღვინოების დიდი პარტია და ქართველმა ემიგრანტებმა იმ საღამოზე სწორედ საკუთარი, ქართული ღვინო მიირთვეს. იმ დროიდან მახსოვს ქართული ღვინო, - “ნაფარეულის” სახელი.

მახსოვს ისიც, რომ პირველ ვახშამზე მამამ დედას სუფრაზე ხილის ვაზების მიტანა სთხოვა. სწორედ მათ უნდა შეეცვალათ საქართველოში ღვინის სასმელად გამოყენებული ფიალები. ვინაიდან ასეთი ჭურჭელი ჩვენს სახლში საკმარისი არ აღმოჩნდა, მოსამსახურე გავიდა და მეზობლებთან ითხოვა ისინი. შემდგომი საღამოებისათვის ჩვენ უკვე მრავალი ფიალა შევიძინეთ. პოლონური ოჯახის პირობაზე ისინი ძალზე ბევრი იყო და არც ადვილად ტყდებოდა, რომ ცოტა მაინც შემცირებულიყო. ამიტომ მათ მიერ გამოწვეული პრობლემები ჩვენს ოჯახში თითქმის ვარშავის აჯანყებამდე გაგრძელდა, როდესაც ჩვენი სახლი მთლიანად გაიქურდა.

ასეთ სადამოებზე ძალზე საცოდავად გამოიყურებოდა ქვარიანის მეუღლე, ამერიკელი ქალბატონი. იგი თუმცა ვერაფერს ვერ იგებდა ჩვენი ლაპარაკიდან, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, იძულებული იყო მოთმინებით აეტანა ეს ყველაფერი.

შეჯიბრების დასრულების შემდეგ ქართველებმა ცოლ-ქმარ ქვარიანებს გამომშვიდობების სადამო მოუწყეს, სადაც ბატონ ნიკოლოზს ქართველთა ფონდის მიერ შეძენილი ძვირფასი საჩუქარი მიართვეს.

შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული თვალსაზრისით სიმბოლურად იყო ეს საზეიმო სადამო. მას შემდეგ ქვარიანი საფრანგეთში დაბრუნდა, ხოლო პოლონელი ქართველები მთელ მსოფლიოში მიმოიფანტნენ. ბევრმაც მეორე მსოფლიო ომს შესწირა თავი.

მე 1937 წელს მოვინახულე ქვარიანი სახლი და კაფე პარიზში. თავად იგი სამწუხაროდ ვერ ვნახე. სამუდამო საცხოვრებლად ამერიკაში გადასახლებულიყო მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ყველაფერი არ კვდება. ამის დასტურად თუნდაც ეს წერილიც გამოდგება, რომლითაც გარდასულ დღეებს ვიხსენებთ.

27. გრიგოლ ორბელიანი და ვარშავის ტელეგრაფი

გამოჩენილი ქართველი პოეტი რომანტიკოსი გრიგოლ ორბელიანი (1800-1883 წწ) თავის ბიოგრაფიაში შეიცავს აქამდე უცნობ ცნობებს, რომელიც მას პოლონეთის, უფრო სწორედ, ვარშავის ისტორიასთან აახლოებს.

ამ ცნობას ჩვენ ვხვდებით ანდრე კარბელაშვილის ამას წინათ გამოქვეყნებულ წერილში. მისმა ავტორმა აღნიშნულ ინფორმაციას მიაკვლია საქართველოს ისტორიულ არქივში. წერილი გამოქვეყნებული იყო 1999 წლის 12 ნოემბრის გაზეთ “სვობოდნაია გრუზიაში”.

არისტოკრატი გრიგოლ ორბელიანისათვის, რომელმაც თბილისის უმაღლესი საარტილერიო სკოლა დაამთავრა, პოეზია უფრო ჰობი იყო, ვიდრე პროფესია. მიუხედავად ამისა, იგი ისტორიაში უფრო როგორც პოეტი ისე შევიდა და არა როგორც სამხედრო (გენერალი).

მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრება გრ. ორბელიანი უაღრესად აქტიურად მოქმედებდა სამხედრო სფეროში. იგი იყო რუსეთ-თურქეთის და რუსეთ-სპარსეთის ომების გმირი. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, რომ ძალზე აქტიური მონაწილეობა მიეღო ქართველთა ფეოდალურ - მონარქიულ შეთქმულებაში, რომლისთვისაც იგი დასაჯეს და სამი წლით გადაასახლეს.

სამოციან წლებში გენერალი გრიგოლ ორბელიანი, როგორც კავკასიის არმიის სარდალი, უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიისა და კავკასიის

სატელეგრაფო ხაზის მშენებლობას. გრ. ორბელიანი დარწმუნებული იყო, რომ ამიერკავკასიის ამ სატელეგრაფო ხაზს გარდა იმპერიის შიდა პრობლემების მოგვარებისა, შეეძლო ამ რეგიონისათვის სამყაროში გასასვლელი სარკმელის როლი ეთამაშა. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ იგი მიუერთდებოდა საერთო ევროპულ სატელეგრაფო ქსელს, რომელიც იმ დროისათვის უკვე საკმაოდ განვითარებული იყო. ამიტომ ამ სტრატეგიული ხაზის მთავარ მიმართულებად დაისახა თბილისი – ყირიმი - ვარშავა.

შეუდგა თუ არა 1862 წელს ამ სქემის შესრულებას, გრ. ორბელიანმა ერთ-ერთი პირველი, რაც მოითხოვა, იყო ვარშავის სატელეგრაფო ქსელი, განსაკუთრებით მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, მაგრამ ვინაიდან, როგორც გაირკვა, ამ სახის რუკა არ არსებობდა, მისი შედგენა დაევალა სამხედრო კარტოგრაფების ჯგუფს ინჟინერ პოსტელნიკოვის ხელმძღვანელობით.

აღნიშნული რუკა დამუშავდა და იგი 1963 წელს წარუდგინეს გრ. ორბელიანს. ამ უნიკალურმა დოკუმენტმა მაშინ შეასრულა თავისი როლი და შემდეგ იგი ჩააბარეს არქივს.

ამ კონტექსტში საჭიროა გავიხსენოთ, რომ ვარშავაში პირველი ტელეგრაფი გაყვანილი იქნა 1854 წელს. აღნიშნულმა ხაზმა იგი პეტერბურგთან დააკავშირა. იგი გადიოდა მარიამპოლზე, კაუნასზე, დინბურგსა და გატჩინოზე. მისი მთლიანი სიგრძე 1150 კილომეტრს შეადგენდა. 1855 წელს მოქმედებაში შევიდა ასევე ახალი სატელეგრაფო ხაზი, რომელიც ვარშავას აღმოსავლეთ პრუსიასთან აერთებდა და რომლის სიგრძეც 320 კმ იყო. მალე ამოქმედდა ასევე ვარშავა-კაუნასის და ვარშავა-სკიერნიევიცეს, ხოლო 60-იანი წლების დასაწყისში ვარშავა-ლუბლიან-ზამოსციეს სატელეგრაფო ხაზები. როდესაც ზემოთ აღნიშნულმა კარტოგრაფების ჯგუფმა გრ. ორბელიანს რუკა წარუდგინა, უკვე მიდიოდა მუშაობა ვარშავა-რადომის სატელეგრაფო ხაზზე. ასე, რომ უკვე 60-იანი წლების პირველ ნახევარში ვარშავა იყო ერთ-ერთი ყველაზე კარგად განვითარებული სატელეგრაფო ქსელის მქონე ევროპული ქალაქი.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ იმ ქართველების რიცხვში, რომლებიც XIX საუკუნეში ასე თუ ისე, დაკავშირებული იყვნენ პოლონეთთან, უთუოდ მოსახსენიებელია გენერალი გრ. ორბელიანიც, რომელიც აქამდე ჩვენთვის ცნობილი იყო როგორც გამოჩენილი პოეტი, გაიდვალისეზებული სამშობლოს ისტორიის, სიყვარულისა და მეგობრობის მომღერალი.

28. იეჟი სალინი - ვალში ვარ ქართველების წინაშე

ამ წიგნში ვცდილობდით ერთი ძირითადი პრინციპის დაცვას: წიგნში არაფერი გვინდოდა შეგვეტანა ისეთი, რაც ჩვენი მოკვლევული ან ნათარგმნი არ იყო, ანუ ჯერ არ იყო ცნობილი ქართველი მკითხველისათვის. ვატყობთ, ვერ ვახერხებთ მის

დაცვას. იგი პირველად დავარღვიეთ მაშინ, როდესაც ჩვენ წიგნში ქართულად უკვე გამოცემული ლარისა ხუბულური-ტატიშვილის წიგნიდან, - “მეორე სიცოცხლე”, ირინე სხირტლადის შესახებ პატარა და ამაღელვებელი ისტორია შემოვიტანეთ და მეორედ ამ პრინციპის დარღვევა გვიხდება ახლა, როდესაც წინამდებარე წერილის გადმოტანა გვიხდება “ქართული გაზეთიდან”. გაზეთის ეს ნომერი მისმა რედაქტორმა, ბატონმა პაატა ნაცვლიშვილმა გადმოგვცა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ამ ორი წერილის ჩვენ წიგნში მოხვედრა ორი უმთავრესი მიზეზის გამო მოხდა: აქ ისეთი უანგარო სიყვარულის მაგალითებია აღწერილი, რომ მათთვის გვერდის ავლა უბრალოდ ვერ შევძელით. წინამდებარე წერილის ავტორია ჯემალ ქელეხსაშვილი, ცნობილი მთამსვლელი და ჟურნალისტი. აი, ეს წერილიც:

ამ რამდენიმე ხნის წინათ მეგობარი მთამსვლელების მიწვევით პოლონეთში გახლდით. წინა წლებში ჩვენ რამდენიმე ერთობლივი ასვლა გვქონდა განხორციელებული სვანეთის მწვერვალებზე და პოლონეთში ეს ჩასვლა პოლონელ და ქართველ მთამსვლელთა შორის ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას ისახავდა მიზნად.

პოლონეთში სტუმრობის დროს სრულიად შემთხვევით გავიცანი 71 წლის არქიტექტორი იეჟი სალინი, რომელიც გდანსკიდან 10-15 კილომეტრის დაშორებით ცხოვრობს თავის მეუღლესთან ერთად.

როდესაც პან სალინმა გაიგო, რომ საქართველოდან ვიყავით, დიდად გაიხარა და გვთხოვა, საღამოს აუცილებლად ვწვევოდით შინ. მამასპინძლობა გაგვიწიეს, ხოლო ბატონმა იეჟიმ გვიამბო თავისი მეტად საინტერესო და ამაღელვებელი ბიოგრაფია, რომელიც ჩვენდა გასახარად ქართველებთან და საქართველოსთან აღმოჩნდა დაკავშირებული. ძალიან მალე ჩვენთვის ნათელი გახდა, თუ რატომ უყვარს სალინების ოჯახს ჩვენი ქვეყანა, თუმცა ერთხელაც არ ყოფილან საქართველოში.

ვფიქრობთ, იეჟი სალინის მონათხრობი საინტერესო უნდა იყოს ქართული საზოგადოებისათვის.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში პოლონეთის არმიის ოფიცერი იეჟი სალინი გდანსკში ცხოვრობდა. პოლონეთის არმიის ოფიცრები იმ პერიოდში გარკვეული შეღავათებით სარგებლობდნენ - უზრუნველყოფილი იყვნენ მაღალი ხელფასებითა და კვების პროდუქტებით. ეს არ მოეწონა რომელიღაც მის მეზობელს, როდესაც პან სალინი თავის მშობლიურ ქალაქ რადომში დაბრუნდა 1943 წელს და გესტაპოში უჩივლა მას, თითქოს იგი ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა გერმანელთა წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ სალინების სახლის გაჩხრეკისას ვერავითარი

სამხილი ვერ იპოვეს, ახალგაზრდა პოლონელი ოფიცერი დააპატიმრეს და საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს.

ცუდი კვებისა და აუტანელი პირობების გამო ბანაკის ბინადართა შორის ტიფის ეპიდემიამ იფეთქა. ერთ კვირაში ავადმყოფობამ ცხრა ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ტიფის ეპიდემიას ვერც იეჟი სალინი გადაურჩა. იგი ისე იყო დასუსტებული, დაუხმარებლად სიარულიც აღარ შეეძლო. სწორედ ამ დროს მოიყვანეს საკონცენტრაციო ბანაკში ქართველი სამხედრო ტყვეები ვალდემარ (ალბათ ვლადიმერ) ვაშაკიძე და მერაბ ბერძენიშვილი.

ახალმოსულები წესისამებრ უზარმაზარი ბარაკის შესასვლელში, ყველაზე ცუდ ადგილზე მოათავსეს. ქართველებს არათუ გერმანული და პოლონური, რუსულიც კი ძალიან უჭირდათ და სალინმა, რომელიც თავიდანვე სიმპათიით განეწყო ქართველებისადმი, იმ საბაბით, რომ ახალ ტყვეებს ენობრივი ბარიერის დაძლევაში დაეხმარებოდა, ბარაკის მამასახლისს სთხოვა, ქართველები მის გვერდით გადაეყვანა. სალინიც და ქართველი ტყვეებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა, მაგრამ მოხდა სასწაული და მამასახლისმა თხოვნა დააკმაყოფილა.

როდესაც დადამდა და დასაძინებლად დავწექით, ვალდემარ ვაშაკიძემ ჩუმიად, რომ არავის დაენახა, ხელში რაღაც ჩამიღო, - იგონებს ჩვენი მასპინძელი, - როდესაც მივხვდი, რომ ეს პურის ნაჭერი იყო, საჩუქარზე უარი განვაცხადე. თვითეულ ტყვეს დღეში მხოლოდ 40 გრამი პური გვეძლეოდა და ულუფის ასეთი განაწილება ფაქტიურად თვითმკვლევლობას ნიშნავდა. ვალდემარმა დაბეჯითებით მთხოვა, მიმეღო საჩუქარი. მე ჯერჯერობით ჯანმრთელი ვარ, შენ კი ისე ხარ დასუსტებული, ასე თუ გაგრძელდა, დიდხანს ვერ გაატანო. ერთი სიტყვით, ვალდემარის იმდღევანდელი ულუფა მე მერგო. ასე გრძელდებოდა კარგა ხანს – ერთ დღეს ერთი მითმობდა თავის ულუფას, მეორე დღეს – მეორე. გარკვეული დროის შემდეგ ჩემი ახალი მეგობრების მეცადინეობით გამოვკეთდი და სიკვდილს გადავრჩი. მას შემდეგ ვალში ვარ ქართველების წინაშე.

პან სალინს რამდენიმე წიგნი აქვს გამოცემული მეორე მსოფლიო ომის თემაზე. ამ წიგნებზე მუშაობისას საკუთარ მოგონებებისა და შთაბეჭდილებების გარდა იგი ეყრდნობოდა საარქივო მასალებსაც. იმჟამად იგი მუშაობდა ახალ წიგნზე მისი საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნის შესახებ. ამ მიზნით მან კარგად შეისწავლა მრავალი დოკუმენტური მასალა როდომის ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკის არქივში, სადაც სხვათაშორის, დააზუსტა ცნობები მისი ქართველი მეგობრების შესახებაც.

ვაშაკიძე ვალდემარ ალექსანდრეს მე, დაბადებული 1890 წლის 20 მარტს. ომამდე თავისი ოჯახით ცხოვრობდა თბილისში, პლეხანოვის პროსპექტი #27. ჰყავდა

შვილი ალექსანდრე. როდომის საკონცენტრაციო ბანაკში იმყოფებოდა 1943 წლის 11 მარტიდან 18 მაისამდე.

მერაბიშვილი მერაბ სერაფიმის ძე, დაბადებული 1913 წლის 6 ივნისს. ჰყავდა მეუღლე ნატალია. ცხოვრობდა ქუთაისში. როდომის საკონცენტრაციო ბანაკში დაჰყო 1943 წლის 28 ივლისამდე.

თუ როგორ წარიმართა ამ ორი ქართველის ბედი, პან სალინისათვის უცნობია. მან გვთხოვა, პრესის საშუალებით მოგვეძებნა ვალდემარ ვაშაკიძისა და მერაბ მერაბიშვილის ნათესავები, რათა ისინი გამოხმაურებოდნენ იეჟი სალინს.

პან სალინს კიდევ ერთი მოგონება აკავშირებს საქართველოსთან და ქართველებთან. 1921 წელს იეჟი სალინის მამა, რომელიც მაშინ როდომის გამგებელი იყო, მასპინძლობდა დემოკრატიული საქართველოს დელეგაციას. დელეგაციის პოლონეთში ყოფნის დროს პოლონურ ენაზე გამოიცა დელეგაციის ერთ-ერთი წევრის – სერგო ყურულიშვილის 47 გვერდიანი წიგნი “საქართველო”, რომელშიც მიმოხილულია ჩვენი ქვეყნის ისტორია და კულტურა უძველესი დროიდან 1921 წლამდე.

იეჟი სალინმა გადმომცა ამ წიგნის ერთი ეგზემპლარი, რომელსაც წიგნის ავტორს უჩუქებია როდომის გამგებლისათვის ასეთი წარწერით: “სახსოვრად ჩემს მეგობარს, ქალაქ რადომის გამგებელს, პან სალინს. პატივისცემით – სერგიუმ ყურულიშვილი”.

- ეს წიგნი საქართველოს ისტორიის ნაწილია. მინდოდა თავად ჩამომეტანა იგი საქართველოში, მაგრამ ახლა ჩემი ასაკისა და ჯანმრთელობის კაცი ამას ვეღარ შეძლებს. გთხოვთ, პატივი დამდოთ და ეს წიგნი საქართველოში ჩაიტანოთ ქართველებისადმი ჩემი პატივისცემისა და მადლიერების ნიშნად, - გვითხრა იეჟი სალინმა გამომშვიდობებისას.

სიამოვნებით ვასრულებთ მის თხოვნას და ამ წიგნს გაზეთ “სამშობლოს” რედაქციას გადავცემთ.

რედაქციისაგან: ვთხოვთ მკითხველებს, თუ ვინმეს რაიმე გაუგია ომის დროს პოლონეთში ტყვედ მყოფი ვალდემარ (ვლადიმერ) ვაშაკიძისა და მერაბ მერაბიშვილის შესახებ, გამოგვცხმაურონ რედაქციაში. რაც შეეხება სერგო ყურულიშვილის წიგნს, ჩვენ შევეცდებით ვათარგმნინოთ იგი და გავაცნოთ ქართულ საზოგადოებას.

იეჟი სალინი

29. ქართველთა საფლავები პოლონეთის მიწაზე

დასასრულს, უნდა აღინიშნოს შემდეგი: ის ქართველები, რომელთა ბიოგრაფიის ზოგიერთი მომენტიც ჩვენ წარმოვაჩინეთ, წლების მანძილზე პოლონეთის საზოგადოებას შეეზარდნენ. როგორც ვხედავთ, იმდენად მოხდა მათი ამ ქვეყნის საზოგადოებასთან შეკავშირება, რომ ისინი ნაკლებად გრძნობდნენ თავს საკუთარი სამშობლოდან გამორიყულად. ცხადია, ეს არ იყო მათთვის ადვილი, მაგრამ რას იზამ, ასეთია პოლიტიკური ემიგრანტის ხვედრი.

თითქმის ყველა მათგანი, გარდა იმისა, რომ სურდა თავისი საქმით გამოდგომოდა მეორე სამშობლოს, პოლონეთს, ესწრაფოდა იმასაც, რომ სრულყო პროფესიული დაოსტატება, რადგან, მათი ღრმა რწმენით, ეს საქართველოს განთავისუფლებისათვის დასჭირდებოდა ოდესმე. სამწუხაროდ, ყველა მათგანი ისე ჩავიდა სამარეში, რომ ვერ ეღიროს თავისუფალსა და ბედნიერ საქართველოს.

სამაგიეროდ (თუკი რაიმეთი შეიძლება ნ და მისმა მეუღლემ გულითადი უსამშობლოობის კონპენსაცია), მათ მეორე მხრივ გაუმართლა ბედმა. თითქმის ყველა მათგანმა შექმნა პოლონეთში თავისი ოჯახი, გაზარდეს შვილები და ამგვარადაც მიაგეს სამაგიერო ქვეყანას, რომელმაც მათ გაჭირვების დროს დახმარების ხელი გაუწოდა. ეს სწორედ მათი და მათი შთამომავლების დიდი დამსახურებაა ის, რომ დღეს პოლონეთ-საქართველოს კულტურული თუ სხვა სახის თანამშრომლობა ასე წინწასულია და განვითარების საკმაოდ ნათელი და იმედის მომცემი პერსპექტივები აქვს.

სამწუხაროდ (სამწუხაროდ? სხვა რა ფორმა შეიძლება ჰქონდეს ადამიანის სიცოცხლეს?), როგორც ყველაფერი ამ ქვეყნად, ადამიანის სიცოცხლეს სრულდება (იქნებ სხვა ფორმაში გადადის, ვინ იცის, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ ამის დადგენა_გაგებისაგან). დასრულდა პოლონეთში მცხოვრები მრავალი ემიგრანტი ქართველის სიცოცხლეს. დღეს მათი საფლავები ამ ქვეყნის თითქმის ყველა ქალაქის სასაფლაოზეა მიმოფანტული.

1992 წლის მაისში საქართველო_პოლონეთის საზოგადოების ვარშავის განყოფილებამ მეტად კეთილშობილური საქმე წამოიწყო. კერძოდ, მან გადაწყვიტა მოეხდინა ამ საფლავების მოძიება, შესწავლა და მოვლა-პატრონობა. აღნიშნული საქმის ორგანიზება თავს იდეს საზოგადოების წევრებმა - სერგო ყურულიშვილმა და ანჟეი ვოზნიაკმა. ამ საქმეში აქტიურად ჩაერთვნენ საზოგადოების სხვა წევრებიც - კ. ბრაუნი, ი. გომიაშვილი, დ. ყოლბაია, ნ. მათიკაშვილი და დ. სლაბკოვიჩ-მიქაბერიძე.

საზოგადოების წევრებმა თავდაპირველად ვარშავის სასაფლაოები შეისწავლეს. შესწავლა სახელდობრ გულისხმობდა საფლავისათვის სურათის გადაღებას (სურათების გადაღება თავს იდო ს. ყურულიშვილმა), ეპიტაფიის ამოკითხვას და სხვ. საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს ვარშავის შემდეგ ეს საქმე პოლონეთის სხვა

ქალაქების სასაფლაოებზეც განაგრძოს. 1992 წლის სექტემბერში საზოგადოების მამინდელმა თავმჯდომარემ ი. არონიშიძემ (გარდაიცვალა 1998 წელს), თხოვნის წერილები დაუგზავნა საზოგადოების სხვა ქალაქების ფილიალებს და ასევე ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს, რათა მათ საზოგადოებისათვის ამ საქმეში დახმარება აღმოეჩინათ.

ვარშავაში ქართველთა ყველაზე ძველი საფლავები აღმოჩნდა ვოლსკის მართლმადიდებლურ სასაფლაოზე. აქ XIX საუკუნის 60-იან წლებში დაკრძალულია ვარშავის სამხედრო კომენდატი თავადი დავით ბებუთოვი (დაიბადა 1798 წელს თბილისში, გარდაიცვალა 1867 წელს ვარშავაში). საფლავის ქვაზე ამოკვეთილი ფორმები მოგვაგონებს, რომ აქ დაკრძალულია სამხედრო და რომ ის წარმოშობით კავკასიიდან არის (ხმალი, პისტოლეტი, გადაჯვარედინებული ხანჯლები, ფაფახის ქუდი). საფლავის ქვაზე ამოკვეთილია ასევე მედალიონი დავით ბებუთოვის პორტრეტით, ხოლო საფლავის ქვის სვეტს ანგელოზი ამშვენებს.

გაცილებით უბრალო და ამავე დროს უყურადღებოდ არის დატოვებული სასაფლაოს ლიკვიდირებული ნაწილიდან სხვა ადგილას გადატანილი გენერალ აგათონ ვახვახოვის (ვახვახიშვილის, გარსევანის ვაჟისა) და მისი მეუღლის საფლავები.

ამავე სასაფლაოზე მეუღლე მარიას (1894-1927 წწ.) და მისი ძმა იანის (1897-1961წწ.) გვერდით განისვენებს ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო მოღვაწე, ცნობილი ჟურნალისტი და პოეტი სერგო ყურულიშვილი (1894-1925წწ.).

ვარშავის პოვოსკის კომუნალური სასაფლაოს სამხედროებისათვის განკუთვნილ ნაწილში ჰპოვა თავისი სამუდამო განსასვენებელი პოლონეთის არმიის კონტრაქტის ოფიცერმა, გენერალმა იან გიორგი ყაზბეგმა.

აქვეა დაკრძალული პოლონეთის არმიის ოფიცერი, ქართული ემიგრაციის ცნობილი მოღვაწე, მეწარმე ალექსანდრე გომიაშვილი (1897-1941წწ.).

ამავე სასაფლაოზე განისვენებს თამარა კობიაშვილი (გარდაიცვალა 1929 წ.), პოლონეთის არმიის კაპიტნის მეუღლე.

ამ სასაფლაოს სამოქალაქო პირთათვის განკუთვნილ ნაწილში, კრემინსკების საოჯახო სასაფლაოზე განისვენებს თავადი ნიკოლოზ ბაგრატიონი (1908-1940 წწ.). იგი ქართველთა კომიტეტის მდივანი იყო 30-იან წლებში, ვიდრე მეორე მსოფლიო ომი დაიწყებოდა.

საბჭოთა ჯარისკაცთა სასაფლაოზე აღმოჩნდა იმ ქართველ მეომართა საფლავები (ხშირად სახელის, დაბადების და გარდაცვალების თარიღების გარეშე), რომლებიც ვარშავის განსათავისუფლებლად იბრძოდნენ 1944 წელს. მათ შორის

არიან მაიორი ზ. გორტოშვილი, ლეიტენანტი გ. მიხულია, ორდენის კავალერი ქოქაძე და სხვები. მათი გვარების იდენტიფიკაციას საქართველო-პოლონეთის საზოგადოება აგრძელებს

ბოლოთქმა

შეიძლება ითქვას, რომ ეს ისტორიულ-პუბლიცისტური წიგნი ჩემდა უნებურად წარმოიშვა. მასში შემავალი წერილებიდან თითქმის უმრავლესობა თარგმნილი და გამოქვეყნებული მქონდა ბოლო წლების ქართულ და რუსულ რესპუბლიკურ პრესაში (ჟურნალი “არტანუჯი”, ”კვალი”. გაზეთები: “ლიტერატურული საქართველო”, “სვობოდნაია გრუზია”, “საქართველო”, “საქართველოს რესპუბლიკა” “დილის გაზეთი” და სხვ.).

ვფიქრობთ, ისინი მეტად საინტერესოა როგორც ჩვენი ისტორიკოსების, ისე ჩვეულებრივი ქართველი მკითხველისათვის, რომელსაც უყვარს სამშობლო და ანაღვლებს მისი წარსული და მომავალი.

მიუხედავად ამისა, პოლონეთში მცხოვრები მრავალი ქართველი ემიგრანტის (განსაკუთრებით ოციანი წლების) ცხოვრება და შემოქმედება ჩვენი მკითხველისათვის უცნობი რჩებოდა. მათ შესახებ განსაკუთრებით საინტერესო მასალებს აქვეყნებდა და აქვეყნებს პოლონეთში გამომავალი ჟურნალი “პრო გეორგია”. რამდენჯერაც არ უნდა ამელო ეს ჟურნალები ხელთ, ეს ადამიანები საყვედურის თვალებით შემომყურებდნენ, თითქოს მეუბნებოდნენ, რატომ არ აცნობ და ახსენებო ჩვენს თავს საქართველოს.

ამიტომ გადავწყვიტე ქართველ ემიგრანტთა შესახებ ადრე გამოქვეყნებული წერილების შეკრება, მრავალი ასეთი წერილის თარგმნა, ცალკე წიგნში მათი თავმოყრა და მკითხველის სამსჯავროზე გამოტანა. დაე, მან განსაჯოს პირუთვნელად მისი ნაკლი თუ ღირსება.

გზა შინსაკენ...

ამ წიგნის წაკითხვისას ბევრი თქვენგანი პოლონეთში მოგზაურობას გაიხსენებს და სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ არაფერი იცოდა ამ ქვეყანაში გაბნეულ ქართველთა საფლავებზე, თუმცა არცერთ საექსკურსიო მარშრუტს მასთან არ

მიყვავდით... ამ ადამიანთა სახელის ხსენება 70 წლის მანძილზე სამშობლოშიც აკრძალული იყო. არავინ ახსენებდა 1921 წელს რუსეთის ოკუპაციის შემდეგ საკუთარი ქვეყნიდან გადახვეწილ ქართველებს.

„როგორც ქართველი, ვისურვებდი, რომ საქართველოში ვყოფილიყავი დასაფლავებული, მაგრამ ბედნიერი ვარ იმითაც, რომ დავიკრძალები გმირი და კეთილშობილი პოლონელების მიწაზე” – წერდა პოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე.

ასეთ პატრიოტთა საფლავები საქართველოშიც არის – საუკუნეთა წინ გადმოხვეწილი პოლონელებისა. მათაც არ ეღირსათ სამშობლოს მიწა: კიშინსკი, იაბლონსკი, კვიატკოვსკი, ტრიპოლსკი ... ბევრი კიდევ სხვა პოლონური გვარით დღეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, იმ ადგილის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებებით ცხოვრობს და იქაური აქცენტით მოსაუბრეს არავინ უწოდებს პოლონელს ...

თუმცა კი უკვე ინტერესით იყურებიან სამშობლოსაკენ” ... ვინა ვარ, საიდან...” მოსვენებას არასოდეს აძლევს ადამიანს. ამ რთულ და საინტერესო გზას ადგას ეს წიგნი, რომლის ავტორი პოლონეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე, ბატონი ამბროსი გრიშიკაშვილი ყოველი გაზეთის, ჟურნალის, რადიოგადაცემის სასურველი სტუმარია. მისი სახელის ხსენებისას, უმალ პოლონეთ-საქართველოს თემა გვახსენდება და რადიოპროგრამა „გზა” (საქართველოს რადიოს I არხი) ყოველთვის სიამოვნებით უთმობს სტუდიას ავტორს არაერთი საინტერესო ნარკვევის მოსასმენად. აქ ყველაზე საინტერესოს მოუყვრია თავი რამდენიმე მონაკვეთად – ძველი ისტორიიდან დღემდე. როგორც ავტორი ამბობს, თეთრი ლაქების აღმოფხვრის მიზნით დაწერა ეს წიგნი, იმის გასარკვევად, თუ რატომ არ აპატიეს ქართველ გენერლებსა და ყმაწვილ იუნკრებს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა და რატომ აუკრძალეს მასზე ფიქრიც კი ... 1918-21 წლების საქართველოს შესახებ საინტერესო დოკუმენტები სწორედ ამ მიზნით არის შეკრებილი. მკითხველის წინაშეა ქართველ პატრიოტთა თავგადასავალი სამშობლოში და უცხოეთის მიწაზე, კერძოდ, პოლონეთში, ქვეყანაში, რომელსაც შემდეგ მათ მეორე სამშობლო უწოდეს და ბევრმა ქართველმა მებრძოლმა სიცოცხლეც შესწირა მეორე მსოფლიო ომში პოლონეთისათვის, ზოგი დახვრეტილ იქნა ... ზოგი ტყვეობაში იტანჯებოდა, ბევრი კი ბრძოლის ველზე აღესრულა ... კითხულობ ამის შესახებ და ამაყი ხდები მათი გმირობის გამო, პოლონეთს, მის ხალხსაც უახლოვდები, მათი დაღვრილი სისხლი ამ მეგობრობისა და სიყვარულის დაცვას, გაფრთხილებას გვავალებს.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ წიგნის ავტორი ბ-ნ ამბროსი გრიშიკაშვილი პოლონეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწეა. მისი ბიოგრაფიის რამდენიმე წელი უკავშირდება ამ ქვეყანას და ღვაწლი არ დაუკარგეს, ამ კეთილშობილური

მანერით მადლობა გადაუხადეს, უფრო საინტერესო მუშაობისაკენ წააქეზეს, და გარკვეულად ამის საშუალებაც მისცეს. ამაშიც ჩანს ამ ქვეყნის და ხალხის სახე, მისი კულტურა. პოლონეთმა დააფასა დიდი საეკლესიო მოღვაწის გრიგოლ ფერაძის ცხოვრება და ღვაწლი არა მხოლოდ პოლონეთის, არამედ მთელი ცივილიზებული კაცობრიობის წინაშე. პირველად პოლონეთის ეკლესიამ შერაცხა იგი წმინდანად და ღვთის ნებით, ასე მადლმოსილი დაუბრუნდა მისი სახელი სამშობლოს. წმინდა გრიგოლის ხატი დღეს ორივე ქვეყნის ეკლესიაში ასვენია.

მკითხველს შალიკაშვილების თავგადასავალიც დააინტერესებს – აშშ-ს გამოჩენილი სამხედრო მოღვაწისა, რომელიც დღეს ორივე ქვეყნის – პოლონეთისა და საქართველოს კეთილდღეობაზე ზრუნავს, უძველესი ქართული საბრძოლო ტრადიციების მიებაშია, იმ ტრადიციებისა, რომლისთვისაც უცხოა აგრესია და წმინდაწმინდაა სამშობლოს მტრისაგან დაცვა. ამ სულისკვეთებით ცხოვრობდნენ ქართველები სამშობლოში და პოლონეთში, იმ ქვეყანაში, რომელსაც თავიანთ სამშობლოს ადარებდნენ.

დიდია პოლონეთის მთავრობის, პოლონელი ხალხის კეთილი ნება, რამაც თავშესაფარი მისცა ქართველ ემიგრანტებს გასული საუკუნის 20-იან წლებში, დღეს კი პოლონეთი საქართველოს მეგობარ, მის მხარდამჭერ ქვეყნებს შორისაა. მადლობა მას ამისათვის.

ერთიც აუცილებლად არის აღსანიშნავი – წიგნს ავტორი თავის შვილებს და, ვფიქრობთ, მთელს ქართველ ახალგაზრდობას უძღვნის, იგი პატრიოტიზმის შესანიშნავი გაკვეთილია.

ნანა ლომიძე

ჟურნალისტი, რადიოპროგრამა „გზა“